32 გვ

# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 29 (274) ◆ 17 – 23 ივლისი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




– ანტიკორუფციულ კომისიაში მეგულება რამდენიმე პირი, რომლებიც არანაირ კომპრომისზე არავის წინაშე არ წავლენ;

– საღი ოპოზიციური ძალების ადგილი პარლამენტში ძალიან ბნელმა ძალებმა დაიკავეს...

– ქვეკომიტეტი, რომლის თავმჯდომარეც ვარ, სამი კაცისგან შედგება და ორი წევრი ჩემს ოთახში დღემდე არ მინახავს;

– ყველა კორუმპირებული ელემენტი, პროამერიკულად განწყობილიც კი, პოტენციურად, რუსეთის საიმედო საყრდენია ჩვენში;

– ჩემს მაგალითზე გეტყვით, თუ პარლამენტარს ამას უკეთებენ, რიგით მოქალაქეს რაღას უზამენ?

გვ. 3

## ექსკლუზიური ინტერვიუები: აკაკი ელიავას მეუღლესთან

– პისტოლეტს ერთი წუთითაც არ იშორებდა. მისთვის სიცოცხლეში იარაღის ჩამორთმევა არავის უკადრებია;

– კენჭაძე ჩვენს სახლშიაც ნამყოფია... ოღონდ შენი ქმარი ტყიდან გამოიყვანე და... დოლარებით სავსე დიპლომატი თან ჰქონდა, მე მიტოვებდა... გავგლანძღე. ასე უთქვამს – ცოლი უარესი ჰყოლიაო...

## აკაკი ელიავას უახლოეს მეგობართან



აკაკი ელიავა და გოჩა გვილავა

– დავურეკე, ვიცოდი, პროვოცირებას უპირებდნენ მინდოდა გამეფრთხილებინა;

– ძალოვანი სტრუქტურებიდან ჩვენმა ხალხმა შეგვატყობინა, რომ ეს იყო გამიზნული მკვლელობა.

გვ. 5-8

ლოთი ქობალია

## სამხედრო თემაზე:




## აფხაზეთში ქედმოხრილები უნდა შევიდეთ?

გვ. 9

...დღევანდელი ხელისუფლება სეპარატისტებს იმ ერთადერთ შიშსაც უქრობს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა რომ ჰქვია.

აბსურდის თეატრი გრძელდება – მთავარ როლში ახალი სახელმწიფო მინისტრი მოგვევლინა...

9 ივლისის ოპერაციის წმინდა სამხედრო ანალიზი

## ზაფხულის პაპანაქებაში ყველაზე დიდი ნეტარება ბანაობაა

გვ. 31

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

## ფრთხილად, პოლიტიკოსების ძმებო...



რამდენჯერ არ გაუმართლა დათო სააკაშვილს მხოლოდ იმიტომ, რომ მიხეილ სააკაშვილის ნახევარძმაა...

გვ. 6

## ჯაბა იოსელიანის ათდღიანი ვოიაჟი სვანეთში...

გვ. 8

## სპორტის ამბები



...რატომ დანიშნეს რეზო არველაძე „დინამოს“ მწვრთნელად...

...რატომ დატოვეს მურთაზ ხურცილავა თამაშგარე მდგომარეობაში...

...ქართველმა მოკრივემ და მისმა ინგლისელმა „მოძღვარმა“ რინგი გამარჯვებულებმა დატოვეს.

გვ. 28-29

## ქართულმა ნაგაზმა სიმბამ მსოფლიოს გააცნო საქართველო



...შარშან სიმბას „ჩაუწყვეს“ და ჩემპიონატიდან მოხსნეს;

...წელსაც ბევრს ეცადნენ, მაგრამ... სიმბა მსოფლიო ჩემპიონია...

გვ. 7

## ჩემი დედა...

– ოღონდ ნუ გამაფუჭებთ, ფუფლო არ ამკიდოთო და ერთ დროს, ერთმა „კაი ბიჭმა“ ერთი ჯერ გაუგონარი გინება დაამკვიდრა – მაინც – როგორ?

გვ. 8

## რას წერენ ჩვენზე:

გვ. 12

– საქართველო კლანური ქვეყანაა, სადაც მეგობრისათვის შეღავათის გაწევა უფრო დიდი მორალური ვალდებულებაა, ვიდრე წესების დაცვა.

– 72 წლის შევარდნაძე საშინაო პრობლემების არდანახვას ცდილობს.

„ეკონომისტი“


შპს „ევროამერიკან“-ი



ხმარებაში მყოფი IBM 486 და Pentium-ის ტიპის კომპიუტერები

კომპლექტშია: სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა

IBM 486 კომპლექტის მინიმალური ფასია 99$

Pentium კომპლექტის მინიმალური ფასია 135$

ფასს ემატება დღგ

დანარჩენი კომპლექტების ფასები დამოკიდებულია პარამეტრებზე. ანგარიშსწორება შესაბამისი კურსით ლარებში.

მის: ქ. თბილისი, ფიროსმანის ქ. №23 ☎94-28-33

ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. 18 ☎2-21-16

ქ. გორი, ჭონქაძის ქ. №11 ☎2-73-90


## აბსურდული ეკონომიკა...

– ქონვალჰესი 20 დოლარად გაუქირავებიათ(!)

– სახელმწიფო ქონების იჯარიდან ბიუჯეტში წელიწადში 5.000 ლარი(!) შესულა...

გვ. 7

## ვერსია

## ავტოავარია, რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა საქართველოს სამართალდამცველთა პრესტიჟი

ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო – ასეთი დონის ხალხი არასოდეს ერეოდა პერიფერიაში მომხდარი ავტოავარიის ძიების საქმეში... მთელ კავშირში კარგად ცნობილი თაღლითი ადვოკატი თავის საქმეს აკეთებდა – ზუგდიდიდან მოსკოვში ფული ჩაჰქონდა... ისიც კი მოახერხა, ექსპერტთა დასკვნებში ციფრები გადაეკეთა... მერე „ნედელიაში“ საქართველოს მთელი სამართალდამცავი სისტემა მიწასთან გაასწორა.

გვ. 10


ფირმა „ბერმუხა“



ბრტყელი სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50


## საკვირაო



ტელეკინოგიდი 17 – 23 ივლისი

გვ. 14-15

Неделя

Коммандос

Частная жизнь

Телохранитель

За рубежом

Московские новости

Newsweek

Focus

Общая газета

Der Spiegel

Комсомольская правда

stern

Сегодня

Клюква

Известия

Труд

Совершенно секретно

Аргументы и факты

Иностранец

Paris Match

ТВ Парк

Лица

Огонёк

daily

Le Nouvel Observateur

Итоги

## იკითხეთ „კვირის პალიტრის“ ახალი ჟურნალი – „გზა“

## ლეკიშვილი დატოვებს „მოქკავშირს"?!

მთელი კვირის მანძილზე გრძელდებოდა სკანდალი მოქალაქეთა კავშირში, რაც საპარლამენტო უმრავლესობის თანამდებობიდან ნიკო ლეკიშვილის გადადგომას მოჰყვა. ლეკიშვილმა მიღებული გადაწყვეტილება არც ფრაქცია მოქკავშირის დახურულ სხდომაზე შეცვალა, რამაც ნამდვილი არევ-დარევა გამოიწვია მმართველი პარტიის სხვა ლიდერებსა და წევრებს შორის. ლეკიშვილმა კი დარტყმას დარტყმა მიუმატა და „მის წინააღმდეგ გამოქვეყნებულ შეკვეთილ პროვოკაციულ სტატიებში დაფიქსირებული ბრალდებების შესწავლა კატეგორიულად მოითხოვა". ლეკიშვილი ეჭვობს, რომ ამ ბინძურ სტატიებს, რომელშიც მის „კორუმპირებულობას" ამტკიცებენ, მისი მშობლიური პარტიის წევრები უკვეთავენ! საზოგადოება დარწმუნებულია, რომ პრესის ე. წ. ზეწოლა ლეკიშვილის გადადგომის მიზეზად ნამდვილად ვერ გახდებოდა. სამაგიეროდ, სჯერა ის, რომ ლეკიშვილის გადადგომის მიზეზი ჟვანია-სააკაშვილის გუნდსა და მას შორის არსებული დაპირისპირებაა. ამას კი, როგორც წესი, კვლავ უარყოფენ ჟვანიას გუნდის წევრები... „ჭირი" კი არა და არ მალავს თავს, მიუხედავად იმისა, რომ ლეკიშვილი ზურაბ ჟვანიას შვილის ნათლიაა და, მისივე თქმით, იგი ასეთ ურთიერთობებს გაცილებით დიდ პატივს სცემს და უფრთხილდება, ვიდრე ნებისმიერ პოლიტიკას და თანამდებობას... მიშა სააკაშვილიც ოპტიმისტურადაა განწყობილი და მთელი ზაფხულის მანძილზე ლეკიშვილთან კონსულტაციების გამართვას აპირებს, თუმცა საეჭვოა, ამით რაიმე გამოვიდეს... თავად ლეკიშვილი კი აცხადებს, რომ იგი მოქკავშირიდან არსადაც არ აპირებს წასვლას, მხოლოდ აღარ იქნება უმრავლესობის ლიდერი! ხოლო თუ პარტიიდან წასვლა გადაწყვიტა, ის საერთოდ წავა პოლიტიკიდან!

## შემოდგომაზე „დიდი ბრძოლა" გაჩაღდება

„დიდი მოძრაობა" შეინიშნება საპარლამენტო უმცირესობაშიც. საკმაოდ მცირერიცხოვანი „მრეწველები" „ტრადიციონალისტებთან" კრავენ კავშირს. ახალი საგადასახადო კოდექსის ჩაგდებით „მოქალაქეებზე" საბოლოოდ გაბოროტებული თოფაძის თანაფრაქციელები, თანაპარტიელები და მხარდამჭერნი ახალი ფრაქციის შექმნით იმუქრებიან და დიდი ბრძოლის გაჩაღებას აპირებენ პარლამენტში სექტემბრიდანვე. ახალ მოკავშირეებს იმედი აქვთ, რომ მათ შეუერთდებიან „მოქკავშირის" ჯანსაღი წევრებიც კი. თუ ამ მუქარამ შემოდგომაზე რეალურად შეისხა ხორცი, ეს მოქკავშირისათვის გაცილებით საშიში მოვლენა იქნება, ვიდრე თავად პარტიასა და ფრაქციაში არსებული განხეთქილება.

## ნადარეიშვილი ხელისუფლებას ბრალს სდებს

სოხუმში გამართული შეხვედრისას არძინბასა და გია არსენიშვილს შორის, მხარეებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს ე.წ. სტაბილიზაციის შესახებ, რომლის საფუძველზეც საქართველო და აფხაზეთი იღებენ ვალდებულებას არ დაუშვან ისეთი ქმედებები, რაც ხელს შეუშლის სამშვიდობო პროცესს და შექმნის კონფლიქტურ სიტუაციას აფხაზეთსა და საქართველოს ტერიტორიაზე. თამაზ ნადარეიშვილის თქმით, ამით საქართველოს ხელისუფლებამ აღიარა, რომ აფხაზეთის დაბრუნება არ სურს... თამაზ ნადარეიშვილმა პირდაპირ დაადანაშაულა საგარეო საქმეთა სამინისტრო, პარლამენტი, საგანგებო საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე და სახელმწიფო მინისტრი, რომლებმაც დაუმალეს ნადარეიშვილს და მისი მთავრობის წევრებს ის დოკუმენტი, რომელიც სოხუმში ჩაიტანეს და მასზე არძინბასთან ერთად მოაწერეს ხელი! ნადარეიშვილი აცხადებს, რომ უკვე აღარანაირი აზრი არა აქვს საქართველოს ხელისუფლებასთან თანამშრომლობას, რადგან ის არ ითვალისწინებს აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების პოზიციას. ამიტომ თამაზ ნადარეიშვილი და უზენაესი საბჭოს წევრები, პარლამენტარები მთავრობის სხდომებს და პარლამენტის სესიებს საერთოდ აღარ დაესწრებიან. მისივე თქმით, არ შეიძლება აფხაზეთის პრობლემით იყოს დაკავებული ხალხი, რომელსაც წარმოდგენაც არ აქვს აფხაზეთზე და მხოლოდ ცდილობს თავი მოიწონოს, ვითომდა ცივილიზებული აღზრდით და კულტურით! (ვრცლად იხ. გვ.9)

**(ბლექსი პრესი).** საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ვახტანგ ყოლბაიამ უკმაყოფილება გამოთქვა სოხუმში 11 ივლისს, საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე ქართული დელეგაციის მეთაურის გიორგი არსენიშვილის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტებთან დაკავშირებით.

14 ივლისს გამართულ პრესკონფერენციაზე, ვახტანგ ყოლბაიამ განაცხადა, რომ „ვითარების სტაბილიზების საკითხების ოქმის" პროექტი მომზადებული იყო აფხაზური მხარის მიერ და წარმოდგენილი იყო 3 მაისს, გალში აფხაზური მთავრობის და საქართველოს ძალოვანი უწყებების შეხვედრაზე. თუმცა ვიცე-სპიკერის თქმით, მაშინდელმა სახელმწიფო მინისტრმა ვაჟა ლორთქიფანიძემ უარი თქვა მის ხელმოწერაზე, ვინაიდან არ დასთანხმდა მის პირობებს და ფორმულირებას.

## სესტანოვიჩი ბალცეროვიჩს გვირჩევს...

თბილისს ვიზიტით ეწვია და პრეზიდენტ შევარდნაძესთან დახურულ კარს მიღმა გამართა მოლაპარაკება აშშ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა და ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის მთავარმა კოორდინატორმა სტივენ სესტანოვიჩმა. საუბრის ძირითადი თემა საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის დაფინანსება იყო. ამერიკას განზრახული აქვს, ამ საკითხში საქართველოს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს და ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ამერიკელ სტუმარს არც საქართველოში შექმნილი მძიმე საბიუჯეტო-ფინანსური კრიზისისა და კორუფციასთან ბრძოლის თემა დარჩენია ყურადღების მიღმა. სესტანოვიჩმა აქ შექმნილ საერთო ვითარებას უწოდა მძიმე, თუმცა აღნიშნა, რომ მთავრობა ყველაფერს აკეთებს ვითარების გამოსასწორებლადო(!). ვინ-ვინ და ჩვენ, ქართველებმა ხომ თქვენზე უკეთ ვიცით, „რას აკეთებს" საქართველოს მთავრობა?! ერთადერთი დასამშვიდებელი, რაც სესტანოვიჩმა დაგვიტოვა, არის მისი განცხადება, რომ მომავალ კვირას მოსკოვში საგანგებოდ ჩავა მისი (სესტანოვიჩის) მოადგილე, რომელიც უშუალო და აქტიურ მონაწილეობას მიიღებს რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებაში სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით. სესტანოვიჩმა ისიც გვახარა, რომ დიდი სირთულეების მიუხედავად, ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენი მაინც ამოქმედდებაო!

აგრეთვე არსებობს ინფორმაცია, რომ სესტანოვიჩმა შევარდნაძეს ურჩია პოლონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბალცეროვიჩის საქართველოში ეკონომიკურ მრჩევლად ჩამოყვანა, რომელმაც სახელი ე.წ. შოკური თერაპიით გაითქვა, რასაც პოლონეთის ეკონომიკის აღზევება მოჰყვა (ვრცლად იხ. გვ. 21).

## რადიოაქტიური დაბინძურება არ გვემუქრება

***საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტის რადიაციული უსაფრთხოების ეროვნული ცენტრი:***

10-16 ივლისის „კვირის პალიტრაში" გამოქვეყნდა სააგენტო კავკას-პრესის ინფორმაცია მზის აქტიურ წელიწადთან დაკავშირებით საქართველოში რადიაციული ფონის ცვლილების შესახებ.

გაუწყებთ, რომ მზის სითბური რადიაცია და გარემოს რადიოაქტიური დაბინძურება აბსოლუტურად სხვადასხვა ცნებაა. მზის რადიაცია არის მზიდან მოსული სითბური ნაკადის ენერგია, ხოლო გარემოს რადიოაქტიურ ფონს განაპირობებს გარემოში არსებული რადიოაქტიური აეროზოლები.

გარემოს რადიოაქტიური დაბინძურების დონეს ყოველდღიურად ზომავს ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის რადიომეტრიული ქსელი. საქართველოს ტერიტორიაზე 1986 წლის შემდგომ რადიოაქტიური ფონის მატება არ დაფიქსირებულა, იგი მერყეობს 9-19მკრ/სთ-ის ფარგლებში (დასაშვებია 60მკრ/სთ) და მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს.

რაც შეეხება მზის რადიაციას — არა მარტო აქტიური მზის წელიწადში, არამედ ყოველთვის არასასურველია ხანგრძლივად მზის ქვეშ ყოფნა. განსაკუთრებით, შუადღისას, რადგან ულტრაიისფერი და ინფრაწითელი სხივების ხანგრძლივი ზემოქმედება არასასურველია ადამიანის ორგანიზმისათვის.

## მადლობის მაგიერ...

საქართველოს, მალე, შეიძლება საერთაშორისო სკანდალი და თავლაფდასხმა დაემუქროს. ურალის ქარხნის ძრავები, რომლებიც ამ ქარხანამ საქართველოს პრეზიდენტის თვითმფრინავისათვის გამოაგზავნა და თანაც, ედუარდ შევარდნაძისადმი პატივისცემის ნიშნად, იჯარის თანხის გადაუხდელობის პირობით მიაქირავა ქართულ მხარეს, საქართველოს ავიახაზებმა 86 საათი ამუშავეს, არენდის ვადა ძრავებს მაისში გაუვიდათ და ურალის ქარხანა მათ დაბრუნებას ითხოვს, თუმცა ამაოდ. საქმე ის არის, რომ საქართველოს ტრანსპორტის პოლიცია და საბაჟო ირწმუნებიან, რომ ძრავები თავის დროზე რეესტრში არ გაუტარებიათ და, შესაბამისად, კონტრაბანდის კვალიფიკაცია აქვს მიცემული. სწორედ ამის გამო, ძრავებს რუსებს არ უბრუნებენ. ურალის ქარხანა იმუქრება, რომ თუ ძრავებს ვერ დაიბრუნებს, ამ ფაქტს რუსეთ-საქართველოს შორის სახელმწიფოებრივ და საერთაშორისო სკანდალის რანგში აიყვანს და ჰააგის სასამართლოში უჩივლებს ქართულ მხარეს... როგორც ჩანს, სკანდალის თავიდან აცილებას თავად შევარდნაძე თუ უშველის, და მაგარ ალიყურს აჭმევს „კონტრაბანდის წინააღმდეგ მებრძოლ ტრანსპორტის პოლიციას და საბაჟოს".

## წყალსაცავებში წყლის დონემ იკლო...

პაპანაქება სიცხისა და გვალვის გამო, წყალსაცავებსა და მდინარეებში წყლის დონემ მკვეთრად დაიკლო. იმ შემთხვევაში, თუკი შესაბამისი რაოდენობის ნალექი არ მოვა, თბილწყალკანალის ხელმძღვანელის, იუზა ცარციძის თქმით, ეს უწყება იძულებული იქნება, დედაქალაქს წყალი გრაფიკით მიაწოდოს.

სინოპტიკოსები კი გვპირდებიან, რომ ჰაერის ტემპერატურა აგვისტოშიც ისეთი იქნება, როგორიც ივლისშია და შესაძლებელია, წყლის დონემ კვლავაც დაიკლოს.

## „ლევი" შუქის თანხასაც გადაიხდით და ჯარიმასაც

**(გეა)** „აი-ეს თელასის" მიერ ელექტრომრიცხველების საცხოვრებელი ბინებიდან სადარბაზოებში გამოტანასთან ერთად გამოჩნდნენ ჯგუფები, რომლებიც მოსახლეობას 100 ლარად ისეთი სქემის დამონტაჟებას პირდებიან, რომლითაც თითქოს მობინადრეს ელექტროენერგიის „მოპარვის" საშუალება მიეცემა. „თელასის" თანამშრომლების მიერ თითქმის ყველა ასეთი შემთხვევა გამოვლინდა, რის შემდეგაც ეს ოჯახები 200 ლარით დაჯარიმდნენ.

„ეს ჯგუფები ამ სქემის დამონტაჟებას უკვე 50 ლარადაც სთავაზობენ და მოსახლეობა შეცდომაში შეჰყავთ, რადგან ჩვენი სპეციალისტებისთვის ასეთი ოჯახების მიგნება უმარტივესია, რაშიც უკვე არაერთი ოჯახი დარწმუნდა" — განაცხადა გლდანის ენერგოგასაღების პროფცენტრის მენეჯერმა ნოდარ ლაბარტყავამ.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ასეთი სქემის მქონე აბონენტებს „აი-ეს თელასთან" ისევ ის ჯგუფები აბეზღებენ, რომლებმაც თავად დაუმონტაჟეს მათ ეს უკანონო საშუალება.

## ინფექციონისტები შიმშილობით იმუქრებიან...

სკანდალია ინფექციურ საავადმყოფოში, რომლის თანამშრომლებმაც თეთრი ხალათებით მოაწყვეს საპროტესტო აქცია და ყაზბეგის პროსპექტი გადაკეტეს. ისინი ითხოვენ ინფექციური საავადმყოფოსა და შიდსის ცენტრის გაერთიანებასა და მისი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ ამ ცენტრის დირექტორის, თენაგიზ ცერცვაძის დანიშვნის შესახებ ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილების გაუქმებას. ჯანდაცვის მინისტრი აცხადებს, რომ საქართველოს სახელმწიფო არის მეპატრონე ამ დაწესებულებებისა და ჯანდაცვის სამინისტროს კონსტიტუციური და კანონით გათვალისწინებული ყველა უფლება აქვს, რათა მიიღოს გადაწყვეტილება სამედიცინო დაწესებულებათა გაერთიანებასა და ხელმძღვანელის დანიშვნასთან დაკავშირებით. ამასთან, ჯორბენაძის თქმით, ამ გადაწყვეტილების მიღებისას სამინისტრო ხელმძღვანელობდა დარგის განვითარების, პაციენტების ინტერესებით, მაგრამ ჯორბენაძის ამ არგუმენტების გაგონებაც კი არ სურთ ინფექციური საავადმყოფოს თანამშრომლებს და შიმშილობის აქციის დაწყებით იმუქრებიან.

## შევარდნაძეს ელისაბედ II ჯილდოს გადასცემს

**(გეა)** საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნების ლიდერთა შორის პირველი იქნება, ვისაც დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორე წმინდა მიხეილისა და წმინდა გიორგის ჯვრის ორდენს გადასცემს.

პრეზიდენტი დიდ ბრიტანეთს 17-19 ივლისს ეწვევა. იგი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ტონი ბლერს, დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სახელმწიფო მდივანს რობი კუკს შეხვდება. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტთან. მოსალოდნელია ბიზნეს-კონფერენციის გახსნაც.

ლონდონში საქართველოს ოფიციალური დელეგაციის წევრებთან შეხვედრებს გამართავენ ბრიტანეთის თავდაცვის გენერალური შტაბის უფროსი სერ ჯარლზ გათრი და საერთაშორისო განვითარების სახელმიფო მდივანი კლერ შორტი.

18 ივლისს ლონდონში გაიხსნება ქართველი მხატვრების გამოფენა, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე დაესწრება.

## ვლადიკავკაზელი ოსები აპროტესტებენ

**(გეა)** ვლადიკავკაზში დიდი სკანდალი და შეხლა-შემოხლა გამოიწვია „სამხრეთ ოსეთში" ბენზინის კონტრაბანდამ. ადგილობრივი პრესა წერს, რომ „ჩრდილოეთ ოსეთში" ბენზინის გაძვირების მთავარი მიზეზი საწვავის საქართველოში „გადაქაჩვაა". ვლადიკავკაზში საპროტესტო აქციებიც კი მოეწყო საქართველოსკენ ბენზინის ტრანზიტის შეწყვეტის მოთხოვნით.

„სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის" წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ როკის გვირაბით რუსეთიდან ბენზინის ტრანზიტი მათი რესპუბლიკისთვის ორმხრივ სასარგებლოა, რაკი სატრანზიტო გადასახადი რჩება „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ბიუჯეტში" და იმავე დროს კონტრაბანდული ბენზინი „ანგრევს საქარველოს ეკონომიკას და ამცირებს საქართველოს მხრიდან სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ახალი აგრესიის შესაძლებლოაბს".

## მსოფლიო მოგზაურის კვალდაკვალ

ჩვენმა თანამემამულემ ჯუმბერ ლეჟავამ 15 ივლისს დატოვა იოჰანესბურგი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) და გეზი ჩრდილოეთისაკენ აიღო. მოგზაურს ზურგს უკან დარჩა 155 ქვეყანა, 417 ათასი კილომეტრი.

მშვიდობიან გზას ვუსურვებთ მოგზაურს!

## მეფის ოჯახს წმინდანებად შერაცხავენ



რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი ნიკოლოზ II და მისი ოჯახი აგვისტოში რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ შერაცხულნი იქნებიან წმინდანებად — სულ ახლახან ასეთი გადაწყვეტილება მიიღო რუს მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა საბჭომ. წმინდანთა კანონიზაციის საბჭოს წევრის — მამა გიორგი მიტროფანოვის თქმით, ამჯერად ნიკოლოზ II-ისა და მისი ოჯახის წევრების წმინდანებად აღიარება უპირობოა. ისინი შერაცხულნი იქნებიან მარტვილებად — წამებულებად, ვინაიდან სიკვდილი ქრისტიანულად დაითმინეს, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტესათვის არ ვნებულან.

## წმ. პანტელეიმონი სასწაულებს ახდენს

რამდენიმე დღის წინ მოსკოვში ჩამოასვენეს წმ. პანტელეიმონის წმინდა ნაწილები. მეტრო „ტაგანსკაიას" ახლოს მდებარე ათონის ტაძარში, სადაც დასვენებულია წმინდა ნაწილები, დილის ექვსი საათიდან გვიან ღამემდე არ წყდება მომლოცველთა ნაკადი. მკურნალი წმინდანის წმინდა ნაწილებს განკურნებას შესთხოვს დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი. როგორც რუსეთის საინფორმაციო საშუალებები აცხადებენ, მოსკოვში ჩამოსვენების შემდეგ უკვე რამდენიმე სასწაულიც იხილეს.

## სამმა ჯარისკაცმა რვა კაცი იმსხვერპლა

საზარელი ტრაგედია დატრიალდა სომხეთის ერთ-ერთ სამხედრო ქვედანაყოფში, საიდანაც სამი შეიარაღებული ჯარისკაცი გაიქცა. მათ ჯერ გააჩერეს ავტომანქანა, მოკლეს მძღოლი და მგზავრი, შემდეგ ამავე მანქანით მიიმალნენ, მაგრამ მანამდე გზაზე კიდევ ორი მილიციელი, სამი სამხედრო მოსამსახურე და ბავშვიც კი გამოასალმეს სიცოცხლეს, ერთი ადამიანი დაჭრეს. სულ დახოცეს 8 ადამიანი. მათ დასაკავებლად განხორციელებული ოპერაციისას, ერთ-ერთი ჯარისკაცი დაჭრეს და დააპატიმრეს. დანარჩენ ორს კი სომხეთის მთელი პოლიცია შეიარაღებული ძალები და მოსახლეობა ეძებენ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

## ბასაევმა რუსებს იმედი გაუცრუა

აზერბაიჯანის საინფორმაციო სააგენტოს მიერ გავრცელებულმა ტელეინტერვიუმ შამილ ბასაევთან ცივი წყალი გადაასხა რუსეთის გენერალიტეტს და მასმედიას, რომლებიც ლამის ყოველდღე ირწმუნებოდნენ, რომ ბასაევი მკვდარია. რუსების მიერ №1 ტერორისტად გამოცხადებული ბასაევი არათუ დაღუპული არ აღმოჩნდა ფეხის განგრენის შედეგად (როგორც ამას აცხადებდა მოსკოვი), არამედ ფეხზეც შესანიშნავად იდგა, ალბათ პროთეზის წყალობით და დალაგებულადაც საუბრობდა: მან დიდი შეფასება მისცა ავღანეთს, რომელმაც ოფიციალურად ცნო იჩქერიის დამოუკიდებლობა (შეგახსენებთ, რომ ავღანეთის თალიბთა ხელისუფლება არ უცვნია საერთაშორისო თანამეგობრობას) და უსაყვედურა დასავლეთს, რომელმაც მწვანე შუქი აუნთო რუსეთს ჩეჩნეთში მეორე ომის გასაჩაღებლად, გააძვირა ნავთობზე ფასები მსოფლიო ბაზარზე, რითაც რუსეთმა დიდი მოგება ნახა. ბასაევის თქმით, სწორედ ამ ფულის წყალობით შეძლეს რუსებმა ომის წარმოება და გარკვეული წარმატების მიღწევა. თავად ბასაევი კი მომავალი ბრძოლებისათვის ემზადება.

## ოიამამ გაიღვიძა

იაპონიის კუნძულებზე ვულკანმა გაიღვიძა. კუნძულ მაიაკახიმას მოსახლეობა ევაკუირებულია. ვულკანი ოიამა ლავას 1,5 ათას მეტრზე ისროდა. იაპონიის მეტეოროლოგიური სააგენტო კვლავ ელის ვულკანის ამოფრქვევას.

## ნაგავსაყრელზე 144 გვამი აღმოაჩინეს

**(გეა)** ფილიპინელმა მაშველებმა 144 დაღუპული ღატაკის გვამი ამოიღეს ნაგავსაყრელიდან. სანაგვის ახლოს ბარაკებში მცხოვრები 144 ადამიანი ნაგვის დიდი გროვის ქვეშ გაიგუდა 6 დღის წინ. კიდევ 150-მდე ადამიანი კვლავ ნაგვის გროვის ქვეშ იმყოფება, მაგრამ ადგილობრივ ხელისუფლებას ეჭვი ეპარება, რომ თუნდაც ერთი ადამიანის გადარჩენა იყოს შესაძლებელი.

ტრაგედია რამდენიმე დღის წინ მოხდა ტაიფუნ კატ ტაკის გამო. ძლიერი წვიმების შედეგად 1 ჰექტარამდე ფართობის ნაგავსაყრელი ჩაინგრა. 10 ჰა ფართობის მქონე ნაგავსაყრელი შემოსავლის ერთადერთი წყაროა 180 ათასი ღატაკისათვის.

# „მათი ადგილი, რბილად რომ ვთქვათ, არ არის პარლამენტში“...

მაშ ასე. საქართველოს პარლამენტი, უმძიმესი სოციალური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ფონზე, დროებით დაემშვიდობა ამომრჩეველს და „დამსახურებულ“ არდადეგებზე წავიდა... მაგრამ წავიდა სკანდალით, დასახიჩრებული ბიუჯეტით, უმრავლესობაში განხეთქილებითა და ათასგვარი სხვა ინტრიგით დამძიმებული... მოსახლეობას კი, იგივე დაუტოვა, რაც შარშან, 31 ოქტომბერს შეიტანა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში — ფუჭი დაპირებები, ტყუილები, ხალხის კუთვნილი ქონებით ნაპატივები ყველა ჯურის ხელისუფალთა და ჩინოვნიკთა ფიზიონომიები და ქვეყნის გამთლიანება-განვითარების გაურკვეველი პერსპექტივები... ვფიქრობ, ინტერესს მოკლებული არ იქნება იმ პოლიტიკოსის შეფასება მიმდინარე პროცესებისა, რომელიც პარლამენტში მოქალაქეთა კავშირის სიით მოხვდა, მაგრამ არ არის ამ პარტიის წევრი და, როგორც თავადაც ბრძანებს, „მარტოა პარლამენტში“... რა იმედით მივიდა პარლამენტში, რა დახვდა იქ და რას ფიქრობს დღეს ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე **მიხეილ ნანეიშვილი?**

ის, რაც ბოლო თვეებში ხდება ქვეყანაში, ვერ ვიტყვი, რომ მოულოდნელი იყო ჩემთვის, მაგრამ იმის იმედი მქონდა, ხელისუფლება ფორსირებულად შეუდგებოდა სვლას სტრატეგიული მიმართულებებით. ერთ-ერთ ასეთად მიმაჩნდა რადიკალური გარდატეხა საკადრო პოლიტიკაში, უწინარესად, აღმასრულებელ ხელისუფლებაში. მაგრამ როდესაც ბოლოს დაკომპლექტდა მინისტრთა კაბინეტი, თუნდაც ეკონომიკურ ბლოკში ორი ისეთი ფიგურა გამოერია, ეკონომიკის მინისტრი და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი, რომ მათი კანდიდატურების არათუ განხილვაში არ მიმიღია მონაწილეობა, არამედ მათ წინააღმდეგ პულტის ღილაკისთვისაც არ დამიჭერია თითი. პოლიტიკურად იმდენად არაჰიგიენურ საქციელად მივიჩნიე მათ მიმართ რაიმე დამოკიდებულების გამოხატვაც კი...

— ***ალბათ უკვე კარგად გაიცანით მმართველი ძალა, უმრავლესობა და საინტერესოა მათი „შინასამზარეულოს“ შეფასება, რომელშიც მიმდინარე პროცესები ხშირად სცილდება მის ფარგლებს და გაუთავებელ სკანდალებში გადაიზრდება ხოლმე...***

— მე არა ვარ ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ წევრი და, ბუნებრივია, ამ „სამზარეულოზე“ შემიძლია ვილაპარაკო მხოლოდ იმ ინფორმაციის და სურათის ანალიზის შედეგად, რასაც უმრავლესობის სხდომებზე ვხედავ და ვისმენ ხოლმე: რასაკვირველია, იქ პარტიული ერთსულოვნება არ არის. მრავალრიცხოვანი პარტიისთვის ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ აშკარაა, რომ ეს არის სრულიად სხვადასხვა ინტერესის მატარებელ ადამიანთა კონგლომერატი და ამას ხედავს ხალხი. ორგანულ ერთიანობასაც ამ პარტიაში ვერ ვხედავ. ამიტომ ვუსურვებდი მათ, რომ რადგან არის მათში ბუნებრივი ტენდენცია ფრაქციებად ჩამოყალიბებისა, დროულად ჩამოყალიბებულიყვნენ. პრეზიდენტს საკონსტიტუციო ვადა 5 წლის შემდეგ უმთავრდება და თუ ეს პარტია დაიხლიჩება და შედეგად — საერთოდ მოისპობა, სამწუხაროდ, მე სხვა პოლიტიკურ ძალას ვერ ვხედავ, რომელსაც შეეძლება ქვეყანას ააცილოს გარკვეული ქაოსი. ამიტომ, უნდა შეიქმნას ფრაქციები საკუთრივ მოქალაქეთა კავშირში, უწინარესად, ვგულისხმობ იმ ადამიანთა მიერ ფრაქციის შექმნას, რომლებიც ზურაბ ჟვანიას ჯგუფში მოიაზრებიან.

— ***მაგრამ, ჩანს, მათ „რაღაც“ თუ „ვიღაც“ აკავებს, გადადგას ეს ნაბიჯი. აქ მივადექით ნიკო ლეკიშვილის გადადგომის ფაქტსაც, რამაც კიდევ ერთი დიდი ბზარი გააჩინა მმართველ ძალაში...***

— რა აკავებს მათ, მთლად ნათელი არ არის, მაგრამ თუ მათ აკავებთ ის, რომ ფიქრობენ — შინაპარტიული ფრაქციის შექმნა დაშლით ემუქრება მოქკავშირს — ძალიან ცუდია და მიანიშნებს იმაზე, რომ პარტია არც ისე მონოლითურია, რომ გაუძლოს ასეთი ფრაქციების არსებობას. ამასთან, შეიძლება აკავებთ ის, რომ ამ ახალგაზრდებს პარტიულ ერთიანობაზე ძველებური წარმოდგენა აქვთ, ანუ არ სურთ შინადაპირისპირებებისა და აზრთა სხვადასხვაობის საჯაროდ გამოტანა... ძალიან მიკვირს ამ ახალგაზრდების, რომლებიც ასე მწვავედ რეაგირებენ ნებისმიერ განცხადებაზე, რომ აი, მოქკავშირში პოზიციების დაპირისპირებაა. მე ამას შევხედავდი, როგორც ნორმალურ, ჯანსაღ პროცესს... რაც შეეხება ნიკო ლეკიშვილის გადადგომას უმრავლესობის ლიდერის პოსტიდან, მე ჯერ ბოლომდე არ ვიცი, რა მოხდა და ამიტომ თავს შევიკავებ კომენტარისგან... საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ თუ ადამიანები ერთმანეთს რაღაც საკითხში უპირისპირდებიან, ისინი რატომღაც მტრებად გადაიქცევიან ხოლმე, ანუ დისკუსიის კულტურა, როგორც ზნეობრივი ძალა პოლიტიკურ ცხოვრებაში, ჩვენში არ არის და მოქკავშირის მაგალითზეც ეს ნათლად გამოჩნდა...

— ***თქვენ, როგორც პარლამენტის უმრავლესობაში, ასე ვთქვათ, გარედან მისული პოლიტიკოსი, რას იტყოდით საკუთრივ პარლამენტართა კორუმპირებულობის ხარისხზე?***

— ოთხწლიანი შესვენების შემდეგ პირველად მივედი პარლამენტში და შინ საშინლად დათრგუნვილი დავბრუნდი! 1992-95 წლების პარლამენტზეც, რომლის წევრიც გახლდით, არ ვიყავი მაღალი აზრის, მაგრამ ის, რაც ამ მოწვევის პარლამენტში ვნახე, მივხვდი, რომ მაშინდელი პარლამენტი გაცილებით საინტერესო იყო პოლიტიკური თვალსაზრისით. ჯერ ერთი, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში ორი ძირითადი ძალაა — მოქალაქეთა კავშირი და ბლოკი „აღორძინება“, მე ნამდვილი და ქვეყნის მამოძრავებელი პოლიტიკური დაპირისპირება ვერ დავინახე და ამ ორ ძალას შორის არსებულ სხვა ინტერესების დაპირისპირებას კი ჰქონდა და აქვს ადგილი. ვერც „მრეწველებზე“ ვიტყვი, რომ ისინი რაღაც პოლიტიკური ფიზიონომიის მქონე ძალას წარმოადგენენ. მეორეც: როდესაც პირველ დღესვე პარლამენტში თავშეყრილ პერსონალიას გადავხედე, უწინარესად, მოქალაქეთა კავშირის სიით გასულ უმრავლესობას, მივხვდი, რომ საპარლამენტო უმრავლესობას თავი შემოაფარეს ისეთმა ადამიანებმა, რომელთა ადგილი, რბილად რომ ვთქვა, პარლამენტში არ არის. ეს გახლავთ კორუმპირებული და პოლიტიკურად ძალიან საეჭვო ხალხი, რომელმაც მონახა ადგილი მოქკავშირის სიაში და აღმოჩნდა ხელისუფლების ფარქვეშ! ეს ფაქტია და ამ ადამიანებთან პოლიტიკურად არანაირი ურთიერთობა არა მაქვს. ჯერჯერობით, მაინც მარტო ვმოქმედებ. გარკვეული კონტაქტი მაქვს ზურაბ ჟვანიასთან და შემდეგ მის ჯგუფთან... პარლამენტში, ფაქტობრივად, მარტო ვარ! ისე კი ყოველთვის ვამბობ, რომ მხარს ვუჭერ ამ ახალგაზრდათა ჯგუფს, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ შეცდომებს უშვებენ. იმავე მინისტრთა დამტკიცებისას დიდი შეცდომა დაუშვეს. არ შეიძლება ამა თუ იმ კანდიდატზე მკვეთრად ილაპარაკო, დაიწყო იმისი დემონსტრირება, რომ „ჩვენი პარტია ერთსულოვანი და მთლიანია“ და კენჭისყრის წინ საწინააღმდეგო პოზიციაზე დადგე! ეს არასწორია. არადა, ეტყობა, მათ მიიჩნიეს, რომ დიდი პოლიტიკოსობა გამოიჩინეს კომპრომისზე წასვლით...

— ***როგორ წარმოგიდგენიათ ამ რეფორმატორთა პოლიტიკური მომავალი.***



— თუ მათი პოლიტიკური თვითგამორკვევა არ მოხდა თავად ამ პარტიის შიგნით, თუ არ მოხდება საერთოდ მოქალაქეთა კავშირის შინაპარტიული, ფრაქციული თვითგამორკვევა და, იმავდროულად, თუ ვერ შეძლებენ ერთიანობის შენარჩუნებას, მათი მომავალი ძალიან საეჭვოა. ამას მალაპარაკებს ქვეყნის ინტერესები, რათა ქაოსი და არეულობა არ მოჰყვეს ხელისუფლებაში ბნელი და სუსტი ძალების შესაძლო მოსვლას და არა ის, რომ მოქკავშირის პატრიოტი ვარ.

— ***ვისი ბრალია ამგვარი ვითარების შექმნა?***

— რასაკვირველია, ჩვენი ბრალიცაა, ვგულისხმობ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს და, უწინარესად, ეს არის ხელისუფლების ბრალი, რომელმაც ყველაფერი იღონა საიმისოდ, რომ საღ ოპოზიციურ ძალებს არ ეხარათ ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში. რაც შეეხება ძალიან ბნელ ძალებს, სწორედ მათ დაიკავეს პარლამენტში საღი ოპოზიციური ძალების ადგილი. სხვათა შორის, პრეზიდენტს პირდაპირ ვუთხარი: „თქვენ ლომის წილი მიგიძღვით იმაში, რომ დღეს საქართველოში არ არსებობს საღი პოლიტიკური სპექტრი“ და შევარდნაძეც დამეთანხმა...

აუცილებელია მოხდეს შედარებით ნორმალური პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია, რომელიც პოლიტიკურ მეტოქეობას გაუწევს მოქკავშირს. თავად მოქკავშირი უნდა ეცადოს, რომ სერიოზული ოპონენტი, „ხმის გამცემი“ ჰყავდეს გარედან. წინააღმდეგ შემთხვევაში, პარტია ვერ განვითარდება. ხოლო იმის თქმა, რომ „აღორძინება“ განსაკუთრებულ უხერხულობას უქმნის პარლამენტში მოქკავშირს, ან მთელ უმრავლესობას, ამას ვერ ვიტყვი. ეტყობა, მათთან გარკვეული გარიგებები და შეთანხმებები შესაძლებელია. როდესაც საარჩევნო კანონთან დაკავშირებით მოხდა მათ შორის შეთანხმება, მგონი, მარტო მე ვიყავი, ვინც ამის წინააღმდეგ გამოვედი, ისევე როგორც აჭარის ავტონომიის სტატუსის დაფიქსირებისას, როდესაც რამდენიმე დეპუტატთან ერთად მეც წინააღმდეგი წავედი ამ ფორმით საკითხის დასმაზე. მე მომხრე ვარ კონსტიტუციაში აჭარის ავტონომიური პოლიტიკური ერთეულის დაფიქსირებისა. ამათ კი, მოინდომეს და დააფიქსირეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. ეს ერთი მხრივ სასაცილოა, მეორე მხრივ კი, ამაში საკმაოდ ვერაგული რუსული აზრია ჩადებული...

— ***ბატონო მიხეილ, როდესაც ჩვენი ქვეყნის ე.წ. ბიუჯეტის კატასტროფაზეა საუბარი, აკრიტიკებენ და ლანძღავენ ყველას და ყველაფერს, მაგრამ რატომღაც ყველაზე ნაკლები „ცეცხლის ქვეშ“ არის პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.***

— პარლამენტი კანონმდებელი და მაკონტროლებელი ორგანოა და გეთანხმებით, რომ ამ საკითხზე პარლამენტის სათანადო კომიტეტი აგებს პასუხს, მით უფრო, რომ ბიუჯეტის კანონპროექტების განხილვა პირველად ამ კომიტეტში ხდება. ბუნებრივია, პასუხისმგებლობა პარლამენტს ეკისრება მთლიანად და პირველ რიგში საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ სთხოვენ პასუხს ამ კომიტეტს, შეიძლება რაღაცის ერიდებათ, არ უნდათ, რომ მტერი გაიჩინონ პარლამენტის შიგნით, შეიძლება ვიღაც-ვიღაცები „კუდით“ არიან გადაბმულნი ერთმანეთთან და ა.შ. სხვა მხრივ, მიჭირს რაიმეს თქმა. ეტყობა, რაღაც მოტივები აქვთ იმავე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებიც თავის თავზე კი იღებენ სიტყვიერად პასუხისმგებლობას, მაგრამ არ ამბობენ, რომ ბიუჯეტის კანონები პარლამენტართა ხელშია გავლილი და რატომ არ აღძარით ეს საკითხებიო? ალბათ ურთიერთინტერესები აქვთ, თუმცა საქვეყნო ინტერესები კი არა, არამედ სკამის ინტერესები... საერთოდ კი, პარლამენტი გადაიქცა აღმასრულებელი ხელისუფლების საკანონმდებლო ინიციატივათა მარეგისტრირებელ ორგანოდ! ვერ ვიტყვი, თითქოს პარლამენტში დიდი შემოქმედებითი მუშაობა დუღს კანონმდებლობის დარგში. ეს პარლამენტი არ არის „კანონების ფაბრიკა“. პრივატიზაციისა და სატენდერო საკითხების ქვეკომიტეტი, რომლის თავმჯდომარეც ვარ, სამი კაცისგან შედგება და დღემდე ორი წევრი კომიტეტისა ჩემს ოთახში არ მინახავს, არადა, თურმე ერთ-ერთს დიდი სიმპათიით ვხვდებოდი, ველაპარაკებოდი და როცა გავიგე, რომ ჩემი ქვეკომიტეტის წევრი იყო, ვუთხარი — შემოიარე, რა დაგიშავეთ, ეს თანამდებობა მოქკავშირმა შემომთავაზა, რომლის წევრიც არა ვარ და თუ გნებავთ, გადავდგები-მეთქი. არაო, რას ბრძანებთო, მომიგო, მაგრამ მაინც არ შემოდიან და მარტო ვარ(!). მსგავსი რამ სხვა კომიტეტებსაც ახასიათებს, რაც მიუთითებს, სწორედ უმრავლესობის შემადგენლობის დაბალ ხარისხზე. ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცებისას მომხდარმა ფაქტმა, როცა ასეთი სერიოზული საკითხის განხილვისას დარბაზი... ცარიელი იყო.

— ***საერთოდ, ამ ე.წ. ბიუჯეტის კანონის დამტკიცებისას გამართული კენჭისყრისას მიხვდნენ, რას აძლევდნენ ხმას?***

— ძალიან მეეჭვება. მგონი, მათ კარგად არ ესმით, რა გააკეთეს. მოგეხსენებათ, მოხდა შემოსავლებისა და ხარჯვის გეგმის შეკვეცა და მე ყურადღებას ვამახვილებ შემოსავლების ამოღებაზე. საქართველოში, რასაკვირველია, არსებობს საგადასახადო-საშემოსავლო რესურსები, რომელთა ამოღებაც სადღეისოდ ქვეყნის ბიუჯეტს შეავსებდა. ახლა კი რა ხდება? დავუშვათ, არსებობს N რაოდენობის საშემოსავლო რესურსები და 100%-ით უნდა ავითვისოთ სახელმწიფოსთვის განკუთვნილი ეს რესურსები, მაგრამ გამოდის ისე, რომ მთავრობა ახერხებს მარტო 30%-ის ათვისებას. ბიუჯეტიც ხელს ადებს ამ 30%-ს და აცხადებს, რომ ეს 30% ჩემია. ეს ნიშნავს იმას, რომ დანარჩენ 70%-ს უკანონებს ამ გზით სწორედ იმ კორუმპირებულ ელემენტებს, რომლებსაც ჩვენი ხელისუფლება ლამის „სამკვდრო-სასიცოცხლოდ“ ებრძვის. როდესაც ასეთი გარკვეული „ნორმაა“ ჩამოყალიბებული, სწორედ ის კორუმპირებული ელემენტები, რომელთა „მთავარი შტაბი“ მთავრობაშია, ბუნებრივია, ეცდებიან, რომ თავისი „ნორმა“ მაინც შეასრულონ, ანუ თუ პირობითად 100%-ის 30% შემოდიოდა, ახლა შემოვა ამ 30-ის 30%! რაც შეეხება ხარჯებს, რა თქმა უნდა, ხელისუფლება უკიდურესად აგრესიული უნდა იყოს გადასახადების 100%-ით ამოღებისა და მაქსიმალური მომჭირნეობით ანაწილებდეს მის ხელთ არსებულ რეალურ შემოსავლებს. ამას კი სჭირდება საღი საგადასახადო კანონის შემუშავება (რაც არ არის), შესაბამის სტრუქტურებში ინსტიტუციონალური რეფორმების გატარება და სათანადო საკადრო პოლიტიკა. ამის შემდეგ კი, შემოსავლების მკაცრად განსაზღვრული პრიორიტეტებით განაწილება, რაშიც არ იგულისხმება მწერალთა კავშირები და სხვა პარაზიტული ორგანიზაციები. ანუ ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ჩვენი საკუთარი ჯიბით! ამისთვის უნდა იბრძოდეს ხელისუფლება დღენიადაგ და არა იმისთვის, რომ რაღაც ზღვარს აკანონებდეს. ახლა კი, თუ გადასახადების გეგმის შესრულება გადაჭარბებით მოხდა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ეს ნამატი წავა არა ხაზინაში, არამედ მავანთა ჯიბეში... ამიტომ, როდესაც კონკრეტული დეპუტატები, ხელისუფალნი საჯაროდ ლაპარაკობენ, თუ რა ძარცვა-გლეჯაა, რა კორუმპირებული ძალები მოქმედებენ, თანაც ისე „გულწრფელად“, და „აღშფოთებით“, რომ ლამისაა ცრემლებიც ყარონ, არ მჯერა მათი, რადგან სწორედ ისინი არიან ამ „საქმეების კაპიტნები“...

— ***მაშ, ქვეყნის ხსნას, გნებავთ, სრული დეფოლტისაგან თავის დაღწევას ისევე გარედან მიღებული დახმარებებისგან უნდა ველოდოთ. ამ მხრივ ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, სწორედ ამ დროს სტივენ სესტანოვიჩის მორიგი ვიზიტი საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ საშინლად შეურაცხყოფილი დავრჩი, როდესაც ამერიკელი სტუმარი საქართველოს პრეზიდენტს და სახელმწიფო მინისტრს ჩვენი გაუბედურებული ბიუჯეტის საკითხებზე ესაუბრებოდა და აკეთებდა საჯარო კომენტარებს...***

— ჩემთვის საიმედო უცხოური წყაროებიდან ცნობილია, რომ საქართველოსადმი, ჩვენდა საბედნიეროდ, კვლავ არის ისეთი გეოსტრატეგიული ინტერესი, რომ დე ფოლტს საქართველოში არ დაუშვებენ. სამწუხაროდ, თავის დროზე დასავლეთმა დიდი შეცდომა დაუშვა საქართველოსთან ურთიერთობისას. საქართველოში აშშ-ის პირველ ელჩს გამუდმებით ვეუბნებოდი — ნუ გვეხმარებით ასე გულუხვად, გვიკარნახეთ და პასუხი მოგვთხოვეთ, გნებავთ, ყელში ხელი წაგვიჭირეთ, თუ აქ კორუფცია და ქურდობა იქნება. ხოლო, თუ კრედიტებს და გრანტებს მოგვცემთ, თქვენვე გააკონტროლეთ და თქვენვე გაანაწილეთ-მეთქი და ა.შ. მაგრამ, ის ელჩიც და სხვებიც საჯაროდ აცხადებენ, თქვენთან ყველაფერი კარგად მიდის, საქართველო სწორ კურსს ადგასო. მხოლოდ დღეს, როდესაც ქვეყანა მივიდა სოციალური აფეთქების ზღვრამდე, ახლა მოგვიჭირეს ყელში ხელი. ეს მძიმე შეცდომაა მათი მხრიდან.

— ***და ამ ფონზე, საქართველოში კვლავ და კვლავ გაისმის ხმები დასავლეთის „უვარგისობასა“ და რუსეთის „ვარგისიანობაზე“...***

— პირდაპირ გეტყვით: ყველა კორუმპირებული ელემენტი, პოტენციურად მაინც, რუსეთის საიმედო საყრდენია საქართველოში. მეტიც, კორუმპირებული პროამერიკულად განწყობილი ელემენტებიც პოტენციურად ასევე რუსების საყრდენი არიან. ამით სარგებლობენ ის აშკარა თუ შეფარული პრორუსული ძალები, რომლებიც გაიძახიან: აი, თქვენმა ამერიკამ სადამდე მიგიყვანათ!

— ***სოციალური აფეთქების საფრთხემ პრეზიდენტი აიძულა, რომ ბოლოს და ბოლოს, შეექმნა შვიდკაციანი კომისია, რომელიც მოსამზადებელ სამუშაოებს გასწევს იმ დიდი ანტიკორუფციული კომისიის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც „ღვთის რისხვად“ უნდა დაატყდეს კორუმპირებულ ჩინოვნიკს, თუ დეპუტატს. საგულისხმოა, რომ პრეზიდენტმა ამ კომისიის შექმნის შესახებ სესტანოვიჩის ვიზიტის წინ გამოაცხადა, რაც სესტანოვიჩმა „პოზიტიურ მოვლენად“ შეაფასა.***

— ამდენი იმედგაცრუების შემდეგ, რომ ვთქვა, იმედი მაქვს-მეთქი ამ ანტიკორუფციული კომისიის წარმატებისა, შეიძლება დაეჭვდეთ ჩემს გულწრფელობაში; მაგრამ საქმე ის არის, რომ ყველაფერს აქვს თავისი დასასრული და არა მგონია, რომ საქართველომ ასე სამარცხვინოდ დაამთავროს არსებობა... თავისთავად ის, რომ კომისია მცირერიცხოვანია, უკვე კარგია, რადგან ამ პატარა ჯგუფზეა კონცენტრირებული გარკვეული პასუხისმგებლობა. მე ამ კომისიაში მეგულება რამდენიმე პირი, რომლებიც არანაირ კომპრომისზე არავის წინაშე არ წავლენ. ხომ უნდა დასრულდეს ხრწნის პროცესი და დაიწყოს გამოჯანმრთელების ეტაპი...

— ***როგორ ფიქრობთ, რატომ მოხდა აკაკი ელიავას ფიზიკური ლიკვიდაცია სწორედ ახლა და არა ექვსი თვის, თუნდაც ერთი ან ორი წლის წინ? თქვენ ეთანხმებით იმ კულუარულ ინფორმაციას, რომ ელიავასთან გარკვეული კონტაქტები ჰქონდათ საქართველოსადმი მტრულად განწყობილ შინაურ და გარეშე ძალებს?***

— ელიავას მსგავს ადამიანებს დასავლეთში, ელემენტარულად, პირდაპირ უსწორდებიან. ჩვენთან კი, სახელმწიფო დონეზე პროვინციულ-უბნური ფსიქოლოგია ბატონობს. გამოჩნდება კაცი, გავარდება ტყეში, მოაწყობს ამბოხს, დადის შეიარაღებული და ა.შ. მაგრამ მთლად ისე არ არის საქმე, რომ ტყეში თავისით გავარდა! მე ყოველთვის პრეზუმპირებული მაქვს ერთი რამ: აქ რუსეთი ან წინასწარ მოქმედებდა, ან მერე იმოქმედებს, ამასთან, ან უშუალოდ, ან ვიღაცის მეშვეობით და მართავს სიტუაციას თავისი ინტერესებიდან გამომდინარე. ხოლო როდესაც კაცი იარაღით ხელში ტყეში გავარდება და დაიწყება ლაპარაკი — ქართველია და სისხლს ხომ ვერ დავღვრით, მოდით, მოვილაპარაკოთო და ა.შ. ეს უკვე სახელმწიფო არ არის. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ქართველს ქართველი უფრო უყვარს, ვიდრე ინგლისელს — ინგლისელი, ან ამერიკელს — ამერიკელი, ძალიან შემცდარა! იმათ უფრო უყვართ ერთმანეთი, ვიდრე ჩვენ და მათ იციან, რომ მსგავსი ქმედება საფრთხეს უქმნის ძალიან ბევრი მათი თანამოქალაქის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, გნებავთ, სახელმწიფო ინტერესებს და ადგილზევე უსწორდებიან. აქ კი, ასეთმა პროვინციულ-უბნურმა გარიგებებმა ლამის სამოქალაქო ომამდე მიგვიყვანა, როდესაც ქუთაისს მიადგნენ ტანკებით. დღეს კი, ასეთი უპრინციპო პოლიტიკის ფონზე ხდება ქუჩური და უნიჭო ანგარიშსწორება. აქ შეიძლება ადგილი ჰქონდეს რაღაც ვერაგულ ჩანაფიქრს, მაგრამ შეიძლება ელემენტარულ უჭკუობასთან, ან შეგნებულ პროვოკაციასთანაც გვქონდეს საქმე. ხოლო, თუ რა კონკრეტულმა მიზეზმა გამოიწვია ასეთი ქმედება სწორედ ახლა, ჩემთვის უცნობია...

— ***ბატონო მიხეილ, რა სტადიაშია იმ ავტოავარიის საქმის გამოძიება, რომელიც თქვენ შეგემთხვათ?***

— გასული წლის 13 დეკემბერს გადასასვლელზე დამეჯახა ავტომანქანა. თვითმხილველთა ჩვენებების საფუძველზე გამოძიებისთვის ცნობილი გახდა, რომ ეს იყო წითელი ფერის ორკარიანი „ბმვ“. მას კარი ჰქონდა დაზიანებული და რომლის ნომრის ორი ციფრიც იყო — 33! გამოძიებამ დღემდე ვერც მანქანას და ვერც მძღოლს ვერ მიაგნო და მეც იძულებული გავხდი, მეთქვა ზურაბ ჟვანიასთვის, რომ თუ პარლამენტარს ამას უკეთებენ, რიგით მოქალაქეს რას უზამენ-მეთქი? შემდეგ ჟვანიამ მიიღო კახა თარგამაძის ოფიციალური წერილი, რომელშიც წერია, რომ ნანეიშვილმა „სხეულის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება მიიღოო(!)“... „საქმეზე წინასწარი გამოძიება აყვანილია განსაკუთრებულ კონტროლზე და მიმდინარეობს ღონისძიებები დანაშაულის გახსნის მიზნით...“ ეს წერილი დათარიღებულია 17 თებერვლით! ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს და ჯერ ერთი, ეჭვი შემეპარა, რომ ისინი მართლაც იდიოტები არიან, რადგან მე მქონდა ბარძაყის მოტეხილობა ორ ადგილზე. ოპერაცია თითქმის სამი საათი გრძელდებოდა, რისი დამთავრების შემდეგაც ექიმები ერთმანეთს ულოცავდნენ ჩემს გადარჩენას, თანაც დღემდე რკინა მაქვს ფეხში ჩადებული და ეს არის „სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება?!“ მეორეც: ამ „განსაკუთრებული კონტროლის“ ფონზე არაფერი გაკეთებულა, მაგრამ საკითხავია, მე რომ მქონოდა მძიმე დაზიანება და ვყოფილიყავი დარაჯი, არ უნდა აეყვანათ ეს საქმე „განსაკუთრებულ კონტროლზე?!“ დიახ, ეს არის საბჭოური ფსიქოლოგია. არადა, დემოკრატიულ ქვეყანაში ყველაფერი განსაკუთრებულ კონტროლზე უნდა იყოს.

***ზურაბ მჭედლიშვილი***

## პირველი შესაწირი სამების ტაძრისთვის

სამების ეკლესია ათასწლეულის მშენებლობაა და არა მხოლოდ საუკუნისა, — ბრძანა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ თბილისის სამხატვრო აკადემიაში სტუმრობისას.

ჩვენი სულიერი მამის უფლისმიერი ნათლით მოსილი სახე დიდი სიხარულით იყო გაბრწყინებული, რადგან საერო განათლების ტაძარში მოხდა საეკლესიო ხელოვნების ტრადიციების აღორძინება. ეს არა მარტო ეროვნული ქრისტიანული ტრადიციებისათვის ახალი იმპულსის მინიჭებაა, არამედ რწმენის განმტკიცების დასტურიც, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია დღეს ჩვენი ახალგაზრდობისთვის.

ათასწლეულის მშენებლობის, სამების საკათედრო ტაძრისათვის პირველი შესაწირი უკვე გაიღეს ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებმა, ცნობილმა თუ ჯერ კიდევ უცნობმა შემოქმედებმა, დიპლომანტებმა საქართველოს დამსახურებული მხატვრის, აკადემიის რექტორის, პროფესორ სოსო ქოიავას ხელმძღვანელობით... მათ მიერ შესრულებული დიდებული საკურთხეველი ძვირფასი ხისაა და ხელით არის მოჩუქურთმებული, თვითონ ჩუქურთმა — ქრისტიანული, კანონიკური წესების დაცვითაა შესრულებული.

ამ მშვენიერი სავარძლის თითოეული დეტალის პროექტი საპატრიარქოში დამტკიცდა.

სადიპლომო ნაშრომად წარმოდგენილია ვერცხლით ნაჭედი ჯვრისწერის გვირგვინები, კანდელი, სახარებისა და წმინდა წიგნების ხისგან დამზადებული ყდები...

ჩვენი სულიერი მწყემსის სიხარულს ალბათ ისიც აძლიერებდა, რომ სტუდენტთა ამგვარი ქრისტიანულ-შემოქმედებითი ღვაწლი შემთხვევითი არ არის და უკვე ტრადიციად იქცა.

ადრე აკადემიის ლითონის მხატვრული დამუშავების კათედრაზე დამზადებული სანათლავი ემბაზი ლურჯ მონასტერს გადაეცა, ხოლო დიპლომანტ რამაზ კორშიას მიერ სვანური ჭედურობის სტილით შესრულებული წმინდა გიორგის ჭედური ხატი — ალავერდის ტაძარს.

სამხატვრო აკადემიის ექვსი სტუდენტისგან შემდგარმა ექსპერიმენტულმა ჯგუფმა ცნობილი მხატვრის ლევან ცუცქირიძის ხელმძღვანელობით, სადიპლომო ნაშრომად წარმოადგინეს კომპოზიციები სახარებიდან.

ხის მოჩუქურთმებული სავარძელი ათასწლეულის ტაძრის, თბილისის სამების ეკლესიის დიდებული ძღვენია.

***დოდო იორდანიშვილი***

## „არა, თბილისი არ არის რიო-დე-ჟანეირო"



211 წლის წინ ამბოხებულმა ფრანგებმა ბასტილიის ციხე აიღეს, მეფეს თავი გააგდებინეს და მსოფლიო ისტორიაში პირველი რესპუბლიკის დაბადება ამცნეს სამყაროს. ამ ღირსშესანიშნავ დღესთან დაკავშირებით 2000 წლის 14 ივლისს, თბილისში, ალმაშენებლის გამზირზე მდებარე ყოფილ გოფილექტის ბაღში საფრანგეთის საელჩომ საზეიმო მიღება გამართა, რომელზეც საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსებისა და ქართული პოლიტიკური და კულტურული ელიტის წარმომადგენლები იყვნენ მიწვეულნი.

ფრანგული ტრადიციისამებრ, უხვად იყო ნამდვილი შამპანური, ბორდოს ღვინო და ასევე ფრანგული ტრადიციული სიძუნწით — ცოტა „მისაყოლებელიც".

როგორც ცხონებული ოსტაპ ბენდერი იტყოდა, — „ამინდი ხელს უწყობდა სიყვარულს" და სტუმარ-მასპინძლებიც ტკბილად ეულურტულებოდნენ ერთმანეთს.

ისე, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ამ მიღებამ ის მაინც დაგვანახა, რომ ქართულ პოლიტიკაში მმართველ ელიტასა და მის ოპოზიციას შორის დიალოგიც შეძლებულა და „ვახტანგურად" დალევაზეც არ ამბობენ უარს. „პოლიტიკურ გვამებად" შერაცხული ზოგიერთი ფიგურაც სულ არ ყოფილა „გვამი". ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი მათგანისათვის ელჩის შინაურული კოცნა-მოკითხვა არავის დაუშლია.

თავყრილობა საქართველოში საფრანგეთის ელჩმა, ქალბატონმა მირეი მიუსომ გახსნა მისასალმებელი სიტყვით, რომელიც ასე დაამთავრა: „პატივი მივაგოთ ჩვენი ახალი ფრანგი მზარეულის — ჩვენი მეგობარი კარლოსის და მისი გუნდის მიერ დიდი მონდომებითა და სიყვარულით მორთმეულ ნახელავს.

და, რაც მთავარია, აუცილებლად იცეკვეთ, რადგან 14 ივლისი საფრანგეთში უდიდესი სახალხო მხიარულების დღეა.

...გისურვებთ ყველას სასიამოვნო საღამოს".

დამსწრე საზოგადოებასაც დიდი ხვეწნა არ დასჭირვებია — არც სმა დაიკლეს და არც ცეკვა, რომელიც ბოლოსკენ მით უმეტეს, სულ არ ჰგავდა თავისი კომპლექციის მიუხედავად, საფრანგეთის ელჩისა და მისი თანამშრომლის მიერ ბრწყინვალედ შესრულებულ ვალსს.

მართალია, ცნობილი პოლიტიკური „მძიმეწონოსნებისა" და უცხოელი დიპლომატების წასვლის შემდეგ ქართველებმა ძალიან „გაიჯეჯილეს", ისე რომ, მათი „ცეკვისა" და „ქეიფის" შემხედვარეს ხანდახან შერცხვებოდა კიდეც კაცს, მაგრამ ეგ არაფერი, როგორც უკვე მოგახსენეთ — უცხოელების უმეტესობა უკვე წასული იყო და „ევროპის მასშტაბით თავის მოჭრას" გადაურჩით. თუმცა თვითონ ელჩმა, დაღუპული გემის კაპიტანივით, ყველაზე ბოლოს დატოვა ნაოხარს დამსგავსებული სკვერი...

–ზეიმი დამთავრდა, მოზეიმენი წავიდ-წამოვიდნენ — ზოგი წითელ-დიპლომატიური და ზოგიც სამთავრობო ნომრიანი მანქანებით. ჟურნალისტები ფეხით გამოუყვნენ ალმაშენებლის გამზირს და რატომ ზემოთ „დიდი კომბინატორი" ვახსენეთ, სათაურად გამოტანილი მისივე სიტყვების პერიფრაზით დავამთავრებ, რომელიც გასაცოდავებული რუსული ქალაქის დანახვისას აღმოხდა: „არა! თბილისი არ არის რიო-დე-ჟანეირო!"

*ზვიად გურული*

ახალი რუბრიკა

## უკომენტაროდ...



# მინდა ამ გზით მთელი სიცოცხლე ვიარო



საქართველოს ეკლესია სამოციქულოა, მოციქულთა მიერ დაარსებული.

პირველ საუკუნეში საქართველოში ქრისტიანობა იქადაგეს ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და მატათამ. ანდრია მოციქულმა პირველი ქართული საეპისკოპოც კი დააარსა აწყურში. ახალციხის რაიონში არის სოფელი ანდრიაწმინდა, რომლის სახელწოდებაც წმინდა მოციქულის სახელს უკავშირდება. მოციქულ ანდრიას აქ მკვდარი ბავშვი გაუცოცხლებია. ქრისტეს მოძღვრება მან იქადაგა აგრეთვე აჭარაში, მესხეთში, სვანეთში, ოსეთსა და აფხაზეთში. მაგრამ I საუკუნეში ქრისტიანობა მაინც არ იქცა სახელმწიფო რელიგიად საქართველოში, რადგან აქ, ისევე როგორც მთელ რომის იმპერიაში, წარმართული სარწმუნოება კვლავ ძლიერი იყო. საქართველოს გაქრისტიანება მოხდა IV საუკუნეში კაპადოკიელი ქალწულის, წმინდა ნინოს მიერ. მან ვაზის ჯვრითა და მხურვალე ლოცვით დაამხო წარმართთა კერპები... ნინოს სახელზე გვაქვს ორი სოფელი საქართველოში — ნინოწმინდა (ერთ კახეთში, მეორე — მესხეთ-ჯავახეთში).

ძნელი წარმოსადგენია დათმენა იმ შეურაცხყოფისა, შიმშილისა და გზათა სიძნელისა, რომელიც წმინდა ანდრიას და წმინდა ნინოს მოუწიათ საქართველოში ჭეშმარიტი სარწმუნოების ქადაგებისთვის. მრავალ მორწმუნეს უოცნებია თუნდაც უმცირესი ნაწილი ამ განსაცდელისა საკუთარ თავზე გამოეცადა. და აი, 1989 წლიდან მოყოლებული, უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ყოველ წელიწადს აღესრულება ლოცვითი მსვლელობა წმინდა ნინოს ნაკვალევზე, რომელიც გულისხმობს ფეხით გავლას გზისას — ფარავნის ტბიდან, ვიდრე მცხეთამდე.

წელს, ქრისტეშობის 2000 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მოეწყო ლოცვითი მსვლელობა წმინდა ანდრიას გზაზეც, რომელიც დაიწყო 14 მაისს, წმ. თამარ მეფის ხსენების დღეს, მოციქულ მატათას საფლავიდან (სოფელი გონიო). საკმაოდ რთული და საინტერესო გზის გავლის შემდეგ მოგზაურები ერთმანეთს შეხვდნენ ახალციხეში — თამარ მეფის ძეგლთან, საიდანაც მცხეთისკენ გამოემართნენ.



აღსანიშნავია, რომ თუ წინა წლებში მხოლოდ ცალკეული უცხოელები მიჰყვებოდნენ წმ. ნინოს გზას, წელს ნინოს გზაზე იმოგზაურეს: ოთხმა რუსმა მომლოცველმა — მოსკოვის ყველა წმინდანის სახელობის ეკლესიის მრევლმა, ორმა ლატვიელმა, სერბეთსა და ამერიკაში მცხოვრებ სერბთა 22 კაციანმა ჯგუფმა. ჯგუფი მოინახულეს აგრეთვე იტალიელებმაც...

ფოკიდან ახალციხემდე მე თავად ვიმოგზაურე წმ. ნინოს ჯგუფის წევრებთან ერთად და გაოცებული დავრჩი ჩვენი რელიგიურ-კულტურული ძეგლების მიმართ უცხო ერის შვილთა ასეთი ფაქიზი დამოკიდებულებით, რომლებმაც, სხვათა შორის, (ჩვენგან განსხვავებით) მთლიანად აღბეჭდეს ფირზე მესხეთ-ჯავახეთის ყოველი კუთხე-კუნჭული. შთამბეჭდავი იყო ახალციხეში ჩატარებული დილის წირვა. იგი მგალობელთა ოთხი გუნდის ანტიფონური გადაძახილით მიმდინარეობდა (ანტიფონური — იწყებს ერთი გუნდი და აგრძელებს მეორე). ჩვენმა რუსმა მეგობრებმა რუსულ ენაზე იგალობეს. გზა და გზა, შესვენებისას კი, ერთად ვგალობდით ქართულ საგალობლებს. სერბების გალობა კი უკვე საპატრიარქოში, ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე მოვისმინე. „ჩვენ შევკრიბეთ ჩვენი ახალგაზრდობა და ჩამოვედით წმ. ნინოს გზაზე, რათა მათთვის გვეჩვენებინა, როგორი სულიერი აღმავლობაა საქართველოში", — ბრძანა სერბმა მღვდელმა, დელეგაციის მეთაურმა მამა მილოშმა.

„ამ გზაზე ჩვენ მივდიოდით მდუმარედ, ლოცვით და ვფიქრობდი: თითოეულ ადამიანს მოაქვს აქ თავისი ჯვარი... გავა დრო და ეს ჯვარი მას თავად ატარებს", — ეს კი უნივერსიტეტის პროფესორის, დიმიტრი სტეფანოვიჩის სიტყვებია.

სერბმა ქალიშვილმა ბოგდანამ, გადაწყვიტა ქართული საეკლესიო ლიტერატურა შეისწავლოს, რაშიც მას დახმარებას მეუფე ნიკოლოზი შეჰპირდა...

მამა მილოშის მიერ მოწოდებული ცნობით, ყოველ ზაფხულს სერბეთის მონასტრებში იკრიბებიან მართლმადიდებელი ახალგაზრდები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან და იღრმავებენ ცოდნას თეოლოგიაში. გაისად ქართველ ახალგაზრდებსაც მიიწვევენ.

12 ივლისს მომლოცველთა ორივე ჯგუფი მცხეთაში შეხვდა ერთმანეთს, სადაც მათ გადაეცათ კათოლიკოს-პატრიარქის მიერ ხელმოწერილი სიგელები იმ ფაქტის აღსანიშნავად, რომ მათ მიიღეს მონაწილეობა მოლოცვით მოგზაურობაში.

13 ივლისს, სვეტიცხოვლის ახლოს, მტკვრისა და არაგვის შესართავთან, გაიმართა ნათლობა, რომელსაც კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, საეკლესიო პირები, ბატონი ზურაბ ჟვანია და გია არსენიშვილიც დაესწრნენ.

ნათლობის შემდგომ გავესაუბრე ჩემს მეგობრებს — წმ. ნინოს გზის მომლოცველებს, რომელთა შორის ზოგიერთი II ეტაპზეც აპირებს გზის გაგრძელებას.

*ლაშა გურგენიძე:* განსაკუთრებით აწყურის დანგრეულმა ტაძარმა შემძრა. უფრო მეტად იმ ადგილმა, სადაც წმინდა ანდრიამ ღვთისმშობლის ხატი დაასვენა და დატოვა. კუმურდოს ტაძარმა სიამაყისა და სინანულის გრძნობა აღმიძრა. ვამაყობ, მათი შთამომავალი რომ ვარ, ვინც ეს დიდებულება შექმნა და მენანება, ასე უპატრონოდ რომ არის მიტოვებული ტაძარი. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, მადლის ძალას რომ იგრძნობ.

*გიორგი დიასამიძე:* ღვთის წყალობას ვგრძნობ. ამ გზით, თანახმა ვარ, მთელი სიცოცხლე ვიარო. მე ვაგრძელებ გზას.

ზაზა *უძილაური:* ნინოს გზა მოძრავი მონასტერი იყო. აქედან კი ნამდვილ მონასტერში წავალ. ჭულეს მონასტერში, მამა სტეფანესთან. ჯერ მორჩილის ცხოვრებით მინდა ვიცხოვრო; მერე ვნახოთ, როგორი იქნება ღვთის ნება. ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელთ — პირველად გუშინ ვნახე სვეტიცხოველი.

ამდენი პრობლემა გვეხვია თავს და არავის არაფერი სწყენია.

14 ივლისიდან წმინდა ნინოს და წმინდა ანდრიას გზა მორწმუნეთა ახალმა ჯგუფმა გააგრძელა. წმინდა ნინოს გზაზე მდგარნი 26 ნოემბრამდე ფეხდაფეხ მოივლიან მთელ აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო წმინდა ანდრიას გზის მომლოცველნი — დასავლეთ საქართველოს.

წმინდა მთავარანგელოზი რაფაელი იყოს მოგზაურთა მფარველი.

*ნინო ტარყაშვილი*

9 ივლისს ძალოვნების მიერ ჩატარებულ ოპერაციას აკაკი ელიავას სიკვდილი მოჰყვა. ძნელი სათქმელია, რა აუცილებლობით იყო ნაკარნახევი არაერთგზის შემორიგებული უშიშროების პოლკოვნიკის მოკვლა, რომელსაც, გენერალური პროკურორის თქმით, რაიმე კონკრეტული დანაშაული არ ჰქონია ჩადენილი და რამდენად უკავშირდებოდა ელიავას ფიგურა საშემოდგომოდ საქართველოში მოსალოდნელ დესტაბილიზაციას.

# „არ იყო გამორიცხული, რომ ელიავასთან ერთად ასანიძეც გაესალმებინათ...“

## შეგვატყობინეს, რომ ეს იყო გამიზნული მკვლელობა

ვესაუბრებით აკაკი ელიავას მეგობარს **ლოთი ქობალიას:**

**— ბატონო ლოთი, თქვენ აკაკი ელიავას სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე ესაუბრეთ. ეს სატელეფონო საუბარი თქვენი ინიციატივით შედგა (იცოდით რამე?), თუ მან დაგირეკათ?**

— რა მნიშვნელობა აქვს... რა გინდათ, რატომ მისვამთ ასეთ პროვოკაციულ შეკითხვას?! კარგი, გეტყვით... მე თვითონ დავურეკე, რადგან ვიცოდი, საფრთხეში იყო, პროვოცირებას უპირებდნენ და მინდოდა გამეფრთხილებინა.

**— საიდან იცოდით, რომ მას უჭირდა და საფრთხეში იყო?**

— განა ძნელი მისახვედრი იყო, რომ ამ შანსს (ელიავა პოლიციის განყოფილებაში ჰყავდათ) ხელიდან არ გაუშვებდნენ და გამოიყენებდნენ? არაერთი ტერორისტული აქტი ჩაუტარებია თვითონ სახელმწიფოს და, აქედან გამომდინარე, ვიცოდი, რაც მოხდებოდა, რომ ამ შედეგამდე მიიყვანდნენ. ამას უბრალო ანალიზი უნდოდა, მეტი არაფერი (ამ ლოგიკით ელიავაც უნდა მიმხვდარიყო საფრთხეს).

**— ახლა, როცა ეროვნული შერიგების პროცესი დაიწყო, რატომ მოკლავდნენ კაკო ელიავას?**

— შერიგება კი არა... ის, რაც გააკეთეს ძალოვნებმა, იყო მიზანმიმართული, დაგეგმილი ოპერაცია — უნდა მოეკლათ ელიავა, რასაც მოჰყვებოდა დესტაბილიზაცია სამეგრელოში.

**— რადგან ელიავა უკვე მკვდარია, ე.ი. შემდგომი ეტაპი სამეგრელოში დესტაბილიზაციის დაწყებაა?**

— არა. ეს ასე ჰქონდათ დაგეგმილი. სხვანაირად ნუ მიიღებთ ჩემს განცხადებას — თითქოს დესტაბილიზაცია იწყება. არაფერი მოხდება. ჩვენ ვიბრძვით იმისთვის, რომ საქართველოში არეულობა არ მოხდეს.

**— თუ მოასწარით ელიავას გაფრთხილება?**

— კი, ვუთხარი, რომ ფრთხილად ყოფილიყო და შემდეგ კიდევ მინდოდა რაღაც მეთქვა... თუ გახსოვთ, სატელევიზიო სიუჟეტში ტელეფონის ზარის ხმა რომ ისმის, მე ვრეკავდი. მინდოდა მეთქვა, რომ იარაღი ჩაებარებინა. ვიცოდი, იქ რასაც უწყობდნენ.

**— რა გიპასუხათ ბატონმა კაკომ?**



— მითხრა, აქ ძალიან კარგად შეგვხვდნენ, 15-20 წუთში გაგვიშვებენ, ესენი ჩვენი ძმები და მეგობრები ყოფილანო. მათ კაკო მოატყუეს, სიცილ-ხარხარში დრო გააჭიანურეს. შემდეგ თბილისიდან ჩავიდა (სატელეფონო მითითება არ ყოფილა) ის, ვისაც დავალება ჰქონდა და მოკლეს კაცი. ალბათ გახსოვთ ბოლო კადრი... ელიავას ხელში არავითარი იარაღი არ უჭირავს (ეკრანზე ხელები ჩანს). კიბის ქვეშ ვიღაც იყო ჩასაფრებული და ზურგიდან ესროლეს. კაკო პირდაპირ, ცხვირით დაეცა. ძალოვან სტრუქტურებშიც არის ჩვენი ხალხი და მათ შეგვატყობინეს, რომ ეს იყო გამიზნული მკვლელობა.

**— რატომ არ დაგიჯერათ?**

— მე კი გავაფრთხილე, მაგრამ ის მაინც არ ელოდა... უკვე შინ მივდივართო, მითხრა.

**— ასეთი პასუხის შემდეგ მას მძევლები აჰყავს... თქვენთვის არ უთქვამს, — გაგვაცილებენო?**

— არავითარი მძევლები იქ არ ყოფილან და არც გამცილებლებზე იყო ლაპარაკი.

**— აბა, რატომ გაიყოლეს თან იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსი რუბენ ასანიძე?**

— როგორ გეკადრებათ, ასანიძე არავის აუყვანია... მობრძანდით, დაბრძანდითო, — ეუბნებოდნენ. მძევალს, მგონი, ასე არ ელაპარაკებიან.

**— შესაძლოა ასანიძე ელიავასთვის უსაფრთხოების გარანტი იყო.**

— მე წაგიყვანთო, — ასანიძემ... მან, შესაძლოა, სულაც არ იცოდა, რასაც აპირებდნენ და არც ის იყო გამორიცხული, რომ იქ ელიავასთვის ნასროლი ტყვიით შემთხვევით ასანიძეც მოეკლათ. სპეცრაზმი იქ საგანგებო დავალებით ჩავიდა. ეს არ იყო სახალხოდ ალიარებული დავალება.

**— თქვენ ძალოვნებზე აკეთებთ აქცენტს, ფიქრობთ, რომ პრეზიდენტმა არაფერი იცოდა?**

— ძალიან გამაოცა პრეზიდენტის განცხადებამ ელიავას სიკვდილის შემდგომ, მისმა ლოიალურმა დამოკიდებულებამ ძალოვნების მიმართ. ძალოვნები თავაშვებულად მოქმედებდნენ და პასუხისმგებელი არავინ არის. არ გამოვრიცხავ, რომ თვითონ შევარდნაძე არის ძალოვნების მძევალი.

**— თქვენი აზრით, ელიავას მცხეთაში ჩამოსვლაც (ჩამოყვანა) პროვოცირებული ხომ არ იყო?**

— ელიავა მცხეთაში გამოიტყუეს... ვვარაუდობ, თუმც დაზუსტებით ვერ გეტყვით... როცა პროკურორმა გამოაცხადა, ელიავაზე სანქცია მოიხსნაო, ის თბილისში დაიბარეს (თუ მოვა, მაშინ მოვუხსნით სანქციასო). ელიავა წამოვიდა თბილისში. გზაში ვიღაცამ გააფრთხილა და უკან დაბრუნდა. ამ დროს პოლიციამ ვითომ რეიდი მოაწყო ზესტაფონთან. ელიავა ზესტაფონის შესასვლელთან რომ არ გაჩერებულიყო, მათ უკვე დაგეგმილი ჰქონდათ ქალაქის გასასვლელთან მისი მანქანის ჩაცხრილვა (ჩასაფრებით), იქ ჩახოცავდნენ ყველას.

**— როგორც შევიტყვე, რამდენიმე კვირის წინ ჯაბა იოსელიანი, დათო შენგელია და აკაკი ელიავა შეხვედრიან ერთმანეთს.**

— ჯაბას თავის დროზე მეც შევხვდი, ხელი ჩამოვართვი. არა იმიტომ, რომ გულზე მეხატებოდა, ეს ერის გამთლიანებას სჭირდებოდა. უბედურებას ვერ ვხედავ იმაში, რომ ქართველმა ქართველს გამარჯობა უთხრას და შეხვდეს. მეც შევხვდები ნებისმიერ მოწინააღმდეგეს, თუ ქვეყნის გადარჩენისთვის ვიომებთ.

**— ამ შეხვედრამაც დაბადა ეჭვი, რომ რაღაც იგეგმებოდა.**

— რა იგეგმებოდა? ვინ ქმნის ამ ილუზიებს? საქართველოში ერთი ინციდენტიც რომ მოხდეს, ქვეყანა დაიღუპება. დღეს ძალოვნების გარდა, არავინ არაფერს გეგმავს. ეს ძალოვნების დაგეგმილი ოპერაცია იყო, რასაც, მათი გათვლით, დესტაბილიზაცია უნდა მოჰყოლოდა და ისინი თავიანთ პოზიციებს გაიმაგრებდნენ. საუბედუროდ, ისინი მოტყუვდნენ, ხალხი ამას არ აჰყვა. ხალხი ბრძენია და, საბედნიეროდ, კიდევ უფრო ბრძენდება.

**— როგორ შეხვდით ელიავას სიკვდილს ექსპრეზიდენტის მომხრეები, რაიმე მღელვარება ხომ არ ყოფილა ციხეში?**

— ტრაგიკულად. ყველანი განვიცდიდით იმ მომენტიდან, როცა შევიტყვეთ, რომ ის აიყვანეს. შეგვაძრწუნა სამივე უწყების ცინიზმმა. ხალხი დახოცეს და მათ კმაყოფილი სახეები ჰქონდათ. კაკო ყოველთვის ჩემ გვერდით იყო, სამაჩაბლოდან მოყოლებული, ჩემთან ერთად იბრძოდა. 1992 წელს მე დავნიშნე სენაკის ბატალიონის მეთაურად. ის არა მარტო თანამებრძოლი, ჩემი მეგობარიც იყო, ისევე როგორც გოჩა ესებუა. მეომრული სულის მქონე ხალხს, ვინც ამ უზნეობას არ ემორჩილება, თავიდან იშორებენ. ხვალ-ზეგ ალბათ სხვების რიგიც დადგება, ვინც ხმას ამოიღებს, მოიშორებენ... ასე თუ გაგრძელდა, იქამდე მივალთ, რაც აფხაზეთში მოხდა. უკვე მესმის ხმები, რომ რაღაც საშინელება ხდება... საქართველოს დაქუცმაცების საშიშროებაა. ეს რუსეთის იმპერიის დროინდელი გეგმაა.

**— და, გარკვეულწილად, ამ გეგმაში მოექცა ელიავას სიკვდილიც?**

— რასაკვირველია. ხალხს რომ თავისი კუთხის რჩეულს მოუკლავ, მას (იმ კუთხეს) შენზე კარგი შთაბეჭდილება ექნება? მოგეფერება და ჩაგეხუტება? რასაკვირველია, არა. კი, ეროვნული თანხმობა ჩვენთვის მისაღებია, მაგრამ როდის იყო, რომ ეროვნული შერიგება ჯარისკაცებიდან იწყებოდა?

P.S. ელიავას ლიკვიდაციით ძალოვნებმა მართლაც შესანიშნავად მოახერხეს თავიანთი ძალისა და მოხერხებულობის დემონსტრირება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საზოგადოების ნაწილმა ვერ დაინახა ასეთი უკიდურესი ნაბიჯის საჭიროება. ელიავა კანონმორჩილი და თვინიერი მოქალაქე არ ყოფილა, მაგრამ კონკრეტულ ეპიზოდში მისი ლიკვიდაციის აუცილებლობა ბევრისთვის ნაკლებსარწმუნო აღმოჩნდა.

არსებობს კიდევ ერთი ვერსია (ძალოვნების) — რომ ელიავა საგურამოში თავის ნათესავს, შოთა კვირაიას შეხვდა; მაგრამ ვისთვის იყო საშიში ამ ორი (უკვე ნაკლებად აქტიური) პიროვნების „პაემანი“, ძნელი სათქმელია.

***იზო რკაძე***

# პროკურატურა შოთა კვირაიას დაკითხვას და „ტყის ძმების“ დაპატიმრებას აპირებს?

აკაკი ელიავასა და გოჩა გვილავას ლიკვიდაციიდან ზუსტად ერთი კვირა გავიდა. უამრავი ვერსია, აზრი გამოითქვა და დაიბეჭდა სპეცრაზმის მიერ ცივი გონებით ჩატარებული ოპერაციის მიზეზის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი აცხადებს, — ელიავა გამიზნულად მოკლესო, ოპერაცია ისეთ ვითარებაში ჩატარდა, დღეს ამას უკვე ველარავინ დაამტკიცებს. ერთი რამ ფაქტია, სიბნელეში ჩატარებულმა წმენდამ საიდუმლოდ დატოვა იმ სპეცრაზმელის ვინაობაც კი, რომლის გასროლილმა ტყვიამ მშიერი მოსახლეობის ყურადღება სამეგრელოს „ტყის ძმებზე“ გადაიტანა. მაგრამ თუ იურიდიული ენით ვისაუბრებთ, ვერც ერთი იურისტი ძალისმიერ სტრუქტურებს ვერ გაამტყუნებს. სახეზეა მძევლების აყვანა, ხელისუფლებისა და კანონის უპატივცემულობა. შსს მინისტრმა კახა თარგამაძემ ცნობილ ღამის პრესკონფერენციაზე განაცხადა, — სამხარეო პოლიციის უფროსის მძევლად აყვანით ელიავამ განსაკუთრებული ცინიზმი გამოხატა კანონის წინაშეო...

თუმცა რამდენიმე წლის წინ იმავე ელიავამ განა უშიშროების მინისტრი არ აიყვანა მძევლად? რატომ მაშინ არ მოკლეს, რატომ მაშინ არ აგებინეს პასუხი კანონით? რატომ გააღიზიანა ჩვენი ძალოვნები ელიავას იარაღის ჟღარუნმა მაინცდამაინც დღეს და არ აღიზიანებდა გუშინ?

ეს ის კითხვებია, რომლებიც საზოგადოებას აბნევს და ისიც სამართალდამცავების მიერ ჩატარებულ ოპერაციას ეჭვის თვალით უყურებს.

ეს ხდება მაშინ, როცა ჩვენი პოლიტიკოსები დღეს უკვე ხმამაღლა ლაპარაკობენ აფხაზეთი-სამეგრელოს მიმართულებით თუ სხვადასხვა ტერიტორიაზე ძალოვნების მხრიდან კონტრაბანდის მფარველობაზე. თუ ეს ასეა, სამეგრელოში ელიავა სწორედ ის პიროვნება იყო, ვინც ზუსტად იცოდა: ვინ აცილებდა კონტრაბანდას და კონკრეტულად ვის საკუთრებას წარმოადგენდა უკანონოდ შემოსული გემრიელი ლუკმა. მით უფრო მაშინ, როცა ელიავას სიკვდილამდე ყველა დესტაბილიზაციაზე საუბრობდა და სამეგრელოში ელიავასკენ იყურებოდა. დამალულ-დაფარული ნამდვილად არ იყო, რომ იგი ხელისუფლების მიმართ მტრულად იყო განწყობილი. სხვათა შორის, ერთ-ერთი ვერსიით, ელიავა და მისი მომხრეები სამოქალაქო ომის გაჩაღებას აპირებდნენ. მანამდე კი აფხაზ ბოევიკებთან აპირებდნენ მოლაპარაკებას. უკანასკნელ ხანს პარტიზანული ჯგუფის ლიდერის, დათო შენგელიასა და ელიავას თბილ ურთიერთობებზეც ბევრს საუბრობდნენ....

ყველა ამბობდა, ელიავა იმართებოდაო. მის სახელს შოთა კვირაიას უკავშირებენ. ამბობენ, რომ საგურამოში ელიავა კვირაიას შეხვდა. კვირაიას და ელიავას სენაკი და ნათესაური კავშირი აერთიანებდათ.

კონფიდენციალური ინფორმაციით, უშიშროებაში დევს მასალები, სადაც ელიავასა და კვირაიას საუბრები დეტალურადაა გაშიფრული. თუმცა უშიშროება, ჩვეულებისამებრ, დუმს. მით უფრო დღეს, სანამ გენერალური პროკურატურა რამდენიმე დღეში საბოლოო დასკვნას არ დადებს და კიდევ ერთხელ არ შეუქებს მარჯვენას ჩვენს ძალოვნებს ჩატარებული ოპერაციის გამო.

თუმც ელიავას თემა ამ მხრივ ივლისის თვეში მკვდარია. თუნდაც იმიტომ, რომ შევარდნაძე ინგლისში მიდის. ჟვანია — ამერიკაში. ამ პერიოდში კი ელიავას ირგვლივ სკანდალური ინფორმაციის გაჟონვა „ზევით“ არავის აძლევს ხელს. მათი ჩამობრძანების შემდეგ კი ელიავას თემა ისევ ამოტივტივდება და, სხვათა შორის, კვირაიას გვარიც. არ არის გამორიცხული, კვირაიას ძველი ცოდვებიც გაუხსენონ.

რაც შეეხება გვილავას, იგი ელიავას უახლოეს მხარში მდგომად ითვლებოდა. ანუ ის, რაც იცოდა ელიავამ, იცოდა გვილავამაც. ასეა თუ ისე, დღესდღეობით ელიავასთან ერთად მყოფი სამი პიროვნება: ზაურ გვაზავა, სოსო სანაია და გია ზარქუა ცოცხლები დარჩნენ. მათ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ სამი თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

ზესტაფონის ფაქტთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს იძიებს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე **მირზა დოლიძე**. „კვირის პალიტრამ“ რამდენიმე კითხვით მიმართა მას.

**— ბატონო მირზა, რა მიზეზით იყვნენ მცხეთისკენ წამოსულები?**

— როგორც ჩვენებებში თქვეს, ელიავას თავისი ქალიშვილის მონახულება უნდოდა, რომელიც სამკურნალოდ იმყოფებოდა თბილისში. თუმცა მობილურ ტელეფონზე შეატყობინეს, რომ მისი შვილი სამარშრუტო ტაქსით სენაკში გაემგზავრა. ამიტომ მოვბრუნდით მცხეთიდან და წავედით უკანო. სხვა რა მიზეზი უნდა იყოს, ამას გამოძიება დაადგენს.

**— გავრცელებული ვერსიით, ელიავა კვირაიას შეხვდა საგურამოში...**

— ჩვენც ამ დონეზე ვიცით, მაგრამ ოფიციალური მონაცემი ჯერჯერობით საქმეში არ გაგვაჩნია.

**— კვირაიას დაკითხვას თუ აპირებთ?**

— საგამოძიებო გეგმა დგება და თუ საჭირო იქნება, რასაკვირველია, დავკითხავთ.

**— როგორც ჩემთვის ცნობილია, ზარქუას და სანაიას იარაღი არ ჰქონიათ...**

— ზარქუას არ ჰქონდა, სანაიას ჰქონდა და ჩააბარა.

**— თუ ზარქუას არ ჰქონდა იარაღი, მაშინ სამი თვით თავისუფლება რატომ აღუკვეთეთ?**

— არის ჩვენებები, რომ მასაც ჰქონდა იარაღი და ჩააბარა პოლიციას. გარდა ამისა, მას ბრალი ედება უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნასა და მონაწილეობაში.



**— უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში „ტყის ძმებს“ გულისხმობთ?**

— დიახ.

**— თქვენი განცხადება ხომ არ ნიშნავს იმას, რომ დანარჩენ „ტყის ძმებსაც“ უპირებთ დაპატიმრებას?**

— თუ დადასტურდება, რომ ისინიც უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრები არიან და უკანონოდ ატარებენ იარაღს, დავაპატიმრებთ.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, ელიავას ლიკვიდაცია იმ მომენტში აუცილებლობას წარმოადგენდა?**

— ეგ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ოპერაციის მიმდინარეობაზეა დამოკიდებული. ამ საკითხებს ვიკვლევთ ახლა ჩვენ.

დაკავებულები მოინახულა ომბუდსმენმა **ნანა დევდარიანმა**. როგორც დაკავებულებს სახალხო დამცველისთვის უთქვამთ, მათზე არ ყოფილა არც ფსიქოლოგიური და არც ფიზიკური ზეწოლა.

**— ქ-ნო ნანა, თქვენ რა შეამჩნიეთ, როგორ გამოიყურებოდნენ?**

— შეშინებულების შთაბეჭდილებას არ ტოვებენ. იმის გამო რაც მოხდა, არიან მორალური და ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ. მათ ელიავას და გვილავას სიკვდილის შესახებ არ იცოდნენ, მხოლოდ დაღუპვიდან სამი დღის შემდეგ გაიგეს და ძალიან განიცდიან.

**— თუ გითხრეს, ქ-ნო ნანა, რატომ იყვნენ ისინი მცხეთის გზაზე?**

— სამივეს ცალ-ცალკე ვესაუბრე. ისინი იზოლირებულნი არიან. მათ ერთი და იგივე მითხრეს: ელიავა შვილის სანახავად წამოვიდა თბილისში. შეიტყო რომ ბავშვი სამარშრუტო ტაქსით სენაკში მიემგზავრებოდა და უკან მიბრუნდა. შემდეგ რიკოთთან სადღაც მეგრული ფაცხაა, იქ უსადილიათ და მერე უკვე, ზესტაფონთან დახვდათ ეს რეიდი. როგორც ჩანს, ოპერატიული ინფორმაცია უკვე ჰქონდათ. ახლა იმის გარკვევა — რა მიზნით, ძალიან ძნელია.

**— სხვათა შორის, გავრცელებული ვერსიით, ისინი კვირაიას შეხვდნენ...**

— კვირაია არც ერთს არ უხსენებია.

**— სასამართლომ სამივეს სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა, რამდენად სამართლიანად გეჩვენებათ?**

— ჩემთვის ასეთი გადაწყვეტილება უცნაურია, რადგან აქედან ზარქუა დანამდვილებით არაფერ შუაშია. იგი ელიავას წამოყვა იმიტომ, რომ მანქანის დეტალებში კარგად ერკვევა. არავითარი იარაღი ზარქუას არ ჰქონია. სხვათა შორის, არც სანაიას. ის „კოლტი“, რომელიც თითქოს მისი იყო, სინამდვილეში ელიავასი ყოფილა. მან უბრალოდ გამოართვა და ნომრები ჩააწერინა. რა აუცილებელი იყო ამ ორი კაცის მიმართ სამთვიანი პატიმრობა, ვერ გავიგე. ორ უიარაღო კაცს რომ ბრალდება წაუყენო მძევლის აყვანაში, ცოტა უხერხულია.

**— თუ დააყენებთ შუამდგომლობას, რომ ამ შემთხვევაში ეს პირები უდანაშაულონი არიან და შეიცვალოს მათ მიმართ აღმკვეთი ღონისძიება?**

— რა თქმა უნდა, ამ ორ კაცზე შუამდგომლობას დავაყენებ, რომ ასეთი მძიმე ბრალდებების წაყენება ცოტა უხერხულია, მაგრამ მე არც მოსამართლე და არც პროკურორი არ ვარ, აღმკვეთი ღონისძიება შევცვალო.

კვირის ბოლოს კი სამივე პირის თავდებით გაშვებაზე ალაპარაკდნენ.

დაკავებულების თავდებით გამოშვებას არ გამორიცხავს ელენე თევდორაძეც. ასე რომ, მოვლენების განვითარება წინ არის. რაც შეეხებათ „ტყის ძმების“ ხმამაღალ განცხადებას, ისინი სამოქალაქო ომზე და სისხლისღვრაზე არ ფიქრობენ. შესაძლოა, ეს ასეც იყოს, მით უფრო მაშინ, რომ ელიავას სახით ხელისუფლებამ მათ მწარე გაკვეთილი უკვე ჩაუტარა. თუმცა ამ სიტყვების იქით რა დგას და რას აპირებენ, ჯერ არავინ უწყის. მით უფრო, რომ შეიარაღებული „ტყის ძმები“ ისევ ტყეში იმყოფებიან.

***მარინა მამისაშვილი***

# „თარგამაძეს კარგად შეიარაღებული დაცვა ჰყავს და ალბათ საკაშვილივით არავინ მიტყიპავს...“

ზესტაფონის ტრაგიკული ამბავი ედპ-ის ლიდერისა და შს მინისტრის ახალი დაპირისპირების საფუძველი გახდა. როგორც ჩანს, **კახა თარგამაძე** ძალიან გაანაწყენა ირინა სარიშვილი-ჭანტურიას მორიგმა ბრალდებებმა. ედპ-ის თავმჯდომარის სატელევიზიო ეთერით გაკეთებული განცხადების შემდეგ შს მინისტრმა პრესკონფერენცია მოიწვია და გული ჟურნალისტებთან მოიოხა: წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, როცა გამოდის ადამიანი და ცინიკურად აცხადებს, — ეს ღონისძიება წინასწარ იყო დაგეგმილი. ელიავა და მისი მეგობრები გამოიტყუეს და ჩაუსაფრდნენო. როგორ შეიძლება მთელი ქვეყნის გასაგონად ასეთი განცხადებების გაკეთება. სარიშვილისთვის მე იდეაფიქსი ვარ. მის განცხადებებს დიდი ხანია ყურადღებას არ ვაქცევ. ის ჩამოიწერა, როგორც პოლიტიკოსი და ამაში მე მადანაშაულებს. ეტყობა, კარგად არ იყო ინფორმირებული, არ იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე და რომ არც ისეთი პიროვნება ვიყავი, ვისაც ადვილად მოერეოდა. თუ ადამიანის მიმართ რაღაც ინტერესი გაქვს, ყველაფერი შეიძლება გააკეთო, მაგრამ როგორ შეიძლება დაგეგმილი მკვლელობა დააბრალო. მან ძალიან მძიმე დანაშაულში დამდო ბრალი. მე უკვე მივმართე გენერალურ პროკურორს, ამ ფაქტთან (ბრალდებასთან) დაკავშირებით, აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და ჩატარდეს გამოძიება. მას იმუნიტეტი არ იცავს და ვეღარც დაიცავს. უკვე საკმარისია, ყველაფერს საზღვარი აქვს. თუ ეს დანაშაული ჩვენ ჩავიდინეთ, საშინელებანი ვყოფილვართ, თუ არ ჩაგვიდენია, სარიშვილმა უნდა აგოს პასუხი მთელი საქართველოს, ჩემსა და დაღუპულთა ოჯახების წინაშე. სარიშვილს პროკურატურაში მივაყვანინებ და ამ ფაქტთან დაკავშირებით დაჰკითხავენ. როდესაც ეს ფაქტი არ დადასტურდება (იმიტომ, რომ ვიცი, რასაც ვაკეთებ), სარიშვილი ისეთსავე პოპულარობას მოიპოვებს, როგორც მაშინ, როცა თვითონ და მისი პარტია ქუჩაში დარჩნენ.

**— ირინა სარიშვილის დარჩენა ანტიკორუფციული კომისიის მიღმა თქვენი „დამსახურება“ ხომ არ არის?**

— სარიშვილი ამ კომისიიდან გამოირიცხა, თუმცა უამისოდაც ვიცოდი, რომ ის იქ არ იქნებოდა.

ედპ-ის ლიდერს კახა თარგამაძის მუქარა წონასწორობას ვერ აკარგვინებს. — თარგამაძის განცხადების კომენტირება ძალიან ძნელია. ის იმ მინისტრების კატეგორიას განეკუთვნება, რომლის სურათი თავისუფლად შეიძლება გავუშვათ რუბრიკით „უკომენტაროდ“, — აცხადებს **ირინა სარიშვილი-ჭანტურია**.

**— ქნო ირინა — თარგამაძე პროკურატურაში გიპირებთ წაყვანას, ეს ფაქტი უხერხულობას არ გიქმნით?**

— თარგამაძე, ეტყობა, ჩემთან აპირებს გამოვლას, რომ ერთად წავიდეთ, სხვანაირად არ ვიცი, როგორ უნდა წამიყვანოს. კანონით რაც მომეთხოვება, მე იმ ნაბიჯს გადავდგამ. შს მინისტრის დახმარება ნამდვილად არ მჭირდება. შევიტყვე, თურმე მას ბავშვივით უხარია იმუნიტეტი, რომ არ მიცავს. იმუნიტეტით არასოდეს მისარგებლია. რამდენიმე წლის წინ, როცა თარგამაძემ ამის თაობაზე დაიწუწუნა, თვითონ ვთხოვე პარლამენტს იმუნიტეტის მოხსნა. მაშინ პროკურატურამ არ გადადგა ეს ნაბიჯი, იმიტომ, რომ ამის საფუძველი ვერ მოძებნა. მე არც იმუნიტეტი მაძლევდა არაფერს და არც მისი არარსებობა დამაკლებს რაიმეს.

**— შს მინისტრის განცხადებით, თქვენი ადრინდელი ბრალდებებიც არ დადასტურდა. კასეტები, რომლებიც თარგამაძის დანაშაულს ამხელდა, პროკურატურამ ნივთმტკიცებად არ ჩათვალა.**

— ეს სიცრუეა. პრეზიდენტისთვის ის კასეტები, როგორც სამხილი, არ გადაგვიცია. ჩვენ ის გადავეცით როგორც სერიოზული საკვლევი მასალა და პროკურატურამ, არ ჩაატარა მოკვლევა. ჩვენ გვქონდა ბრალდება კონტრაბანდაზე და კონტრაბანდის იმ ფორმაზე, როცა ტვირთი ფორმდება ტრანზიტად და სინამდვილეში საქართველოს ტერიტორიაზე რჩება. კიდევ იყო კონტრაბანდის რამდენიმე ნაირსახეობა, სადაც პროკურატურას სასაზღვრო მონაცემები უნდა შეემოწმებინა — საიდან შემოდიოდა ტვირთი (იმ ქვეყნის სასაზღვრო ან საბაჟოს მონაცემები), ჩვენი და იმ ქვეყნის მონაცემები, სადაც ვითომ ეს ტვირთი უნდა შესულიყო. პატარა ბავშვმაც კი იცის, რომ უამისოდ ინფორმაცია ვერ შემოწმდება. ეს პროკურატურამ არ გააკეთა. მთავარი კასეტების მოსმენა კი არა, იმის გამოძიებაა, რაზეც იყო საუბარი.

რაც შეეხება თარგამაძის დღევანდელ ბრალდებებს, ამის გულისთვის ადვოკატის შეწუხებას არ ვაპირებ. მთავარი ის არის, რომ თარგამაძეს თვითონ არ აძლევს ხელს არაფრის მომცემი სასამართლო პროცესი. თარგამაძე აცხადებს — პროცესით კი არა, იმით ვარ დაინტერესებული, რომ სარიშვილს მოვუღო ბოლოო. ბოლოს მოღება, მისი ლექსიკონით, არ ვიცი, რას ნიშნავს. თურმე ჩემი „მზის ჩასვენებაშიც“ თარგამაძეს მიუღია მონაწილეობა. ალბათ მისი რწმენით, ადამიანისთვის პარლამენტში არყოფნა მზის დაბნელებას ნიშნავს. მე კი ასე არ ვფიქრობ.

**— კახა თარგამაძესაც ედპ-ის ძველი ოპონენტებივით ხომ არ მოუწევს ცემა?**

— თარგამაძეს კბილებამდე შეიარაღებული ხალხი იცავს და ალბათ საკაშვილივით არავინ მიტყიპავს.

P.S. რამდენიმე წლის წინ თარგამაძემ სარიშვილის „მრავალშვილიანობა“ მოიყვანა საკუთარი გულმოწყალების მიზეზად. შს მინისტრი ამჟამად უფრო გულმოსული ჩანს. ახლაც უშველის თუ არა ედპ-ის ლიდერს ორი ვაჟის დედობა, მომავალი გვაჩვენებს.

***იზო რკაძე***

# ფრთხილად, პოლიტიკოსების ძმებო...



დავით საკაშვილი

14 ივლისს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და ტასისის პროგრამის მიერ მოწყობილ ერთობლივ პრესკონფერენციას იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორი, დათო საკაშვილი ვერ დაესწრო.

ამის მიზეზი 27 წლის იურისტის ფიზიკური მდგომარეობის მოულოდნელი გაუარესება გახდა, რაც თავის მხრივ ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებული მისი ძმის, მიხეილ საკაშვილის განცხადებით იქნა გამოწვეული (დავით საკაშვილი მიხეილ საკაშვილის ნახევარძმა გახლავთ)

ამ ოჯახურ ისტორიას საფუძველი მაშინ „ჩაეყარა“, როდესაც დეპუტატი საკაშვილი საკუთარ სახლთან თავდამსხმელებს გადაეყარა.

მათში ბატონმა მიხეილმა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, დალაქიშვილი ამოიცნო. მანქანაც მისას მიამსგავსა.

საქმე ტერორიზმის მუხლით აღიძრა და ძიებას უშიშროების სამინისტრომ მიჰყო ხელი. თუმცა, ბევრი იძია თუ ცოტა, ტერორიზმისა ვერაფერი აღმოაჩინა და ამჯერად ხულიგნობად მონათლული საქმე საბურთალოს რაიონის პროკურატურას გადაულოცა.

აი, აქ პირველად არ გაუმართლა დავით საკაშვილს, რომლის ოფისიც იმავე შენობაში მდებარეობს, სადაც საბურთალოს რაიონის პროკურატურა, მხოლოდ ერთი სართულით ზემოთ.

თუმცა, ამაზე ცოტა მოგვიანებით. ახლა საბურთალოს რაიონის პროკურორმა, ლაერტ დუღაშვილმა მიჰყო სასამართლო რეფორმის მამის, დაზარალებული საკაშვილის საქმის ძიებას ხელი. მიუხედავად იმისა, რომ „ამოცნობილ“ დალაქიშვილს და მის ავტომობილს ალიბი გააჩნდათ, მხარეების პირისპირ შეხვედრა მაინც შედგა, სადაც მიხეილ საკაშვილმა კიდევ ერთხელ ამოიცნო მინიატურული ზომების მქონე დალაქიშვილი.

როგორც ჩანს, ამან ეროვნულ-დემოკრატების გულისწყრომა გამოიწვია, რომლებმაც, საკაშვილზე ჯავრის ამოყრის ორიგინალური მეთოდების დამუშავება იწყეს.

აქ მეორედ არ გაუმართლა დავით საკაშვილს.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და თბილისის საკრებულოს წევრის, ჯონდი ბაღათურიას ისარი სწორედ მისკენ იქნა მიმართული! ბრალდება დაახლოებით შემდეგნაირადაა ფორმულირებული: პროკურორი დუღაშვილი საკაშვილის აბიტურიენტია და ამ საქციელით მომავალი გამოცდის ნიშანი უკვე გაინაღდა. თანაც, ბაღათურიას აზრით, საკაშვილებმა სასამართლო რეფორმა ოჯახურ ბიზნესად აქციეს — მოსამართლეები ფულს სასწავლო ცენტრში ოფიციალურად იმიტომ იხდიან, რომ ცენტრის დირექტორმა გათეთრებული თანხა თავის ძმას მიაწოდოსო. ეჭვი სასწავლო ცენტრისა და საბურთალოს პროკურატურის ტერიტორიულმა სიახლოვემაც გამოიწვია (მანძილი, მათ შორის როგორც გაუწყეთ კიბის ათიოდ საფეხურით განისაზღვრება).

ბრალდება მოკლეფეხებიანი აღმოჩნდა, რადგანაც მარტივი მოკვლევით გაირკვა, რომ იუსტიციის სასწავლო ცენტრში (ხელმძღვანელი დავით საკაშვილი) კურსის გავლა მოსამართლეობის მსურველ იურისტებს კანონით მოეთხოვებათ და ამ სიამოვნებას ისინი უფასოდ იღებენ. რაც შეეხება თანაშემწეობის მსურველთ, მათთვის სწავლების საფასური სულ 200 ლარია, ხოლო რამდენად შეიძლება გახდეს ეს თანხა ვნებათაღელვის მიზეზი, თავად განსაჯეთ.

ჯონდი ბაღათურიამ უკან მაინც არ დაიხია და კიდევ უფრო მედგრად შეუტია ძმისგან განსხვავებით პოლიტიკურ ინტრიგებში განუსწავლელ დათო საკაშვილს.

ბაღათურიას განცხადებით, შენობა, რომელსაც იუსტიციის სასწავლო ცენტრი იკავებს, მერიის ბალანსზეა და ცენტრი, მისი დირექტორის ძმის წყალობით, ბიუჯეტს არაფერს უხდის. ბატონმა ჯონდიმ უმცროსი საკაშვილის დავალიანება 20.000 ლარით განსაზღვრა და მისი სასწრაფოდ დაფარვა მოსთხოვა — წინააღმდეგ შემთხვევაში საკაშვილს საკაშვილის მიერ რეფორმირებული სასამართლოთი დაემუქრა.

განცხადება დათო საკაშვილმაც გააკეთა და ბაღათურიას ისიც სასამართლოთი დაემუქრა, თანაც აღნიშნა, რომ ღირსებისა და რეპუტაციის შელახვისათვის ისიც 20.000-ს მოითხოვდა.

აქ უკვე მესამედ არ გაუმართლა დათო საკაშვილს.

კულუარული ინფორმაციით, მისმა პოლიტიკოსმა ძმამ ეს ხმაური არასასურველად მიიჩნია და ძმას ძმურად მოსთხოვა პოსტის დატოვება. რას იზამ! მიზანი ხშირად სიცოცხლეზე მეტია, არათუ დედმამიშვილობაზე.

სასწავლო ცენტრი კი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა და თავისი დამფუძნებლები ჰყავს, რომელთაც დამოუკიდებელი გადაწყვეტილება მიიღეს და დირექტორის შეცვლის წინააღმდეგ გამოვიდნენ.

რაც შეეხება შენობას, რომელიც იუსტიციის სასწავლო ცენტრს აქვს დაკავებული, მერიის კი არა, უზენაესი სასამართლოს ბალანსზე გახლავთ, რომელმაც თავის მხრივ, ტერიტორია უსასყიდლოდ დაუთმო ცენტრს.

მაგრამ არც ამით დამთავრებულა უსიამოვნებანი იურისტი საკაშვილებისთვის. მოგეხსენებათ, სკანდალები, მით უმეტეს ოჯახური, მედიის ყურადღებას საოცრად აღაგზნებს. კითხვები ამ თემასთან დაკავშირებით უფროსი საკაშვილის მისამართით არ შეწყვეტილა. მან კი ჩანს, დიდხანს იყოყმანა, შემდეგ კი ერთ-ერთ გაზეთს პირდაპირ განუცხადა, რომ მისმა ძმამ უკვე დატოვა იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორის თანამდებობა.

ხსენებული ინტერვიუ მიხეილ საკაშვილთან 14 ივლისს გამოქვეყნდა. ამ დღეს სასწავლო ცენტრსა და ტასისის პროგრამის პრესკონფერენციაზე მისული ჟურნალისტები ამაოდ ეძებდნენ ცენტრის დირექტორს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, დავით საკაშვილი დილით პრესას გაეცნო და მიხვდა, რომ საბოლოოდ აღარ გაუმართლა. ის ღონისძიებაზე აღარ გამოცხადებულა.

პოლიტიკოსობა სახიფათო პროფესიაა არა მარტო პოლიტიკოსთათვის, არამედ მათი ოჯახის წევრებისათვის. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მიხეილ საკაშვილს კიდევ ერთი ძმა ჰყავს, რომელიც მისდა საბედნიეროდ პროფესიით ექიმი გახლავთ და ჯერჯერობით არაფერი ემუქრება.

თუმცა ფაქტია ისიც, რომ პოლიტიკოსების ძმებიც და დებიც ადამიანები არიან და შესაბამისი უფლებები გააჩნიათ. უბრალოდ, ისინი შეიძლება დედმამიშვილთა ინტერესებს თავისდაუნებურად შეეწირონ.

***მაია გაბუნია***

# ცეცხლმოკიდებული მამის ღრიალზე შვილმა მხედველობა დაკარგა

გასულ კვირას თბილისში მორიგი საზარელი დანაშაული ჩაიდინეს. დანაშაული, რომელსაც განცვიფრებაში მოვყავართ, ახალგაზრდა ქალს, მცირეწლოვანი შვილის დედას ედება ბრალად.

29 ივნისს, დილის 8 საათზე, 28 წლის დიანა ნიჟარაძე სახლში მძინარე მამაკაცს მიუვარდა, ბენზინი გადაასხა და ასანთით ცეცხლი წაუკიდა...

დიანა ნიჟარაძე თბილისიდან იმ დღესვე გაქრა. სამწუხაროდ, მომხდარის მსხვერპლი მხოლოდ 43 წლის გულთაზ კვიციანი არ აღმოჩნდა. ამ დროს მასთან ერთად ბინაში მისი უფროსი ვაჟი, 19 წლის თემური იმყოფებოდა. როდესაც შვილმა მამამისი ცეცხლის ალში გახვეული დაინახა, მოულოდნელობისგან შოკში ჩავარდნილმა მხედველობა დაკარგა...

ცეცხლმოკიდებული კაცის ღრიალზე მეზობლები გამოცვივდნენ, სასწრაფოდ ზეწრებსა და საბნებში გაახვიეს და აალებული ცეცხლი რის ვაივაგლახით ჩააქრეს.

საშინლად დამწვარი გულთაზ კვიციანი დამწვრობის ცენტრის რეანიმაციულ განყოფილებაში რამდენიმე დღეა სიკვდილს ებრძვის.



ექიმების თქმით, მისი გადარჩენის მხოლოდ მინიმალური შანსი არსებობს...

ამ ამაზრზენ ფაქტს მკვლელობის ყველაზე აშკარა მცდელობას უწოდებენ. კვიციანის მოკვლას რომ სწორედ დიანა ნიჟარაძე ეცადა, ამაში ეჭვი არც ხალხს და არც სამართალდამცავებს ეპარებათ, რადგან დანაშაულს თვითმხილველები ჰყავს. თანაც, მომხდარიდან რამდენიმე საათში დიანა ნიჟარაძემ მეზობლებთან კვიციანის დაწვა თავად აღიარა. მეზობლებმა ეს ფაქტი ჩვენთან საუბრისას დაადასტურეს:

„დილით ადრე, როცა ჯერ კიდევ ყველას გვეძინა, ხანგრძლივი და ძლიერი კაკუნი მოგვესმა. რამდენიმე წუთში კი კაცის განწირული ხმით ღრიალი გავიგონეთ, გარეთ გავცვივდით და ვნახეთ, რომ ცეცხლმოკიდებული გულთაზი იატაკზე გორავდა. იმ წუთს მთელი ყურადღება მასზე გადავიტანეთ, როცა მივიხედ-მოვიხედეთ, უცხო ვერავინ შევნიშნეთ. გულთაზის ბიჭი და ყვიროდა: დიანამ შეასხა ბენზინიო.

მოგვიანებით ის ქალიც ვნახეთ, აქვე ცხოვრობს მეზობლად. თავის საქციელზე პასუხი რომ მოვთხოვეთ, გვითხრა, — მოკვლა არ მინდოდა, მაგრამ რაც მოუვიდა, ღირსი იყოო. მას შემდეგ კი არავის უნახავს...

მთელ ამ ისტორიაში ყველაზე საშინელი ის არის, რომ დიანა ნიჟარაძე გულთაზ კვიციანის ახლობელი გახლავთ. იგი მისი ბიძაშვილის ცოლისდაა.

მომხდარ ფაქტზე ვაკის რაიონის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე იმ დღესვე აღიძრა. გამომძიებლის, ბაკურ ჩიქოვანის თქმით, სამართალდამცავები დიანა ნიჟარაძეს უკვე 14 დღეა ეძებენ, მაგრამ ჯერჯერობით მის კვალს ვერ მიაკვლიეს.

რამ უბიძგა ახალგაზრდა ქალს დანაშაულის ჩადენისკენ? ასეთი საშინელი განაჩენისკენ? პროკურატურაში რამდენიმე ვერსიას ამუშავებენ. „ჯერჯერობით, ვერაფერს გეტყვით. გადაჭრით, რადგან ნიჟარაძე და მისი ნათესავები ჯერ დაკითხულნიც არ არიან“ — აცხადებს ჩიქოვანი.

გამომძიებლის მტკიცებით, დანაშაულის მოტივი ჯერ კიდევ არ არის დადგენილი. თუმცა, ამჟამად კვიციანისა და ნიჟარაძის ნათესაობაში არსებულ ყველა ვერსიას საბოლოოდ სვანური ხასიათის ერთ თავისებურებამდე ე.წ. „სისხლის აღების წესამდე“ მივყავართ.

ერთ-ერთი ვერსიით, ყველაფერი ვაკის ბაზარზე მომხდარი ინციდენტით დაიწყო.

დაზარალებულის და ნატო კვიციანი:

„დღემდე უამრავი ვერსია შეითხზა. თითქოს ჩემი ძმის მოკვლა დიანამ ფულის თუ ვალის გამო განიზრახა. გარწმუნებთ, აქ ფული არაფერ შუაშია. დიანას ჩვენთვის ფული არც მოუცია და არც გამოურთმევია.

მე ამ ტრაგედიის ნამდვილ მიზეზს მოგიყვებით, რომელიც ჩემმა ცოცხალმკვდარმა ძმამ, რამდენიმე წუთით გონს რომ მოვიდა, მაშინ მითხრა (ისიც ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ოხვრითა და ხვნეშით): 28 ივნისს, გულთაზს მეგობრებთან ერთად დაულევია. შეზარხოშებულებს საღამოს ლუდი მონდომებიათ და ბაზრისკენ წასულან. გულთაზი ჯიხურთან მისულა, სადაც ჩვენი ბიძაშვილის ცოლისდა დიანა ლუდს ასხამს — ბარმენია. გულთაზს უხუმრია: „ხომ იცი კვიციანები რამდენი ვართ, ჰოდა, მოდი და ახლა ნიჟარაძე მოგვემსახურეო“. დიანას ეს სიტყვები არ მოსწონებია და პასუხად „ძველბიჭურად“ უთქვამს: Да идите все вы на... დამეთანხმებით, ნასვამი კაცისთვის ეს საკმარისზე მეტია. და გულთაზსაც უგინებია. დიანამ პასუხად მას თურმე ლუდის დიდი ჭიქა პირდაპირ თავში ესროლა. ჩემს ძმას თავიდან სისხლი წასკდომია. სისხლის დანახვაზე მთლად გაგიჟებულა, დიანას სწვდომია და უცემია...

ისინი იქვე მყოფმა კაცებმა გააშველეს. ჩემი ძმა სახლში დაბრუნებულა. ბინაში მას თავისი უფროსი ვაჟი ელოდებოდა, მეუღლე და უმცროსი ბიჭი წყალტუბოში იყვნენ გამგზავრებულები...“

ბაზარზე მოვაჭრეთა თქმით, 28 ივნისს იქვე მდებარე „ლუდის ჯიხურთან“ ჩხუბი მართლაც ამტყდარა.

„ის კაცი ჯიხურში ხშირად მოდიოდა, ლუდს სვამდა ხოლმე. როგორც ჩანს, დიანასთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ იმ საღამოს საშინლად იჩხუბეს. კაცი წონასწორობიდან ისე იყო გამოსული, რომ ქალს სცემა კიდეც. ხალხმა ისინი მალე გააშველა. ცოტა ხანში მოჩხუბრები წავიდ-წამოვიდნენ და ყველაფერი ჩაწყნარდა“ — გვითხრა ერთ-ერთმა, ვინც ამ ჩხუბს შეესწრო.

დიანა ნიჟარაძე თბილისში დასთან და სიძესთან ცხოვრობდა. იმ დღეს სახლში მხოლოდ დიანა და მისი სიძე იყვნენ, რომლის ჩვენებიდან ირკვევა, რომ 28 ივნისს, საღამოს დიანა სახლში ნამდვილად დაბრუნდა და დილამდე არსად წასულა.

ვერსიის თანახმად, მთელი ღამის განმავლობაში ფიქრის შედეგად დიანა ერთ ურყევ დასკვნამდე მივიდა. მან თავის ნათესავს გინებისა და შეურაცხყოფისთვის ასეთი განაჩენი გამოუტანა.

გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ 29 ივნისს, დილით, დაახლოებით 8 საათისთვის, დიანა ნიჟარაძემ მეზობლად მცხოვრებ გულთაზ კვიციანს ბინაში მიაკითხა. მას თან ჰქონდა ბენზინით სავსე ყავა „პელე“-ს კოლოფი. ბენზინი კვიციანს შეასხა და ცეცხლი წაუკიდა. ყავის კოლოფი იქვე დააგდო.

პოლიციამ აღნიშნული ფაქტის შესახებ იმ დღესვე შეიტყო, თუმცა იმ დროისთვის დიანა ნიჟარაძე უკვე მიმალული გახლდათ. ამჟამად მიმდინარეობს ღონისძიებები მისი ადგილსამყოფელის დასადგენად — განაცხადა ჩვენთან საუბრისას გამომძიებელმა ბაკურ ჩიქოვანმა.

ექიმების თქმით, გულთაზ კვიციანს მესამე-მეოთხე ხარისხის დამწვრობა აქვს. მთელი სხეული დასახიჩრებულია. „უკვე მეთოთხმეტე დღეა გულთაზის სხეული იწვის. ორგანიზმს წვა ჯერ დამთავრებული არა აქვს და რომ დააკვირდები, სხეულს ოხშივარი ახლაც ასდის“ — გვითხრა დაზარალებულის მეუღლემ, რომელიც თითქმის ორი კვირაა დამწვრობის ცენტრში აღამებს და ათენებს.

„ჩვენ სვანები ვართ, მაგრამ სვანობა რა შუაშია. მეგრელები ან იმერლები რომ ვიყოთ, შურს მაინც ვიძიებდით... თუ ის ქალი სამართალდამცავებმა ვერ იპოვეს და ციხეში არ ჩასვეს, ჯოჯოხეთშიაც კი მივაგნებთ და სისხლს ავიღებთ“ — იმუქრებიან კვიციანის გაცხარებული ნათესავები და დასძენენ, რომ შესაძლოა, გულთაზის სიკვდილის გამო მსგავსი ტრაგედია არაერთ ოჯახში დატრიალდეს.

თავად დიანას პოზიციას, ალბათ, მისი გამოჩენისთანავე შევიტყობთ. რაც შეეხება ნიჟარაძის ოჯახის წევრებს, ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, როგორც შევიტყვეთ, ისინი სვანეთში არიან გადახვეწილები. ვარაუდობენ, რომ დიანაც იქ იმალება, თუმცა გამომძიებელი ამ ვარაუდს ჟურნალისტებთან, ჯერჯერობით, მხოლოდ დუმილით პასუხობს.

***მეგი ცანავა***

# სიმბაში 900 ათას დოლარს გვთავაზობდნენ...

## წელს ქართული ნაგაზი მსოფლიო ჩემპიონი გახდა

შარშან, ავსტრიაში, ძაღლების ევროპის გამოფენა-ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად უამრავი ძაღლი ჩაიყვანეს, მაგრამ საქართველოდან ჩასულმა ნაგაზმა სიმბამ ქუჩაში მოსიარულეთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო.

— ათი ნაბიჯის გავლასაც ვერ ვახერხებდით, რომ მასთან ერთად სურათის გადაღება ან მოფერება არ ეთხოვათ, — მითხრა თემურ ხარატმა, რომელიც 1989 წლიდან (იქამდე, სანამ ქვეყანა აირეოდა) საქართველოში ქართული ნაგაზის ძაღლთსაშენს ხელმძღვანელობდა. მას სიმბას პოპულარობაში არცთუ უმნიშვნელო წვლილი მიუძღვის.

კონკურსის დროს აშკარად ჩანდა, ქართული ნაგაზი ფავორიტობდა. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ 1998 წელს ფინეთში სიმბამ საპრიზო ადგილი აიღო, ხუთეულში გავიდა. მაგრამ როცა კონკურენტები ხედავენ, რომელიმე ქვეყნის ჯიში აშკარა უპირატესობით სარგებლობს, მის პროვოცირებას ცდილობენ. რაც ამგვარად ხდება: ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებს ჩემპიონატზე გაჰყავთ რამდენიმე ძაღლი, მათ შორის არიან ისეთები, რომლებსაც არანაირი პრეტენზია არ აქვთ გამარჯვებაზე. სწორედ ასეთ ძაღლებს გეშავენ სხვა ქვეყნის ლიდერზე; ანუ ის აღიზიანებს პრეტენდენტს და თუ მათ შორის ჩხუბი ატყდა, მაშინ, წესის მიხედვით, ორივე იხსნება შეჯიბრებიდან. მიჩნეულია, რომ ჭკვიანმა ძაღლმა თავი უნდა შეიკავოს. ზუსტად ასევე მოგვექცნენ გერმანელებიც. სიმბას უკან ამოუყენეს აგრესორი, რომელიც მის გაღიზიანებას, წაჩხუბებას ცდილობდა. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, სიმბამ რამდენიმე მცდელობაზე თავი შეიკავა. ერთი-ორჯერ თავიდან მოშორებაც სცადა. თითქოს ხვდებოდა, რაც ხდებოდა, მაგრამ გერმანული ნაგაზი არ ეშვებოდა და იმდენი ქნა, რომ სიმბამ პირით აიტაცა, ჰაერში ააფართხალა და მიწაზე დაანარცხა. ძაღლი ხერხემალში გადატყდა, მაგრამ სიმბაც ჩემპიონატიდან მოხსნეს. აქ გარკვეული როლი იმანაც ითამაშა, რომ უსახსრობის გამო ჰენდლერი (ვისაც ძაღლი უჭირავს) არ გვყავდა. სიმბას ქალი ატარებდა, რომელმაც ვერ შეაკავა. ამის შემდეგ უნდა გენახათ თავად ძაღლის მწუხარება, სიმბა პრიზისა და გამარჯვების გარეშე უკან, საქართველოში დაბრუნებას განიცდიდა, თვითონ ებურად თავსაც იდანაშაულებდა. ამას განვიცდიდით ყველანი.

დაბრკოლებების შემდეგ, შარშან, ასე ძალად დამარცხების შემდეგ, იმავე საშიშროების წინაშე ვიდექით ახლაც, იტალიაში, წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზეც. საგულისხმოა, რომ ეს, ერთი შეხედვით უბრალო გამოფენა-ჩემპიონატი, ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნებისათვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეობისათვის რამდენიმე მილიონ დოლარს ხარჯავენ. მაგ. რუსებმა ორ მილიონამდე გადაიხადეს, რადგან თითოეული ძაღლის მონაწილეობა 7-8 ათასი დოლარი ჯდება. რა თქმა უნდა, რაც მეტი ძაღლი გყავს წაყვანილი, გამარჯვების მეტი შანსი გაქვს. საქართველოს გარდა, არც ერთი ქვეყანა არ ყოფილა ერთი ძაღლით წარდგენილი. თანაც, აქვე სათქმელია, რომ სიმბას გამარჯვებამდე, თითქმის არავინ იცოდა ჩვენი ქვეყნის არსებობა. ყველას ჯორჯიის შტატიდან ვეგონეთ.

ჩასვლამდე უამრავ წინააღმდეგობას წავაწყდით.

წელს, იტალიაში, მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისათვის ყველა დოკუმენტი წესრიგში გვქონდა, მონაწილეობის ფულიც გადახდილი იყო, მაგრამ იტალიის ელჩმა საქართველოში ვიზაში უარი ჩაგვირტყა. ვფიქრობ, ყოველივე ეს ხელოვნურად კეთდებოდა, რადგან გასული წლების გამოცდილებიდან კონკურენტებმა იცოდნენ, რომ სიმბა უდავო პრეტენდენტი იყო. დაბრკოლების შემდეგ, მერაბ ჭკუასელის (სიმბას პატრონის) ძალისხმევით, საფრანგეთში საქართველოს ელჩის გოჩა ჩოგოვაძისა და იტალიაში საქართველოს კონსულის სოსო დანელიას აქტიური ჩარევით, პრობლემა მოგვარდა. ასე მოვხვდით ჩემპიონატზე მილანში. სიმბა იმდენად თავდაჯერებული იყო, რომ მგონი, ბომბის გახეთქვაზეც ყურს არ შეიბერტყავდა, თითქოს წარსულის სიმწარე ახსოვდა.


სიმბა ფოტოაპარატს არ უფრთხის

ჩვენმა ნაგაზმა ყველა ნომინაციაში აშკარა უპირატესობა აიღო, მაგრამ 45 წუთი არენაზე მაინც ატარეს, იქნებ რაიმე ნაკლი ვუპოვოთო. გამარჯვება უდავო გახლდათ. აი, ამის შემდეგ კი უკვე აშკარად, ხელოვნურად გვიქმნიდნენ პრობლემებს. ჯერ რუსები აბობოქრდნენ — ეს რუსული ჯიშის ძაღლია, ოღონდ საქართველოში გაზრდილიო, მერე იაპონელები გვეახლნენ და, არ ვაჭარბებ, იმხელა თანხა შემოგვთავაზეს, რომ იმ ფულით ქვეყნის ბიუჯეტსაც შევავსებდით. სხვათა შორის, ამ დელეგაციას რუსი კინოლოგი მოჰყვა, რომელმაც გვითხრა, — იაპონელები სიმბაში 900 ათას დოლარს გთავაზობენ და მზად არიან, ფასს მოუმატონო. მაგრამ ჩვენ ცივი უარით გავისტუმრეთ — მსოფლიო ჩემპიონს არც ერთი ქვეყანა არ ყიდის. ეს ქვეყნის, ხალხის და ეროვნული იდეალების შეურაცხყოფად აღიქმება. სხვებიც ბევრნი იყვნენ დაინტერესებულნი სიმბას ხელში ჩაგდებით და იმდენად გავლენიანნი აღმოჩნდნენ, რომ უკან დასაბრუნებელი თვითმფრინავიც კი გააფუჭეს. მილანიდან ციურიხში უნდა გამოვფრენილიყავით, იქიდან — თბილისში. ციურიხამდე თვითმფრინავი არ გამოფრინდა. შემოგვთავაზეს სხვა რეისი, სადაც სიმბასთვის ადგილი არ აღმოჩნდა — თქვენ გაფრინდით, ძაღლი აქ დატოვეთ და მერე ჩამოდით წასაყვანადო, — გვითხრეს. ყველა ღონეს ხმარობდნენ ძაღლის მისათვისებლად და ეს თითქოსდა ბუნებრივიცაა, რადგან 25 ათას ძაღლში გაიმარჯვა იმ ქვეყანამ, რომელმაც ერთი კანდიდატურა წარადგინა და საქართველო გააცნო მსოფლიოს. სიმბა საქართველოს სახელით შევიდა მსოფლიო ელიტური ძაღლების ნუსხაში, რითაც ქვეყანას საშუალება მიეცა ე.წ. ელიტარული ძაღლთსაშენის აშენებისა. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატზე უამრავი სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოყვანილი, რუსებისგან გაყიდული „კავკასიური ნაგაზის“ ჯიშები იყო წარმოდგენილი. ჩვენმა ძაღლმა ყველა ნომინაციაში უპირობოდ გაიმარჯვა. ახლა რუსები იჩემებენ, ეს ჯიში რუსულიაო და თითქოსდა მას „როსიისკი ვოლკოდავი“ ჰქვია, ხოლო მეორენაირად — „მოსკოვსკაია სტოროჟევაია“.

60-იანი წლების დასაწყისში, უძრაობის დროს, რუსებმა საქართველოს ძაღლთსაშენებიდან გაიყვანეს 10 ათასი ნაგაზი. სცადეს შეეჯვარებინათ სენბერნართან, მაგრამ იმდენად უშნო გამოვიდა, რომ სახელიც კი ვერ მოუძებნეს.

ეს ცდა რომ ჩაეშალათ, მერე ნაგაზს რუსული წარმოშობა დააბრალეს, მაგრამ ვერც ამან მოიკიდა ფეხი. თუმცა, აზრი მაინც მუსირებს. მისი გაქარწყლების საშუალებას კი, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული გვაძლევს, რადგან სიმბა თიანეთის სოფ. ღულულებიდანაა და მისი მამის — ბუკას და დედის — ბაჩის წარმომავლობა წმინდა ქართულია. აღზრდის მეთოდიც ორიგინალურია: პატარა ბავშვივით სჭირდება მოვლა, თავისუფლების უზომოდ მოყვარულია, ვერ იტანს მბრძანებლობას. მხოლოდ ერთ პატრონს, ანუ განმკარგულებელს ცნობს, თუმცა, ექსტრემალურ სიტუაციაში ოჯახის ყველა წევრს თავგანწირვით იცავს. ქართულ ნაგაზს გაწვრთნა და სკოლა არ სჭირდება, მას პატრონის ერთგულება, ტერიტორიის დარაჯობა სისხლში აქვს გამჯდარი.

ერთი სიტყვით, სიმბა გაუწვრთნელია და ამითაც ჰგავს მგელს. ერთი უჩვეულო თვისება აქვს: დაუუშვათ და, რაიმე აწყენინეთ. შეიძლება არ გიპასუხოთ, მაგრამ გულში ჩაიდებს და ისეთ დროს გაგიხსენებთ, რომ უმალ მიხვდებით, რატომაც აკეთებს ამას. გულჩვილია, დამახსოვრება იცის.

აქვე ვიტყვი, რომ სიმბა თავისი ჯიშის ლეკვებისგან აშკარად გამოირჩეოდა. იყო შემთხვევა, როცა დიდი ძაღლიდან პატარის დაჩაგვრა ვერ აიტანა, ჩხუბში ჩაერია, მჩაგვრელი გააძევა და ისევე მშვიდად დაუბრუნდა თავის ადგილს. თუ სადმე ხიფათს იგრძნობდა, პირველი ის გარბოდა, თავდაცვა იყო და — სიმბა წინ იდგა, სხვები კი მის უკან. მაგრამ ამავე დროს, ის ყველასგან სიმშვიდითაც გამოირჩევა, ისევე როგორც ფიზიკურად დიდი ადამიანები — ლმობიერებით.

ყოველივე ამის შემდეგ, ბუნებრივია, ხელისუფლებას უნდა გაუჩნდეს სურვილი ძაღლთსაშენის შექმნისა, რომელიც გარკვეული წლების შემდეგ ქვეყანას საკმაოდ სერიოზულ მოგებას მისცემს და საქართველოსაც სახელს მოუტანს, რადგან გაყიდულ ჯიშებს, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა იყოს, ქართული ნაგაზი დაერქმევა. ეს კი მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონატებზე კულტურულ-გენური ჯიშის აღიარებაა.

სამწუხაროდ, მავანთა გამოისობით დღეს დასაცავ-სადარაჯო აღარაფერი დაგვრჩენია, გარდა თავად მოდარაჯე ძაღლისა. ამას მაინც მივხედოთ და ვუდარაჯოთ, ამას მაინც ნუ დავუთმობთ სხვას.

*თამაზ ხაბეიშვილი*

***P.S.* წერილის წაკითხვის შემდეგ საოცარმა სურვილმა მოგვიცვა — გვენახა ეს ჩვენი სიმბა.**

**პატივცემულო მკითხველო! უნდა დაგვიჯეროთ, ჩვენ ის ნახევარი საათი, სიმბას საზოგადოებაში რომ გავატარეთ (არ გვეშლება, სიმბა პიროვნებაა და ის მართლაც საზოგადოებას გიქმნით), უდიდესი ემოციური მუხტის ქვეშ ვიმყოფებოდით. ბატონი მერაბის ყოველი სიტყვის შემდეგ კიდევ უფრო ვიხიბლებოდით ჩვენი ჩემპიონით, მისი „კაცური კაცობით“, ათლეტურობით და შეფერებული ღირსებით... სიმბამ იცის თავის ფასი... ერთი პატარა დეტალიც — ბატონი მერაბი შვილიშვილივით ეფერება — ბაბუ, აქ დაჯექო, ასე მიმართავს და ამ სახლის მშვენიერი დიასახლისიც დიდ სიყვარულს და პატივს მიაგებს სიმბას — არ გვიკვირს, ნაგაზი იმსახურებს ამას. რატომ დაარქვით სიმბა? — ვკითხეთ დამშვიდობებისას. მულტფილმი ხომ გახსოვთ, ლომის ბოკვერზე, იმას ჰგავდა პატარაობაში ძალიან და ჩემმა შვილიშვილმა დაარქვაო, — გვითხრა ბატონმა მერაბმა.**

**...როგორც ვინმე ძალიან ახლობელი, ასე მოგვენატრება ხოლმე სიმბა (რედაქცია).**

# სახელმწიფო ქონების იჯარიდან ბიუჯეტში წელიწადში 5.000(!) ლარი შევიდა?!

სახელმწიფო ქონების იჯარიდან სახელმწიფო ბიუჯეტში 1999 წელს 5.000 (ხუთი ათასი!) ლარი შევიდა, რაც დააფიქსირა კონტროლის პალატამ. ქონების მართვის სამინისტრომ საპარლამენტო კომისიის სხდომაზე განაცხადა, რომ დაფიქსირებული ციფრი სულაც არ შეესაბამება მათ მონაცემებს. როგორც გაირკვა, ეს ანგარიში კონტროლის პალატას მიაწოდა ფინანსთა სამინისტრომ. დღესდღეობით, საპარლამენტო კომისიაში ორი ანგარიში დევს. ერთი კონტროლის პალატისა, რომელიც ფინანსთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით გაკეთდა და მეორე — ქონების მართვის სამინისტროსი. მათ შორის სერიოზული სხვაობაა. საპარლამენტო კომისიის აპარატის უფროსმა ლადო მათიკაშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა: ამ ორი ანგარიშიდან რომელია სწორი, ამის შესწავლა საპარლამენტო კომისიას ჯერ არ დაუმთავრებია და ამიტომაც ინფორმაციას ამ თემაზე ჯერ ვერ მოგაწვდითო. ფინანსთა სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ლევან ჭიჭინაძემ კი აღნიშნა: სწორია ის ანგარიში, რომელიც ოფიციალურად წარმოდგენილ ანგარიშში შევიდა (კონტროლის პალატის), რადგან არ შეიძლება ოფიციალური ანგარიშში არასწორი ციფრი იყოს დაფიქსირებულიო.

***— საიდან აქვს ფინანსთა სამინისტროს ეს ანგარიში?***

— თითოეული ობიექტიდან შემოსული გადასახადი ცალ-ცალკე ითვლება და შემდეგ დგება ჯამი.

***— რატომ არის დიდი სხვაობა ფინანსთა სამინისტროსა და ქონების მართვის სამინისტროს ანგარიშებს შორის?***

— არ ვიცი, ვერ გეტყვით. მე ვიცი, რომ არავითარი უფლება არა მაქვს, ჩვენი შეკიტანო სამინისტროს ოფიციალურ ანგარიშში. სხვაობა კი შეიძლება იმის ბრალი იყოს, რომ ფინანსთა სამინისტროს ზოგიერთი ობიექტიდან მონაცემები არ მიუღია.

***— რამდენი ობიექტიდან შეიძლებოდა მონაცემები არ მოგსვლოდათ?***

— არ ვიცი.

***— ათიდან?***

— არ ვიცი.

***— ოციდან?***

— არ ვიცი.

ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განგვიცხადა, რომ მან საერთოდ არ იცის, ვინ რა ანგარიშებს აგზავნიდა მის მინისტრობამდე და გვითხრა, რომ მის ანგარიშში შეცდომა არ არის.

ის, რომ კონტროლის პალატის მონაცემებში 5.000 ლარია დაფიქსირებული, საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ნოდარ ჯავახიშვილმაც დაადასტურა.

— თუ ეს ნამდვილად ის თანხაა, რაც სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო ქონების იჯარიდან შევიდა, ამ საკითხს შესწავლაც აღარც სჭირდება, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ აქ რაღაც ტექნიკური შეცდომაც იყო გაპარული (გულით მინდა რომ ეს ტექნიკური შეცდომა იყოს, რომელსაც სამწუხაროდ ჯერ ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავთ). მოკლედ, ბ-ნი ჯავახიშვილი 5.000 ლართან დაკავშირებით ჯერჯერობით კონკრეტული პასუხისმგებლობისაგან თავს იკავებს. ფაქტი ერთია: ფინანსთა სამინისტრომ თავის ანგარიშში სწორედ ეს თანხა დააფიქსირა. კონტროლის პალატამ ეს ანგარიში გადაამოწმა და მის მონაცემებშიც იგივე ციფრი დარჩა. საპარლამენტო კომისიას, ჯერჯერობით, საბოლოო დასკვნა არ გაუკეთებია.

როგორც ლადო მათიკაშვილმა განაცხადა, საბოლოო დასკვნას ათ დღეში წარმოადგენს. კომისიის წევრები პირად საუბრებში აღნიშნავენ, რომ მათი დასკვნები სენსაციური იქნება და ძალიან ბევრს შექმნება პრობლემები.

„თუ საპარლამენტო კომისიამ არ წარმოადგინა სერიოზული დასკვნები ყველა საკითხზე, მაშინ გამოვა, რომ ჩვენს მუშაობას აზრი არ ჰქონია“, — გვითხრა ნოდარ ჯავახიშვილმა.

***— იმ თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხს თუ დააყენებთ, ვისი მიზეზითაც ეს ყოველივე ხდება?***

— რა თქმა უნდა, კომისია, ალბათ ამას გააკეთებს, ყოველ შემთხვევაში, ასეთია ჩვენი სურვილი და არა მგონია, ამას უმრავლესობამაც არ დაუჭიროს მხარი. პირველ სენსაციურ დასკვნას საპარლამენტო კომისია ერთ კვირაში წარმოადგენს. ამით გაირკვევა, რამდენად სერიოზულია კომისია და შეძლებს თუ არა იმ მისიის შესრულებას, რისთვისაც შეიქმნა.

*ეკა ჯანაშია*

# კარგად გააზრებული, მაგრამ მაინც აბსურდული ხელშეკრულება

## ჟინვალჰესი — 20 დოლარად(?!)

ენერგეტიკის სექტორში შექმნილ პრობლემებს სულ მალე შეიძლება ისიც დაემატოს, რომ მსოფლიო ბანკმა უარი გვითხრას დარგის აღდგენისათვის გამოყოფილ 12,5 მლნ ამერიკულ დოლარზე. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის განაწყენების საბაბად ისევ და ისევ საქართველოს ხელისუფლების უნიათობა იქცა, რომელმაც თავის დროზე თვეში სულ რაღაც 20 დოლარად მიაქირავა „ჟინვალჰესი“(მთელი თავისი ინფრასტრუქტურით) კონტროლის პალატის მიერ კორუფციაში მხილებულ ემზარ ჩაჩხიანის ფირმა — შპს „ჟინერს“.

ყველაფერი 1994 წლის 1 მაისიდან დაიწყო, როდესაც, ერთი მხრივ, საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტ „საქენერგოსა“ (მისი თავმჯდომარის მოადგილე ვაჟა მეტრეველი) და შპს „ჟინერს“ (გენ. დირექტორი ემზარ ჩაჩხიანი) შორის საიჯარო ხელშეკრულება დაიდო, რომლის თანახმად შპს „ჟინერს“ ჟინვალჰესი გადაეცა, სანაცვლოდ კი თვეში 18 მილიონი კუპონი უნდა გადაეხადა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მაშინდელი კურსით 1 დოლარი 950 ათას კუპონს უდრიდა (ეროვნული ბანკის მონაცემებით, ერთ დოლარს დაახლოებით ერთი მილიონი კუპონი შეესაბამებოდა) გამოდის, რომ ამხელა ენერგეტიკული და წყალმომარაგების ობიექტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას მიზერულ თანხად — თვეში სულ რაღაც 20 დოლარად მიაქირავეს, სტრატეგიული დანიშნულების ობიექტი, რომელსაც შემდგომში ელექტროენერგიის რეალიზაცია უნდა მოეხდინა. საიჯარო თანხის რაოდენობა რომ აბსურდამდე მიდის, ალბათ ამაში ყველა დაგვეთანხმება. რაში დასჭირდა სახელმწიფოს თავიდანვე წამგებიანი ხელშეკრულების გაფორმება? ხელშეკრულებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ მოიჯარე მთლიანად თავისუფალია თავის საქმიანობაში. თუმცა, ეს ამბავი მხოლოდ ამით არ დასრულებულა. მოგვიანებით „ჟინვალჰესი“ საქენერგოდან საქენერგო-გენერაციის ბალანსზე გადავიდა, რადგანაც „ჟინვალჰესი“ თავიდანვე განიხილებოდა წყალმომარაგების ობიექტად. თბილისის წყლის მომარაგების 80% ამ წყალსატევზე მოდის, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავებას ჰესის დატვირთვის მხოლოდ 7% ხმარდება. ამიტომ ჟინვალჰესი თბილწყალკანალის ბალანსზე გადავიდა. ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა 1999 წლის პირველ მაისს, მაგრამ ამავე ხელშეკრულების თანახმად, ვადის ამოწურვის შემდეგ მოიჯარეს ხელშეკრულების განახლების უპირატესი უფლება ეძლეოდა, რომლითაც უკვე ისარგებლა ჰესის მფლობელმა, ან უკვე „ჟინვალის განვითარების ჯგუფმა“ (კონსორციუმმა), რომელშიც შედიან შპს „ჟინერი“, კვიპროსის, არაბეთისა და ირლანდიის ფირმები.

არადა, საგულისხმოა ის გარემოება, რომ საქართველოს რესპუბლიკას მსოფლიო ბანკის წინაშე დადებული აქვს პირობა, რომ ამა თუ იმ ობიექტის პრივატიზაცია ტენდერისა და კონკურსის პირობებში მოხდება. ჟინვალჰესი კი ავტომატურად გადაეცა მის ამჟამინდელ მფლობელებს, რასაც მსოფლიო ბანკის განაწყენება მოჰყვა.

„ჟინვალის განვითარების ჯგუფმა“ ისარგებლა შექმნილი სიტუაციით და ჟინვალჰესი მომდევნო ხუთი წლის მანძილზე კვლავ დაისაკუთრა.

ყოველივე ამის შემდეგ მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა ჯუდი ო' კონორმა საქართველოს პრეზიდენტს წერილი გამოუგზავნა და შეახსენა საქართველოს ვალდებულება, რომლის მიხედვითაც პრივატიზება საჯარო წესით უნდა განხორციელდეს. ამ წერილს პრეზიდენტმა ბრძანებულებით უპასუხა, რომელიც თბილისის მერიას ავალებდა, საქართველოს სახელით მოლაპარაკება გაემართა პრივატიზაციის პროცესში მონაწილე სხვა ინვესტორებთან.

პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებით შეწუხებულმა „ჟინვალის განვითარების ჯგუფმა“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო ინვესტიციების დავების ცენტრში. ამჟამად მიმდინარეობს სასამართლო პროცესი, რომლის წაგების შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებას მნიშვნელოვანი ფინანსური ხარჯის გაწევა მოუწევს, რადგან ე.წ. კონსორციუმი ირწმუნება, რომ ჟინვალჰესის სარეაბილიტაციოდ უკვე 3 მლნ დოლარი გავიღეთ, ხოლო ამ დავიდან წარმოშობილი მორალური ზარალის ასანაზღაურებლად კი 200 ათასი დოლარი გვესაჭიროებაო.

არაოფიციალური ინფორმაციით, „ჟინვალის განვითარების ჯგუფს“ ჟინ-



ვალჰესის რეაბილიტაციის სახსრები არ გააჩნია და 60 მილიონიანი კრედიტის ალება ცდილობს სახელმწიფო გარანტიით (თუ, რაღა თქმა უნდა, ამერიკის საარბიტრაჟო სასამართლოში პროცესს მოიგებს), ეს კი ჩვენი უნიათო მთავრობის აშკარა შანტაჟია. სპეციალისტების აზრით, ჰესის რეაბილიტაციას მხოლოდ 20 მილიონი დოლარი ესაჭიროება. ხოლო დანარჩენი 40 მილიონი ვის ჯიბეშიც წავა, ძნელი მისახვედრი არ არის.

გარდა ამისა, განახლებული ხელშეკრულების კაბალურობა იმაში გამოიხატება, რომ კონტრაქტის დადებიდან 30 დღის შემდეგ ენერგეტიკის საბითუმო ბაზარი იძულებული ხდება, მთლიანად იყიდოს ჟინვალჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია. თუმცა, საინტერესოა, რატომ უნდა ჩავაყენოთ „ჟინვალის განვითარების ჯგუფი“ ასეთ პრივილეგირებულ მდგომარეობაში, მაშინ, როდესაც თვით ეი-ეს-საც კი არა აქვს ასეთი დიდი უფლებები.

აქვე გასათვალისწინებელია მეორე ფაქტორიც, ყოველივე ამის შემდეგ „წყალკანალიც“ ვალდებული ხდება ელექტროენერგია ჟინვალჰესისაგან შეისყიდოს და თუ ვალებს დროულად არ გადაიხდის, ეს ორგანიზაციაც ე.წ. კონსორციუმის საკუთრებაში გადადის.

ასე რომ, მავანთა უპასუხისმგებლობის წყალობით, ამჟამად ასეთი სურათი შეგვრჩა: ჟინვალჰესი გასარემონტებელია და დამოკლეს მახვილივით ჰკიდია თბილისის თავზე, საქართველოს მთავრობას პროცესი აქვს საერთაშორისო არბიტრაჟში, მსოფლიო ბანკის წინაშე რეპუტაციაშელახული, პირობის გამტეხი ქვეყნის სახელი შეგვექმნა და რაც მთავარია, შეღავათიან (დაბალპროცენტიან) კრედიტსაც ველარ მივიღებთ და გაუგებარი მიზეზების გამო პრივილეგიებს მივანიჭებთ „ჟინვალის განვითარების ჯგუფს“ — კვლავ ვიღაცის კერძო ინტერესს.

*ნათია გოგსაძე*

# ჩემი დედა ... ნუ მომიკვდება

ერთმა „კაი ბიჭმა“ 1980 წელს, შეიძლება ცოტა ადრეც, ითამაშა ბანქო... ითამაშა და წააგო საკმაოდ დიდი ფული... თავანის ჩაბარება მოსთხოვეს და დრო დაუთქვეს... მივიდა „კაი ბიჭი“ დანიშნულ დროს, დანიშნულ ადგილას, მაგრამ თავანი ვერ ჩაიტანა... ფეხქვეშ ჩაუვარდა, ნუ გამაფუჭებთ, ფუფლო არ ამკიდოთო და გადავადება ითხოვა... გადაუვადეს... მოვიდა ის დღეც... „კაი ბიჭი“ არ წავიდა „მაყუთის“ ჩასაბარებლად, ვერ იშოვა და იმიტომ... თვითონ მონახეს და კუკიის სასაფლაოზე აიყვანეს... იარაღი დაადეს შუბლზე — ოღონდ ორი კვირა კიდევ მადროვეთ და ჩემი დედა... თუ არ ჩაგაბაროთო — ყელგამოწეული შეეხვეწა. მოგებულებს ყურში უცხოდ მოხვდათ კაცისაგან, თანაც „კაი ბიჭისაგან“ საკუთარი დედის გინება, ეს იმ დროისთვის წარმოუდგენელი რამ გახლდათ, ჯერ არსად თქმული და არსად გაგონილი. „ძნელია არ დაუჯერო კაცს ამ სიტყვების შემდეგ“... ისინიც კიდევ ერთხელ ენდნენ და ბოლო შანსი მისცეს... იმ დღიდან წამოვიდა და დამკვიდრდა: „ჩემი დედა..., ბოზიშვილი ვიყო და ასე შემდეგ სხვადასხვა ბრუნვაში. არც რუსეთიდან შემოსულა და არც ამერიკიდან, ჩვენში იშვა და ბევრისთვის წესად იქცა. თავდაპირველად თავის მართლების და ნდობის მოპოვების მიზნით იხმარებოდა, ხოლო შემდეგ უკვე ჩვეულებრივ სიტყვის მასალადაც... იგინებიან ათი წლისანიც და ორმოცი წლისანიც, ქუჩაში, ტრანსპორტში და სუფრაზეც, იმ სუფრაზე, სადაც დიდი სითბოთი, სიყვარულით და განსხვავებული სასმისით სვამენ იმავე დედების სადღეგრძელოს... ძველად როგორ იყო? როგორ და: „შემირცხვეს ულვაში, თუ“... „ეს გული მოკვდეს, თუ“... „მე კაცი არ ვიყო, თუ“... და ა.შ. ახლანდელი 7-8 წლის ბიჭები, რომლებსაც ჯერჯერობით, თითქმის ყოველ წინადადებაზე „დედას ვფიცავარ“ აკერიათ პირზე, ხვალ უკვე ალბათ „ჩემი დედას“... ჩაუნაცვლებენ, რადგან სხვაგვარად „კაი ბიჭების სასტავში“ ვერ მოხვდები და თავს ვერ დაიმკვიდრებ. „რა ენა წახდეს, ერი დაეცესო“ — უთქვამს ჩვენს ბრძენს, რომელსაც, მადლობა ღმერთს, რომ არ ესმის დღეს შებილწული ქართული სამეტყველო ენა... დუმს და ყურებს „ხუჭავს“ საზოგადოება. აბა რა ქნან? შეარცხვინონ, შეაჩვენონ? ვერ ბედავენ, რადგან ვაითუ პასუხად მიიღონ: „შენ ვინ გკითხავს, ჩემი დედა“...ო და უფროს-უმცროსობა დაკარგულებმა „ბეზპრიდელი გაუშვან“?! ამიტომ დუმან. არადა, ამ შემთხვევაში დუმილი ოქრო ნამდვილად არ არის.




ერთ ჩვენს დიდ ტრადიციონალისტს ჩემმა კოლეგამ ქალწულობის ინსტიტუტის გაუფასურება-გადავარდნის პრობლემაზე ჰკითხა და პასუხად მიიღო, — ეგ საკითხი მე არ მაღელვებსო. საინტერესოა არა?

ახლა მოდაშია ქუჩაში ხელგადახვეული, ჩახუტებული, წელსა და თეძოებზე ხელშემოდებული, კოცნაკოცნით სიარული. აუცილებლად ამგვარად უნდა გამოხატოთ, რომ ის გოგონა, რომელიც თან გახლავთ მხოლოდ და მხოლოდ თქვენი საკუთრებაა, რომ თქვენ ერთად ასეთი ბედნიერები ხართ და უზომოდ გიყვართ ერთმანეთი. აბა მაშ, როგორ, ჩვენ ხომ ევროპელები გავხდით და იქ ასე იციან... ძველად როგორ იყო? პასუხად ცეკვა „ქართულიც“ იკმარებს, სადაც ქალის მიმართ მოწიწება და პატივისცემა და უმაღლეს ხელოვნებამდეა აყვანილი. ამ სტრიქონების წაკითხვისას ვიცი ბევრი ირონიით იკითხავს: რომელი საუკუნეა? რა დონეა? მე გიპასუხებთ: იმ ევროპელებზე მაღალი დონეა და ის საუკუნეა, რომელმაც ჩვენი სახე დაგვაკარგვინა, უსახურები გაგვხადა და რომელსაც გადაჯიშებისკენ მივყავართ. ევროპას კარგი ძალიან ბევრი აქვს, მაგრამ ჯერჯერობით, რატომღაც მისგან მხოლოდ ცუდს ვითვისებთ... სიყვარულის ახსნა როგორი ვიცით? „აუ, „პროსტა“ ჩემი დედა... ძაან მევასები, რა და მაგრად მისწორდება შენთან რო ვარ... კაროჩე, ჩემი უნდა გახდე რა...“ როგორი ახსნაა? ვერაფერს იტყვი. გოგონებიც სიამოვნებით ისმენენ. რა ჰქნან, ისინი ხომ სიხარულით მეცხრე ცაზე დაფრინავენ მაშინ, როდესაც სიყვარულში უტყდებიან. მათთვის რა მნიშვნელობა აქვს როგორია ტექსტი?

მეტროში ერთი 17-18 წლის ბიჭი თავისსავე თანატოლს რაღაცას უმტკიცებდა, რაღაცას ედავებოდა, თანაც საკმაოდ ხმამაღლა. როგორც ჩანდა, ნასვამები იყვნენ. ორთავე ერთმანეთს ეჯიბრებოდა საკუთარი დედის გინებაში. სადგურზე მათი ჩასვლის შემდეგ, ერთმა შუახნის ქალბატონმა თითქოს თავისთვის, მაგრამ გარშემომყოფთა გასაგონად აღშფოთებით წარმოთქვა: ჩემი შვილის პირიდან რომ ასეთი სიტყვები მოვისმინო, ხო მაშინვე ენა ამოვაძრე... სად იზრდებიან, ღმერთო ჩემო? — ოჯახში იზრდებიან, ქალბატონო, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, მშობლებზე მეტ „მზრუნველობას“ მათზე ქუჩა იჩენს. გარდა ამისა, თქვენ შესაძლოა კარგად ზრდით საკუთარ შვილს და მისი პირიდან ასეთი რამეები არ გსმენიათ, მაგრამ მაინც გირჩევთ, მთლად დამშვიდებით ნუ იქნებით, რადგან ისინი თითქმის ყოველთვის ახერხებდნენ, რომ შინ სხვანაირები იყვნენ და საკუთარი დედა მშობლების თანდასწრებით აუგად არ მოიხსენიონ. თუმცა, ასეთ ფაქტსაც შევსწრებივარ: ერთ-ერთ უბანში 20-ოდე წლის ბიჭები რაღაცაზე კამათობდნენ... სიბნელეში, როგორც ჩანს, ვერ შეამჩნიეს როგორ მიუხლოვდა საკუთარი მამა ერთ-ერთს და მხოლოდ მწარე ჭახანის ხმაღა გაისმა... ბიჭი ძირს დაეცა, ტუჩიდან სისხლი სდიოდა და ცრემლებს ძლივსღა იკავებდა. გულწრფელად გეტყვით, ისეთი მოხვდა, რომ მასთან ერთად ტკივილი მეც განვიცადე. არა მგონია, რომ ამის შემდეგ მას საკუთარი დედა კიდევ შეეგინებინოს. მიუხედავად ამისა, ძალისმიერი მეთოდებით ბრძოლას ალბათ ვერ გავამართლებთ. არადა, ასე „ყურებდახუჭული“ და პირბოქლომდადებულიც როდემდე ვიყოთ? მოკლედ, სანამ უფროსები რაიმეს მოიფიქრებდნენ, ჩემო საყვარელო თანატოლებო და უფრო პატარებო, ვინც თქვენდა უნებლიეთ არც კი იცით, როდის მიეჩვიეთ ამ უკადრის და საშინელ გინებებს, ერთ პატარა, ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულ რჩევას მოგცემთ. დარწმუნებული ვარ, თუ კარგად იმუშავებთ საკუთარ თავზე შედეგიც არ დააყოვნებს. დიდი შრომა კი არ არის საჭირო, უბრალოდ იმის ნაცვლად, რასაც თქვენ წარმოთქვამთ გამოიყენეთ შემდეგი ფორმულირება: „ჩემი დედა ნუ მომიკვდება“.

***მამუკა ხუციშვილი***

# «ჯაბა ჯვარს იწერსო?..»

სვანეთში საპატიო სტუმრის დახვედრის უნიკალური რიტუალი აქვთ. მაგიდაზე სუფრის მაგივრად სიფრიფანა ყველს აფენენ და მასზე შემდეგ თეფშები აღარ იდგმება. კერძი სალათის ფოთლებით შემოაქვთ. ჯაბა იოსელიანს ამგვარად არ დახვედრიან (ასე მხოლოდ საქართველოს მეფეებს, ბაგრატოვანთ ხვდებოდნენ), მაგრამ არც არაფერი დაუკლიათ.



— მე თქვენ ძალიან მიყვარხართ...

ჯაბამ საკუთარ თავს დიდებული საჩუქარი მიუძღვნა, — დაბადების დღეს ათი დღეა, სვანეთში აღნიშნავს. იუბილარს წინაპრების სოფელი ლახირი (ამ სოფელში, სადაც 70-იან წლებამდე ხელუხლებლად იყო შემორჩენილი „ლილეოს“ წარმართული დღესასწაული). თოფის სროლით, ვორგილის ცეკვით და, რა თქმა უნდა, ომახიანი „ლილეოთი“ დახვდა. მე თქვენ ძალიან მიყვარხართო, — გული გაეხსნა მხედრიონელთა ლიდერს (აღსანიშნავია, რომ ჯაბა დაბადების დღეს მისი თანამებრძოლების, მეგობარი ქალბატონების — თინიკოს და დოდოს, შვილიშვილის და სულიერი მოძღვრის, პატრიარქის მდივნის, მამა ლევანის წრეში აღნიშნავს).

თუმცა თავიდან დავიწყოთ.

ზუგდიდში ჩასულ მხედრიონის თავკაცს პარტიზანი დათო შენგელია დახვდა. მეგობრებმა ერთმანეთი მოიკითხეს და დაშორდნენ.

პირველი გაჩერება სვანეთის ათდღიან ვოიაჟში მესტია იყო. ჯაბამ მოინახულა ყველა მუზეუმი და წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში საგანგებოდ მის სახელზე გადახდილ პარაკლისს დაესწრო. საერთოდ, ჯაბა მთელი მგზავრობის განმავლობაში ღმერთს არასოდეს ივიწყებდა და, თვითმხილველების თქმით, თითქმის მთელ დროს ეკლესიაში ან ლოცვაში ატარებდა. ამ მოგზაურობაში მამა ლევანის მისია იყო სვანეთში ეკლესიის საძირკვლის კურთხევა, რომელსაც ბადრი ფიცხელანი აშენებს. ამ ეკლესიის მშენებლობა ორ თვეში დამთავრდება.

მესტიის გამგებელმა ერეკლე ჯაფარიძემ განაცხადა, რომ ჯაბას დაბადების დღეს აუცილებლად მიულოცავდა, თუმცა ხელმძღვანელების განაწყენებისა შეეშინდა თუ რა იყო, არც ამ ამბის გამო გამართულ საღამოზე მისულა და არც სუფრაზე უნახავს ვინმეს. პოლიციის უფროსი სმარგინი კი, მიუხედავად შიშისა — ვინმემ პოლიტიკურ თუ სამსახურებრივ ინტერესებში არ ჩამითვალოს ეს ჟესტიო, ჯაბას დაბადების დღეზე მაინც ეწვია და მიულოცა კიდეც.

იოსელიანს ბევრ სოფელში ელოდნენ, მაგრამ ყველგან მისვლა ვერ მოახერხა. მხედრიონის ლიდერს წინაპრების მიწაზე გაგრის მხედრიონის ყოფილი ხელმძღვანელი, ბადრი ფიცხელანი მასპინძლობდა. 10 ივლისს დაბადების დღე ფიცხელანების ცოლოურების უზარმაზარ სახლში აღნიშნეს. ამ დღეს ჯაბასთან მისი სიხარულის გასაზიარებლად ძმები — აკაკი და გია ვაშაკიძეები ავიდნენ. გია ვაშაკიძე ამისათვის საგანგებოდ ჩამოვიდა მოსკოვიდან. ამ სუფრას და საღამოს, ცხადია, არც ტყის ძმების მეთაური დათო შენგელია გამოკლებია, რომელმაც, სუფრა მალევე დატოვა.

ჯაბა მაინც ჯაბაა და მისი ყოველი ნაბიჯი ხელისუფლებაში უამრავ კითხვას და ეჭვს ბადებს, მაგრამ ჯაბა ყოველთვის ჯაბად რჩება და ხელისუფლების გულის გასახეთქად ჟურნალისტებისა და საზოგადოების თვალწინ მხიარულობს, ერთობა და მართლაც დაბადების დღეს აღნიშნავს.

თბილისი კი მისი აქ არყოფნისას ჭორებით ცხოვრობს. სარწმუნო წყაროები იუწყებიან, რომ ჯაბამ,



— თქვენი ჯაბა

შესაძლოა, სვანეთში ჯვარიც კი დაიწეროს, თუმცა ეს ამბავი ვერც დაადასტურა და ვერც უარყო ვერავინ; სანამ თავად ჯაბა იოსელიანმა (ჩვენ მას დავუკავშირდით) კატეგორიულად არ უარყო ეს ჭორი. ისღა დაგვრჩენია, მის ჩამოსვლას დაველოდოთ.

მთავარი კი ის არის, რომ ჯაბა ციხეში თუ ციხიდან გამოსული საზოგადოების აფორიაქებას ყოველთვის ახერხებს.

სვანეთში ჯაბა იოსელიანის ვოიაჟი ჟურნალისტების თანხლებით გრძელდება და ამ ვოიაჟის დეტალებს და ფინალურ აკორდს უახლოეს ნომერშიც შემოგთავაზებთ.

***ეკა ჯანაშია***

# ექსკლუზიური ინტერვიუ აკაკი ელიავას მეუღლესთან ...

9 ივლისის საღამოს აკაკი ელიავას ოჯახში შვილთან ერთად ელოდნენ. სამწუხაროდ, აუხდა აკაკი ელიავას ერთ თანამოაზრეს 19 ოქტომბრის მოვლენების შემდეგ „კვირის პალიტრაში“ გაკეთებული ორაზროვანი მინიშნება, რომ „9 მათთვის საკრალური ციფრია“.

სამეგრელოს ტერიტორიიდან, ფაქტობრივად, პირველი თამამი გადაადგილება ეროვნული გვარდიის ვეტერანთა კავშირის სამეგრელოს ბიუროს ხელმძღვანელს სიცოცხლის ფასი დაუჯდა.

შეცდომა, ღალატი თუ შემთხვევითობა? აკაკი ელიავას უერთგულეს ადამიანთა ვიწრო წრეში დანამდვილებით არავინ არაფერი იცის. დუმილი და გლოვა სენაკის „ვეფხვების“ შტაბში. ელიავას სამძიმარზე კი უამრავი ხალხია შეკრებილი, ისინიც, ვინც მასში სერიოზულ საშიშროებას ხედავდნენ და უბრალოდ ცნობისმოყვარენიც. ყველაზე დიდი უბედურება მაინც ოჯახის წევრებს დაატყდათ თავს, სადაც ერთად ყოფნას ბოლო წლების ცხოვრების გამო გადაჩვეული იყვნენ. მოხუცი დედა ერთსა და იმავეს იმეორებს: „შვილი საქართველოს სიყვარულისთვის მომიკლესო“. ქალიშვილები — 16 წლის ხატია და 15 წლის ნათია ტრავმირებულები არიან განსაკუთრებით იმით, რომ იმ დღეს მამა მათ უნდა დახვედროდა და სისხლიან თეთრ პერანგს ათვალიერებენ, რომელიც ექსპერტიზის შემდეგ დაუბრუნეს. ინტერვიუ სახეჩამოკაწრულ მეუღლესთან, **სვეტა გაბედავასთან** მაინც შედგა:

— წინა დღეს ბავშვმა დარეკა თბილისიდან, დილის 10 საათზე მარშრუტკას უნდა გამოჰყოლოდნენ და აკაკი აბაშასამტრედიამდე გზაში უნდა დახვედროდა. ჩვეულებრივი განწყობილება ჰქონდა, რაიმე განსაკუთრებული ცვლილება არ შემიტყვია, სახლიდან გასვლის წინ ყოველი შემთხვევისთვის ასე თქვა, მალე დავბრუნდები, შინ დამხვდითო. ეს იყო და ეს. არ ვიცი გზაში ასცდნენ ერთმანეთს თუ რა მოხდა, ბავშვები სენაკში მამამისის გარეშე ჩამოვიდნენ. აკაკის ცხოვრება კი ასე ტრაგიკულად დამთავრდა.

— *სამეგრელოს ტერიტორიიდან ბოლო პერიოდში იარაღით თუ გადიოდა ასე თამამად?*

— აკაკი ყოველთვის პისტოლეტით დადიოდა, სადაც არ უნდა წასულიყო, იარაღს ერთი წამითაც არ იშორებდა. თბილისშიც, სამინისტროში რომ იყო დაბარებული, მისთვის იარაღის ჩამორთმევა არავის უკადრებია, შენს კაცურ სიტყვას ვენდობითო და მინისტრთან პისტოლეტით შესულა. აკაკი ელიავას ვინ არ იცნობდა, ვითომ მანქანაში ვერ იცნეს? პოლიციაში წაიყვანეს და განყოფილებაში საბუთებით იცნეს?! ვინ პოლიციელი გააკეთებდა ამას, ყველაფერი რომ დაგეგმილი არ ყოფილიყო...

ესენი ხუთნი იყვნენ, მათ დასაჭერად ამდენი ხალხი თუ ჰყავდა შევარდნაძეს, სოხუმისთვის ჯარი არ გვყავსო, რომ გაიძახის, ეს ხალხი კაცის მოსაკლავად კი არა აფხაზეთის დასაბრუნებლად გამოეყენებინა... კენჭაძე ჩვენს სახლშიც ნამყოფია და პირადად მესაუბრა. მაშინ აკაკი ბიჭებთან ერთად ტყეში იყო. მითხრა, გუშინ აკაკის ტყეში შევხვდი, მისი სიტყვებიდან გამომდინარე, შენ გენდობა, შენს სიტყვებს უჯერებს და რამენაირად მოახერხე უთხრა, ტყიდან გამოვიდესო. თან დოლარებით სავსე დიპლომატი მოჰქონდა, შენ გქონდეს, ოღონდ შენი ქმარი ტყიდან გამოიყვანე, ერთი წელი დავიჭერ, ციხეში კომფორტულად ვაცხოვრებ, ორივე შვილს, სადაც გინდა, მოგიწყობთ სასწავლებლად, თბილისში საუკეთესო ბინას რა ადგილსაც მოისურვებთ, იქ მოგცემთო... ფულის ხსენებამ წყობიდან გამომიყვანა. ასეთები ჩვენთან არ ხდება, ქმარს დოლარებზე არ გავყიდიმეთქი, გავლანძღე. ასე უთქვამს, ცოლი უარესი ჰყოლიაო.

ბოლო პერიოდში სულ ფრთხილობდა. ხელისუფლებას არაფერში ენდობოდა. შაბათ საღამოს თავისი მოძღვრისთვის უთხოვია, გაძლიერებულად ილოცე ჩემთვისო.. მეორე დღეს ეს უბედურება დატრიალდა. სახლიდან ისე არ გავიდოდა, სანთელი არ აენთო. ჯვარს არ იშორებდა და ღვთისმშობლის მედალიონს თან ატარებდა... ჯვარი და მედალიონი ცხედარს ყელიდან ახსნეს, გაძარცვეს, ჯერ არავის დაუბრუნებია.

სამეგრელოში ეს არ მოხდებოდა. ეს შევარდნაძემაც კარგად იცოდა და სამეგრელოში რომ ვერაფერი გაუკეთა, მერე იმერეთში მოუწყვეს. ხაზს იმერეთს იმიტომ ვუსვამ, რომ ტერიტორიულად იქ მოხდა, თორემ არ გამოვყოფდი. რომ გაიძახოდნენ დესტაბილიზაციაზე, სინამდვილეში არავინ არაფერს აპირებდა. რისთვის უნდა ნდომებოდა სამეგრელოში არეულობა? დღედაღამ ვილოცებ მის სულზე, რომ ნათელში იყოს. და კიდევ დღედაღამ ვიქნები წყევლა-კრულვაში შევარდნაძის, კენჭაძის... მეტი არაფერი შემიძლია.

კითხვა, ვინ იყო ელიავა, სიცოცხლეშივე თავბრუდამხვევ თავსატეხად იქცა.

ეროვნული გვარდიის ვეტერანთა კავშირის სამეგრელოს ბიუროში თვალში მოსახვედრია მე-9 და უკანასკნელი ბიულეტენის გამოცემაც, რომელიც ინციდენტამდე რამდენიმე დღით ადრე გავრცელდა. აფხაზეთის ტყის ძმები ენგურსგამოღმა ტყის ვეფხვებს ალიანსს ჰპირდებიან. პარტიზანების გაერთიანებამ სახელმწიფო მწარე რეალობის წინაშე დააყენა. ჯაბა იოსელიანის დასავლეთ საქართველოსკენ დაძვრისა და კიტოვანთან შესაძლო ალიანსის ფონზე სერიოზული სამხედრო-პოლიტიკური ძალის წარმოქმნისთანავე აკაკი ელიავა როგორც არასდროს, საშიში და თამამი გახდა მთავრობისთვის. იარაღის ჩამორთმევის გართულებული ოპერაციის ტრაგიკული დასასრულის შემდეგ ტყის ძმების მეთაური დათო შენგელიაც დუმილს არჩევს.

დესტაბილიზაციის მითები კი ბუნებრივია ამ ფაქტმა თავისებურად განაახლა. თუმცა ზუგდიდში, სადაც გვილავა ასვენია და სენაკში, სადაც ელიავას დაასაფავებენ, სიწყნარემ და სტაბილურობამ მოულოდნელობის ყოველგვარი ზღვარი დაფარა. ელიავას ბიჭები ერთი პირობა ტყეში გაიხიზნენ, მაგრამ მცირე ხნით. ამჟამად, ელიავას სახლის გარშემო არიან შეკრებილი და გლოვობენ მეთაურის დაღუპვას. ასეა თუ ისე, ისინი მთელი ძალისხმევით და გულწრფელად ცდილობენ გააგებინონ ყველას, რომ მათი მხრიდან საპასუხო ქმედებებსა და დესტაბილიზაციას ადგილი არ ექნება.

აკაკი ელიავას დედა კი მისი შვილის გვერდით დაკავებული სამი თანამებრძოლის გათავისუფლებამდე მიცვალებულის მიწისთვის მიბარებაზე უარს აცხადებდა. დაკრძალვა კი სპეციალურად სხვადასხვა დღეს დაამთხვიეს, აკაკი ელიავას სენაკში სამშაბათს, ხოლო გოჩა გვილავას ზუგდიდში ხუთშაბათს დაასაფლავებენ.

***რუსუდან მიქენაია***

# აბსურდის თეატრის გაგრძელება – მთავარ როლში ახალი სახელმწიფო მინისტრი

გასულ კვირას ქართულმა პოლიტიკამ მორიგ „გამარჯვებას“ მიაღწია — სოხუმში, ადგილობრივ სეპარატისტულ ხელისუფლებასთან ახალმა სახელმწიფო მინისტრმა ბ-ნმა გიორგი არსენიშვილმა ერთ ძალზე საინტერესო დოკუმენტს მოაწერა ხელი:

— იკრძალება აფხაზეთის პრობლემის ძალისმიერი გზით გადაწყვეტის პროპაგანდა;

— ყველა, ვინც ეცდება აფხაზეთის პრობლემა ბრძოლით გადაწყვიტოს, სისხლის სამართლის დამნაშავედ იქნება მიჩნეული.

— ენგურის გასწვრივ, თითოეულ მხარეს უფლება რჩება, განათავსოს არა უმეტეს 600 სამართალდამცავისა (არა ჯარისკაცისა).

ე.ი. რა გამოდის? „კვირის პალიტრის“ „სამხედრო გვერდი“, ბუნებრივია, განიხილავს ყველა იმ შესაძლებლობას, ბრძოლით დაკარგული როგორ უნდა დავიბრუნოთ ასევე ბრძოლით (თავისი ნებით რომ არავინ არაფერს დათმობს, ამას, ჩვენი ხელისუფლების გარდა, ალბათ ყველა ხვდება) და ამისთვის გვერდის ავტორი შეიძლება სამართალში მისცენ, როგორც ომის პროპაგანდისტი?



აფხაზეთში ქედმოხრილები უნდა დავბრუნდეთ?!

მაშინ, ასევე სასწრაფოდ არიან დასაჭერი ის პატრიოტი ოფიცრები, რომლებიც, მიუხედავად გაჭირვებისა, მაინც არ ტოვებენ სამხედრო სამსახურს და ახალგაზრდა ჯარისკაცებს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების იმედს უსახავენ?

საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები ისევ ხელისუფლების ყველაზე მაღალ საფეხურზე როდემდე უნდა უარყონ?

ნურავის ეგონება, სტატიის ავტორი ვერ ხვდება, რომ ახალი საომარი მოქმედების დაწყება დღევანდელ კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ ჩვენს ქვეყანას საერთოდ წალეკავს. ახალი საბრძოლო მოქმედებების დაწყებისთვის ქართული არმია მზად არ არის — არც სულიერად და არც საბრძოლო რეზერვების თვალსაზრისით (ვინ მიიყვანა არმია და მთლიანად ქვეყანა ამ სავალალო მდგომარეობამდე, მკითხველი თვითონაც ადვილად განსჯის), მაგრამ რა საჭიროა იმის დაკანონება, რომ სეპარატისტებს თეორიულადაც არ ეშინოდეს გარდაუვალი შურისძიებისა?

ამ ოთხიოდე წლის წინ „კვირის პალიტრას“ არაოფიციალური საუბარი ჰქონდა მაშინდელ აშშ-ის ელჩთან. საუბრისას გამოიხატა მთლიანად დასავლეთის უარყოფითი დამოკიდებულება ახალი შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების მიმართ საქართველოს ტერიტორიაზე. ბუნებრივია, დასავლეთი ამ შემთხვევაში სწორ პოზიციაზე იდგა — ჩვენს ქვეყანაში დიდი ინვესტიციების ჩადებას მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები მკვეთრად შეუშლიდა ხელს.

ყველაზე პერსპექტიულად მოჩანდა ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება — ეკონომიკურად აღმავლობის გზაზე მყოფ თბილისთან სეპარატისტული სოხუმი ადრე თუ გვიან საერთო ენას მონახავდა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველივე ეს მხოლოდ ტკბილ ზღაპრად დარჩა. დღეს პირიქით, ისედაც შინაკორუმპირებულობით დანგრეულ საქართველოს საბოლოოდ ძირს უთხრის ცხინვალის რეგიონიდან და აფხაზეთიდან წამოსული კონტრაბანდული საქონელი. ფაქტობრივად, ისევ სეპარატისტული რეგიონებიდან გრძელდება ახალი შეტევა, ამჯერად ეკონომიკური ექსპანსიის სახით.

და ამ დროს დღევანდელი ხელისუფლება სეპარატისტებს იმ ერთადერთ შიშსაც კი უქრობს, რასაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ჰქვია. პარალელურად კი, შინ დაბრუნების ერთადერთ იმედს უკარგავს ათასობით იძულებით დევნილს — ამას უკვე სახელმწიფო ინტერესების საბოლოო იგნორირება ჰქვია!

# უსისხლო ოპერაცია შესაძლებელი იყო

9 ივლისს მომხდარმა მოვლენებმა ჩვენს საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ზესტაფონში განხორციელებული ანტიტერორისტული (თუ, როგორც მკითხველს სურს, ის დაარქვას) ოპერაციის შესახებ განვლილ ერთ კვირაში თითქმის ყველაფერი დაიწერა.

თუმცა, რჩება რამდენიმე გარემოება, რომელზეც ყურადღების გამახვილებას ეცდება „კვირის პალიტრა“.

ის, რომ ელიავა და მისი თანმხლებნი ყოველგვარი სისხლის ღვრის გარეშე შეიძლებოდა განეიარაღებინათ, დიდად საკამათო არ უნდა იყოს. იმ, მართლაც წმინდა ქართულ სიტუაციაში, რომელსაც, ეტყობა, მომავალი თაობა „მძევლების ქართულად აყვანის მეთოდს“ დაარქმევს, ნებისმიერი ქვეყნის ანტიტერორისტული ძალები მცირე მონდომების შემთხვევაშიც ხუთივეს (თუ ოთხივეს, რადგან, როგორც ამბობენ, მათგან ერთ-ერთს სამართალდამცავებთან არც ისე „ცუდი“ ურთიერთობა ჰქონდა) ყოველგვარი სროლის გარეშე დააკავებდნენ.

ამისათვის არსებობს სპეციალური მეთოდები და ასევე სპეციალური აღჭურვილობა და იარაღი. მაგალითად, იგივე შოკის მომგვრელი ხელყუმბარა „ზარია“. მისი აფეთქების ხმა 122 მმ საარტილერიო ჭურვის აფეთქების ხმის იდენტურია, ხოლო ამ დროს გამოყოფილი სინათლის ენერგია კი ელვის მყისიერ განათებას უტოლდება. ყოველივე ეს ადამიანს შოკში აგდებს, დროებით აკარგვინებს ყურთასმენასა და მხედველობას, ასეთი პარალიზება 1-5 წუთი გრძელდება (გააჩნია დაზარალებულის ჯანმრთელობას), რაც სრულიად საკმარისია მათ გასაიარაღებლად და დასაკავებლად.

როგორც თავად სამართალდამცავები ამბობენ, ელიავა, თავის ხალხთან ერთად, არც ისე ცოტა ხანი განმარტოებით იმყოფებოდა ზესტაფონის პოლიციის უფროსის ოთახში. ზემოხსენებული სპეცყუმბარა რომ გამოეყენებინათ ამ ოთახში, ოპერაცია უსისხლოდ ჩაივლიდა.

თუმცა, დამოუკიდებელ სამხედრო ექსპერტებს მაინც რჩებათ შთაბეჭდილება, რომ ელიავა ზესტაფონში საგზაო პოლიციის საგუშაგოზე დაკავებისთანავე (ან უფრო ადრე, როდესაც თბილისისკენ გამოემგზავრა) უკვე განწირული იყო.

არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ეს ოპერაცია ღამით განხორციელდა — დრო შეგნებულად გაჰყავდათ, თორემ უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის სპეცდანიშნულების ჯგუფს სულ 50 წუთი დასჭირდა თბილისიდან ზესტაფონის სტადიონამდე შვეულმფრენით ჩასაფრენად (ისე, ამგვარი სწრაფი რეაგირების სპეცსამსახურს, მსოფლიოს ამგვარივე სამსახურების მსგავსად, საკუთარი შვეულმფრენი უნდა ჰყავდეს. რამდენად შეძლებს თავად უშიშროების სამინისტრო შავნაბადას გასაიდუმლოებულ ბაზაზე შვეულმფრენის შენახვასა და მომსახურებას, ეს სხვა საქმეა). თავის მხრივ, ანტიტერორისტული ჯგუფიც ცოტა უცნაურად იქცეოდა. მისი 25 კაციანი შემადგენლობიდან ოპერაციის ადგილზე (ზესტაფონის პოლიციის შენობის სიახლოვეს) მხოლოდ 8 კაცამდე თუ იქნა გადასროლილი, დანარჩენები კი სტადიონზე უსმენდნენ ქალაქში ატეხილ სროლებს.

ოპერაციის შემსრულებელთა ყველაზე მარჯვე მოფიქრებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მათ ელიავა დაარწმუნეს, მანქანა შეეყვანა პოლიციის ეზოში, სადაც ანტიტერორისტული ჯგუფი აკონტროლებდა სიტუაციას. თუკი მანქანაში ჩასხდომა ქუჩაში მოხდებოდა, შეიძლება ბევრი რამ შეცვლილიყო.

ელიავაც და გვაზავაც, ახლო მანძილიდან, დამიზნებული სროლით არიან ლიკვიდირებულნი. ცოტა გაოცებას იწვევს სამართალდამცავების მტკიცება, — დავუძახეთ, იარაღი დაყარეთო და რომ არ შეასრულეს (საეჭვოა, ელიავას ესროლა ან ხელყუმბარა აეფეთქებინა), ვესროლეთო. საოცარია, ელიავამ ოთხსაათიანი ხვეწნის შემდეგ არ დათმო პისტოლეტი და უკუნეთ სიბნელეში ერთი შეყვირებით განიარაღდებოდა?



Свето-шумовая граната „ЗАРЯ“

ის, რაც მოხდა, მორიგი დიდი თამაშის ერთი პატარა ეპიზოდი იყო — ჯერ შეიქმნა ელიავას აურა, მოხდა მისი გამოყენება, ხოლო ბოლოს ლიკვიდაციის დროც დადგა.

მაგრამ გასაკვირია, როდესაც მხოლოდ ზესტაფონის ინციდენტზე საუბრობენ, რატომ ავიწყდება ძალზე ბევრს — ქუთაისელი ავთო მუშკუდიანი, ასპინძელი ლევან დავლაშელიძე და კარდენახელი შალვა ტეტელოშვილი, ის ჯარისკაცები, რომლებიც თავის დროზე — 1998 წლის 19 ოქტომბერს — სწორედ ელიავასა და ასმავას სამხედრო ავანტიურას შეეწირნენ? რა დააშავეს ამ პატარა ბიჭებმა, რომ დიდი პოლიტიკური თამაშის მსხვერპლნი გახდნენ?

ისე, ზესტაფონში სროლები 2000 წლის 9 ივლისს შეიძლება არც ყოფილიყო, შსს-ს 1998 წლის 20 ოქტომბერს სენაკში დაგეგმილი ოპერაცია რომ განეხორციელებინა. რამდენიმე დღის წინ შინაგან საქმეთა მინისტრმა ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ორი წლის წინ სამხედრო ამბოხის მეორე დღეს, ელიავა, თავის ხალხთან ერთად, გუბისწყლიდან სენაკში დაბრუნდა, სადაც სახლი, რომელშიც ისინი იმყოფებოდნენ, შსს-ს სპეცჯგუფს უკვე ალყაში ჰყავდა მოქცეული და ისეთი ზემძლავრი იარაღის გამოყენებას აპირებდა, რომელიც იქ მყოფთაგან ცოცხალს არავის დატოვებდა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა მართალია, არ დააკონკრეტა ამ იარაღის სახეობა, მაგრამ იგი ნამდვილად არ ტყუოდა — ელიავას მაშინდელ სამყოფელზე დამიზნებული იყო ორ ათეულამდე ერთჯერადი გამოყენების ხელის რეაქტიული ცეცხლისმფრქვეველი РПО-А. მათი თერმობარულქობინიანი რაკეტები იმ შენობაში სიცოცხლის ნიშატსაც კი გააქრობდნენ.

გარკვეულმა ძალებმა შეიძლება სცადონ ზესტაფონის მოვლენების გამოყენება ახალი ანტისახელისუფლებო გამოსვლების ასაგორებლად, თუმცა ყოველივე ეს საბოლოოდ არა ანტისახელისუფლებო, არამედ მთლიანად ანტისახელმწიფოებრივ მოვლენებში გადაიზრდება, რომელმაც შეიძლება საბოლოოდ დააქუცმაცოს საქართველო.

ნამდვილად არ ღირს, რომ ამ ხელისუფლებას მთელი ქვეყანა ემსხვერპლოს!

## არსენალი

**პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ რუსეთმა 1990 წელს შექმნა МиГ-31 ტიპის თვითმფრინავი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გამანადგურებელია. გთხოვთ გაგვაცნოთ ეს თვითმფრინავი.**

***პატივისცემით ჯაბა ქებებურია***

# МиГ- 31-ები „სტელსების“ რისხვად რჩებიან

МиГ-31 ნამდვილად კრემლის ერთ-ერთ ყველაზე დიდ სიამაყეს და ამასთანავე, ყველაზე გასაიდუმლოებულ საბრძოლო თვითმფრინავს წარმოადგენდა ორი ათეული წლის მანძილზე. ამიტომაც იმის თქმა, რომ გამანადგურებელ-გზაგადამჭრელი 90-იან წლებში შეიქმნა, მართებული არ იქნებოდა.

60-იანი წლების ბოლოს შეიცვალა თავად საჰაერო თავდასხმების კონცეფცია — თუკი მანამდე ამერიკელებიც და რუსებიც ერთმანეთის ატომურ დაბომბვას დიდი სიმაღლეებიდან აპირებდნენ, ამ ათწლეულის ბოლოს უპირატესობა ძალზე დაბალ სიმაღლეზე შეტევის განხორციელებას მიენიჭა. დაბალ, 60-100 მ-ის სიმაღლეზე მფრენი ბომბდამშენის აღმოჩენა რადიოლოკაციურ სადგურებს ძალიან უჭირთ და, შესაბამისად, მათი ჩამოგდება, როგორც საზენიტო რაკეტებით, ისე გამანადგურებელ-გზაგადამჭრელი თვითმფრინავებით ძალზე ძნელია.

სწორედ ამ მიზნის მისაღწევად 70-იანი წლების შუა ხანებში მიქოიანის საკონსტრუქტორო ბიუროში შეიქმნა პირველი საბჭოთა მეოთხე თაობის გამანადგურებელ-გზაგადამჭრელი МиГ-31. მან პირველი გაფრენა 1975 წლის 16 სექტემბერს განახორციელა.

იმის მიუხედავად, რომ მეოთხედი საუკუნის წინ შეიქმნა, ეს თვითმფრინავი დღესაც მსოფლიოში ყველაზე სწრაფ და მაღალ სიმაღლეზე მფრენ გამანადგურებელ თვითმფრინავადაა მიჩნეული. ამასთან, მასზე პირველად, ავიაციის ისტორიაში, დამონტაჟდა ფაზირებულანტენიანი ძლიერი რადიოლოკაციური სადგური, რომელსაც მიწის ფონზეც შეუძლია მოწინააღმდეგის



თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების აღმოჩენა.

დაბოლოს, МиГ-31 ამერიკულ F-14 „ტომკეტთან“ ერთად, დღემდე რჩება იმ უნიკალურ გამანადგურებლად, რომლის შორი მოქმედების „ჰაერი-ჰაერი“ კლასის მართვად რაკეტებს, მტრის საჰაერო ობიექტების ჩამოგდება 110-130 კმ-ის დაშორებიდან შეუძლია.

МиГ-31 ლეგენდარული МиГ-25-ის ბაზაზე შეიქმნა. ჩვენს მკითხველს უთუოდ ექნება გაგონილი, რომ ეს უკანასკნელი 70-იანი წლების შუა ხანებში საბჭოთა მფრინავმა იაპონიაში გაიტაცა, სადაც МиГ-25 ამერიკელებმა ნაწილ-ნაწილ დაშალეს და თითქმის ბოლომდე გაშიფრეს. ეს კიდევ ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად იქცა მოსკოვისთვის, რომ МиГ-25-ი МиГ-31-ით ჩაენაცვლებინა. ცნობისთვის: МиГ-25-ის მთავარ კონსტრუქტორად დღესაც ჩვენი თანამემამულე ლ. შენგელაია ითვლება.

МиГ-31-ის მთავარ ღირსებას, მაქსიმალური ზებგერითი სიჩქარისა — 3000 კმ/სთ და ფრენის სიმაღლის - 20,6 კმ გარდა, მისი საბრძოლო შესაძლებლობები წარმოადგენს. მას, თავისი მძლავრი ფაზირებულანტენიანი რადიოლოკაციური სადგურით, მოწინააღმდეგის გამანადგურებლის აღმოჩენა თითქმის 180 კმ-ის სიშორიდან შეუძლია. ავიაციაში კი ოდითგანვე ასეა — ვინც პირველი აღმოაჩენს მტერს, გამარჯვებულიც ის რჩება.

მიჩნეულია, რომ ოთხ МиГ-31-ს შეუძლია 800-900 კმ სიგანის საჰაერო სივრცის გაკონტროლება, რასაც დღევანდელი რუსეთისთვის, რომელმაც დაკარგა სამხრეთ კავკასიაში, ბალტიისპირეთში, უკრაინასა და შუა აზიაში განთავსებული სტაციონარული რადიოლოკაციური სადგურები, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მოსკოვი დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს სამხრეთ მიმართულებას — МиГ-31-ები განუწყვეტლივ მორიგეობენ კავკასიის ქედის ჩრდილოეთით, საჰაერო სივრცეში, რათა რომელიმე უცხო ქვეყნის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავმა არ სცადოს პარაშუტებით იარაღისა და ტყვია-წამლის ჩაყრა ჩეჩნეთის მთებში გამაგრებული პარტიზანებისთვის.

ნიჟნი-ნოვგოროდის (ყოფ. გორკის) საავიაციო ქარხანას 500-ზე მეტი МиГ-31 ჰყავს გამოშვებული. მათი წარმოება უსახსრობის გამო დღეისათვის შეწყვეტილია, რადგან ეს თვითმფრინავები ძალიან ძვირი ღირს. МиГ-31 შეიარაღებაში მხოლოდ ორ ქვეყანას — რუსეთსა და ყაზახეთს ჰყავს. რუსეთში მათი რიცხვი 280-ს აჭარბებს. თუმცა, ძალზე ხშირია მათი კატასტროფების რიცხვიც, რაც ამ გამანადგურებლის მართვის სირთულითაცაა გამოწვეული. პირველი კატასტროფა ჯერ კიდევ ცნობილმა მფრინავ-გამომცდელმა ა.ვ. ფედოტოვმა განიცადა. მისი МиГ-31-ის კაბინაში მოულოდნელად ზედიზედ აინთო განგაშის ნათურები, რაც საწვავის დაკარგვას მიანიშნებდა. ფედოტოვმაც სწრაფი საჰაერო მანევრები შეასრულა აეროდრომზე გასასვლელად, რათა დარჩენილი საწვავი დასაჯდომად ჰყოფნოდა. სინამდვილეში განგაშის ნათურების ანთება მოკლე ჩართვამ გამოიწვია, ხოლო ენერგიულმა საჰაერო მანევრებმა სინამდვილეში საწვავით სავსე (МиГ-31-ში 16,3 ტონა საავიაციო ნავთი ეტევა, რაც, დაახლოებით, ქართული მოიერიშე Су-25-ის საბრძოლო წონას უტოლდება) მძიმე, 40 ტონიანი გამანადგურებელ-გზაგადამჭრელი შტოპორში ჩააგდო და მიწას დაანარცხა. ეს საჰაერო კატასტროფების ისტორიაში ერთ-ერთი უნიკალური შემთხვევა იყო.

МиГ-31 და, განსაკუთრებით მისი ბოლო მოდიფიკაცია МиГ-31М კიდევ 5-10 წელი დარჩება იმ ძირითად იარაღად, რომლითაც მოსკოვი ამერიკელების „საოცრებას“ — „სტელსის“ სისტემის ბომბდამშენებს B-2 „სპირიტსა“ და გამანადგურებელ-ბომბდამშენ F-117-ს დაუპირისპირდება.

P.S. უკანასკნელი მონაცემების თანახმად, რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა დაიწყო МиГ-31 ტიპის გამანადგურებელ-გზაგადამჭრელი თვითმფრინავების ფართომასშტაბიანი მოდიფიკაცია მათი საზღვარგარეთ გაყიდვის იმედით.

***გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# „ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა...“

**ავტოავარია, რომელმაც ცხრა წლის მანძილზე ეჭვქვეშ დააყენა საქართველოს სამართალდამცავთა პრესტიჟი**

***უკანასკნელ პერიოდში რედაქციამ რამდენიმე წერილი მიიღო, რომლის ავტორებიც გვთხოვენ, მოვუთხროთ საქართველოში მომხდარი გახმაურებული ავტოავარიების შესახებ: „როგორც წესი, მასმედია ფართოდ მკვლელობებისა და ყაჩაღობების ფაქტებს აშუქებს, ავტოსაგზაო შემთხვევებზე კი მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები ქვეყნდება — სად მოხდა, ვისი ბრალი იყო და რამდენი ადამიანი დაზარალდა... იქნებ, „კვირის პალიტრამ“ გაგვაცნოს რომელიმე გახმაურებული ავტოავარიის დეტალები. საგზაო შემთხვევათა შედეგად ხომ ყოველწლიურად უამრავი ადამიანი იღუპება“.***

***რუბრიკა „ვერსია“ ითვალისწინებს მკითხველის აზრს და განმარტავს: საქართველოში ავტოავარიების დროს დაახლოებით 10-ჯერ მეტი მოქალაქე იღუპება, ვიდრე განზრახ მკვლელობების შედეგად...***

მასალაზე მუშაობის დაწყებისას რედაქცია დაუკავშირდა რამდენიმე ექსპერტს, ვის კომპეტენციაშიც შედიოდა გახმაურებული ავარიების გამოძიება და თითქმის ყველამ ერთხმად მოგვიგო, ბოლო 25 წლის მანძილზე რეზონანსულ ავტოსაგზაო შემთხვევებს ძირითადად ერთი კაცი (ჩვენი რუბრიკის მკითხველთათვის ალბათ კარგად ცნობილი), პოლიციის გადამდგარი ვიცე-პოლკოვნიკი *დავით ბეჟაშვილი* იძიებდაო.

დღეს ადვოკატი ბეჟაშვილი 23 წლის წინ მომხდარი შემთხვევის თაობაზე მოგვითხრობს:

შემთხვევის ადგილის საერთო ხედი



## ფაქტი

ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ავტოავარიების გამოძიება ყოველთვის მიადვილდებოდა, შესაძლოა, იმიტომ, რომ საგამოძიებო დეპარტამენტში მისვლამდე ავტოინჟინერი გახლდით, შემდეგ კი კარგა ხანს ავტოინსპექციაშიც ვიმუშავე.

1977 წლის გაზაფხულზე ხანძარმა მთლიანად გაანადგურა ზუგდიდში მდებარე ცეკავშირის უზარმაზარი ბაზა, რის გამოც რესპუბლიკა მილიონობით მანეთის ქონებით დაზარალდა. ეჭვობდნენ, რომ ბაზა თავად მისმა ხელმძღვანელმა დაწვა, რათა მანამდე მითვისებული ქონება არავის აღმოეჩინა. ასეა თუ ისე, შემთხვევამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ზუგდიდში სამართალდამცავების საუკეთესო ძალებს მოუყარა თავი.

სწორედ ამ დროს, იმავე რაიონში დაფიქსირდა სხვა დანაშაულიც, რომელმაც მთლიანად დაჩრდილა ხანძრის ფაქტი.

1977 წლის 8 ივნისს, დილის ცხრის ნახევარზე ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათთან შემაძრწუნებელი ავტოავარია მოხდა. სატვირთო ავტომანქანა „ზილ-555“, რომელსაც მთვრალი მძღოლი ვაჟა ბერულავა მართავდა, სოფელ ანაკლიის მიმართულებით მოძრაობდა. ჩაის ფაბრიკის მახლობლად, გზის სავალ ნაწილზე ბერულავამ ორ ადამიანს მოჰკრა თვალი. სატვირთოს სიჩქარე ამ დროს ძალზე მაღალი იყო, მძღოლმა დამუხრუჭება ვეღარ მოახერხა, მარცხენა მხარეს მკვეთრად გადაუხვია და საპირისპირო მიმართულებით მოძრავ „ჟიგულს“ საშინელი ძალით დაეჯახა.

დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ მსუბუქ ავტომობილში მყოფი შვიდი მგზავრიდან (აქედან სამი მცირეწლოვანი იყო) სამი, ახალგაზრდა და-ძმა და მათი ბიძაშვილი, ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო ამავე ოჯახის კიდევ სამმა ადამიანმა (მათ შორის ორმა მცირეწლოვანმა) სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო.

„ზილის“ მძღოლმა ბერულავამ, რომელიც რამდენიმე წლით ადრე ხულიგნობისთვის იყო ნასამართლევი, დაზარალებულებს არანაირი დახმარება არ აღმოუჩინა და შემთხვევის ადგილიდან სწრაფად გაუჩინარდა. მხოლოდ ერთი დღის შემდეგ გამოცხადდა ის მილიციის განყოფილებაში, თანაც არა ზუგდიდის რაიონში, არამედ სოხუმში, სადაც ნაცნობი სამართალდამცავები ეგულებოდა. თუმცა თავის დაძვრენა მაინც ვერ მოახერხა — ზუგდიდის მილიციის საგამოძიებო განყოფილებაში მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, ბერულავა დააპატიმრეს და საპყრობილეში მოათავსეს.

ავტოსაგზაო შემთხვევიდან სულ მცირე ხანში რაიონის ავტოინსპექციის თანამშრომლებმა გულმოდგინედ დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი და მოწმეებიც დაჰკითხეს. არანაირ ეჭვს არ იწვევდა ის გარემოება, რომ ავარია „ზილის“ მძღოლის გაუფრთხილებლობის შედეგად მოხდა. ყოველივე ეს მოგვიანებით კვალიფიციურმა ექსპერტიზამაც დაადასტურა, თუმცა მალე საქმემ მოულოდნელი განვითარება პოვა — ძიებაზე აქტიური ზეწოლა დაიწყო.

## ზუგდიდში არეულობაა

იმხანად სოფელ ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზაციის ბრიგადას ხელმძღვანელობდა სოციალისტური შრომის გმირი ვინმე მეუნარგია, რომელმაც თანასოფლელის — ვაჟა ბერულავას მხარდასაჭერად დიდი კამპანია გააჩაღა. მეუნარგიას თაოსნობით ინგირში გროვდებოდა ფული, რათა შემდგომ ამ თანხით გამომძიებლები მოესყიდათ და სასამართლოს სატვირთოს მძღოლი უდანაშაულოდ ეცნო. სოციალისტური შრომის გმირი ცდილობდა, საქმე ისე წარმოჩენილიყო, თითქოს დამნაშავე „ჟიგულის“ მძღოლი გახლდათ. ამის გამო რაიონში უკიდურესად დაიძაბა ვითარება, ინგირისა და დარჩელის (დაზარალებულები ამ სოფლიდან იყვნენ) მოსახლეობა ერთმანეთს დანასისხლად გადაეკიდა. ადგილობრივ გამომძიებლებს არც ერთი მხარე არ ენდობოდა და არ იყო გამორიცხული, რომ დაპირისპირებულთა შორის შეიარაღებული კონფლიქტიც დაწყებულიყო. ამასთან, დროთა განმავლობაში მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა და მალე რაიონში ისეთი უმართავი და ფეთქებადსაშიში სიტუაცია შეიქმნა, რომ ცეკავშირის ბაზაზე მომხდარი ხანძრის მიზეზების გასარკვევად ჩასულმა გამომძიებელთა ჯგუფმა თავისი საქმიანობა დროებით შეაჩერა.

შეგახსენებთ, რომ ეს მოვლენები 23 წლის წინ, კომუნისტების ბატონობის ხანაში განვითარდა, როცა მსგავსი მასობრივი მღელვარებები სსრკ-ში საერთოდ არ ხდებოდა...

მახსოვს, მიბარებს შსს-ს საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე გიგლა ნადარეიშვილი და მეუბნება, სასწრაფოდ ჩადი ზუგდიდში და ძიებაში ჩაერთე, თუ საქმე ოპერატიულად და ობიექტურად არ გამოვიძიეთ, სოფლელები ერთმანეთს დაერევიანო: „კახელი კაცი ხარ, სამეგრელოში ნათესავები არ გყავს და შენში ვერავინ შეიტანს ეჭვს...“

იმავე დღეს ვიყავი ზუგდიდში. ვეახლე სანდრო კავსაძეს (რომელიც იმ დროს გახმაურებული ხანძრის გამომწვევ მიზეზებს იძიებდა) და ადგილობრივი მილიციის უფროსს ჯემალ გაფრინდაშვილს (ნონა გაფრინდაშვილის ძმას), შემდეგ კი სამივენი პარტიის რაიკომის პირველ მდივანს ივლიანე თოდუას ვესტუმრეთ. თოდუაც შეშფოთებული იყო. მითხრა, მდგომარეობა მეტად საგანგაშოა და სასწრაფოდ უნდა განვმუხტოთო.

მუშაობას შევუდექი და ორი კვირის თავზე ძიება დავასრულე. ამ დროისათვის ინგირსა და დარჩელში ვითარება შედარებით გაუმჯობესდა, მოსახლეობა დამშვიდდა. ყველა სასამართლო პროცესს ელოდა.

პროცესი ფოთში გაიმართა. სასამართლო კოლეგიამ ვაჟა ბერულავა დამნაშავედ ცნო სამი ადამიანის გაუფრთხილებლობით მკვლელობის გამო და 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. დამნაშავის თანასოფლელთა აქტიურობა მკვეთრად შემცირდა — როგორც ჩანს, დარწმუნდნენ, რომ ავარია მართლაც ბერულავას გამო მოხდა.

ვიფიქრე, საქმე დასრულდა და ყველაფერი მოწესრიგდა-მეთქი, მაგრამ თურმე სადა ხარ! არენაზე ახლა დამნაშავის მეუღლე გამოვიდა.

## აბრამ მოვე

ბერულავას ცოლმა, ეროვნებით ებრაელმა, ადვოკატად თავისივე თანამემამულე, მოსკოვში მცხოვრები აბრამ მოვე დაიქირავა. მოვე მთელ საბჭოთა კავშირში კარგად ცნობილი თაღლითი გახლდათ. ქრთამებით, სიყალბითა და სხვა ათასგვარი ბინძური მეთოდის გამოყენებით იგი, ფაქტობრივად, ყველა საქმეს იგებდა და მუდამ ახერხებდა საკუთარი კლიენტების გათავისუფლებას.

უკვე ხანში შესულ აბრამ მოვეზე ნამდვილი ნადირობა იყო გაჩაღებული — სამართალდამცავთა ხელში ჩავარდნილი ეჭვმიტანილები არაფერს იშურებდნენ, რათა ებრაელ ადვოკატს მათი ინტერესები დაეცვა, მაგრამ მოვე მეძვირე იყო, ასტრონომიულ თანხებს ითხოვდა და დაკავებულთაგან მხოლოდ ერთეულები ახერხებდნენ მისი მომსახურებით სარგებლობას. წლების მანძილზე ბატონი აბრამი საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ხშირი სტუმარი გახლდათ — მისი კლიენტების უდიდეს ნაწილს ფულიანი კავკასიელები წარმოადგენდნენ.

ჩემთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ მაშინ საბჭოთა კავშირში მოქმედებდა კარგად ორგანიზებული და შენიღბული დანაშაულებრივი ჯგუფი, სადაც ძირითადად ებრაელები იყვნენ გაერთიანებულნი. ჯგუფის წევრები — მოსამართლეები, სსრკ-ის იუსტიციის სამინისტროსა და გენპროკურატურის მაღალჩინოსნები, ჟურნალისტები — უკანონო გზებით ათავისუფლებდნენ ნამდვილ დამნაშავეებს და აღნიშნული ორგანიზაციის სული და გული სწორედ აბრამ მოვე ბრძანდებოდა. ამ ეშმაკსა და საკმაოდ ჭკვიან კაცთან მომიწია შებმა. ბრძოლამ ცხრა წელს გასტანა!

## საქმეში მოსკოვი ერევა

აბრამ მოვემ იმით დაიწყო, რომ გაყალბებული მასალების საფუძველზე საქმე დამატებით გამოძიებაში დააბრუნებინა. ხელახლა შედგა სასამართლო პროცესი, მაგრამ ადვოკატმა სრულ წარმატებას ვერ მიაღწია (ბერულავას მხოლოდ ორი წლით შეუმცირეს სასჯელის ვადა) და შემდეგი, გაცილებით უფრო ძლიერი სვლა გააკეთა — სსრკ-ის გენერალური პროკურორის მოადგილეს საქართველოში პროტესტის წერილი გამოაგზავნინა. ეს ნიშნავდა, რომ უახლოეს მომავალში ბერულავა უნდა გაგვემართლებინა, მაგრამ სსრკ-ის უმაღლეს საექსპერტო ინსტიტუტებში თავიდან ჩავატარეთ ავტოტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზები, მივიღეთ იგივე დასკვნები, რაც უწინ გვქონდა და მოსკოვს უარის თქმა გავუბედეთ — დიდი ბოდიში, მაგრამ ბერულავა დამნაშავეა-თქო.

გადის ხანი და კვლავ გენპროკურორის მოადგილის, შემდეგ კი თავად გენპროკურორის პროტესტსაც ვიღებთ! სსრკ-ის სამართალდამცავ სტრუქტურათა ხელმძღვანელებმა უკვე სამჯერ მოგვმართეს, გადასინჯეთ ინგირელი მძღოლის საქმეო! ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო — ასეთი დონის ხალხი არასოდეს ერეოდა პერიფერიაში მომხდარი ავტოავარიის ძიების საქმეში. ბატონი მოვე თავის საქმეს აკეთებდა, ზუგდიდიდან მოსკოვში ფული ჩაჰქონდა, მაგრამ მიზნისთვის ჯერჯერობით ვერ მიეღწია. ცენტრიდან გამოგზავნილი ყოველი პროტესტის შემდეგ ყველაფერს თავიდან ვიწყებდით: ექსპერტიზას, მოწმეთა დაკითხვებს, სასამართლო პროცესს და მუდამ ერთსა და იმავე შედეგს ვაღწევდით — ბერულავა დამნაშავე იყო. თვით რუსეთის საუკეთესო კრიმინალისტებიც კი გვეთანხმებოდნენ დასკვნებში, ავარია უდავოდ „ზილის“ მძღოლის გამო მოხდაო, მაგრამ ბერულავას მეუღლე და მისი ადვოკატი დამნაშავის დასახსნელად სულ ახალ-ახალ გზებს ეძებდნენ. თაღლითობაში დახელოვნებულმა მოვემ ისიც კი მოახერხა, რომ ექსპერტთა დასკვნებში ბერულავას სასარგებლოდ ციფრები გადააკეთა, მაგრამ ჩვენ მალევე დავამტკიცეთ მისი აფერისტობა.



ამ მანქანაში მყოფი 7 მგზავრიდან სამი ადგილზევე გარდაიცვალა, სამიც მძიმედ დაშავდა.

ადვოკატი ცოფებს ყრიდა. წლები გადიოდა, ის კი ვერაფრით ეხმარებოდა კლიენტს, არადა, ამ საქმის ჰონორარი — 80 ათასი მანეთი, ბერულავას ცოლისგან წინასწარ ჰქონდა აღებული და თანხის უკან დაბრუნებაც აღარ სურდა.

მოვე გრძნობდა, რომ მისი ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე გახლდით და ერთხელ იმასაც კი მიაღწია, რომ ლამის სამსახურიდან დამითხოვეს. საკავშირო უწყებათა მეთაურების შემოტევებისგან დაშინებულმა ერთმა ჩემმა ხელმძღვანელმა თადარიგში გადადგომა შემომთავაზა, მაგრამ საქართველოს უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ მიხსნა. მავანს აუწყა, ეს კაცი მართალია და თავი დაანებეთო.

ამასობაში, საკავშირო გენპროკურატურის სასამართლოების ზედამხედველობის სამმართველოს თანამშრომლებს აღებული ფული უკან რომ არ დაებრუნებინათ, შეცდომაში შეიყვანეს სსრკ-ის გენპროკურორი და მრავალგზის კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გაუქმების საკითხი უმაღლესი სასამართლოს პლენუმზე გაიტანეს. იქ განაჩენი გააუქმეს, საქმე ამაცილეს და გამოსაძიებლად წყალტუბოს რაიონს დაუქვემდებარეს. წყალტუბოში მეათედ ჩატარდა ექსპერტიზა. ბერულავას იგივე ბრალდება წაუყენეს. 1984 წელს საქმე ხელახლა განიხილა საქართველოს უმაღლესმა სასამართლომ, რომელმაც ბერულავა დამნაშავედ ცნო.

## პროვოკაციული პუბლიკაცია

1986 წელია, გვიანი შემოდგომის დილა. მოსკოვიდან მეგობარმა დამირეკა და უსიამოვნო ამბავი მაუწყა — გაზეთ „ნედელიას“ დღევანდელ ნომერში უზარმაზარი სტატიაა, სათაურით „მუხრუჭის კვალი“, სადაც საქართველოს მთელი სამართალდამცავი სისტემა და პირადად შენც მიწასთან ხართ გასწორებულიო.

როგორც აღმოჩნდა, საქმე ცხრა წლის წინ ზუგდიდთან მომხდარ იმ გახმაურებულ ავტოავარიას ეხებოდა. პუბლიკაციის ავტორი ვინმე იუფერევი, ცოტა ხნის წინ თბილისში ყოფილა, მაგრამ სისხლის სამართლის საქმეს საერთოდ არ გასცნობია. ერთხელ, ისიც ნასვამ მდგომარეობაში, საქართველოს უმაღლეს სასამართლოს ეწვია, იქვე გაესაუბრა პროკურორ მიხეილ ქურდაძეს, ამის შემდეგ მოსკოვს დაბრუნდა და საოცრად თავხედური და სუბიექტური მასალაც გამოაცხო. სტატიაში ნათქვამი იყო, თითქოს ჩვენი სამართალდამცავები მრავალი წლის მანძილზე სრულიად უმიზეზოდ ამყოფებდნენ საპყრობილეში უდანაშაულო კაცს, ვაჟა ბერულავას. ჟურნალისტი მხოლოდ ადვოკატ მოვეს ინფორმაციას ეყრდნობოდა და აქედან გამომდინარე, საქმეს ცალმხრივად და ყალბად აშუქებდა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ იუფერევსა და „ნედელიას“ კრიმინალური ქრონიკის განყოფილების გამგეს (ორივე ებრაელი გახლდათ) აბრამ მოვესგან სოლიდური ქრთამი აუღიათ და ცილისმწამებლური პუბლიკაციაც მისივე დაკვეთით შეუთითხნიათ. არადა, იმ დროს საკავშირო გაზეთში დაბეჭდილ სტატიას უდიდესი ძალა ჰქონდა და იქ გამოთქმული კრიტიკა, ფაქტობრივად, სასამართლოს განაჩენს უდრიდა. თანამდებობის პირები, ცეკას მაღალჩინოსანთა ჩათვლით, მუდამ გულმოდგინედ კითხულობდნენ საგაზეთო მასალებს და იქ მოყვანილ ფაქტებსა თუ მოსაზრებებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ჰოდა, წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავვარდი, როცა „ნედელიაში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციის თაობაზე მაუწყეს...

დაუყოვნებლივ გავიქეცი „სოიუზპეჩატის“ ჯიხურისკენ, მაგრამ იქ მითხრეს, „ნედელიას“ ახალი ნომერი თბილისში მხოლოდ ხვალ გაიყიდებაო. ეს გაზეთი დასავლეთ საქართველოში თურმე იმავე დღეს შემოუტანიათ როსტოვის სტამბიდან, აღმოსავლეთ საქართველოს კი ბაქოდან ამარაგებდნენ და „ნედელიას“ ტრანსპორტირებაში ერთ დღეს კარგავდნენ. ერთი სიტყვით, გაზეთი თბილისში მეორე დღეს გამოჩნდებოდა და ათასობით ადამიანი წაიკითხავდა, „როგორ ვაწამებდით ალალმართალ ადამიანს.“ რაღაც უნდა მეღონა...

სამსახურში მივედი, ჩემს ერთ თანამშრომელს საქმის არსი გავაცანი, სამასი მანეთი გადავეცი და ბაქოში გავგზავნე. იგი მეორე დღეს ჩამოვიდა და გახარებულმა ასეთი რამ მიამბო: მისულა ბაქოს სტამბაში და ის კაცი მოუძებნია, ვისაც „ნედელიას“ აღმოსავლეთ საქართველოში გადმოგზავნა ევალებოდა. ბედად, ჯერ არ ჰქონდა ეს გაკეთებული. ჩემს კოლეგას უკითხავს, რა დაჯდება, გაზეთი საქართველოში რომ არ ჩავიდესო. 150 მანეთიო, უთქვამს პრესის გამავრცელებელს. თანამშრომელს მისთვის 200 მანეთი მიუცია და აზერბაიჯანელიც თურმე გადარეულა სიხარულისგან — მომავალშიც, როცა მოგინდეს, გადამიხადე ფული და „ნედელიას“ სხვა რესპუბლიკებში გავგზავნიო. მეორე დღეს ის ნომერი, სადაც მოვეს მიერ დაკვეთილი სტატია იყო, აღმოსავლეთ საქართველოს ნაცვლად „შეცდომით“ შუა აზიაში მოხვდა...

## სიმართლე იმარჯვებს

ამ ისტორიის შემდეგ ყველაფერი ისევ თავიდან აგორდა... ცხრა წლის წინ მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით ერთდროულად სამი კომისია შეიქმნა: საქართველოს უმაღლესი სასამართლოსი, აკაკი კარანაძის, ოთარ ჯიბლაძისა და გივი ჟორჟოლიანის შემადგენლობით; რესპუბლიკის პროკურატურის, რომელსაც ანზორ ბალუაშვილი მეთაურობდა და საკავშირო, შსს-ის ორი პოლკოვნიკის ხელმძღვანელობით.

კომისიებს იდენტური დასკვნები ჰქონდათ — ავტოავარიაში დამნაშავე იყო ვაჟა ბერულავა, რომელიც სამართლიანად იხდიდა სასჯელს.

როგორც იქნა, ყველაფერი დასრულდა, ამასთან, „ზილის“ მძღოლის მფარველებმა უდიდესი დანაკლისი განიცადეს.

ბერულავას ცოლის ზეწოლის შედეგად, აბრამ მოვე იძულებული გახდა მისთვის ლენინგრადში საუცხოო ბინა ეყიდა...

თავად მოვემ საქართველოში მოღვაწეობის სურვილი სრულებით დაკარგა და 1986 წლის შემდეგ აქეთ აღარც გამოუხედავს...

სამსახური დაკარგეს აბრამ მოვეს მიერ მოქრთამულმა ჟურნალისტებმა...

სავალალო ბედი ეწია საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურატურის სასამართლოებზე ზედამხედველობის სამმართველოს. ამ საქმეში მისი დანაშაულებრივი ქმედება იმდენად ცხადი იყო, რომ მოსკოვი იძულებული გახდა დაეშალა ეს სამმართველო და მისი კორუმპირებული თანამშრომლები რუსეთის მიყრუებულ ქალაქებში გადაენაწილებინა...

და რაც მთავარია — ათწლეულების მანძილზე საქართველოს სამართალდამცავი სისტემა სსრკ-ის შესაბამისი სტრუქტურების ყურმოჭრილი მონა გახლდათ და ბერულავას საქმე პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მოკავშირე რესპუბლიკამ მანამდე უძლეველი ცენტრი პირწმინდად დაამარცხა...

***გვერდი მოამზადა მიხეილ ჩერქეზიამ***

# ცხოვრებისეული კურიოზები

## წუღუღლიას მამალი

ვეტექიმმა ტუღუღლიამ კოლეგები, დათიკო და ნიკოლოზი, დაპატიჟა, — მამალს დავკლავ, ღვინო კი მაქვს, დავსხდეთ და ვიქეიფოთო. გახარებული კოლეგები მაშინვე დათანხმდნენ. დაკლა ტუღუღლიამ სამი წლის მამალი, მოხარშა, შეწვა, დაბრაწა; სუფრას ცხელი მჭადები, ყველი, პამიდორი და მწვანილი შეჰმატა და დაიწყეს ქეიფი, მაგრამ მამლის ხორცი ისეთი მაგარი გამოდგა, ვერც ერთმა ვერ შეძლო მისი გაღეჭვა და ჭამა, ამიტომ სხვა საჭმელს მიეტანნენ. დარჩა მამალი შეუჭმელი... კარგად რომ მოილხინეს, სტუმრები ჭიშკრამდე მიაცილა ტუღუღლიამ. ჭიშკარს გაცილებული დათიკო ვეტექიმი უეცრად მიუბრუნდა ჯერ კიდევ ჭიშკართან მდგარ გაღიმებულ ტუღუღლიას:



— ერთი სათხოვარი მაქვს შენთან, ჩემო ტუღუღლია და, თუ მართლა გიყვარვარ, უარი არ მითხრა, იცოდე!

— მოგიკვდეს ჩემი თავი, დათიკო!... მითხარი და, თუ მართლა შემიძლია, შემსრულებელი ვარ!

— მათხოვე, ტუღუღლია, შენი მამალი, ხვალ ჩემი უმცროსი ქალიშვილის დაბადების დღეა და, იმ ჩემ ბაღანას გეფიცები, ზეგ ქე მოგიტან უკან!

*ჯემსი კეპულაძე, ქუთაისი*

## ავტობუსში



ავტობუსში ჭარმაგი კაცი შევიდა, იქაურობა მოათვალიერა და თავისუფალი ადგილი მოძებნა — მასავით ხანდაზმულს მიუჯდა გვერდით. შეხედეს ერთმანეთს, ნაცნობები აღმოჩნდნენ.

— ოჰ, გამარჯობა შენი, როგორ ხარ?! — მიესალმა ერთი მეორეს.

— კარგად! შენ?

— მეც კარგად!

— ჰო, მართლა, გაასვენეთ ის შენი გაჭირვებული მეზობელი?

— გავასვენეთ, მაგრამ რად გინდა! პირველად კი გაგვიხარდა, სამოც ლარად რომ მოგვაქირავა დარბაზი ჟორჟიკიამ, მარა ქელეხი არც იყო დამთავრებული და, მოცვივდნენ შაშიაშვილის კაცები, სამოცი ლარი ცოტაა, ბიუჯეტში რაღა უნდა შევიდესო. გაშრა, კაცო, ჟორჟიკია. ამის შემხედვარე მეზობლებს რაღა უნდა გვექნა. დავტრიალდით, შევკრიბეთ კიდევ ორმოცი ლარი და მივაშავეთ. წაგვართვეს და წავიდნენ!

მათ უკან მჯდომმა ხნიერმა კაცმა ჩაიხითხითა:

— კიდევ კარგი, მიცვალებული რომ არ წაგართვათ შაშიაშვილმა და თვითონ არ გაასვენა!

*ჯემსი კეპულაძე*



## ასჯერ გაზომე!

სტალინი რომ გარდაიცვალა, ისე, როგორც ყველგან, ქუთაისშიც გაიმართა მოედანზე სამგლოვიარო მიტინგი. ერთი მეზობელი მყავდა, სახელად ზეიმი ერქვა. ჰოდა, შუა მიტინგზე მამამისს დაეკარგა თურმე თავისი 7 წლის ზეიმი. ეძებს შალიკია ბიძია, გაჰყვირის: ზეიმი! ზეიმი! ზეიმია! ზეიმია! სტაცა თურმე მილიციელმა ვალიკო ჩიტიანმა ხელი და გააქანა შალიკო მილიციის განყოფილებაში. ძლივს დაიხსნა საწყალმა თავი.

*ჯანო ონიანი, ქუთაისი*

## „ჭუჭყიანი" ყავა



ერთხელ, ჩვენს ეზოში სამი მეტყევე თანამშრომელი ქეიფობდა. კარგად რომ შეზარხოშდნენ ერთმა მათგანმა მეათეკლასელ ქეთის ყავა მოსთხოვა. ქეთიმ ყავა დანარჩენებსაც შესთავაზა და თან ჰკითხა:

— ათქვეფილი, ქაფიანი ყავა ხომ არ გინდათ?

— რომელიც უკეთესია!... — ასეთი იყო კუწო ძიას პასუხი-განკარგულება.

ქეთიმ თითქმის ნახევარი საათი თქვიფა „ნესკაფე" და ბოლოს სამი ფინჯანი ყავა მოქეიფე ბიძებს მიართვა. კუწომ ყავას ჩახედა, აიღო კოვზი და დაიწყო ქაფის მოხდა. ქაფიან კოვზს პირდაპირ მიწაზე ლონივრად ბერტყავდა.

ქეთის გული ეტკინა და უსაყვედურა:

— კუწო ძია, ეს ყავა ნახევარი საათი ვთქვიფე და შენ რას შვრები?!

— გოგო, შენმა ყავამ „ჭუჭყი" მოიგდო და ვაცილებ, — უპასუხა მთელი სერიოზულობით შექეიფიანებულმა კუწომ.

იქ მყოფთა ხარხარი კარგა ხანს ისმოდა ჩვენს ეზოში. გაკვირვებულ კუწოს კი ვერაფრით გაეგო რაზე ვიცინოდით.

*ნ. ჩადუნელი, ქ. თბილისი*

## ლენინი მკვდარია?!



ბაკურიანში და ბორჯომში ყველა კარგად იცნობს დიდი იუმორის მქონე ჯუდუ ქელეხსაშვილს. ბატონი ჯუდუ ამჟამად ბაკურიანი-თბილისი რეისის ავტობუსზე მძღოლად მუშაობს.

იმ „ავად სახსენებელი კომუნისტების" დროს, ყველას მოეხსენება, რომ ბევრი ყოფითი საკითხის გადაჭრას როგორი უსიამოვნებები ახლდა. ამ მხრივ, არც ბატონი ჯუდუ გამოდგა გამონაკლისი, იმ თვალსაზრისით, რომ ვერა და ვერ მოახერხა საქართველოს იმდროინდელ ხელისუფალთაგან თანხმობის მიღება — ბაკურიანში საცხოვრებელი სახლი და პირუტყვის სადგომი აეშენებინა.

ჰოდა, არც ბატონმა ჯუდუმ დააყოვნა და გადაწყვიტა მოსკოვში ასეთი შინაარსის დეპეშა გაეგზავნა:

„მოსკოვი! კრემლი, ამხანაგ ლენინს!" და მიაყოლა მთელი თავისი გადაუწყვეტელი პრობლემის ჩამონათვალი. ამის წამკითხავმა ტელეგრაფისტმა გაოცებით შეხედა ჯუდუს და უთხრა:

— კი მაგრამ, ლენინი ხომ დიდი ხანია...

— ჰოდა, ქალბატონო, ორი სიტყვით დამიწერეთ, რომ ლენინი მკვდარია! ვინ გაბედავდა იმ დროს ამის თქმას, მით უმეტეს დაწერას.

პასუხმაც არ დააყოვნა, ზუსტად ორი კვირის თავზე ბატონმა ჯუდუმ მიიღო საპასუხო წერილი კრემლიდან — ყველა მისი თხოვნა დააკმაყოფილეს.

*ალექსანდრე სუთიაშვილი*

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



გაგანია სიცხეში, შუა ქუჩაში ასფალტზე დამჯდარა კაცი და „თევზაობს". ჩამოიარა გამვლელმა და გაკვირვებული უყურებს. მერე ვერ მოითმინა, მივიდა და ჰკითხა:

— კი მაგრამ, ძმობილო, რას იჭერ?

— მომიტანე „პოლიტრა" და გეტყვი, — იყო პასუხი.

იმ წამსვე გაიქცა და მიურბენინა არაყი.

— კი მაგრამ, ახლა მაინც მითხარი, რას იჭერ?

— მესამე „პოლიტრა" დავიჭირე უკვე, — მიუგო გახარებულმა „მეთევზემ".

*ირაკლი ღონღაძე, წყალტუბო*



— კაკოია, რავა ფიქრობ, ღალატობდა ევა ადამია შტერს?

— კი, სიმონ!

— რაფერ ამტკიცებ?

— კაი, თუ ძმა ხარ, ახლა ბოვშვმაც იცის ადამიანი მაიმუნიდან რომ გაჩნდა.

*ლ. მარტვილელი*

რეიგანი კომუნისტების მტერიაო, მოსდეს ქვეყანას საბჭოელებმა. ამ ხმამ გურულებამდეც მიაღწია.

ორი გურული ყანაში მიდის, მხარზე თოხები გაუდვიათ. სადღაც დაგდებული სიგარეტის ნამწვავი იპოვეს, შევიდნენ ყანაში, ფეხი ფეხზე გადაიდეს, ის ნამწვავი ბატონკაცურად გააბოლეს რიგრიგობით, ერთმანეთს გადახედეს და მრავალმნიშვნელოვნად იკითხეს:

— რა უნდა, ბიჭო, იმ მათხუარ რეიგანს?

*ნინო კაპანაძე, ზესტაფონი*



— დღეს ხუთი ბუზი მოვკალი, — ეუბნება ვოთა დედას — ორი მამალი და სამი დედალი...

— ეს როგორ! მაინც როგორ განასხვავე მათი სქესი?

— ორი ლუდის ბოთლზე იჯდა, სამი სარკეზე.

*ზვიად მარჯანიძე. ქარელი*





უკრაინის პარლამენტში ფიქრობენ, რაში გამოიყენონ ჩერნობილის მიწები:

— ხორბლეულის დათესვა არ შეიძლება — რადიაციაა!

— არც ბოსტნეულის დათესვა შეიძლება!

— მოდით, თამბაქო დავთესოთ, კოლოფებს კი დავაწეროთ: „ჯანდაცვის სამინისტრო უკანასკნელად გაფრთხილებთ..."

*დათო ყარალაშვილი, თბილისი*



საქართველო-ნორვეგიის საფეხბურთო მატჩის წინ გასახდელში იოჰან ბოსკამპი საქართველოს ნაკრების ორ მცველს — მამუკა წერეთელს და ვალტერ გუჩუას შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

**(ი.ბ.)** — მამუკა, შენ გაბარებ ტორე ანდრე ფლოს, ხოლო შენ კი, ვალტერ, ოლე გუნარ სოლსკიაერს.

**(ვ.გ.)** — (გაოცებული) ბატონო იოჰან, ექვს კაცს თუ მე და მამუკა მივხედავთ, დანარჩენები რაღატომ გამოგვყავს მინდორზე?

*დავით ბექჰემი*

ექიმთან პაციენტი მივიდა

— ექიმო, მიშველე.

— რა გჭირს?

— პირველზე კარგად ვარ, მეორეზე არა მიშავს, მესამეზე გული მიჩქარდება, მეოთხეზე აღარ შემიძლია.

— მერე, შე კაცო, მეორეზე გაჩერდი.

— როგორ, ექიმო, მეხუთეზე ვცხოვრობ.

*გ. ლ. ქუთაისი*



***ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე***

## აფხაზეთის პრემიერ-მინისტრის ვიაჩესლავ ცუგბას აზრით,

# „დამსვენებლებს აფხაზეთის კურორტებზე არაფერი ემუქრებათ“...



გთავაზობთ ინტერვიუს ამონარიდს.

— **დღემდე გეხმარებიან საერთაშორისო ორგანიზაციები? ელოდებით თუ არა ეკონომიკურ დახმარებას საქართველოდან და რა პირობით?**

— აფხაზეთს არასოდეს უთხოვია საქართველოსთვის ფინანსური დახმარება. საუბარი შეიძლება წარიმართოს მხოლოდ ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. იმის მიუხედავად, რომ რესპუბლიკა განიცდის ეკონომიკურ სირთულეებს, რომელიც ომსა და მოქმედ ეკონომიკურ სანქციებთან არის დაკავშირებული, აფხაზეთის ეკონომიკა დინამიკურად ვითარდება. საერთაშორისო ორგანიზაციები, კერძოდ „მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ“ და „ექიმები საზღვრებს გარეშე“ აფხაზეთს ჰუმანიტარულ დახმარებას უწევენ.

— **აფხაზეთში ლტოლვილების დაბრუნების შესახებ რას იტყვით?**

— 1999 წლის 1 მარტს დაიწყო ქართველი ლტოლვილების ნებაყოფლობითი დაბრუნება გალის რაიონში. ეს დაახლოებით 60 ათასი ადამიანია, მათგან 45 ათასი ოფიციალურადაა რეგისტრირებული. სამწუხაროდ, ეს პროცესი ცალმხრივად მიმდინარეობს. ჩვენ მივმართეთ საქართველოს ხელისუფლებას და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რათა მხარი დაუჭირონ ჩვენს ინიციატივას; გალის რაიონში ყველა პირობაა შექმნილი ნორმალური ცხოვრებისათვის, მიუხედავად მძიმე ეკონომიკური სიტუაციისა. აქვე ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ქართული მხარე ყველა ღონეს ხმარობს, რომ ლტოლვილები არ დაბრუნდნენ. საქმე ის არის, რომ თუ პრობლემამ სიმძაფრე დაკარგა, მაშინ საქართველო დაკარგავს ერთადერთ „კოზირს“, რომელსაც პროპაგანდისტული მიზნებისთვის იყენებს. გალის რაიონში გამოიყენება გზების ბლოკირება და ტერორი. ამგვარად, საქართველო დესტაბილიზაციას ახდენს კონფლიქტის ზონაში. რაც მთავარია, სრულიად იგნორირებულია დაბრუნებულთა უსაფრთხოების საკითხი. მიუხედავად შანტაჟისა და ტერორის პოლიტიკისა, ლტოლვილთა ნაწილი მაინც ბრუნდება გალის რაიონში და ამით ნდობას უცხადებს აფხაზეთის ხელისუფლებას.

— **საკურორტო ზონაში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ იქ ჩასვლა არასასურველია, სანამ უძრავი ქონების პატრონები არ დაბრუნდებიან (ეთიკის თვალსაზრისით) თავიანთ ბინებში. იმასაც შიშობენ, რომ საკურორტო ზონაში ბევრი ჩეჩენი ბოევიკი იმყოფება, რომლებმაც დატოვეს სამშობლო ფედერალების ზეწოლის გამო. ნამდვილად არსებობს ეს საშიშროება?**

— რესპუბლიკაში 100-ზე მეტი დასასვენებელი სახლი, პანსიონატი, სანატორიუმი და სასტუმროა, სადაც სიამოვნებით მიიღებენ მსურველებს. წინა წლებთან შედარებით, საკურორტო ობიექტები უფრო აქტიურად მუშაობენ. ჩვენთან საგზურები ბევრად იაფია, ვიდრე სოჭში, იალტასა და სხვა შავ ზღვისპირა კურორტებზე. სოჭიდან რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე ყოველდღიურად გადმოდიან სტუმრები ავტობუსებით გაგრასა და რიწაზე, ბიჭვინთასა და ახალი ათონის მღვიმეში... ყველა კმაყოფილია. ასე რომ, ძვირფასო რუსეთის მკვიდრნო, ჩამობრძანდით ჩვენთან... რაც შეეხება ჩეჩენ ბოევიკებს, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ისინი არ არიან. ეს ინფორმაცია მიმართულია საკურორტო სეზონის ჩასაშლელად. ამჟამად აფხაზეთში დაახლოებით 100 ჩეჩენი ლტოლვილია — ქალები და ბავშვები, რომლებიც ოფიციალურად შემოვიდნენ რუსეთ-აფხაზეთის საზღვრებიდან.

— **საკონტროლო-გამშვები რეჟიმი „ფსოუზე“ რამდენჯერმე შეიცვალა; ამჟამად რომელი რეჟიმით მუშაობს?**

— რუსეთ-აფხაზეთის საზღვრის დაკეტვამ ფსოუზე რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე ნეგატიურად იმოქმედა. აფხაზეთიდან ჩვენი პროდუქცია ვერ გაგვაქვს და არც იმპორტის საშუალება გვაქვს. საქონლის რუსეთში ექსპორტის შეუძლებლობის გამო აფხაზეთი დაახლოებით 555 მლნ რუბლს კარგავს წელიწადში. საერთოდ, ეკონომიკური სანქციების შედეგად მიყენებული ზიანი წელიწადში 800 მლნ რუბლს აღწევს.

— **საქართველოს ყოფილ სახელმწიფო მინისტრთან ვაჟა-ლორთქიფანიძესთან მოილაპარაკეთ, აფხაზეთისა და საქართველოს ძალოვნებისგან შეგექმნათ სამუშაო ჯგუფი, რომელიც ერთობლივი ძალით იბრძოლებდა დანაშაულობის წინააღმდეგ. როგორ ხორციელდება ეს მოლაპარაკება?**

— იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მოსაზღვრე გალის რაიონში დივერსიულ-დამნაშავეთა დაჯგუფებები თარეშობდნენ, აფხაზეთისა და საქართველოს ძალოვან სტრუქტურათა ხელმძღვანელები შეთანხმდნენ, რომ არ გამოეყენებინათ ძალა, ყველა საკითხი მოეგვარებიათ მხოლოდ მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკების საშუალებით. იგეგმებოდა, შექმნილიყო ერთობლივი ჯგუფები, რომლებიც გააკონტროლებდნენ ვითარებას და მიიღებდნენ ყველა ღონისძიებას ნებისმიერი კონფლიქტური სიტუაციის აღმოსაფხვრელად. სამწუხაროდ, ოქმს ხელი ვერ მოეწერა საქართველოს ხელისუფლებაში აღმასრულებელ სტრუქტურებში საკადრო ცვლილებების გამო. ვიმედოვნებთ, რომ ახლო მომავალში დოკუმენტს ხელი მოეწერება. ეს იქნება სერიოზული ნაბიჯი კონფლიქტის მოსაწესრიგებლად. ამჟამად მაინც იძიებენ დანაშაულს, მიმდინარეობს ინფორმაციის გაცვლა. ვიმედოვნებთ, რომ ორივე მხარის კეთილი ნების პირობებში ეს ღონისძიებები ტერორისტული აქტებისა და დანაშაულებების წინააღმდეგ ბრძოლაში დაგვეხმარება.

***ნეზავისიმაია გაზეტა №126***

# „ედუარდ შევარდნაძე — საქართველოს მელა-პრეზიდენტი!“

„მან ხელი შეუწყო ევროპის გათავისუფლებას, გერმანიის გაერთიანებასა და ყოფილი საბჭოთა სივრცის დემოკრატიზაციას. შევარდნაძეს ცოტა როდი აქვს სატრაბახო, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დრამატული მოვლენების 10 წლისთავზე მისი კარიერა საფრთხეშია! საკუთარი ქვეყნის მისეულმა გაუბედავმა და მხოლოდ ახლობლობაზე დამყარებულმა მართვამ, გაღატაკებულ და გახლეჩილ ქვეყანას მოთმინების ფიალა აუვსო, ხოლო ე.წ. უცხოელი მეგობრები მასთან ურთიერთობის გაწყვეტამდე მიიყვანა“, — ასე იწყებს სარედაქციო სტატიას ბრიტანული ჟურნალი „ეკონომისტი“, რომლის სათაურიცაა „ედუარდ შევარდნაძე — საქართველოს მელა-პრეზიდენტი!“

სტატიაში ვკითხულობთ: „ბოროტების იმპერიის“ დანგრევა, როგორც ჩანს, უფრო ადვილი იყო, ვიდრე საკუთარი ქვეყნის მართვა. საქართველო ერთდროულად პროდასავლურიც არის და მეტ-ნაკლებად დემოკრატიულიც, რაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკისთვის იშვიათი ნიშანია! ყველაფერი კარგად რომ წარმართულიყო, საქართველო 10-20 წელიწადში, ალბათ, ევროკავშირსაც შეუერთდებოდა. მეტიც, შევარდნაძეს შორეულ მომავალში ნატოში გაწევრებაც კი სურდა. უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომლის გავლითაც კასპიის ნავთობის დასავლეთში ტრანსპორტირებაა შესაძლებელი. აყვავებული, დემოკრატიული, სტაბილური საქართველო იქნებოდა საიმედო დასაყრდენი მთელი რეგიონისათვის, ხოლო თუ საქართველო კიდევ უფრო დაეცემა და განადგურდება, კავკასია, ალბათ, კარგა ხანს კიდევ დარჩება უიმედობის ჭაობში. სწორედ ამის გამო ეხმარება ფინანსურად დასავლეთი საქართველოს, რასაც თან სდევს მოკრძალებული, მაგრამ მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარებაც, მაგრამ ამ პოლიტიკამ, ჯერჯერობით, დიდი შედეგი ვერ გამოიღო...

საქართველო დღეს მეტ-ნაკლებად სტაბილურია, მას ჰყავს შთამბეჭდავი პოსტკომუნისტური და დასავლურ ყაიდაზე აღზრდილი პოლიტიკოსების ჯგუფი, ეკონომიკაშიც შეიმჩნევა მცირეოდენი ძვრები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოში კვლავ საშინელი არეულობაა და ზოგიერთი პრობლემა შევარდნაძის კონტროლს გარეთ რჩება, მათ შორისაა, აჭარა, რომელიც ადგილობრივი ხელმძღვანელის კერძო მამულად გადაიქცა. აგრეთვე, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი და ჩეჩენთა შეიარაღებული ჯგუფები, რომლებიც საქართველოს თავშესაფრად იყენებენ. და მაინც, ქვეყნის უდიდეს პრობლემად სახელმწიფო სამსახურებში გამეფებული კორუფცია რჩება, რაც აფერხებს ეკონომიკურ წინსვლას, იმედს უცრუებს კეთილსინდისიერ მოქალაქეებს, ძირს უთხრის მთავრობას და აფრთხობს ინვესტორებს. სწორედ ამ საშინაო პრობლემების არდანახვას ცდილობს შევარდნაძე. ადრე მას შეეძლო ეთქვა, რომ პარლამენტი მხარს არ უჭერდა, ემტკიცებინა, რომ საქართველოს ჯერაც არ მოუშუშებია სამოქალაქო ომის ჭრილობები, რომ მისი პოზიციები ჯერ კიდევ საკმაოდ მყარი არ არის, მაგრამ 2000 წლის აპრილში გამართულ მრავალგზის განქიქებულ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების მოპოვებისა და 1999 წლის შემოდგომაზე მისი პარტიის ასეთივე „წარმატების“ მიღწევის შემდეგ, ამ არგუმენტებს ყავლი გაუვიდა. უკვე ყველასთვის ცნობილია, თუ ვინ რჩება მოგებული საქართველოს საბაჟოზე არსებული ანარქიით, სიგარეტის კონტრაბანდით და ენერგეტიკაში შექმნილი მაფიოზური სისტემით...

დისკრედიტირებულ სახეებს კვლავ ვხედავთ ახალ მთავრობაში, თუმცა ბევრს ეგონა, რომ ხელისუფლებას უკვე შეეხებოდა რეალური რეფორმები, მაგრამ იმედის ნაპერწკალი მაინც ბჟუტავს. კორუფციასთან ბრძოლა შევარდნაძის მუშაობის დღის წესრიგშია და იგი აცხადებს: „თუ ჩვენ კორუფციას ვერ დავამარცხებთ, იგი დაამარცხებს დემოკრატიას. ის საქართველოს დამოუკიდებლობის უდიდესი მტერია“. მაგრამ ამის შესრულება შეუძლებელი იქნება, რადგან საქართველო კლანური ქვეყანაა, სადაც მეგობრისთვის შეღავათის გაწევა უფრო დიდი მორალური ვალდებულებაა, ვიდრე წესების დაცვა და თუ ერთ მშვენიერ დღეს კორუფცია მართლაც აილაგმა, სხვა დიდი პრობლემები მაინც დარჩება: წარმოება, გზები, ხიდები და სატელეფონო ხაზები უყურადღებოდაა მიტოვებული, მოშლილია განათლების სისტემა...

72 წლის ასაკშიც კი, ბატონ შევარდნაძეს კარგად შეუძლია ლავირება, ძლიერი უცხოელებისადმი ეშმაკური მიდგომა, მისი ძველი ხერხია. ხომ ეუბნებოდა რუსეთს: „ჩვენთვის მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო“, დღეს კი, ხომ არ არის მისი პროდასავლური პოზიცია დასავლეთთან დემოკრატიულობანას თამაში? როგორც ადრე რუსებს კომუნისტობას ეფიცებოდა, რათა დასავლეთს ეთქვა — ოღონდ რუსეთს და კომუნიზმს მოშორდით და შენ და შენმა დამქაშებმა ისე მართეთ საქართველო, როგორც გენებოთო, ეს რა თქმა უნდა, ცინიკური თვალთახედვაა, მაგრამ არსებობს და მხოლოდ თავად შევარდნაძეს შეუძლია და ვალდებულიცაა, გააქარწყლოს ის თავისი ხალხისა და უცხოელების თვალში“.

***ეკონომისტი***

# დაუჯერებელი სენსაცია

საინფორმაციო წყაროების თანახმად, რუსეთის ჯარების გაერთიანებული დაჯგუფებები ჩრდილო კავკასიაში მძაფრი ბრძოლებისთვის ემზადებიან. გავრცელდა სენსაციური ცნობა, რომ ჩეჩენი ბოევიკების სამოქმედო გეგმა შემუშავებულია ნატოს ერთ-ერთი წევრი ქვეყნის გენერალური შტაბის ოფიცრების მიერ. ამ გეგმის მიზანია, ჩრდილო ოსეთის დედაქალაქსა და ჩეჩნეთის ქალაქებში ტერაქტების მოწყობა, რომელიც რუსული დაჯგუფებების ყურადღებას მოსწყვეტს საქართველოს, საიდანაც, კერძოდ, პანკისის ხეობიდან, რუსეთის საზღვარს გაარღვევენ ჩეჩენ ბოევიკთა დაჯგუფებები. დასახელებულია ბოევიკთა რიცხვი — არანაკლებ 1.500 ადამიანისა, ისინი შეიარაღებული იქნებიან თანამედროვე ცეცხლსასროლი იარაღით, მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებით, ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსით „მილანი“ და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსით „სტინგერი“. ამასთან სამხედრო სტრუქტურების საინფორმაციო წყაროები ეყრდნობიან მასხადოვის საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ბანდებსა და ნატოს ქვეყნის გენშტაბის რადიოგადაცემების ანალიზს. სამხედროები დარწმუნებულნი არიან, რომ საქართველოდან ჩეჩნეთში გარღვევის მცდელობა ბანდიტებმა, შესაძლოა, ოკინავაში „რვიანის“ შეხვედრის წინა დღეებს დაამთხვიონ. მაგრამ უცხოელი შტაბისტების მთელი ეს მოზაიკა ჩაიშალა: რუსი მესაზღვრეები გაანადგურებენ საზღვრის დამრღვევ ნებისმიერ ბანდას, ქართველი მესაზღვრეები კი ირწმუნებიან, რომ პანკისის ხეობაში ჩეჩენი ბოევიკები არ არიან, თავად შევამოწმეთო.

ცნობა, ნატოს სამხედროების მონაწილეობის თაობაზე, თუნდაც ტაქტიკური გეგმის შემუშავებაში, რუსეთის მხარემ პირველად გამოაქვეყნა; თანაც სამიტის წინა დღეებში. ჯერჯერობით ამ უცნობი წყაროს სენსაციურ ინფორმაციას არც ნატოს და არც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს რეაგირება არ მოჰყოლია. რუსეთის თავდაცვის სამინისტროც მრავალმნიშვნელოვნად დუმს. ყველა ელის კონფლიქტის მომწიფებას. „ცივი ომის“ დროიდან მოყოლებული, ნატო პირველად დაადანაშაულეს რუსეთის საშინაო საქმეებში ჩარევაში. ამ ფაქტმა შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს რუსეთისა და საზღვარგარეთის ქვეყნების თანამშრომლობას ყველა დარგში.

***იზვესტია***

# რას გვეტყვი, მამაო?

— **შეუძლიათ თუ არა უნათლავ ბავშვებს ჯვრის ტარება და ლოცვების კითხვა?**

— რა გიშლით ხელს, რომ მონათლოთ ბავშვები? დღეს ხომ ამისთვის არ სჯიან, როგორც კომუნისტების დროს სჯიდნენ. მონათლული ყოველივეს საეკლესიო წესისა და რიგის მიხედვით აღასრულებს.

— **არის თუ არა შესაძლებელი, რომ ბოროტმა სულმა მოინანიოს?**

— ბოროტმა სულმა დაამტკიცა, რომ მისგან სინანულის მიღწევა შეუძლებელია. და ეს დამოკიდებულია არა ღმერთზე, არამედ მის თავისუფალ ნებაზე, რომელიც მხოლოდ ბოროტებისაკენ არის მიმართული და მომეტებული სიამაყის გამო გამორიცხავს ყოველგვარ სიმდაბლეს.

— **კანდელის დანთება ყოველდღე შეიძლება თუ მხოლოდ დღესასწაულებზე?**

— კანდელის დანთება უმჯობესია ყოველდღე, ლოცვითი კანონის შესრულების დროს მაინც. ხოლო თუ გაქვთ საშუალება, კარგი იქნება, თუ თქვენი კანდელი ხატის წინ რაც შეიძლება დიდხანს ენთება. კანდელი განაწყობს თქვენს სულს ლოცვისათვის და მის სიმბოლურ სახედ წარმოგვიდგება.

— **რა სულიერი სარგებლობა მოაქვს „ფსალმუნების“ ხშირად კითხვას საეროთათვის?**

— „ფსალმუნების“ კითხვა ბოროტ სულს განაგდებს თქვენგან და თქვენს სულში სულიწმიდას ჩაასახლებს. „ფსალმუნთა კითხვითა და მოწყალების გაღებით სული განიწმინდება ცოდვებისგან“ — ამბობდა დაყუდებული გიორგი ზადონელი.

— **რატომ არის საჭირო ცოდვის ჩადენის შემდეგ მალევე მონანიება?**

— ცოდვა გვაშორებს მადლს უფლისას. ყოველი ცოდვა, სინანულისგან განუწმენდელი, მაშინვე საკუთარი ტვირთის სიმძიმით იწვევს სხვა ცოდვას.

— **რას ნიშნავს მირონცხება?**

— მირონცხება ეს არის ერთი მართლმადიდებლურ-ქრისტიანული საიდუმლოთაგანი. იგი გაერთიანებულია წმიდა ნათლობასთან და ხდება ცხოვრებაში ერთხელ. ამ საიდუმლოს აღსრულებისას სულიწმიდის ბეჭედი ენიჭება მორწმუნე ადამიანს, რაც მას ეხმარება ქრისტეს მცნებათა განუხრელად დაცვაში. მირონცხებული გახლდათ ხელმწიფეც — რათა მას სვიანად ემართა თავისი ხალხი.

— **ძალიან ხშირად, სალვთო ლიტერატურაზე საუბრისას, ახსენებენ „წმიდა წერილს“. გთხოვთ განგვიმარტოთ, რომელი წიგნები იგულისხმება მასში?**

— „წმიდა წერილი“ გულისხმობს ძველსა და ახალ აღთქმას ერთად.

— **როდესაც ლოცვებს ვკითხულობ და წინ არ მინთია სანთელი, მივა თუ არა ჩემი ლოცვა უფლის ყურამდე?**

— სანთელი ლოცვის სიმბოლოა. კარგია, როცა ის გინთიათ ლოცვის დროს, მაგრამ ეს არ არის აუცილებელი პირობა თქვენი ლოცვის უფალთან მისასვლელად. სიყვარული ღმრთისა, გულწრფელი სინანული ცოდვათა გამო, აი უმთავრესი წინაპირობები უფლისთვის სათნომყოფელი ლოცვებისა.

— **თუ შეიძლება გვირჩიეთ, რომელი წმინდანის მიმართ უნდა ვილოცოთ, რომ ჩვენს სულებში სიმშვიდემ დაისადგუროს და ჩვენს ოჯახშიც ბედნიერება სუფევდეს?**

— ეკლესიაში მაგია არ არსებობს. როდესაც ჩვენ გვსურს რაიმე მივიღოთ უფლისგან ან მისი წმინდანებისგან, არა მარტო უნდა ვილოცოთ მათზე, არამედ მთელი ცხოვრება ავაგოთ უფლის მცნებათა მიხედვით. ბევრის შემძლეა მართალთა ლოცვა და პირიქით. უფალი არ უსმენს ცოდვილთ, იმიტომ, რომ მათ თავად არ სურთ უფლის მოსმენა. სახარების მეოხებით ღმერთი ყველას მიმართავს თხოვნით, რომ ვიყოთ კეთილნი, მოყვარულნი, თავმდაბალნი და ა.შ. მაგრამ ჩვენ ყურად არ ვიღებთ ამ თხოვნებს და თვით კი ვითხოვთ, რომ შემწეობა გაგვიწიოს. ისეც ხდება, რომ უფალი გვახსოვს მხოლოდ გაჭირვების ჟამს. იგი გვისრულებს თხოვნას, ჩვენ კი მადლობის გადახდაც გვავიწყდება და მივმართავთ კვლავ მხოლოდ მორიგი განსაცდელის ჟამს. დღეკეთილობისას არც კი გვახსენდება უზენაესი.

რაც შეეხება ჩვენს სურვილებს, მათ აღსასრულებლად შეგვიძლია მივმართოთ მრავალ წმინდანს, თვით უფალ ღმერთს, ღვთისმშობელსაც, მაგრამ მანამდე სასურველია ვიცნობდეთ სახარებას (სადაც ჩვენი სარწმუნოების მრწამსია გადმოცემული), წმინდანთა ცხოვრებას, რის შემდეგაც ისინი ჩვენთვის უფრო მახლობელნი გახდებიან და მათ მივმართავთ გულითადი ლოცვითა და მთელის არსებით.

— **„ლოცვანში“ დაბეჭდილია მრავალი ლოცვა, რომელთაგან ზოგიერთი ზეპირად ვიცი, ზოგსაც ვკითხულობ. მაგრამ ზოგჯერ ჩემი სიტყვებით მივმართავ ხოლმე ღმერთს. რამდენად სწორად ვიქცევი, მიუღებელი ხომ არ არის უფლისთვის ჩემი საქციელი?**

— თქვენ შეგიძლიათ ილოცოთ, როგორც დაკანონებული ლოცვებით, ისე თქვენი სიტყვებითაც. ზოგჯერ, თუ გული გთხოვთ საკუთარი სიტყვებით მიმართვას უფლისადმი, სწორედ რომ შეუცვლელია ასეთი ლოცვა!

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 28***

***თქვენს შეკითხვებს პასუხობენ მართლმადიდებელი მამები***



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. მადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით, და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები ბრძნობენ

**2,5 წლის ელენე დუგლაძეს** ვეებერთელა ვაშლი მიაწოდეს. ატრიალა, ატრიალა, ვერ ჩაკბიჩა:
— რა ღონიერი ვაშლია! — ბრაზით ჩაილაპარაკა მან.

**პატარა გიგლა** სოფელში წაიყვანეს. იგი გაოცებული უყურებს, როგორ წოვს ხბო ჯიქანს. დედა ეუბნება: შენ რომ პატარა იყავი, ძუძუს გაწოვებდი.
— ეს როდის, დედიკო, შენც რომ ძროხა იყავი?!

**4 წლის ნუგზარიკო ჩხეტიანი** ბებიას ეკითხება:
— ბებიკო, ტელევიზორის შუშა (ეკრანი) რომ გავტეხო, იქიდან ხალხები რომ გამოვა, რას იზამს? რას მეტყვის?

**პირველი კლასელი ირაკლი სექანია** მასწავლებელს ეუბნება:
— ჩემი ბებია მათემატიკის მასწავლებელია, მაგრამ არაფერი არ იცის.
— შენ საიდან იცი? — ეკითხება მასწავლებელი.
— სულ მე მეკითხება 7-2? 3+5... რამდენია?

**4 წლის თაკო** დედაშვილობანას ეთამაშება თავის 16 წლის ბიძაშვილს (ბიჭს).
„დედა“:
— შვილო, ძილის დრო მოვიდა.
— კარგი, დავიძინებ.
„დედა“:
— მოიცა, ჯერ ჩაგბანო!

ფანჯრის რაფაზე შემოსკუპებული **მაკო ლაშხი** მზიურში მოსიარულე ძროხებს უყურებს:
— ლია ბებო, რას აკეთებენ ძროხები?
— ბალახობენ, პასუხობს ბებია.
— პადუმაეშ მე კიდევ ვსუპაობ ხოლმე.

**2 წლის ნინიკო** კავკასიძეს მამა უჩვენებს აყვავებულ შინდს.
— ნახე, როგორ ყვავის შინდი.
ნინიკო უყურებს აყვავებულ შინდს და თან სმენად არის ქცეული
— მამა, აბა, რატომ ყვა-ყვას არ იძახის?

## დაბადების დღე

ერთი კაცი მუდამ იხდიდა დაბადების დღეს ე.წ. დღეობას. როდესაც ბავშვი იყო, ყოველთვის უხდიდნენ მშობლები, ხოლო როდესაც წამოიზარდა, იხდიდა თვითონ. წესად ჰქონდათ შემოღებული: როგორც კი გადაიხდიდნენ დღეობას, ქილაში აგდებდნენ ერთ კენჭს, როდესაც ეს კაცი ღრმად მოხუცდა, გადაწყვიტა გამოეთვალა რამდენი წლისა იყო. გადაითვალა კენჭები და გამოვიდა ოცი. რატომ მოხდა ასე? გვიპასუხეთ წერილობით.

**წინა ნომრის „მოთხრობა-გამოცანის“ სწორი პასუხები გამოგვიგზავნეს:** თეიმურაზ ვარდოსანიძემ, დათო, ლევან და მერაბ კოსტავებმა, ზვიად მარჯანიძემ, შაკო მანაგაძემ, ანა დვალიშვილმა, მარიამ და თამაზ უგუზაშვილებმა, ლევან ბიჩინაშვილმა, მაკა შიოშვილმა, ქეთევან ქუთათელაძემ, გვანცა ციხელაშვილმა, დავით სინაურიძემ, სალომე და ვალერიან შალამბერიძეებმა.

**სწორი პასუხია:** ვეზირმა, როდესაც მას მიაწოდეს ქუდით ორი დაკეცილი ქაღალდი, ერთი მათგანი უცბად აიღო, ჩაიდო პირში და გადაყლაპა. დამსწრეები შეშფოთდნენ, მაგრამ მან ისინი დაამშვიდა: ამოიღეთ დაკეცილი ქაღალდი და თუ იქ წერია „სიკვდილი“, მე „სიცოცხლე“ გადამიყლაპავსო. ამ ხერხით ვეზირმა შეძლო თავის გადარჩენა.

## I რებუსი



## II კროსვორდი



კროსვორდში ქვეყანათა სახელწოდებების შეტანით ყვითელი ფერის ვერტიკალურ სვეტში მიიღებთ თქვენი საყვარელი გაზეთის სახელწოდებას.

გამოიცანით გამოტოვებული ასოები და [illegible]




## იპოვეთ 15 განსხვავება



## IV









ეცადეთ მოხვდეთ ლაბირინთის გულში

## გამოიცანით რომელი ფსევდონიმი რომელ პიროვნებას ეკუთვნის?

V

1. იეთიმ გურჯი
2. კამო
3. ლენინი
4. მარკ ტვენი
5. ჰიტლერი

1. სიმონ ტერპეტროსიანი
2. სემიუელ კლემენზი
3. დაბლიშვილი
4. შიკლგრუბერი
5. ვლადიმერ ულიანოვი



ამ ქართველი მწერლის კალამს ქვემოთ ჩამოთვლილი ნაწარმოებებიდან, მხოლოდ ერთი არ ეკუთვნის. გამოიცანით მწერალი და გამორიცხეთ სხვისი.



1) სტუმარ-მასპინძელი;
2) ბახტრიონი;
3) გამზრდელი;
4) ალუდა ქეთელაური.

VI




გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

პასუხები იხილეთ 25-ე გვერდზე

# ტკივილიანი წარსული, წინდაწინ წაგებული ომი და დღევანდელობა

**ქუჩებში ეყარა თვალებდათხრილი, ცხვირ და ყურებდაჭრილი გვამები, კაცებს სასქესო ორგანოც მოჭრილი ჰქონდათ. მივდიოდი ჩემს საყვარელ ქუჩებში, სადაც კენჭიც კი ნაცნობი იყო და ხმამაღლა ტირილი მინდოდა. მერე გამახსენდა აფხაზების დანაქადები: თუ ტირილის ხმას გავიგონებთ, ჯერ ენას ამოგგლეჯთ და მერე დაგხვრეტთო...**

არსებობს ტკივილი, რომლის გახსენებაც აღარ უნდათ, რადგან ტრაგიკული წარსული აწმყოსა და მომავალსაც უიმედოდ სახავს. ელდა, რომელიც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მკვიდრმა მაცხოვრებლებმა გამოიარეს, არ განელებულა, უბრალოდ, ის შეგნებულად მიჭუჭკეს გულის კუნჭულში, რათა ცხოვრება გაგრძელებულიყო, მართალია, მდორედ, მაგრამ მაინც დინებით. გაჩერება ხომ სიკვდილის ტოლფასია...

სიკვდილი კი არ შეიძლება, იმიტომ რომ, არსებობს მოვალეობის გრძნობა ახლობლებისა და ქვეყნის წინაშე, რაც მთავარია, არსებობს სიყვარული საკუთარი სახლ-კარისა და მიწის გოჯისაც კი.

ჩემი რესპონდენტი გაგრელია. მას თვალზე ცრემლი კარგა ხანია გაუშრა, მაგრამ წარსული დღეების გახსენება დიდი ემოციების მოთოკვის ხარჯზე უხდება. იგი მთხოვს, არ გავამჟღავნო მისი ვინაობა, თუმცა იქვე დასძენს: ბევრი, ვინც მიცნობს, ისედაც მიხვდება, რომ მთხრობელი მე ვარ, ხოლო ვინც არ მიცნობს, აფხაზეთიდან გამორეკილი ყველა ქართველის პირით მე ვილაპარაკებ, რადგან თითოეულ ჩვენგანს, მართალია, ჩვენ-ჩვენი საამბობი გვაქვს, მაგრამ ტკივილი მოუშუშებელია და საერთო...

— 1991 წლის აპრილ-მაისში დაძაბულობა იგრძნობოდა. ყველა დაწინაურებულ ქართველს თანამდებობიდან ხსნიდნენ. რაღაცას ვგრძნობდით, მაგრამ ამ „რაღაცაში“ ომს ვერც კი წარმოვიდგენდით. ერთი კია, ქართველები ხალხმრავლობას, განსაკუთრებით კი, ქორწილებს და ქელეხებს ვერიდებოდით, რადგან ვიცოდით, იქ შესაძლებელია რომელიმე მთვრალი აფხაზი უმიზეზოდ „ამხტარიყო“ და შარი მოედო ჩვენთვის.

16 აგვისტოს მხედრიონელები ტანკებით შემოვიდნენ გაგრაში, თან გვაიმედებდნენ, — ნუ გეშინიათ, თქვენს თავს არავის დავაჩაგვრინებთო. ეჰ, ნეტავ, არ შემოსულიყვნენ. სწორედ მათი შემოსვლა გახდა მიზეზი შემდგომში დატრიალებული სისხლიანი ბაკქანალიისა. იმ დღესვე, დღის 3 საათზე, აფხაზეთის ტელევიზიამ გამოაცხადა, — ქართული ჯარი აფხაზეთის ტერიტორიაზე უკანონოდ შემოიჭრაო. აფხაზები თავიანთი „უნიფორმით“ — შუბლზე გაკრული მწვანე ლენტებით — ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ, მობილიზაციას აცხადებდნენ და მცირე ზომის ავტობუსებით უკან, გუდაუთისკენ იხევდნენ. ჩვენ კი — იქაური ქართველი მოსახლეობა — ცხვრებივით ვიდექით. არ ვიცოდით, რა გაგვეკეთებინა. დემერჯიპას ქუჩაზე ვცხოვრობდი, მის ზედა მხარეს აფხაზები სახლობდნენ, ქვემოთ კი სულ ქართველები ვიყავით და ეზო-ეზო მოწანწალე-მოხეტიალე მხედრიონელებისაგან ვიცავდით ჩვენს არაქართველ მეზობლობას. რაც შეეხება სურსათ-სანოვაგეს და მასპინძლობას, ჩვენც „ვიპატიჟებდით“ და იმათთვისაც რომ მოეთხოვათ, რაიმე გვაჭამეთო, რა გასაკვირი იყო? მხედრიონელებს, რაც მოეწონებოდათ და რაც უნდოდათ, ის მიჰქონდათ, თუმცა ის კი არ გამიგია, რომ მათ რომელიმე აფხაზ ქალზე ძალა ეხმარათ ან ფიზიკური შეურაცხყოფა მიეყენებინათ, არამცთუ ვინმე დაეხვრიტათ. საავადმყოფოს მთავარი ექიმი (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ) ნარკოტიკებს უხვად ურიგებდა მხედრიონელებს. განა ნარკომანის მოგებული საქმე, ომზე აღარაა ლაპარაკი, გაგიგიათ სადმე? ისინი ადგილობრივი ქართველების სიას ადგენდნენ, რათა ახლო მომავალში იარაღი დაერიგებინათ. როცა მხედრიონელები გაიქცნენ, სია აფხაზებს ჩაუვარდათ ხელში და მათ ამ სიის მიხედვით იმ პიროვნებების ძებნა დაიწყეს, რომლებმაც გაბედეს და სურვილი გამოთქვეს აფხაზების წინააღმდეგ იარაღი აეღოთ. ამ სიაში ჩემი ქმარი, მაზლები და მაზლიშვილებიც იყვნენ.

29 სექტემბერს, ქართველ მეზობელთან ვიყავი გადასული. ორივენი ვგრძნობდით, რომ ჩვენი საქმე უკან მიდიოდა, მაგრამ არ გვინდოდა დაგვეჯერებინა, რომ ომი წინდაწინ იყო წაგებული, ჩვენს სახლ-კარსაც ვერ ველეოდით. სადღაც, გულის კუნჭულში იმედი ბჟუტავდა, რომ დიდი ხნის კარგი მეზობლობა იხსნიდა ჩემს სახლს დაწვისაგან, მე კი — სიკვდილისაგან. მე ხომ დავიცავი აფხაზი მეზობლები მხედრიონელებისაგან, ისინიც ასევე დამიცავენ-მეთქი, — ვფიქრობდი და თურმე ვცდებოდი. როდესაც დაძაბული სიტუაცია კულმინაციას აღწევს, იქ უკვე ველარავინ დაგეხმარება. სწორედ იმ დროს, როცა მე და ქართველი მეზობელი ვსაუბრობდით და გეგმებს ვაწყობდით, ჩვენთან მოვიდა აფხაზი მეზობელი — სვეტა მუკბა, რომელიც დასასვენებელი სახლის „სკალა“-ს დირექტორი იყო, პროფესიით ისტორიკოსი. 2-3 დღეში ჩვენები შემოვლენ და იცოდეთ, თქვენს გადარჩენას ველარ შევძლებთო, — გვითხრა. 1 ოქტომბრის ღამეს ჩემი ორი ქალიშვილი და შვილიშვილები სოჭში გავისტუმრე დედამთილის დასთან. მე, ჩემი ქმარი, მაზლი და მაზლის ცოლი დავრჩით. 2 ოქტომბერს 11 საათზე გაგრა დაეცა. იმ დღესვე აფხაზები ჩემს ოჯახში შემოცვივდნენ (ქმარი რუს მძახლებთან გავხიზნე, მე კი სახლს ვდარაჯობდი), ყველაფერი გავეცი, რაც კი შემეძლო — ტანსაცმელი, საჭმელ-სასმელი.

აფხაზებთან ერთად დათარეშობდნენ ჩეჩნები, კაზაკები, ადიღეელები, განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა სომხების ბატალიონი, რომელიც შეადგინა ბიჭვინთაში მცხოვრებმა ერთმა სომეხმა მილიციელმა.

სვეტა მუკბასთან ვიმალებოდი. იმედი მქონდა, რომ ცარიელ სახლში შეჭრილი გამხეცებული აფხაზები არ გადამიწვავდნენ სახლკარს. ერთხელ, მახსოვს, მოსალოცი დეპეშა მოუვიდა სვეტას, მან გაბრწყინებული თვალებით წაიკითხა და დარწმუნებული ვარ, ჩემთვის დატოვა მაგიდაზე, თუმცა არაფერი უთქვამს. როდესაც ის ოთახიდან გავიდა, ვერ მოვითმინე და დეპეშა წავიკითხე. „Поздравляем с победой“, — ულოცავდნენ მას სოხუმელი მეგობრები. თავზარი დამეცა. 2-დან 29 ოქტომბრამდე გაგრაში კი არა, ჯოჯოხეთში ვცხოვრობდით. აფხაზებმა გაიგეს, რომ სვეტასთან ვიმალებოდი და დაკითხვა მომიწყვეს. აინტერესებდათ, სად იყვნენ ჩემი ქმარი, მაზლი და სხვა ახლობლები, რომლებიც თავის დროზე იარაღის სიაში ჩაეწერნენ. ცივად ვიუარე — არ ვიცი-მეთქი. რომც მოვეკალი, როგორ ვიტყოდი მათ ადგილსამყოფელს? ჩემმა აფხაზმა მეზობელმა იმ საღამოსვე მითხრა, — ველარ შეგიფარებ, ვერ ავიტან, რომ ჩემს ოჯახში ქართველის სისხლი დაიღვაროსო. იძულებული გავხდი, დამეტოვებინა მუკბას სახლი. წავედი ჩემს მძახლებთან, სადაც ჩემი მეუღლე იყო. ქუჩებში ეყარა თვალებდათხრილი, ცხვირ და ყურებდაჭრილი გვამები, კაცებს სასქესო ორგანოც მოჭრილი ჰქონდათ. მივდიოდი ჩემს საყვარელ ქუჩებში, სადაც კენჭიც კი ნაცნობი იყო და ხმამაღლა ტირილი მინდოდა. მერე გამახსენდა აფხაზების დანაქადები: თუ ტირილის ხმას გავიგონებთ, ჯერ ენას ამოგგლეჯთ და მერე დაგხვრეტთო. თვალებზე ხელაფარებული მივედი მძახლების სახლთან. იქ ერთი კვირა „მშვიდად“ ვიყავით, ანუ არავის შევუმჩნევივარ. დროდადრო რომელიმე სახლიდან ცეცხლის ალი ავარდებოდა და უკვე ვიცოდით, რომ ეს სახლი ქართველისა იყო. ერთხელაც ხანძარი დავლანდე. დღემდე არ ვიცი, რა ძალამ მიბიძგა და გარეთ გამიყვანა. ჩემი სახლი ცეცხლის ალში იყო გახვეული. ვიდექი და კარგა ხანს ვუყურებდი, როგორ იფერფლებოდა ჩემი ნაოფლარი. მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ცრემლი არ (ვერ) გადმომივარდა. ჩემი ავეჯი მეზობლებს წაეღოთ, ორ მათგანს ჩხუბიც კი მოსვლია განაწილებისას... მივხვდი, რომ აქ დარჩენა სიკვდილს უდრიდა. გამოვტრიალდი და ცენტრალური გზით წამოვედი. იმ წუთებში აღარც ტყვიის მეშინოდა, აღარც — არავისი. გზაზე ჩემი მეზობლები — ერთი რუსი და ორი აფხაზი ქალი შემომხვდნენ. მათ მოჩვენებითი სიყალბით მომისამძიმრეს და იმ წუთებში ძალიან მინდოდა მათი გულის გასახეთქი სიტყვები მეთქვა: კი მაგრამ, რას მისამძიმრებთ? — როგორ თუ რას, სახლი ხომ დაგეწვაო? — გაუკვირდათ. — უჰ, მე ვიფიქრე, ვინმე ჩემიანი მოკლეს, სახლს კი, დავბრუნდები და უკეთესს ავაშენებ-მეთქი, ვუპასუხე და გამოვტრიალდი. მერე ხმა მომივიდა, აფხაზებს უთქვამთ, ამ ოჯახის (ჩვენს ოჯახზე) შუათანა რძალს გრძელი ენა დასამოკლებელი ჰქონიაო.

სხვათა შორის, მხედრიონელების შემოსვლის დღიდან დღიურს ვწერდი (რიცხვების, დღეებისა და საათების მიხედვითაც კი); ეს დღიური სვეტა მუკბამ მომპარა. დღიურში ისიც მეწერა ჩემთან როგორ „შემობლაყუნდა“ ერთი მხედრიონელი კახელი ბიჭი (სანამ აფხაზები მოვიდოდნენ), მას კედები და გახუნებული ბრეზენტის შარვალი ეცვა. ჩემი სახლ-კარი რომ მიყნოს-მოყნოსა, მერე მუკბას ეზოში გადაინაცვლა. გარეთ გამოვედი და კვალდაკვალ მივდიე. ბიჭი მომიბრუნდა და ღიმილით მითხრა: რა გინდოდათ, რას იწყებდით ბრძოლას, ამისთანა ცხოვრება მოგიწყვიათო. საშინლად გავბრაზდი და პირში მივახალე: ჩვენ არაფერი გვინდოდა, თქვენ რას გვერჩოდით, რომ აგვაწიოკეთ, ვინ დაგპატიჟათ ტანკებით და იარაღით. შენ თვითონ რა გინდა, რუსლან მუკბას ფეხსაცმელები უნდა ჩაიცვა და ისე დაბრუნდე კახეთში-მეთქი? ხმა ვერ ამოიღო, ისე გაბრუნდა. გაფითრებული სვეტა მუკბა კი მლოცავდა და ათას მადლობას მიხდიდა. როცა აფხაზები შემოვიდნენ, ტანკებითა და იარაღით აღჭურვილმა მხედრიონელებმა უკან დაიხიეს. რაც მიჰქონდათ, ეტყობა, ეცოტავათ და იარაღის გაყიდვა დაიწყეს. ავტომატს 100 ათას რუბლად ყიდდნენ. ქართველებმა კარგად ივაჭრეს (ყოველ შემთხვევაში, გაგრაში ასე იყო!), აფხაზებმა კი იომეს. ჩეჩნებს ყოველი მოკლული ქართველის მოჭრილი ყური „მძივებად“ ეკიდათ ყელზე. მახსოვს, ჯერ კიდევ მუკბასთან ვიმალებოდი, რამდენიმე აფხაზი და ჩეჩენი (5-6 კაცი) შევიდა ქართველი მეზობლის სახლში.



გაგრა ომამდე, სანატორიუმი „კოლხიდა“



ომის დროს

იქ ახალგაზრდა ქალი მარტო ცხოვრობდა, ახლობლები გახიზნული ჰყავდა. ისინი „რიგში“ ჩადგნენ და ისე გააუპატიურეს ქალი... მესმოდა განწირული კივილი, მაგრამ მიხმარება არ შემეძლო. ხელები ყურებზე ავიფარე, მაგრამ შემაძრწუნებელი ხმა მაინც აღწევდა ჩემამდე. სვეტა მუკბამ მშვიდად ჩამომაღებინა ხელები ყურებიდან და მითხრა, — არა უშავს, ირმა მხედრიონელებს უფასოდ ემსახურებოდა, „Пусть она и наших обслужет“-ო. ამაზე დიდი საშინელება არ არსებობს, როცა შენ წინ ადამიანს აწამებენ, შენ კი ვერ შველი. ჩემი ახლობელი გაფრინდაშვილების ოჯახი ერთიანად ამოხოცეს აფხაზებმა. მათი გვამები ქუჩაში ეყარა. მე და ჩემმა მეგობარმა ურიკა ვითხოვეთ და ნაწილ-ნაწილ გავიტანეთ ქალაქგარეთ, სადაც დიდ თხრილებში ყრიდნენ გვამებს. ხურცილავების ოჯახიდან აფხაზებმა ჩემი მეგობრის მამა, ძმა, ქმარი და მაზლი ჩახოცეს. ოჯახისთავი ბზიფის სკოლაში პედაგოგი იყო და ამბობენ, იგი მისმა მოსწავლემ მოკლა, — სკოლაში ორიანებს რატომ მიწერდიო. ...მძახლების ოჯახში ეტყობა, შეგვამჩნიეს აფხაზებმა და მოგვაკითხეს. ჩემი ქმარი დაკითხვაზე წაიყვანეს. ვერ აგიწერთ, როგორი უმძიმესი საათები გამოვიარე. ჩემი ქმარი მთლად გათეთრებული მობრუნდა შინ. აფხაზებს იგი გარეუბანში, მიცვალებულთა დიდ თხრილთან მიუყვანიათ და ავტომატი მიუშვერიათ, იარაღის მსურველთა სიაში რატომ ჩაეწერეო. ჩემს ქმარს მხოლოდ ეს უთქვამს: ლაჩრულად ზურგში ნუ მესვრით, მკერდში მესროლეთო. აფხაზებმა ასეთი პირობები წამოგვიყენეს: გამოიტანეთ, რაც კი აპარატურა, ოქროულობა და ვალუტა გაქვთ, 5 დღეში 5 მილიონს (რუსული ფული) თუ არ ჩაგვაბარებთ, ცოცხლები ვერ გახვალთ აქედანო. აპარატურაც მივეცით და ოქროულობაც. ფული კი აღარ გაგვაჩნდა. 27 ოქტომბერს მეც და ჩემი ქმარიც აფხაზ მეზობელთან მივედით ისევ, მაგრამ აღარ მიგვიღეს. საგონებელში ჩავვარდით. რა გზას დავდგომოდით, აღარ ვიცოდით. ბოლოს, უკვე დახოცილი გაფრინდაშვილების სახლში დავიმალეთ. მეზობლის ბიჭმა (აფხაზმა) შემთხვევით გამოიარა და მას ვთხოვეთ, ხმა მიეწვდინა ჩვენი ოჯახის აფხაზი მეგობრის — კვაცბასათვის. ერთადერთი იმედი მისიღა გვრჩებოდა. ღვთის მადლით, მან წიხლი არ ჰკრა დიდი ხნის ურთიერთობას, მალე გვიპოვა და სამშვიდობოზე გაგვიყვანა, თან 2.500 რუსული ფული მოგვცა. ლესელიძიდან ხიდზე უნდა გადავსულიყავით, მერე იყო სოფელი ვესიოლოე, რომლითაც იწყებოდა რუსეთის ტერიტორია, მაგრამ აფხაზები სანდონი არ იყვნენ, ისინი ქართველებს ფულს სძალავდნენ, მერე კი ხიდზე გადასულებს ზურგში უშენდნენ ტყვიებს. კვაცბამ დაგვაიმედა, თუმცა სანამ ხიდს გადავივლიდით, სულ ტყვიის მოლოდინში ვიყავით. სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მყოფთ წვრილმანი, რომელიც ყოველდღიურად გვჭირდება და ტანსაცმელი აღარ გაგვხსენებია, მერე კი უკვე გადარჩენილებს ბევრ რამეზე დაგვწყდა გული, რისი წაღებაც შეგვეძლო და ვერ მოვახერხეთ. სიცოცხლეზე ძვირფასი არაფერია, — ამას ვფიქრობდით ორივენი, როცა სოჭში მშვიდობიანად გადავედით, მაგრამ ახლა ვფიქრობ: რაც ჩვენ ამ 8-9 წლის მანძილზე გამოვიარეთ, იქნებ, სჯობდა, იქ დავეხოცეთ აფხაზებს? საკუთარ მიწას მაინც მოგვაყრიდნენ, აბა, აქ ჩვენით ხომ არ მოვიკლავთ თავს? აქაც ზედმეტად ვგრძნობთ თავს და იქ ხომ არ მიგვესვლება. ამბავი მომიტანეს, რომ ჩემს კარმიდამოში მხოლოდ ავტოფარეხია გადარჩენილი. იქ ვიცხოვრობდი და სულს ნელ-ნელა მოვითქვამდი. მაგრამ როცა კარგად დავფიქრდები, ალბათ გაგრაშიც ვერ გავჩერდები მშვიდად. იქ მარტო სახლის კედლებს, ციტრუსის ბაღს და ზღვას ვუყურო? ჩემთვის ძვირფასი ადამიანები, ახლობლები, მეზობლები ან გაფანტულები არიან, ან დახოცილები... აფხაზების სახეებს ვუყურო, სიმართლე აღარ ვთქვა და პირი ამოვიკერო? გაოგნებული ვარ ყველაფრით, რაც მოხდა და რაც დღეს ხდება. ჩვენი პატრონი არავინაა. რა იქნება მომავალში, არავინ იცის. ამას წინათ, თქვენს გაზეთში ჩეჩნეთის მთავრობის წარმომადგენელთან — ლეჩე ალი სულთანოვთან ინტერვიუ იყო დაბეჭდილი. იგი ამბობს, რომ ჩვენი ქალები ვერასოდეს დაივიწყებენ, შატილში გადმოსვლისას, თქვენი მესაზღვრეები და სამართალდამცველები როგორ წმენდნენ და „ასუფთავებდნენ“ ძვირფასეულობისაგანო. რა თქმა უნდა, დასაგმობია ეს ფაქტი, მაგრამ იმაზე ამაზრზენი რა უნდა იყოს, რაც მათ აფხაზეთში ჩაიდინეს? საქართველო ჩემი საფიცარია, მაგრამ ჩემი კუთხე მაინც ყველაფერს მირჩევნია. ჩავალთ კი აფხაზეთში ოდესმე, დავბრუნდებით ჩვენს ძირძველ მიწაზე? ეს ღმერთმა იცის მხოლოდ.

P.S. დღევანდელ ყოფაში სულის ასაფორიაქებელი და გულის გამაწვრილებელი ბევრია, მაგრამ ლტოლვილებს — საკუთარ ქვეყანაში სახლებწართმეულებსა და ყველანაირ უფლებაშელახულთ გაცილებით მეტი აქვთ საფიქრალი, ვიდრე სხვას. ჰაერში კი კვლავ დიდი კითხვის ნიშანი ტრიალებს: რა იქნება ხვალ?

***მარინა ბაბუნაშვილი***

**თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტი და მასთან არსებული კოლეჯი**
**აცხადებს მიღებას (სექტორები — ქართული, რუსული; სწავლება — დღის და დაუსწრებელი).**
**1. იურიდიული ფაკულტეტი. 2. ეკონომიკური. 3. უცხო ენები.**
სტაჟირება უცხოეთში. წარჩინებულ სტუდენტებს დაენიშნებათ სტიპენდია. უნივერსიტეტი იძლევა სახელმწიფო დიპლომს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ლინგაფონისა და კომპიუტერული ცენტრი სერტიფიკატის მინიჭებით. სტუდენტები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან. კოლეჯის მოსწავლეები მიიღებენ ერთდროულად როგორც პროფესიულ, ისე საშუალო ზოგად განათლებას.
**მის: კოსტავას №70, IX კორპ, IV სართ, მ. „პოლიტექნიკური“. ტ: 36-60-59; 36-63-36; 33-53-92; 77-03-69**

# ფრაგმენტებიანი კროსვორდი



## თარაზულად:

7

ზეთი-ნაღვლისმდენი, ფოთლები-ჰიპოტენზური, კორონარული, ანტიარითმიული (ხეხილოვანი მცენარე)

8

ცნობების საცავი

10


წიგნის დამსურათებელი

13

სხვადასხვაგვარად მომზადებული მოხარშული ბრინჯი

16

მსხვილი ფულიდან მიღებული ნაშთი

17

რაიმე დანიშნულების მქონე საგნების სრული კომპლექტი

18


განცხადება სპექტაკლის შესახებ

19


მოსაზღვრე მდინარე პოლონეთსა და გერმანიას შორის

20

გალაქტიკებზე ძლიერი გამოსხივების მქონე ციური წყარო

21

თხრობითი ნაწარმოები, უპირატესად ფანტასტიკური ხასიათისა

25


(მარკა)

26

კონკურსზე პრიზების მიმნიჭებელი სპეციალისტების ჯგუფი

27

მთის ქანი, თაბაშირის თეთრი წვრილმარცვლოვანი ნაირსახეობა

28

კომბოსტოს ფოთოლში გახვეული დაკეპილი ხორცი

29

სამოთხის ბაღი

34

უწმაწური სურათები, ლიტერატურა და მისთ

35

სამხედრო წოდება

36

წიწვოვან ტყეებში მზარდი საკვებად ვარგისი სოკო

## შვეულად:

1

ცნების გამომხატველი დამწერლობის ნიშანი

2

მაგარნაჭუჭიანი ნაყოფი

3

წვრილი, ერთმანეთზე მილაგებული ნაკეცები ქსოვილზე

4

კუნძული ხმელთაშუა ზღვაში აფრიკასა და სიცილიას შორის

5

მოწინააღმდეგე ბრძოლაში

6

ტერპენტინის ზეთი

9

სახის გამოსახულება გვერდიდან

11

ხელქვეითი

12

ბავშვობაში არაჩვეულებრივი ნიჭის მქონე

14

ღია ცის ქვეშ გამართული სახალხო დღესასწაული

15

ქვეითი ჯარისკაცი ევროპული ქვეყნების არმიებში მე-17-20ს.ს.

22

(სპეციალისტი)

23

საუბარი ორ პირს შორის

24

მეცნიერება ამა თუ ენის აგებულების შესახებ

30

კავშირგაბმულობის ერთ-ერთი სახეობა

31

ჩრდილოეთ ნახევარსფეროს თანავარსკვლავედი, რომლის კაშკაშა ვარსკვლავი ვეგაა

32

ნაღვლი ადამიანის სახეზე

33

ხელსაწყო

კროსვორდი შეადგინა
რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №28 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 8. კაპადოკია; 9. მეზღვაური; 10. კვაწარახი; 11. დენიმი; 12. ესკიმო; 16. ალერგია; 18. რბოლა; 21. კვატა; 22. კოსმეტოლოგი; 23. კლეპტომანი; 24. ამხანაგობა; 27. არქიტექტორი; 29. გუნდი; 30. გნომი; 31. კლინიკა; 34. რისხვა; 37. ფილტრი; 38. აკვარიუმი; 39. ინგლისელი; 40. პლანტაცია.

**შვეულად:** 1. გარდერობი; 2. იდიომი; 3. ციყვი; 4. დენატურატი; 5. შეიხი; 6. ივლისი; 7. ორნამენტი; 13. ფლამანდიელი; 14. დიპლომატიკა; 15. ოლიმპიადა; 17. გვირგვინი; 19. კოშმარი; 20. მგზავრი; 25. ბედნიერება; 26. შუქნიშანი; 28. ემიგრაცია; 32. „ივერია“; 33. პიპეტი; 35. სკოლა; 36. ხმალი.

ორშაბათი 17 ივლისი | სამშაბათი 18 ივლისი | ოთხშაბათი 19 ივლისი | ხუთშაბათი 20 ივლისი | პარასკევი 21 ივლისი | შაბათი 22 ივლისი | კვირა 23 ივლისი

• ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი •




სისწრაფე
წარმადობა
საიმედობა
კომპიუტერები
ორგტექნიკა
სახარჯი მასალები
დაბალი ფასები
გარანტია 1 წელი
მცხეთის ქუჩა №2
92-02-14
Fax 22-59-06


01.15 „გაშიშვლებული სულები" — აშშ

ახალგაზრდა, ნიჭიერი, მაგრამ ღარიბი მეცნიერი ედვარდი ექსპერიმენტს ატარებს ადამიანის მეხსიერებაზე. იგი თითქმის აღმოჩენამდე მიდის და ამ დროს... გარდა ამისა, ედვარდს მუდმივი პრობლემები აქვს საყვარელ ქალიშვილთან. რეჟისორი ლინდონ ჩაბაკი. მთავარ როლებში: პამელა ანდერსონი, ბრაიან კრაუზე, კლეიტონ რონერი;



00.35 „სტაცე ფულს ხელი და გაიქეცი" — აშშ

კლასიკური კომედია. მორცხვი ქონდრისკაცი ვერჯილი, დიდი რქის სათვალეებით, საშიში რეციდივისტია, რომელიც იპარავს ყველაფერს, რაც ხელში მოხვდება და შედეგად ყოველთვის ციხეში ხვდება... ერთხელ, საქურდავად გასულს თავისი ოცნების ქალიშვილი ხვდება. მათ ერთმანეთი შეუყვარდებათ... რეჟ. ვუდი ალენი. მთავარ როლშიც იხილავთ ვუდი ალენს.



23.30 „საყვარელი ქალი" — აშშ

მათ გრძნობებს ძველი მეგობრობა ამტკიცებს. მათ მომავლის იმედი აქვთ. ისინი ერთმანეთზე ოცნებობენ. მათ სიყვარულს ვერაფერი დააბრკოლებს. ტომი მორისონის რომანის მიხედვით გადაღებული ფილმი ისეთი ღირებულებებითაა შემკული, როგორიცაა იმედი, სიყვარული და თავისუფლება. რეჟისორი ჯონათან დემი. მთავარ როლებში იხილავთ: ოფრა უინფრის და დენი გლოვერს.




თბილისის საერო ინსტიტუტი
„გაქნათი"
გიწვევთ სასწავლებლად:
1. სამკურნალო საქმე; 2. პედიატრია; 3. სტომატოლოგია; 4. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობანი; 5. საბანკო საქმე; 6. საბაჟო საქმე; 7. საგადასახადო საქმე და აუდიტი; 8. ფილოლოგიური; 9. ისტორია.
უმაღლესი განათლების მქონე პირები ჩაირიცხებიან მე-2 კურსზე
ქეთევან წამებულის გამზ. №57. ტელ: 74-21-65

სტუდენტებისათვის:
1) უფასო სამედიცინო მომსახურება;
2) სტიპენდია;
3) ასპირანტურა.
9 კლასდამთავრებულთათვის ინსტიტუტთან არსებობს კოლეჯი, სადაც შემდეგ სწავლის ინსტიტუტში გაგრძელება იგივე სპეციალობების დაუფლება, რაც ინსტიტუტში არსებობს.


• ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი •

### ორშაბათი

ОРТ: 16.00, 19.00, 01.25 Новости. 16.20 Мультфильм. 16.40 Звездный час. 17.10 "... До 16 и старше". 17.45 Вкусные истории. 17.55 Сериал "ВАВИЛОНСКАЯ БАШНЯ". 19.30 Каламбур. 20.10 Х/Ф "ЛЕТНИЕ СНЫ". 21.45 "Спокойной ночи, малыши!". 22.00 Время. 22.45 "СЕКРЕТНЫЕ МАТЕРИАЛЫ". 23.40 Взгляд. 00.25 "МАЙК ХАММЕР". 01.40 "ПАРАНОРМАЛЬНЫЕ ЯВЛЕНИЯ".

РТР: 17.00 Мультфильм. 17.05 "Два рояля". 18.00, 21.00 ВЕСТИ 18.30 "Сто к одному". 19.20 "КОРОЛЕВА МАРГО". 20.20 "Вино-шоу-кур". 21.45 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ". 23.30 Сериал "СЛЕДСТВИЕ ВЕДУТ ЗНАТОКИ". 01.15 "Футбол + ТВ". 02.15 Дежурная часть.

НТВ: 07.00 Сегодня утром. 07.20, 08.20, 15.30, 19.40, 00.45 Криминал. 07.35, 08.50 "Карданный вал". 07.50, 09.20, 18.30 Впрок. 08.35, 09.45 Мультфильм. 09.55 "НЕПРИКАСАЕМЫЕ". 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00, 01.00 Сегодня. 11.25 Сериал "ЛЮБОВЬ И ТАЙНЫ САНСЕТ БИЧ". 13.30 "Вчера в итогах". 14.45 "Куклы". 15.30 "Чистосердечное признание". 16.00 Сериал "ГОЛУБОЕ ДЕРЕВО". 17.35 "СМЕРТЕЛЬНАЯ БИТВА". 18.40 Футбольный клуб. 20.40 Х/Ф "ОБУЧЕННЫЙ УБИВАТЬ". 22.20 Док. фильм. 23.45 "КРУТОЙ УОКЕР". 01.25 Антропология.

### სამშაბათი

ОРТ: 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.55 Новости. 10.15, 17.55 Сериал "ВАВИЛОНСКАЯ БАШНЯ". 11.20 Поле чудес. 12.30 Сериал "ЛЕТО НАШИХ НАДЕЖД". 13.15 Телеканал "Добрый день". 14.15 Сериал "СПРУТ". 15.30 "Вместе". 16.20 Мультфильм. 16.40 Царь горы. 17.10 "... До 16 и старше". 17.45 Вкусные истории. 19.30 Х/Ф "К ЧЕРНОМУ МОРЮ". 21.05 Жди меня. 21.45 "Спокойной ночи, малыши!". 22.00 Время. 22.45 "УГОЛ АТАКИ". 23.40 Как это было. 00.20 Собрание заблуждений.

РТР: 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 14.00, 18.00, 21.00 ВЕСТИ 07.20 Доброе утро, Россия. 07.35, 09.35 Семейные новости. 08.30 "Почта РТР". 09.20, 17.40, 02.10 Дежурная часть. 10.35, 10.45 Мультфильм. 11.15 "ЦЫГАНКА". 12.05 "САНТА-БАРБАРА". 13.00 Диалоги о животных. 14.35 "Марьина роща". 15.05 "ЧЕРНАЯ ЖЕМЧУЖИНА". 15.55 "БОГАТЫЕ И ЗНАМЕНИТЫЕ". 16.50 "Два рояля". 18.30 "Сто к одному". 19.20 "КОРОЛЕВА МАРГО". 20.25 Устами младенца. 21.45 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ". 23.35 "СЛЕДСТВИЕ ВЕДУТ ЗНАТОКИ". 01.15 Кинескоп.

НТВ: 07.00 Сегодня утром. 07.20, 08.20, 15.30, 19.40, 00.45 Криминал. 07.35, 08.50 "Карданный вал". 07.50, 09.20, 18.30 Впрок. 08.35, 09.45 Мультфильм. 09.55, 23.45 "КРУТОЙ УОКЕР". 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00, 01.00 Сегодня. 11.25 Сериал "ЛЮБОВЬ И ТАЙНЫ САНСЕТ БИЧ". 13.25 Х/Ф "МИЛЫЙ, ДОРОГОЙ, ЛЮБИМЫЙ, ЕДИНСТВЕННЫЙ...". 14.45 Мультфильм. 15.30 "Дог-шоу. Я и моя собака". 16.00 Сериал "ГОЛУБОЕ ДЕРЕВО". 17.35 "СМЕРТЕЛЬНАЯ БИТВА". 18.40 "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО". 20.40 Глас народа. 22.20 Док. фильм. 01.25 Антропология.

### ოთხშაბათი

ОРТ: 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.40 Новости. 10.15, 17.55 Сериал "ВАВИЛОНСКАЯ БАШНЯ". 11.15 Здоровье. 11.45 Жди меня. 12.30 Сериал "ЛЕТО НАШИХ НАДЕЖД". 13.15 Телеканал "Добрый день". 14.20 "СПРУТ". 15.30 "Вместе". 16.20 Мультфильм. 16.40 Зов джунглей. 17.10 "... До 16 и старше". 17.45 Вкусные истории. 19.30 Спецрепортаж. 19.50 Х/Ф "ГОНКИ "ПУШЕЧНОЕ ЯДРО". 21.45 "Спокойной ночи, малыши!". 22.00 Время. 22.45 "УГОЛ АТАКИ". 23.40 Открытие Московского международного кинофестиваля. 00.30 Цивилизация. 01.20 Сериал "СЛУЖБА НОВОСТЕЙ".

РТР: 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 14.00, 18.00, 21.00 ВЕСТИ 07.20 Доброе утро, Россия. 07.35, 09.35 Семейные новости. 08.30 "Почта РТР". 09.20, 17.40, 02.00 Дежурная часть. 10. 35, 10.45 Мультфильм. 11.15 Сериал "ДЖЕНТЛЬМЕН". 12.05 Сериал "САНТА-БАРБАРА". 13.00 Диалоги о животных. 14.35 "Марьина роща". 15.05 "ЧЕРНАЯ ЖЕМЧУЖИНА". Сериал 15.55 Сериал "БОГАТЫЕ И ЗНАМЕНИТЫЕ". 16.50 "Два рояля". 18.30 Сто к одному. 19.20 "КОРОЛЕВА МАРГО". 20.25 "Сам себе режиссер". 21.45 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ". 23.35 "СЛЕДСТВИЕ ВЕДУТ ЗНАТОКИ". 01.20 Док. фильм.

НТВ: 17.00, 20.00, 23.00, 01.00 Сегодня. 17.35 "СМЕРТЕЛЬНАЯ БИТВА". 18.30 Впрок. 18.40 "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО". 19.40, 00.45 Криминал. 20.40 Х/Ф "ВЛЮБЛЕН ПО СОБСТВЕННОМУ ЖЕЛАНИЮ". 22.20 Док. фильм. 23.45 "КРУТОЙ УОКЕР". 01.25 Антропология.

### ხუთშაბათი

ОРТ: 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.35 Новости. 10.15, 17.55 Сериал "ВАВИЛОНСКАЯ БАШНЯ". 11.15 Смехопанорама. 11.50 Человек и закон. 12.30 Сериал "ЛЕТО НАШИХ НАДЕЖД". 13.15 Телеканал "Добрый день". 14.15 "СПРУТ". 15.30 "Вместе". 16.20 Мультфильм. 16.40 Программа "100%". 17.10 "... До 16 и старше". 17.45 Вкусные истории. 19.30 Маски-шоу. 20.00 Х/Ф "КУРЬЕР". 21.45 "Спокойной ночи, малыши!". 22.00 Время. 22.45 "УГОЛ АТАКИ". 23.40 Процесс. 00.25 Дневник Московского кинофестиваля. 00.50 "СЛУЖБА НОВОСТЕЙ".

### პარასკევი

ОРТ: 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.25 Новости. 10.15, 17.55 Сериал "ВАВИЛОНСКАЯ БАШНЯ". 11.15 Пока все дома. 11.50 Клуб "Белый попугай". 12.30 Сериал "ЛЕТО НАШИХ НАДЕЖД". 13.15 Телеканал "Добрый день". 14.10 "СПРУТ". 15.30 "Вместе". 16.15 Мультазбука. 16.35 Х/Ф "БЕСКОНЕЧНАЯ ИСТОРИЯ-2. НОВАЯ ГЛАВА". 19.30 "Джентльмен-шоу". 19.55 Человек и закон. 20.40 Поле чудес. 21.45 "Спокойной ночи, малыши!". 22.00 Время. 22.45 Х/Ф "БЕЗУМСТВО МЕРТВЕЦА". 00.30 Песня года. 01.15 Дневник Московского кинофестиваля. 01.40 Х/Ф "СФИНКС".

РТР: 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 14.00, 18.00, 21.00 ВЕСТИ 07.20 "Тысяча и один день". 07.30 Диалоги о рыбалке. 08.30 Почта РТР. 08.40, 09.45 Доброе утро, Россия. 09.20, 17.40, 03.45 Дежурная часть. 09.35 Семейные новости. 10. 35, 10.45 Мультфильм. 10.50 Москва-Минск. 11.15 "ДЖЕНТЛЬМЕН". Сериал 12.05 Сериал "САНТА-БАРБАРА". 13.00 Диалоги о животных. 14.35 "Марьина роща". 15.05 "ЧЕРНАЯ ЖЕМЧУЖИНА". Сериал 15.55 Сериал "БОГАТЫЕ И ЗНАМЕНИТЫЕ". 16.50 Два рояля. 18.30 Сто к одному. 19.20 "КОРОЛЕВА МАРГО". 20.25 "Городок". 21.45 Х/Ф "ЗОЛОТО ПАРТИИ". 23.30 "ИЗОБРАЖАЯ БОГА".

НТВ: 07.00 Сегодня утром. 07.20, 08.20, 15.30, 19.40, 00.45 Криминал. 07.35, 08.50 "Карданный вал". 07.50, 09.20, 18.30 Впрок. 08.35, 09.45 Мультфильм. 09.55 "КРУТОЙ УОКЕР". 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 11.25 Сериал "ЛЮБОВЬ И ТАЙНЫ САНСЕТ БИЧ". 13.25 Х/Ф "БОЛЬШОЙ КОСМИЧЕСКОЕ ПУТЕШЕСТВИЕ". 14.40 Мультфильм. 15.30 Служба спасения. 16.00 Сериал "ГОЛУБОЕ ДЕРЕВО". 17.35 "СМЕРТЕЛЬНАЯ БИТВА". 18.40 "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО". 20.40 Х/Ф "ИЗ ЖИЗНИ НАЧАЛЬНИКА УГОЛОВНОГО РОЗЫСКА". 22.20 Док. фильм. 23.45 Поет Вахтанг Кикабидзе. 01.25 Х/Ф "ЖЕНЩИНА + ЖЕНЩИНА".

### შაბათი

ОРТ: 09.00, 11.00, 16.00, 19.00 Новости. 09.10 Слово пастыря. 09.25 "Все путешествия команды Кусто". 10.15 Играй, гармонь любимая. 10.45 Ералаш. 11.10 Смак. 11.30 Экстренный вызов. 12.00 С легким паром. 12.35 Утренняя почта. 13.05 Х/Ф "СХВАТКА В ПУРГЕ". 15.00 В мире животных. 15.45 История одного шедевра. 16.10 "ГОРЕЦ". 17.00 Седьмое чувство. 18.10 Угадайка. 19.15 "Женские истории". 19.45 Док. фильм. 20.20 Х/Ф "ЗАНУДА". 22.00 Время. 22.45 Избранное. 01.10 Дневник кинофестиваля. 01.20 Х/Ф "БИЛЛИ БАТГЕЙТ".

РТР: 09.00 Х/Ф "В ПЕРВЫЙ РАЗ". 10.30 Почта РТР. 11.00 Доброе утро, Россия. 11. 50 "Сто к одному". 12.35 Сам себе режиссер. 13.05 "ДРУЗЬЯ-2". 13.35 "Золотой ключ". 14.00, 21.00 ВЕСТИ 14.20 Х/Ф "ОДНА НА МИЛЛИОН". 15.55 Х/Ф "ХОЗЯИН ТАЙГИ". 17.15 "Планета Земля". 18.10 "Вечера в Политехническом". 19.05 Моя семья. 20.05 "Два рояля". 21.45 "Аншлаг" и Ко. 22.50 Х/Ф "КОНТРАКТ СО СМЕРТЬЮ". 01.10 Х/Ф "ДЖОАН ЛУИ".

НТВ: 09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 09.15 Х/Ф "ИЗ ЖИЗНИ НАЧАЛЬНИКА УГОЛОВНОГО РОЗЫСКА". 10.10 "СМЕРТЕЛЬНАЯ БИТВА". 11.15 Криминал. 11.40 "Экстремальные ситуации". 12.25 Пойми меня. 13.25 Х/Ф "РЕСПУБЛИКА ШКИД". 15.20 Мультфильм. 15.35 "В нашу гавань заходили корабли". 16.40 Свидетель века. 17.30 Профессия- репортер. 17.50 Без рецепта. 18.20 Дог-шоу. 18.50 "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО". 20.45 Х/Ф "КИНГ-КОНГ ЖИВ". 23.45 "НЕПРИКАСАЕМЫЕ". 00.45 Х/Ф "ВОЙ". 02.25 Про это.

### კვირა

ОРТ: 09.00, 11.00, 16.00, 19.00 Новости. 09.10 Армейский магазин. 09.40, 17.20 Дисней-клуб. 10.10 Утренняя звезда. 11.10 "Непутевые заметки". 11.30 Пока все дома. 12.05 "АЛЬФ". 12.35 Здоровье. 13.05 Х/Ф "ВЕРТИКАЛЬ". 15.00 Клуб путешественников. 15.45 История одного шедевра. 16.10 "ГОРЕЦ". 17.05 Возможно все. 18.15 Чтобы помнили... 19.15 Смехопанорама. 19.55 Х/Ф "ПЕРЕКРЕСТОК". 22.00 Время. 23.00 Х/Ф "В ОСАДЕ". 00.50 Время футбола. 01.35 Х/Ф "ПРИЗНАНИЕ КОМИССАРА ПОЛИЦИИ ПРОКУРОРУ РЕСПУБЛИКИ".

РТР: 09.00 Фестиваль песни "Виктория". 10.20 Устами младенца. 10.55 ДОБРОЕ УТРО, СТРАНА 11.30 "АНШЛАГ" ПРЕДСТАВЛЯЕТ 12.30 "Городок". 13.00 Русское лото. 13.40 Мультфильмы. 14.00, 21.00 Вести. 14.25 Х/Ф "ЛЕКАРСТВО ПРОТИВ СТРАХА". 16.10 Диалоги о животных. 17.05 "Сколько стоит красота". 18.00 Пресс-клуб. 19.00 "Международная панорама". 19.30 Х/Ф "АФЕРИСТЫ". 21.45 Х/Ф "ДЕТИ ПОНЕДЕЛЬНИКА". 23.35 Х/Ф "СХВАТКА".

НТВ: 09.00, 11.00, 13.00, 17.00 Сегодня. 09.15 Сериал "ГОЛУБОЕ ДЕРЕВО". 10.10, 21.50 "НЕПРИКАСАЕМЫЕ". 11.20 "Путешествия натуралиста". 11.55 Профессия-репортер. 12.20 "Полундра". 13.30 "Служба спасения". 14.00 Х/Ф "СУДЬБА РЕЗИДЕНТА". 16.35 Фитиль. 17.25 "Большие родители". 18.00 "Независимое расследование". 18.55 Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО". 20.00 "Итоги". 21.35 "Куклы". 22.50 "Итого". 23.10 Х/Ф "ЦАРСКАЯ ОХОТА".

• ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი •


ექიმებსა და ახალკურსდამთავრებულებს
შევასწავლით
თმის ტრანსპლანტოლოგიას
ულტრა ამერიკულ მეთოდოლოგიურ და ტექნიკურ დონეზე.
მსმენელებს მიეცემათ შესაბამისი სერტიფიკატი.

თუ თქვენ გამოიყურებით ასე და გსურთ გამოიყურებოდეთ ასე



მოგვმართეთ
თმის გადანერგვის სამეცნიერო-სამკურნალო განყოფილებაში „თალიზი"
პროფესორ თამაზ თამაზაშვილის ხელმძღვანელობით წარმოებს ბუნებრივი თმის გადანერგვა უახლესი ამერიკული მეთოდებით.
მსოფლიოში ყველაზე დაბალი ფასები. გარანტირებული შედეგები.
გადანერგილი თმა აგრძელებს ზრდას
გადანერგვა ხორციელდება ერთი დღის განმავლობაში
კონსულტაციები უფასოა და კონფიდენციალური, ასაკი შეუზღუდავია.
თბილისი, ბუდაპეშტის ქ. 33 სამხედრო ჰოსპიტალი, მე-3 სართ.
მ. „სამედიცინო ინსტიტუტი". ტელ: 35-37-39, 37-83-33, 877 41-11-56



ელიტარული ბინები განვადებით



არაორდინალური არქიტექტურა
გარანტიები ფულად შენატანებზე
დაცვის თანამედროვე სისტემები
ბინების ინდივიდუალური გეგმარება
საუცხოო კომფორტი
ანგარიშსწორება თქვენთვის ხელსაყრელი გრაფიკით

AXIS
საპროექტო-სამშენებლო კომპანია „აქსისი"
ფალიაშვილის 47ა, ფაქსი: 984661
E-mail: axis@mmc.net.ge
25 34 34


00.35 „მძინარენი" — აშშ

ნოსტალგიით შეფერილი ისტორია ბავშვობის ოთხ მეგობარზე, რომლებიც დაუფიქრებელი და წინდაუხედავი მოქმედების გამო არასრულწლოვანთა კოლონიაში აღმოჩნდებიან, სადაც მათ სცემენ და აუპატიურებენ. გადის წლები და ორი მათგანი ციხის ყოფილ ზედამხედველს შემთხვევით შეხვდება, რომელთანაც საშინელი მოგონებები აკავშირებთ. ისინი დაუფიქრებლად კლავენ მას, კაფეს მრავალრიცხოვან კლიენტთა თვალწინ. რეჟ. ბარი ლევინსონი. მთავარ როლებში იხილავთ ვარსკვლავებს — დასტინ ჰოფმანს, ბრედ პიტს, რობერტ დე ნიროს, ვიტორიო გასმანს, კევინ ბეიკონს.



22.40 „შოკი" — საფრანგეთი

ეს გახლავთ ბოევიკი, რომელიც ამ ჟანრის ფილმებისგან განსხვავებით გასართობ ელემენტებსაც შეიცავს. დაქორწინებული მშვენიერი კრისტიან მორელი მაფიოზურ წრეებში დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს. ათწლიანი სამსახურის შემდეგ, კრისტიანი ბიზნესიდან წასვლას და სოფელში დასახლებას გადაწყვეტს. რეჟ. რობინ დევისი, მთავარ როლებში: ალენ დელონი, კატრინ დენევი, ფილიპ ლეოტარი.



• ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი •

## ბინები

დიდუბეში 2 ოთახიანი ბინა 30 კვმ მიშენებით (I სართულზე), სარდაფებით, გისოსებით, ორმაგი კარებით, აივნებით, ა/მანქანის სადგომი ადგილით, ბუნებრივი აირით, ცხელი წყლით. ფასი 14.000$. მის: წყალტუბოს ქ. მე-4 კორპ. მე-3 სად. ტელ: 34-52-34

3 ოთახიანი, არასტანდარტული ბინა, ვაჟა-ფშაველას ძეგლთან, სველი წერტილებით ცალ-ცალკე. საწყისი ფასი 20.000$. ტელ: 32-08-90; 32-69-64

მიცკევიჩის ქუჩაზე №6-ში 4 ოთახიანი (3+1), არასტანდარტული, მაღალჭერიანი, კუთხის ბინა ტელეფონით, ლოჯიით, გისოსებით, რკინის კარით, ოთხი სარდაფით, მანქანის დასაყენებელი ადგილით, 5-სართულიანი სახლის მაღალ ბელეტაჟზე. გამოდგება საოფისედაც. საწყისი ფასი 42.000$. ტელ: 37-22-19; 38-24-11

4 ოთახიანი ბინა ვორონცოვზე, წინამძღვრიშვილის (ყოფ. კლარა ცეტკინის) ქუჩაზე, №34-ში. ტელ: 96-64-70

Продается 4-х комнатная квартира на Воронцове, ул. Цинамдзгвришвили №34 (бывшая Кл. Цеткин). Тел: 96-64-70

2 სართულიანი კერძო, 1989 წელს აშენებული სახლი (ოთახების ს/ფართი 120 კვმ-მდე), ბუნებრივი აირით, გათბობის სისტემით, ტელეფონით, „აიეტით", სარდაფით, ორი პატარა ეზოთი, მესამე სართულის აშენების პერსპექტივით. სახლი გარემონტებულია, ესაჭიროება იატაკის მოხვეწა-კოსმეტიკა. მის: რუსთაველი, სარაჯიშვილის ქ. ტელ: 899 56-26-69. ნუგზარი

მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში 2.000 კვმ მიწა. ტელ: 98-36-43. სოსო

აგარაკი საგურამოდან 6 კმ-ში, სოფელ ბურიანში, სახლის დაწყებული მშენებლობით. I სართული ამოყვანილია კაპიტალურად, II-ზე იატაკი დასხმულია და დაწყებული. მიწის ფართი 800კვმ. ფასი 700$. ტ: 23-07-65; 877 43-32-33

## ქირავდება

1 ოთახიანი, გარემონტებული ბინა დოლიძის ქუჩის დასაწყისში, ავეჯით, ტელეფონით, ტელევიზორით, წყლის გამაცხელებლით, რკინის კარით, 3(8). ფასი 150$ (ორ-ორი თვის წინასწარი გადახდით). ტელ: 37-09-20

ჩუღურეთის რაიონში (ჩიტაიას ქ. №33) 250 კვმ ფართის, კეთილმოწყობილი ნახევარსარდაფი. ტელ: 22-38-23; 877 43-34-38

## მილოცვა

**აბაშის საკრებულოს მდივანს რეზო ხაზეიშვილს**

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ უამრავ სიხარულს, სიყვარულს, ბედნიერებას, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

*აბაშის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ხ. ჭანტურია; აბაშის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჟვანია; აბაშის გამგებელი მ. ლასარეიშვილი*

## მადლობა

მთელი ჩვენი ოჯახი ულრმესი პატივისცემითა და სიყვარულით ურთდება თქვენს ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულ ექიმ დ. გაგოშიძის სამადლობელ წერილს, მიძღვნილს მკურნალ ელა გაჩეჩილაძისადმი. ქ-ნი ელა ჩვენი ოჯახის სალოცავი ხატია. ჩვენს ერთადერთ ვაჟიშვილს 24 წლის განმავლობაში ჰქონდა ფსორიაზის მძიმე ფორმა, მისგან გამოწვეული მძიმე გართულებებით. სად არ ვმკურნალობდით, მაგრამ ამაოდ. ყველგან გვეუბნებოდნენ, რომ ეს მოურჩენელი დაავადებაო. ჩვენი შვილი ასაკის მატებასთან ერთად საშინელ დეპრესიაში ჩავარდა, შინ ჩაიკეტა. ნერვული სტრესების ნიადაგზე დაემართა დიაბეტი. არავისი აღარაფერი სჯეროდა, დაკარგა იმედი და სწორედ ამ დროს ღმერთად მოგვევლინა ქ-ნი ელა. ეს მშვენიერი, სასწაულმოქმედი ქალბატონი ჩვენი შვილის ფიზიკური და სულიერი ტკივილების მკურნალად იქცა. დღეს ჩვენი შვილი სრულიად ჯანმრთელი და სრულყოფილი პიროვნებაა. პატივისცემით თამარ და სერგო კოპლატაძეები.

P.S. ჩვენსავით იმედდაკარგულებს გაწვდით ქ-ნი ელას ტელეფონს: 68-40-27

## გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 96-07-81

## ვეძებ სამუშაოს

ვარ 30 წლის, ბავშვის ფსიქოლოგი, მაქვს ბავშვებთან მუშაობის 12 წლის სტაჟი. შემიძლია ხატვა, სიმღერა, ბავშვებთან ადვილად შევდივარ კონტაქტში. ვარ დაწყებითი კლასის მასწავლებელიც. ვიმუშავებ განათლების სისტემაში ან ბავშვის მომვლელად. ტელ: 71-73-11. მარიკა (საღამოს)

## მომსახურება

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). ვასწავლი კოსმეტიკასა და ეპილაციას. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყოფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 877 44-97-46. ნინო ჭელიძე

ვაკეთებ ეპილაციას ინდივიდუალური ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შემოგთავაზებთ საუკეთესო სახის გამწმენდ და მკვებავ საშუალებებს. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

COMPUTER COMPANY „PULSAR" – კომპიუტერები და ორგტექნიკა; კომპიუტერების ყიდვა-გაყიდვა; სათადარიგო ნაწილები; კომპიუტერების, ორგტექნიკის შეკეთება, მომსახურება; კარტრიჯებში ტონერის ჩაყრა; უფასო კონსულტაციები. დაგეხმარებით კომპიუტერის გაყიდვაში. ტელ: 33-08-71. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16 შპს „პულსარი"

ს/ს „მშვილდოსანი" აწარმოებს სახლების მშენებლობას, მიწისა და მიწისქვეშა სამუშაოებს, კეთილმოწყობას. ამზადებს საკედლე ქვებს, ზეძირკვლისა და სხვა კონსტრუქციებს მაღალი ხარისხით, შეღავათიან ფასად. მის: წერეთლის გამზ. №57. ტ: 34-82-30; 34-14-81

სწრაფად აგიკრეფთ ნებისმიერი მოცულობის ტექსტს ქართულად, ინგლისურად. 1 გვერდის ფასი: 80 თეთრი – 1 ლარი. ტელ: 34-32-79

აგიკრეფთ და დაგიკაბადონებთ წიგნებს, ბუკლეტებს, გაზეთს და ა.შ. ტელ: 61-51-17; 95-46-79

შპს „ხვეული კიბე"! – გთავაზობთ უახლესი დიზაინისა და მაღალი ხარისხის მუხის კარ-ფანჯრებს, ნებისმიერი სირთულის ხის შიდა კიბეებს; მარნებისა და ბუხრების ხით მოპირკეთებას. ტელ: 22-02-44; 69-19-52; 65-86-62

„ცხრაკლიტული"! შეამოწმეთ თქვენი ბინისა და ავტოსადგომის უსაფრთხოება. საკეტის შეკეთება, ახლის დამატება ან კარზე ტყავის გადაკვრა ხომ არ გსურთ? ტელ: 53-34-69; 899 56-39-69

ვაკეთებ რბილი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე შალითების შეცვლას და განახლებას; არაბული ტახტების, ნებისმიერი სახის სკამისა და სხვა ავეჯის აღდგენა-განახლებას გარანტიით. ტელ: 96-37-20. ნოდარი

ვაკეთებ ნებისმიერ ავეჯს კატალოგიდან, აგრეთვე რბილი და მყარი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე შალითების შეცვლას. ვარემონტებ მატრასებს, სკამებს, კარადებს. ტელ: 95-72-98

დაგიმზადებთ დიდი სიმძლავრის, ცვლადი ძაბვის სტაბილიზატორებს. ტელ: 64-38-23 (საღამოს); 897 57-53-62

მაღალკვალიფიციური სპეციალისტი აწარმოებს ნებისმიერ სამუშაოს გიპსოკარტონზე (KNAUF). ტელ: 96-71-53

Высококвалифицированный специалист выполнит любые работы на гипсокартону (KNAUF). Тел: 96-71-53

## მკურნალობა

პროსტატიტს, ქლამიდიოზს, ტრიქომონიაზს, უშვილობას, სქესობრივი პოტენციის დაქვეითებას უახლესი მეთოდებისა და აპარატურის გამოყენებით მკურნალობს პროფესორი რევაზ სალაყაია. მის. მარჯანიშვილის №23. (მეტროსთან) VI სად. (ეზოდან) ბინა №1. მიღება სამშაბათს, ხუთშაბათს, 18-20სთ. შაბათს 12-16სთ. ტ: 35-20-06

ვმკურნალობ ოპერაციის გარეშე ცხვირის პოლიპებს, გლანდებს, ბავშვებში ადენოიდებს, ქრონიკულ სურდოს, ჰაიმორიტს, ალერგიულ დაავადებებს. მკურნალობას ატარებს პროფესორი. ლტოლვილებს და ხელმოკლე ოჯახებს ვმკურნალობ უფასოდ. მის: ამბროლაურის ქ. №166. XI კორპ. IV სად. ბინა 46. (რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ). ტელ: 37-42-17; 53-60-06

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ანთებების მკურნალობა, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე, ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. შედეგი და ანონიმურობა გარანტირებულია. ტელ: 96-62-58

სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსაგან ვამზადებ მალამოებს. ვმკურნალობ: ოსტეოქონდროზს, მარილებს, სახსრებს, საშწვერა ნერვის ანთებას, რადიკულიტს, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს, (მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 4-8 დღეში გარანტიით). მის: გორის ქ. №3, I სად, 1 სართ. (მ. „წერეთელთან"). მიღება ყოველდღე, გარდა შაბათისა, 13-15 სთ. ტელ: 34-05-69. მაყვალა

მეჭეჭებისა და სხვა ხორცმეტების მოცილება სახესა და ტანზე უმტკივნეულოდ და ნაკვალევის გარეშე. მიღება რუსუდან საყვარელიძესთან, სამკურნალო ცენტრში. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №115 (პოლიციის შენობის უკან, ეზოში). ტელ: 95-83-54

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

სწრაფი, დაჩქარებული კურსით შეგასწავლით პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობას ინდივიდუალურად, ხარისხიანად (MS DOC, NC, WINDOWS-98, WORD, EXCEL, PAGE MAKER). ტელ: 34-32-79

გრძელდება მიღება კოსმეტიკის დაჩქარებული სწავლების კურსებზე. შეისწავლება: კანის ანატომია, დეფექტები, მკურნალობა, მალამოების დამზადება (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), ლოსიონები, საპნები, რძეები, სახის კანის გაწმენდა, მასაჟი, ეპილაცია და სხვა. შეიძლება სწავლა დაუსწრებლადაც – თვეში 2-ჯერ გამოცხადებით. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ნაძალადევი, დადიანის ქ. №26. ტელ: 66-53-56; 66-09-19

## იყიდება

პურის საცხობი მინი ქარხანა 2 ლუმლით, ავტომატური ხაზით, საკონდიტრო საამქროთი, მაღაზიით, 400 კვმ ფართის 1 სართულიანი შენობით (ან შენობის გარეშე), გაზიფიცირებული, ბაზართან ან ბაზრობასთან ახლოს. მის: თ. მღვდლის (ყოფ. ორჯონიკიძის ქ.) №57. ტელ: 34-02-13

ნებისმიერი კომერციული საქმიანობისათვის გამსახურდიას №36-ში 125 კვმ ფართის ფოტოსტუდია მაღალი ჭერით, სველი წერტილებით, ტელეფონით, მის ქვემოთ მდებარე სარდაფის პრივატიზაციის პერსპექტივით. საწყისი ფასი 50.000$. ტელ: 95-51-63; 32-34-14; 77-44-12; 899 58-35-13

გერმანული წარმოების მაცივრები, საყინულეები და სანაყინე. აგრეთვე, დიდი ტევადობის მაცივრები აფთიაქისათვის. მის: ვანის ქ. №3, „ევროავეჯი" (თელასის გვერდით). ტელ: 34-75-15; 899 58-81-84

გთავაზობთ „მერსედესის" სათადარიგო ნაწილებს. ტელ: 33-13-72 (13-18 სთ). გისურვებთ უსაფრთხო მოძრაობას!

გთავაზობთ ნებისმიერი რაოდენობის შემოსალობ მავთულბადესა და ლითონის საყრდენს, რომელთა ღირებულებაა: 1. მოთუთიებული მავთულბადე, 1კვმ – 1 ლარი; 2. რუხი მავთულბადე, 1 კვმ – 80 თეთრი; 3. ლითონის საყრდენი, 1 ცალი – 1 ლარი. გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ: ქ. თელავი, ფიროსმანის ქ. №4 (ძველ პროფილაქტიკასთან). ტელ: 3-21-76

ნიყარებიანი ფარდა (1.20X2.00). ფასი 150 ლარი. ტელ: 23-07-65

ბალზაკი, 15 ტომი – 40 ლარი (რუსულად); ასი ოპერა რუსულად, 2 წიგნი – 10 ლარი; ლეო ტაქსილი (წმინდა ბუნაგი, სახალისო ბიბლია და სახარება), 3 წიგნი – 10 ლარი; ათას ერთი ღამე, 3 ტომი (რუსულად) – 5 ლარი; 2 ტომეულები (ცვაიგი, ჰიუგო, მერიმე), რუსულად, 2 ტომი – 5 ლარი; პუშკინი (1899 წ.), რუსულად – 15 ლარი. ტელ: 23-07-65 (დილით, საღამოს)

მიღებულია კვების დანამატები სიმაღლეში ზრდისათვის; ორსული ქალბატონებისათვის ჟანგბადი წვეთებში; ონკოლოგიური ავადმყოფებისათვის „კატის ბრჭყალი" და „ზვიგენის ხრტილი", რომელიც აძლიერებს იმუნიტეტს და კრავს მეტასტაზს. ტელ: 60-20-27

## შევიძენ

„ქართლის ცხოვრების" პირველ ტომს. ტელ: 33-39-54. სალომე

## სხვადასხვა

დასვენება ქობულეთში, 10 დღე, სამჯერადი კვებით. ფასი 60-200 ლარამდე. გაიცემა საგზურები. ფასები განისაზღვრება ზონისა და კომფორტის მიხედვით. მის: დ. აღმაშენებლის გამზ. №113-115 (ეზოში, პოლიციის შენობის უკან), კაბ. №6, „ტურიზმი-2000"

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი აცხადებს მიღებას დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე:

1. სამართალმცოდნეობა (იურისტ-ეკონომისტი);
2. ეკონომიკური (ეკონომისტ-იურისტი);
3. უცხო ენები.

უმაღლესდამთავრებულები მიიღებიან III კურსზე. ფასი 200-250 ლარი.

მის: თოფურიას ქ. №12, ვაჟა-ფშაველას მე-4 კვარტალი, 128-ე საშ. სკოლა. ტელ: 32-82-60; 32-06-97 (საღამოს)

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის (კახეთის) ფილიალი აცხადებს მიღებას 2000-2001 წლისათვის დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების ფასიან და უფასო განყოფილებებზე. მიღებას აცხადებს გურჯაანის დაუსწრებელი სწავლების განყოფილება. ფასიანი სწავლების ფორმაზე აბიტურიენტები ჩააბარებენ 1 ტესტირებულ გამოცდას. ფილიალში ფუნქციონირება დაიწყო სამხედრო კათედრამ. საბუთები მიიღება 21 ივლისამდე. მისაღები გამოცდები ჩატარდება 24 ივლისიდან 4 აგვისტომდე. მის: სიღნაღი, ეკა ბეჟანიშვილის ქ. №26. ტელ. 3-14-94

## ხსოვნა

**ლევან თეთრუაშვილის გახსენება**



19 ივლისი შენი დაბადების დღეა, პირველად ვხვდებით უშენოდ. შენ ხომ მთვრამეტე ზაფხული უნდა გეზეიმა, აღარ დაგცალდა... ვაჟკაცურად ებრძოდი უკურნებელ სენს, ცა და დედამიწა შეყაჯერეთ, შვილო, მაგრამ, რა, სიკვდილმა გაჯობა, გენაცვალე. წახვედი და გაუნელებელი მწუხარება დაგვიტოვე. თუ რამე სიხარული, სიყვარული, სითბო და სილამაზე მქონდა, შენთან იყო დაკავშირებული. ყველაფერი დაიმარხა, ჩემო ბიჭო. ამბობენ, დრო მკურნალიაო; ტყუილი ყოფილა, შენით მიღებული ტკივილიც შენი სხივითაა, ვერაფერი განელებს. დღესაც აუხსნელი გვრჩება მე და მამაშენს შენი უკანასკნელი სიტყვები: „რატომ? რისთვის?" თავს ვინუგეშებთ, ალბათ იმისათვის, რომ რჩეული ბიჭი მყავდი და უფალმაც ამიტომ, მხოლოდ ჩვიდმეტი წლით გასტუმრა დედამიწას. შენმა ბიძაშვილებმა ზურიკომ და დათომ ხომ საკუთარი თვალით გიხილეს თეთრი ცხენით ზეცად ამაღლებული. გვენატრება შენი თბილი ღიმილი, ვაჟკაცური გამოხედვა. ყველგან შენი ხმა გვესმის, დედა. ვარსებობთ მხოლოდ და მხოლოდ იმ იმედით, რომ ჩვენი ჟამიც დადგება, შეგხვდებით ზეციურ საქართველოში და იქ იდუმალებით მოცულ მარადისობაში გავაგრძელებთ ჩვენს ყოფას.

ახლა კი, დედა გენაცვალოს, დამუნჯებულები, ცრემლგამშრალები, ანთებული სანთლებით ხელში, შენს საფლავთან მუხლმოდრეკილები დაბადების დღეს გილოცავთ, ბიჭო.

მსუბუქი იყოს შენი მეგობრების მიერ შენს გულზე მუჭა-მუჭა დაყრილი მიწა. ღმერთმა ნათელში გამყოფოს, შვილო.

*ოჯახი, ახლობლები*

**გოჩა ჯანყარაშვილის ხსოვნას!**

სამი წელი შესრულდა იმ საბედისწერო 16 ივლისიდან, რაც საშუადღო სასუფეველში ნაადრევად დაიდე ბინა და ჩვენ დაგვიტოვე უსაზღვრო სევდა და უდიდესი ტკივილი, რომელსაც დრო ვერ კურნავს. იქნები ჩვენთვის მუდამ ახალგაზრდა.



სამი წელია, შეწყდა შენი ლამაზი სიცოცხლე და ჩვენ დაგვრჩა შენსავით ლამაზ, ვაჟკაცურ, სპეტაკ და ღირსეულ ოჯახის შექმნაზე მხოლოდ ნაოცნებარი.

შენ ხომ უამრავი სიკეთის გაკეთება ვერ მოასწარი. ყველასთვის, ვისთანაც კი ურთიერთობა გქონდა, უდიდესი სიყვარული და სიხარული მოგქონდა. შენთან ყოველი შეხვედრა ერთი დიდი სიამოვნება იყო.

როგორ გვაკლიხარ, გვენატრები, ფიქრებით ვაწყდებით აქეთ თუ იქით, მაგრამ იმედის ნაპერწკალიც კი არ გაგვაჩნია სანუგეშოდ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული. მსუბუქი იყოს შენს გოლიათურ სხეულზე შენთვის ესოდენ სანუკვარი სამშობლოს მიწა.

*შენი დეიდები მანანა და დარეჯან აბულაძეები*

**რუსუდან პარკაულის გახსენება**

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი მრავალშვილიანი ამაგდარი დედა რუსუდან პარკაული. თვითონაც მრავალშვილიან ოჯახში აღზრდილმა სამშობლოს აღუზარდა, ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ჩააყენა ექვსი ლამაზი და ნიჭიერი შვილი. სამშობლომაც როდი დაუკარგა ღვაწლი – გაწეული ამაგისათვის დედობის ორი მედლით



დააჯილდოვა ოჯახისა და ქვეყნისათვის თავდადებული ქართველი ქალი.

რუსუდან, ამ ქვეყნიდან შენი წასვლა აუნაზღაურებელი დანაკლისია შენი ქმარ-შვილისათვის, შენი აღზრდილი შვილიშვილებისათვის, და-ძმებისა თუ ნათესავ-მეგობრებისათვის. ამბობენ, ადამიანები არ კვდებიან, ისინი უკვდავებაში გადადიან, თავიანთი საქმით, ღირსებით, ადამიანობითა და ოჯახიშვილობითო. შენი ხვედრიც ასეთია. თბილზე თბილი, მართალი, კეთილი და სხვებზე ზრუნვაში დაღლილი – სწორედ ასეთი დარჩები ჩვენს ხსოვნაში.

მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის შენი მშობლიური საგურამოს მიწა.

*მარად შენი მოსიყვარულე ქმარ-შვილი*






*ფასები მოყვანილია ეროვნულ ვალუტაში (ლარი) დღგ-ს ჩათვლით.

თბილისი: ბაქოს ქ. 2; კოსტავას ქ. 35. საინფორმაციო ცენტრი 928.

# სნეულებას სიყვარულით მოვერიე...



ლეგენდარული „ტაგანკის“ მსახიობი ლეონიდ ფილატოვი ფილმ „ეკიპაჟის“ შემდეგ კინოში შეიჭრა. მფრინავი სკვორცოვი — ეს არ იყო უბრალოდ როლი: მის გარეგნობას ბაძავდნენ, მის საქციელს ამართლებდნენ, მთელი საბჭოთა კავშირის ქალები ეტრფოდნენ მის გმირს. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ლეონიდ ფილატოვი მსახიობობას არ აპირებდა. შემდეგ დაავადდა იმგვარი სენით, რომლის ამოცნობაც დიდხანს ვერ შეძლეს. ამან წაართვა მას მსახიობის და რეჟისორის პროფესიები, მაგრამ იგი არ დანებდა.

...დაიბადა 1946 წლის ბოლოს. ოჯახი ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს. მამა რადისტი იყო, მუდმივად ექსპედიციებში იმყოფებოდა ოჯახთან ერთად. როცა ბიჭს 7 წელი შეუსრულდა, მშობლები გაიყარნენ. დედა შვილთან ერთად აშხაბადში წავიდა, თავის ნათესავებთან. ერთ მშვენიერ დღეს მამამ ჩამოაკითხათ, ოდეკოლონის სურნელს აფრქვევდა, შესარიგებლად მოსულიყო.

— **კარგი შესახედი იყო?**

— სულაც არა. დაბალი, დიდთავა და გრუზათმიანი. ადრე გაჭაღარავდა და თმას იღებავდა ბასმით. დედა ულამაზესი ქალი იყო. ბევრს მუშაობდა. დაუსწრებლად დაამთავრა მოსკოვის ეკონომიკის ინსტიტუტი. როცა ჯანმრთელობა შეერყა, პენზაში, თავის სამშობლოში, გადაწყვიტა წასვლა, მაგრამ მე გავჯიუტდი. მომწონდა აშხაბადი. იქ ბევრი მეგობარი მყავდა.

— **იგრძნობოდა ირანის საზღვრის სიახლოვე?**

— საზღვარი გამჭვირვალე იყო, აშხაბადის ერთი ცენტრალური ქუჩა კი პირდაპირ ირანში შედიოდა. ცხადია, იყო საგუშაგო. ბაზარში სპარსელები ვაჭრობდნენ, თავისუფლად იყიდებოდა ნარკოტიკები — ანაშა, ჰაშიში. განსაკუთრებით არავინ იბრძოდა მის წინააღმდეგ, ეწეოდნენ პატარა ბიჭები, უფროსები. ერთიორჯერ მეც გავუსინჯე გემო, მაგრამ არ მომეწონა.



— **წერა ადრე დაიწყეთ, თანაც ბევრს ბეჭდავდით, რატომ ლიტერატურულზე არ ჩააბარეთ?**

— ძალიან მიყვარდა კინო, ვკითხულობდი „სოვეტსკი ეკრანს“. მხიბლავდა რეჟისორების — კონჩალოვსკის, ტარკოვსკის, ვაიდას გარეგნობა — ყელიანი სვიტერი, შავი სათვალე, კეპი. ამიტომ შემექმნა წარმოდგენა იმაზე კი არა, რას აკეთებს ესა თუ ის ადამიანი, არამედ როგორ გამოიყურება ის. ამიტომ, სკოლის გამოსაშვები საღამოს შემდეგ პირდაპირ მოსკოვში გავემგზავრე, სარეჟისოროზე ვგიკში ჩასაბარებლად. აღმოჩნდა, რომ გამოცდები აგვისტოდან იწყებოდა, მე კი მხოლოდ ნახევარი თვის ფული მქონდა. 1965 წელი იყო, მოსკოვის კინოფესტივალი. შევიძინე აბონემენტები, მაგრამ უცებ პანიკამ მომიცვა: „რას ვიტყვი, როცა დავბრუნდები? რომ კინო ვნახე?“ მაშინ ფესტივალის პროგრამა რესპუბლიკების დედაქალაქებშიც ჩაჰქონდათ. ამისთვის სულაც არ იყო საჭირო მოსკოვში ჩასვლა. ვიღაცამ სამსახიობოზე მირჩია ჩაბარება. გულგახეთქილმა შევძახე, — ჩემი გარეგნობის პატრონი რა მსახიობი უნდა დადგეს-მეთქი. მსახიობი ათასნაირიაო, — მითხრა მან და საბუთები შჩუკინის სასწავლებელში შევიტანე. რადგან გავიგე, ნიკიტა მიხალკოვი და ნასტასია ვერტინსკაია თურმე იქ სწავლობდნენ. გამოცდებზე საღამოობით დავდიოდი, დღისით ფილმებს ვნახულობდი. იგავ-არაკი ვისწავლე, ლექსებს და პროზას კი ჩემსას ვკითხულობდი — ფსევდონიმით.

— **ნუთუ ვერავინ მიხვდა?**

— მხოლოდ მკითხეს, — კიდევ თუ გაქვთ რამეო. არა-მეთქი და გამოვედი. შემდეგ იმათი გვარები გამოაცხადეს, ვინც მეორე ტურზე დაუშვეს, მათ შორის ჩემიც. დავმშვიდდი, — ახლა ის მაინც შემეძლება ვთქვა, რომ მეორე ტურამდე მივედი-მეთქი.

— **აგრძელებდით სასწავლებელში ლიტერატურულ ცდებს?**

— ვთხზავდი პიესებს დასავლეთის ცხოვრებაზე. ფსევდონიმად მჟღერ სახელებს ვირჩევდი: ჩეზარე ძავატინი, ლა ბიში... და რადგან ვერავინ ვერაფერს მიხვდა, უფრო შორს წავედი. ერთ მოთხრობას „პროცესი“ ვუწოდე და ქვეშ მივაწერე, — არტურ მილერი! ალბათ ყველაფრის ცოდნა შეუძლებელია, მაგრამ უვიცობის გამჟღავნება არავის სურს. და აი, ოსტატობის გაკვეთილზე, რომელსაც რექტორი ბორის ზახაროვი ატარებდა, „პროცესი“ დადებითად შეაფასა და თქვა: „ხომ ხედავ, როცა ირჩევთ მაღალ დრამატურგიას, ყველაფერი კარგად გამოდის“. ამაზე ბორია გალკინმა წამოიძახა, — ეს ხომ ლიონია ფილატოვმა დაწერაო. ბორის ევგენიევიჩი გაწითლდა. მას შემდეგ ხმას აღარ მცემდა. კრეისერივით ჩამივლიდა ხოლმე გვერდით და ვერ მამჩნევდა.

— **პირველი ბინა როდის მიიღეთ?**

— ეს პირველი ქორწინებისას მოხდა. ცოლმა — ისიც მსახიობი იყო, დღემდე მუშაობს ტაგანკაზე — ოთახი ჩააბარა და სანაცვლოდ ერთოთახიანი ბინა მიიღო.

— **ჭორი დადიოდა, რომ ვალერი ზოლოტუხინს ცოლი წაართვით.**

— ნინა შაცკაიასთან, რომელიც მაშინ ზოლოტუხინის ცოლი იყო, მრავალი წლის მანძილზე მქონდა საიდუმლო რომანი. ცხადია, ჭორაობდნენ კიდეც. ეს ხომ თეატრში ხდებოდა! ოჯახები კი დავანგრიეთ, მაგრამ მაშინვე არ დავქორწინებულვართ. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დავიწერეთ ჯვარი..

— **არასოდეს გქონიათ სურვილი, ღვიძლი შვილი გყოლოდათ?**

— დიმას ჩემს ღვიძლ შვილად მივიჩნევ. ის მეტად სერიოზული ახალგაზრდაა. მღვდელია და ოჯახთან ერთად თავის მრევლში ცხოვრობს მოსკოვის მახლობლად. ძალიან გვიყვარს ერთმანეთი და დიდი მეგობრებიც ვართ.

— **„ეკიპაჟი“ ოლეგ დალისთვის იყო დაწერილი და თქვენ ითამაშეთ, ასევე „რჩეულნი“ — კაიდანოვსკისთვის. იქაც მისი როლი გხვდათ. რას გრძნობდით?**

— შინაგანად, ცხადია, მწყინდა, მაგრამ სცენარი ყოველთვის ჩემს სასარგებლოდ იცვლებოდა ხოლმე.

— **60-იან წლებში ბევრი სიმღერა გამოდიოდა კასეტებზე თქვენი ტექსტებით, თუმცა თქვენი გვარი არ იყო მითითებული. არ გიხდებოდათ ბრძოლა საავტორო უფლებებისათვის?**

— არასოდეს. შეიძლება ეს პრინციპული საკითხია კომპოზიტორისათვის, ჩემთვის კი სულერთი იყო. ალბათ იმიტომ, რომ ეს საქმე ძალიან მეადვილებოდა. დავჯდებოდი ჩემთვის კუთხეში და 15 წუთში ლექსი მზად იყო. ის კი რაღა შედევრია, სიტყვების ავტორი თუ უნდა გახსოვდეს?

— **ბევრის გაკეთება მოასწარით, როცა კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე იყავით?**

— განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია. ალა ლარიონოვას სახალხო არტისტობა მივანიჭეთ...

— **როგორ მოხდა, რომ ექიმებმა ამდენი ხანი ვერ დაგისვეს სწორი დიაგნოზი?**

— მეც არ ვიცი... თირკმლების ამოკვეთის შემდეგ მთელი წელი ხელოვნურ თირკმლებზე ვიყავი მიერთებული, ახლა კი დონორის თირკმლები გადამინერგეს. ჯერჯერობით, ყველაფერი კარგადაა, მადლობა ღმერთს...

— **ალბათ ბევრი იწვალეთ...**

— ძალიან ბევრი. მაგრამ გვერდით ყოველთვის მყავდა ნინა და დედა.

— **ასაკთან ერთად შეგეცვალათ ხასიათი?**

— ასაკს სიბრძნე კი არ მოაქვს, არამედ უძლურება. ახალგაზრდობაში გგონია, რომ მხოლოდ ასე უნდა მოიქცე. ახლა სულ უფრო ხშირად ვფიქრობ: რატომ? არ სჯობს, მშვიდად იყო, ამაოდ არ ირჯებოდე?

— **ახლა რას აკეთებთ?**

— შინ ვზივარ, რადგან 15 წუთის სიარულის შემდეგ 10 წუთი უნდა დავისვენო. ზაფხულს ბარვიხაში გავატარებ და ვწერ. 13 წიგნი უკვე გამოვუშვი, დასადგმელად მზადდება ჩემი პიესა მოლა ნასრედინზე. ძალიან მიყვარს შვილიშვილებთან ყოფნა. უფროსი ექვსი წლისაა, საშუალო — სამისა, უმცროსი — წლინახევრის. ძალიან გამიჭირდა სცენის გარეშე ცხოვრება, მაგრამ ჩემი აზრით, ვაჟკაცობა ის არის, რომ სენსაც გაუძლო, საქმეც მოძებნო და სარგებლობაც მოუტანო ადამიანებს. მე ეს სიყვარულმა შემაძლებინა...

***ტვ პარკი №26***

# ჯოჯოხეთი არ არსებობს — თქვა საიქიოდან მობრუნებულმა მკრტჩიანმა

სომხეთში მაშინ მძიმე დრო იყო — ომი, ბლოკადა, გაჭირვება. კინოსთვის არავის ეცალა, ფრუნზიკ მკრტჩიანი კი „მიმინოს“ გაგრძელებაზე ოცნებობდა, ძალიან სწყინდა, რომ პრემიერის წინ სახკინოს ხელმძღვანელობამ, მკრტჩიანის აზრით, ყველაზე სასაცილო მომენტი ამოჭრა ფილმიდან — „როსიაში“ ლიფტით ადიან ფრუნზიკ მკრტჩიანი, ვახტანგ კიკაბიძე და ორი იაპონელი ტურისტი. იაპონელები დაკვირვებით ათვალიერებენ მათ და ერთი ეუბნება მეორეს — ეს რუსები როგორ ჰგვანან ერთმანეთსო...

მაყურებელთა ხსოვნაში მკრტჩიანი დარჩა, როგორც დიდი კომედიური მსახიობი. „კავკასიელი ტყვე ქალი“, „აიბოლიტი-66“, „33“, „არ იდარდო“, „მიმინო“ — დამსახურებულად სარგებლობდნენ საყოველთაო სიყვარულით. მკრტჩიანი იყო კაცი, რომელიც ყველაზე მძიმე მომენტშიც კი სიცილსა და მხიარულებას იწვევდა.

ფრუნზიკის მეგობარმა, მწერალმა ალასი აივაზიანმა გადმოგვცა მასთან უკანასკნელი საუბრის ჩანაწერი, მკრტჩიანის კლინიკური სიკვდილიდან გამოყვანისთანავე რომ ჩაიწერა. მაშინ ექიმებმა შეძლეს მისთვის სიცოცხლის შენარჩუნება.



— **სად იყავი, ფრუნზიკ?**

— იმ ქვეყნიდან მოვბრუნდი... რომ იცოდე, რა ადგილია... ასეთ სამოთხეში არასოდეს ვყოფილვარ, მას ვერაფერს შევადარებ... ადრინდელ მოგზაურობას სიძნელეებიც ახლდა, ტკივილიც... ახლა ვიცი, რა არის ბედნიერება, როგორი გემო აქვს, ფერი... რა არის ნაღდი და რა — მოჩვენებითი, ტყუილი. რა არის სიზმარი და რა — ნამდვილად ჭეშმარიტი!

— **რას გულისხმობ?**

— საიქიოს.

— **შეგიძლია აღწერო?**

— ისეთი ადგილია, რომელსაც ვერ აღწერ — წარმოუდგენელი სიმშვიდე, სიმსუბუქე... არც სისხლი, არც კანი, არც სხეული, მხოლოდ შუქი და ბედნიერებაა. ჯოჯოხეთი არ არსებობს, სიცრუეა, გამონაგონი, ადამიანების დასაშინებლად შეთხზული.

— **იქნებ შენ კარგ ადგილზე მოხვდი, სხვები კი ჯოჯოხეთში ხვდებიან?**

— ყველას ერთი ბილეთი გვაქვს. ჩემი ბილეთი, მაგალითად, „კუჭის წყლულია“, რბილი ვაგონი, ექსპრესი „ერევანი-საიქიო“. ვაგონის გამცილებელი — ჩემი ცოლი. მან სხვა სურათი იხილა, ასე მითხრა, — საშინელი შესახედავი იყავი, სახე გაგილურჯდა, თვალები ამოგიტრიალდაო. მე კი ბედნიერი ვიყავი... სინათლის სხივებში გახვეული.

— **ალბათ სხვა გარსში გადადიოდი. გითხრეს, რამდენ ხანს აღარ ძგერდა შენი გული? თურმე, შენი მეგობრის, ევგენი ლეონოვის კლინიკური სიკვდილი 5 წუთს გაგრძელებულა.**

— ჩემიც.

— **სად სჯობს — აქ თუ იქ?**

— რა საკითხავია. რა თქმა უნდა, იქ. ის ბედნიერება, რომელიც იქ განვიცადე, აქ არასოდეს განმიცდია. წასვლაც ძალიან გამიადვილდა. ყოველთვის მიკვირდა, მომაკვდავი რატომ არ იბრძვის აქ დასარჩენად-მეთქი. იქ ცოტა ხანს დავყავი, მაგრამ ეს იყო უბედნიერესი, გაცისკროვნებული წამი, რომელიც საუკუნე გაგრძელდა.

— **ამ ცხოვრებაში თუ გქონია ასეთი წამი?**

— არასოდეს!

— **ჯილდოები, წოდება, ოვაციები?**

— რას ამბობ, იმასთან შედარებით რაც იქ განვიცადე, ეს წვრილმანია!

— **გინდა თქვა, რომ ეს იყო ფრუნზიკ მკრტჩიანის ყველაზე ბედნიერი წუთები?**

— დიახ, უზარმაზარი, ჯერ განუცდელი ბედნიერება, აუხსნელი მდგომარეობა.

— **რით განისაზღვრება ბედნიერება იქ? ოვაციებით?**

— ეს ხომ სისულელეა! ტაში როგორ შეედრება იმას, რაც იქ განვიცადე? ის კოსმოსური, შეუდარებელი ბედნიერებაა. სამწუხაროდ, როგორც საბჭოთა ტურისტი, მალე დამაბრუნეს „რკინის ფარდის“ ეპოქაში. ექიმებს, რა თქმა უნდა, მადლობა გადავუხადე იმისთვის, რომ დამაბრუნეს, მაგრამ ჩვენში დარჩეს და, როცა ქარხნის მხრჩოლავი მილი დავინახე, ვინანე, რომ დავბრუნდი...

***კომსომოლსკაია პრავდა №142***

ოთხშაბათს,19 ივლისს — ყველაფერი ბომონდის შესახებ



# გაჯანსაღების ბიუჯეტი თუ კაპიტულაცია კორუფციისა და ეკონომიკური კრიზისის წინაშე?

წინა ნომერში „კვირის პალიტრა" იუწყებოდა იმ დაძაბული ფონის შესახებ, რაც ახალი ფინანსთა მინისტრის ინიციატივას მოჰყვა, ბიუჯეტის 300 მლნ-ით შეკვეცასთან დაკავშირებით. აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან მძაფრი საპროტესტო რეაქციის შედეგად ზურაბ ნოღაიდელმა ცოტა დათმო და 280 მლნ-ზე დაიყვანა სეკვესტრი, თუმცა, არსებითად, ამით მაინცდამაინც არაფერი შეცვლილა.

სხვათა შორის, უმრავლესობა იმით გამოირჩეოდა, რომ ახალი ბიუჯეტის პარლამენტში განხილვისას კრიტიკის მიუხედავად მხარდაჭერას მაინც ითხოვდა. გამონაკლისი გამოდგა უმრავლესობის ერთ-ერთი გამოკვეთილი ფიგურა, ლევან გაჩეჩილაძე, რომელიც ამას წინათ, მთავრობის პასუხისმგებლობის დაყენების საკითხთან დაკავშირებულ, პარლამენტში ატეხილი აჟიოტაჟის ეპიცენტრში იყო მოქცეული და განვითარებული მოვლენების გამო ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტიც კი დატოვა. მან შეცდომა უწოდა სეკვესტრირებულ ბიუჯეტს, მსგავსად 1999 წლის და 2000 წლის ბიუჯეტებისა, რადგან ეს ბიუჯეტები შემოდიოდა გაუანალიზებელი პარამეტრებით — აცხადებს იგი და ხსნის კიდეც მის შინაარსს:

— ქვეყანამ უნდა იცხოვროს იმ ფულით, რაც მას გააჩნია. რა ფული გააჩნია ქვეყანას... როდესაც 1999 წლის ბიუჯეტს ვაკრიტიკებდით, ბატონი ჩუბინიშვილი გამოვიდა და თქვა: „რა არის ის ქვეყანა, რომელიც სიგარეტს და ნავთობპროდუქტებს ჩამოეკიდება? ქვეყნის შემოსავლებისთვის პანაცეა გახდა ნავთობპროდუქტები და სიგარეტი"... ახლაც არაფერია ნათქვამი ამ ბიუჯეტში, არ არის ჩატარებული მონიტორინგი, თუ რამდენს მივიღებთ ჩვენს სახელმწიფოს მიერ მართული საწარმოებიდან და იმ საწარმოებიდან, სადაც სახელმწიფოს გარკვეული წილი ეკუთვნის. ეს უზარმაზარი დოვლათის ნაწილია, რომელიც ასეულ მილიონობით ლარში გამოიხატება. ეს არის შემოსავლების უდიდესი ბაზა, რომელიც არ არის ეფექტურად გამოყენებული და რომელიც ჩვენ ამ ბიუჯეტში ჩადებული არ გვაქვს. გარდა ამისა, სახელმწიფოში რეგისტრირებულია 45.000 კომერციული სტრუქტურა, რომლებიც წლიდან წლამდე მომგებიან ბალანსებს აბარებენ, აქედან მეასედიც კი არ იხდის ბიუჯეტში ფულს. ეს ის თანხაა, რომლის მობილიზებაც შეუძლია დღეს სახელმწიფოს. ჩვენ მარტო იმას კი არ ვკვეცავთ ამ ბიუჯეტით, რაც ვერ ამოვიღეთ, არამედ იმასაც, რაც უნდა შემოვიდეს. ეს არის შემოსავლების ხელოვნურად შეკვეცა, მე ასე მგონია. იმიტომ, რომ ამ პარამეტრების უკან ანალიზი არ ჩანს. ჩვენს ქვეყანას, დღეს, სჭირს სისტემური ავადმყოფობა, რაც გამოიხატება ეკონომიკური და საბიუჯეტო კრიზისებით.

სახელმწიფოს ჰქონდა მოსახლეობის ვალი, დაცულ მუხლებში როდის უნდა მოხდეს ამის გადახდა, ამბობს ვინმე? ნუ დავუშვებთ კიდევ ერთ შეცდომას, არ არის ბიუჯეტის ეს რიცხვი მართალი.

შედეგს წლის ბოლოს დავინახავთ და მაშინ, თუ ერთი პროცენტითაც დაირღვა წლევანდელი ბიუჯეტი, ყველამ აიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა და დატოვოს თანამდებობები. იმიტომ, რომ ამ ქვეყანას, როგორც ეტყობა, ხშირი სამთავრობო კრიზისი სჭირდება, რათა გაკეთდეს სწორი ანალიზი იმისა, თუ საით მივდივართ".

რაც შეეხება იმ ნაწილს სეკვესტრირებულ ბიუჯეტში, რომელიც ხელფასებისა და პენსიების სახით სახელმწიფოს დავალიანებას წარმოადგენს მოსახლეობის მიმართ, ზურაბ ნოღაიდელმა ცალსახად განმარტა, რომ არ გვაქვს საშუალება ადრინდელი დავალიანებები გავისტუმროთო. რასაც სამწუხარო სინამდვილე უწოდა და იმედი გამოთქვა, ეს ვალები, შემდეგში პრივატიზაციიდან შემოსავლების შესაბამისად იქნება გასტუმრებულიო. მოსახლეობის დავალიანების მიმართ ასეთმა დამოკიდებულებამ საკმაოდ გააღიზიანა აღორძინების წარმომადგენელი ბატონი ნოდარ ჯავახიშვილი, რომელმაც განაცხადა: „პრივატიზაციიდან დავალიანებების გასტუმრება არასწორი პრაქტიკაა და ყველა შემთხვევაში, გარეგნულადაც და შინაარსითაც, ხალხის მოტყუებას ნიშნავს, რადგან ბიუჯეტიდან ვიღებთ სავალდებულო თანხებს და ხალხს ვეუბნებით, რომ ბიუჯეტის გეგმის ზევით რასაც ავიღებთ, იმას მოგცემთო. საქართველოში, თავისი დამოუკიდებულების შემდგომ, არასდროს არ შესრულებულა ბიუჯეტი, მეტის აღებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, მით უმეტეს პრივატიზაციის თანხებზე.

ნოდარ ჯავახიშვილმა შემდეგ საერთო ასპექტში მიმოიხილა წარმოდგენილი პროექტი და სულ მიწასთან გაასწორა ნოღაიდელის სეკვესტრირებული ბიუჯეტი.

„ქართველები უნიკალური ხალხი ვართ — განაცხადა მან — მიუხედავად იმისა, რომ საოცრებების ქვეყანაში ვცხოვრობთ, ეტყობა, მაინც არ დაგვიკარგავს გაოცების უნარი. როცა ამ წარმოდგენილ დოკუმენტს ვკითხულობ, რასაც ბიუჯეტი ჰქვია და მის არგუმენტაციას ვისმენ, კიდევ მაქვს შინაგანი შესაძლებლობა, რომ გავვოცდე... როდესაც ფინანსთა მინისტრს ვამტკიცებდით, იგი შეგვპირდა, რომ შემდეგი ბიუჯეტი აუცილებლად იქნებოდა ქვეყნის საფინანსო გეგმა. არის ეს ბიუჯეტი ქვეყნის ძირითადი საფინანსო გეგმა, ან განსაზღვრავს რაიმე პრიორიტეტებს და მიზანს, საითკენ მიდის ქვეყანა? — არა. ეს არის გარკვეული ციფრების ნაკრები, რომელსაც შემთხვევით ვარქმევთ ბიუჯეტს. ეს არ არის ის რეალისტური ბიუჯეტი, რაზეც მმართველი ძალა ლაპარაკობს. ეს რეალისტური ბიუჯეტია მხოლოდ მმართველი ძალის შესაძლებლობის ფარგლებში და ძალიან შორს არის ჩვენი ქვეყნის რეალური შესაძლებლობებისგან. თუ მეტი არ შეუძლია, მაშინ ასეთი ხელისუფლება ქვეყანას არ უნდა მართავდეს.

ჩვენი კრიზისის თავიდათავი კორუფციაა. მმართველი ძალა აცხადებს, რომ კორუფციის წინააღმდეგ გამძაფრებულ ბრძოლას აწარმოებს. ბიუჯეტის პარამეტრები კი საწინააღმდეგოს ამტკიცებს — თავდაპირველ ბიუჯეტში, ჩვენ, რეალური შემოსავლების 25% გვქონდა ჩადებული. ახლა გვაქვს 19%. ეს კი ნიშნავს, რომ ბიუჯეტს გარეთ დავტოვეთ მეტი თანხები, ვიდრე



აქამდე რჩებოდა კორუმპირებულებისათვის, კონტრაბანდისტებისთვის და ათასნაირი წურბელებისთვის. ამას ჰქვია ბრძოლა? პირიქით, მგონია, რომ ვეხმარებით მეტის შეჭმაში. ამას ჰქვია აბსოლუტური კაპიტულაცია კორუფციის და კონტრაბანდის წინაშე".

უმრავლესობის წარმომადგენელმა, ელდარ შენგელაიამ კი სეკვესტრირებულ ბიუჯეტთან დაკავშირებით, ჯერ 60%-ით დაფინანსება შემცირებული ქართული კინოს არსებობის შეწყვეტა იწინასწარმეტყველა და მერე, თუ ამ ბიუჯეტის შესრულებაც ვერ მოხერხდებოდა, მთლიანად მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხით დაინტერესდა. იმაზე, თუ ვინ აგებს მოსალოდნელ შედეგებზე პასუხს, ეს კითხვა მუდამ იტრიალებს პარლამენტის დარბაზში — განაცხადა ფრაქცია ტრადიციონალისტების ლიდერმა აკაკი ასათიანმა — რადგან ეს არის არსებული სისტემის კრიზისი და სხვა გზებია საძებნი. ამ სეკვესტრით არაფერი არ გამოვა. გამოვა სულ სხვა რამე, რაც სჩვევია ამ ხელისუფლებას — შემოდგომაზე ვნახავთ, რომ ნოღაიდელის, მაჭავარიანის და ალბათ ვილაცის ბრალი აღმოჩნდება ყველაფერი და გვეტყვიან, რომ ამ ახალგაზრდებმა ვერ გაამართლეს და ამაშია საქმეო. მეტი არავინ დამნაშავე არ იქნება.

მოკლედ, ასეა თუ ისე, 2000 წლისათვის საქართველოს ერთი მესამედით შემცირებული, მაგრამ „გაჯანსაღების ბიუჯეტად" სახელდებული საფინანსო კანონი აქვს. ხოლო რამდენად გაჯანსაღდება მდგომარეობა, უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

# უშველის ბალცეროვიჩი გაუბედურებულ ქართულ ეკონომიკას?



შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი საქართველოს ეკონომიკა არათუ უფსკრულის პირასაა მისული, არამედ უკვე გადაჩეხილია მასში. ხელისუფლება გადარჩენის გზებს ეძებს, მაგრამ როგორც ეტყობა საკუთარი შესაძლებლობები ამის საშუალებას არ აძლევს. ამიტომ 14 ივლისს, შევარდნაძესთან შეხვედრისას ამერიკის პრეზიდენტის მთავარმა მრჩეველმა ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის საკითხებში, ელჩმა სესტანოვიჩმა, ამერიკის ადმინისტრაციის სახელით პრეზიდენტს ურჩია, საქართველოს მთავრობის მრჩევლად ეკონომიკურ საკითხებში, ცნობილი პოლონელი მეცნიერ-ეკონომისტი ბალცეროვიჩი მოეწვია.

სესტანოვიჩმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველოსთვის პრიორიტეტული მიმართულება უნდა იყოს უცხოელი ინვესტორების დაინტერესება და მათი ნდობის მოპოვება. მნიშვნელოვნად მიიჩნია მან აგრეთვე საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობის აღდგენა, რაც შესაძლებელი გახდება მხოლოდ ახლად დამტკიცებული სეკვესტრირებული ბიუჯეტის შესრულების შემთხვევაში.

როგორც ჩანს, სტივენ სესტანოვიჩს ყოველივე ამის გარანტად, გარკვეულწილად, ბალცეროვიჩის საქართველოში მოღვაწეობა მიაჩნია.

თავად ბალცეროვიჩზე კი ის შეიძლება ითქვას, რომ მას ლომის წილი უდევს პოლონეთის დღევანდელი წარმატებული მდგომარეობის მიღწევაში.

80-იან წლებში ახალგაზრდა ბალცეროვიჩი შევიდა ორგანიზაცია „სოლიდარობაში", სადაც გაერთიანებული იყვნენ დასავლეთზე ორიენტირებული ინტელექტუალები და მიზნად დაისახა ისეთი პროგრამის დამუშავება, რომელიც წინ წაწევდა პოლონეთს საბაზრო ეკონომიკის გზაზე.

1989 წელს ბალცეროვიჩი ხდება პოლონეთის ეკონომიკური ვიცე-პრემიერი და პარალელურად ითავსებს ფინანსთა მინისტრის პოსტსაც. მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თანდათანობით მდგომარეობა უკეთესდება: ინფლაცია მცირდება 44%-ით... რა თქმა უნდა, ამაში თავისი წვლილი დასავლეთსაც მიუძღვის, რომელმაც კრედიტისა და საგარეო ვალების ჩამოწერით გარკვეული შვება მისცა პოლონეთის ეკონომიკას. „დასავლეთმა მხარი მხოლოდ იმიტომ დაგვიჭირა, რომ ჩვენ რადიკალურ რეფორმებზე წავედით" — წერდა ბალცეროვიჩი. 1992 წელს პოლონეთი ხდება პირველი ქვეყანა ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ბანაკიდან, რომლის ეკონომიკამ სერიოზულ ზრდას მიაღწია.

მაგრამ ბალცეროვიჩის მოღვაწეობის გზა არ იყო ია-ვარდით მოფენილი. რას აღარ უწოდებდნენ მას ამ წლებში — „ქურდი!", „მკვლელი!", „მძარცველი!"... სხვათა შორის, დღესაც გაისმის მისი მისამართით ანალოგიური გამოთქმები. მას ბრალად უყენებდნენ უსულგულო მონეტარიზაციას, საბაზრო ეკონომიკის მგლური კანონების დამკვიდრებას, მდიდრების მხარდაჭერას და ღარიბების მიმართ უგულისყურობას. პოლონეთის ეკონომიკაში ბალცეროვიჩის შოკური თერაპიის პერიოდი ხასიათდებოდა მრავალი საპროტესტო აქციით, რომლის დროსაც აქციის მონაწილენი, კეტებით ცემდნენ და წვავდნენ ბალცეროვიჩის ფიტულს. საინტერესო ის არის, რომ მიუხედავად მოსახლეობის ასეთი რისხვისა მის მიმართ, იგი მზარეულის ჩაჩით თავდამშვენებული, ხშირად ურიგებდა გაღატაკებულებს წვნიან საჭმელს ქუჩაში.

საინტერესო და პარადოქსული იყო ლეხ ვალენსას დამოკიდებულება ბალცეროვიჩის პიროვნების მიმართ, რაც ალბათ პოლიტიკური თამაშის ჭრილში შეიძლება განვიხილოთ: პირველი ვალენსა იყო, რომელმაც ბალცეროვიჩი მოიწვია ეკონომიკური რეფორმების განსახორციელებლად. შემდეგ კი ქვეყანაში რეფორმების მტკივნეულ პერიოდში, იგი ყველაზე მწვავე კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ბალცეროვიჩის „მძარცველურ" ეკონომიკურ პოლიტიკას. ამით მან 1990 წლის არჩევნების მოგება შეძლო. ხოლო არჩევნების შემდეგ ვალენსამ კვლავ მოიწვია მთავრობაში ბალცეროვიჩი.

1991 წელს ბალცეროვიჩი ტოვებს მთავრობას და გადადის ოპოზიციაში.

ამავდროულად იგი ლექციებს კითხულობს დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში. 1997 წლისთვის კი ბალცეროვიჩი კვლავ დაბრუნდა ხელისუფლებაში. თან იმავე რანგში — ეკონომიკის ვიცე-პრემიერად და ფინანსთა მინისტრად.

რეფორმები ხორციელდებოდა და ეკონომიკაც ვითარდებოდა — 1997 წლისთვის ზრდამ 6%-ს მიაღწია. რეფორმებთან ერთად ხელისუფლებას გარკვეულ კომპრომისებზე წასვლაც უხდებოდა, როგორიც იყო საწარმოების დავალიანების ანულირება.

დღეისათვის, ბალცეროვიჩის მთავარი ამოცანაა საგადასახადო სისტემის რეფორმა, რომელსაც „ბალცეროვიჩის თეთრ წიგნს" უწოდებენ. იგი საწარმოებისთვის 34-30%-იან საგადასახადო ტარიფს მოითხოვდა, მაგრამ პრეზიდენტმა ვეტო დაადო საგადასახადო კანონპროექტს. მთელი პოლონეთი ბალცეროვიჩის გადადგომას ელოდა, რადგან იგი იმუქრებოდა — თუ მისი „თეთრი წიგნი" სრულად არ იქნებოდა მიღებული, იგი დატოვებდა თავის პოსტს, მაგრამ ბალცეროვიჩმა საბოლოო ჯამში მაინც დარჩენა არჩია, როგორც თვითონ ხსნის: „საჭიროა დარჩენა, თუკი არსებობს გამარჯვების თუნდაც მცირეოდენი შანსი".

ბალცეროვიჩის რეფორმამ პოლონელებს მისცა შანსი, თუმცა ყველამ მისი გამოყენება ვერ შეძლო. სადღაც 10 წელიწადში შეიქმნა 2 მილიონზე მეტი ფირმა, უცხოელმა ინვესტორებმა განახორციელეს პოლონეთში 30 მილიარდი დოლარის ინვესტიცია. საშუალო თვიურმა ხელფასმა მიაღწია 400 დოლარს. ინფლაციის წლიური დონე 10%-ია, პოლონური ზლოტი ყველაზე მყარი ვალუტა გახდა აღმოსავლეთევროპულ რეგიონში. ქვეყანამ მიაღწია საერთო შინაპროდუქციის რეკორდულ ზრდას (6% წელიწადში).

ის პოლონელები, რომლებმაც გამოიყენეს ეს შანსი, თვლიან, რომ ეს ბალცეროვიჩის რეფორმის დამსახურებაა. ხოლო ვინც ვერ გამოიყენა, ისინი ამ რეფორმას ადანაშაულებენ. ასეთი კატეგორია პოლონელთა ერთ მესამედს აღწევს. ამის გამო მისდამი მიმართულ კრიტიკაში ისმის, რომ მან გააბანკროტა ხალხი და ქვეყანა დასავლეთს მიჰყიდა. მისგან მოითხოვდნენ, რომ დაასვენოს ხალხი „მძარცველური რეფორმისაგან", მაგრამ ბალცეროვიჩი ამბობდა, რომ დასვენება არ იქნება. მაგრამ აი, 29 მაისს ბალცეროვიჩი და მასთან ერთად რამდენიმე მინისტრი თავისი მოადგილეებითურთ პოსტიდან გადადგნენ. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ „თავისუფლების კავშირი" (ეს პარტია ბალცეროვიჩმა შექმნა „სოლიდარობის" დატოვების შემდეგ), რომლის ლიდერიც ბალცეროვიჩია, ითხოვდა უფრო რადიკალური პოლიტიკის გატარებას ეკონომიკის სფეროში, დემოკრატიის განმტკიცებას და სოციალურ რეფორმებს. ისინი ადანაშაულებდნენ თავის უფროს პარტნიორს „სოლიდარობას" (რომელთან ალიანსითაც „თავისუფლების კავშირი" პარლამენტში მოხვდა), რომ ყველა მათი წინადადება იგნორირებული იყო და ხდებოდა მათი ბლოკირება.

ეს გახლავთ მოკლე მიმოხილვა ბალცეროვიჩის მოღვაწეობისა და მისი შედეგებისა პოლონეთში. ბალცეროვიჩისა, რომელიც ამერიკის ადმინისტრაციის მხრიდან იქნა რეკომენდებული საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის. რაც შეეხება ქართველ ეკონომისტებს, მაგალითად, ბატონი რომან გოცირიძე დადებითად აფასებს ბალცეროვიჩის მოწვევას და მიიჩნევს, რომ ძალიან კარგი იქნება, თუ ეს განხორციელდება.

*გვერდი მოამზადა მამუკა გიორგაძემ*

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 15 ივლისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| **აშშ დოლარი** | 1,9649 |
| **გერმანული მარკა** | 0,9401 |
| **ინგლ. გირვანქა სტერლინგი** | 2.9536 |
| **ევრო** | 1,8388 |
| **რუსული რუბლი** | 0,0706 |
| **თურქული ლირა (10.000)** | 0,0313 |

თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი „მთიები"
აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას შემდეგ ფაკულტეტებზე:
იურიდიული; ფილოლოგიის, ეკონომიკის, ისტორიის, მათემატიკის, პედაგოგიური, ჟურნალისტიკის, უცხო ენების.
წარმოებს სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ.
9 კლასდამთავრებულთათვის ფუნქციონირებს ლიცეუმი
მის: დავით აღმაშენებლის 178 („დინამოს" სტადიონთან), მე-18 სკოლა, III-IV სართ.
☎ 35-27-00; 38-00-83; 52-67-67; 62-05-07; 38-87-26

ფირმების რეგისტრაცია აუდიტი
ბეჭდების და შტამპების დამზადება
რუსთაველის 22
☎99-86-09; 38-37-89

საუკეთესო ხარისხის კერამიკული კრამიტი
„ინესერვისი"
☎38-58-24
95-53-32

ქსეროასლები - 5 თეთრი
ტირაჟი - 2 თეთრიდან
კომპიუტერული მომსახურება
იყიდება
ქსეროაპარატი
წარმადობა - 42 ასლი/წთ
ფასი - 600 $-ის ეკვ.
შ.პ.ს. კომპანია „ლიბკო" Libco Company LTD
თბილისი, დ. აღმაშენებლის 99, ტელ.: 96-32-89

# დიაგნოზი დასმულია, შეძლებენ განკურნებას?

დასავლეთის პრესა, რომელიც კომენტარს უკეთებს პრეზიდენტ პუტინის მიმართვას ფედერალური საკრებულოსადმი, ერთხმად ასკვნის, რომ პუტინის სიტყვა ეძღვნებოდა ერთ საკითხს — სახელმწიფოს როლის გამტკიცებას. პუტინის გამოსვლის ზოგიერთ მომენტს უცხოეთის პრესა სხვადასხვანაირად აფასებს. მაგალითად, ინგლისის „გარდიანს“ მიაჩნია, რომ „პუტინი შეეცადა დისტანცია დაეჭირა რუსეთის პირველი პრეზიდენტის მიმართ. მისი გამოსვლა ელცინის ხელმძღვანელობის სტილის კრიტიკა გახლდათ, თუმცა აქამდე საკმაოდ ლოიალური იყო თავისი წინამორბედის მიმართ“.

ფრანგულ „ფიგაროს“ მიაჩნია, რომ „დოქტორმა პუტინმა დიაგნოზი დაუსვა თავის ქვეყანას: სუსტი და არაეფექტური სახელმწიფო, დემოკრატიული კრიზისი, ჩრდილოვანი ეკონომიკის დიქტატი და ა.შ.“ მკურნალობის მეთოდებზე, პუტინს გადაკვრითაც არაფერი უთქვამს. რაც შეეხება ეკონომიკას, სტრატეგიული ხაზი კარგად არის განმარტებული გერმან გრეფის პროგრამაში. მაგრამ მასში ჩადებულ ამბიციურ მიზნებს ელობება სერიოზული წინააღმდეგობანი, რომელთაგან მთავარი რუსეთის ფედერალიზაციაა. პუტინი გულისხმობდა გუბერნატორებსა და პრეზიდენტებს, რომლებიც კონსტიტუციის საწინააღმდეგო კანონებს ახორციელებენ.

**კომსომოლსკაია პრავდა №123**

# კავკასიური დემოკრატია

ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკის — ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის პოლიტიკური ყოფა მერყევია. დღითი დღე მწვავდება ყარაჩაელთა და ჩერქეზთა ურთიერთობა და მათ კონფლიქტში სხვა ეთნიკური ჯგუფებიც არიან ჩართულნი. ერთ-ერთმა დეპუტატმა ასე დაახასიათა რესპუბლიკის პარლამენტის მუშაობა: „ჩვენი პარლამენტი სნეული დაიბადა. მისი სტრუქტურა გაყოფილია: ერთ მხარეს არიან ყარაჩაელები, მეორე მხარეს — აბაზინები და ჩერქეზები, ხოლო მესამე — რუს დეპუტატთა ჯგუფი, მათ შორის მერყეობს“. აღსანიშნავია, რომ „კავკასიური დემოკრატიის“ მოლოდინში რუსი მოსახლეობა ტოვებს იქაურობას. ეთნიკური პრინციპის მიხედვით ყალიბდება არაკომერციულ ორგანიზაციათა სექტორიც. ჩრდილოკავკასიელი მცირერიცხოვანი ხალხები „თავიანთ“ სახელმწიფოებრიობას მოითხოვენ. მაგალითად, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკაში აბაზინებისა და ნოღაელების რაიონების შექმნა იგეგმება. ასე




თუ გაგრძელდა, მაშინ მოსალოდნელია კაზაკებით დასახლებული რაიონების გამოყოფაც. რესპუბლიკაში საჭირო გახდა ახალი თანამდებობის — სლავ ხალხთა კავშირის საქმეების მრჩეველის — შემოღება. ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკის მეთაურის განკარგულებით, ამ თანამდებობაზე დაინიშნა სერგეი ჟილკინი. ბოლო დროს ლიბერალების ლოზუნგი — „ნაკლები სახელმწიფოები“ — შეიცვალა ლოზუნგით „მეტი ეთნიკური სახელმწიფო“. პოლიტიკურ იდეოლოგებსა და პარტიებს შორის ბრძოლის ნაცვლად ერთმანეთს ეჯახება ეთნიკური ჯგუფები. ასეთი „დემოკრატიის“ მომავალი „განვითარება“ მხოლოდ ეთნიკურ დაპირისპირებებს გამოიწვევს. საჭირო ხდება პოლიტიკური კორექტივების შეტანა ამ პროცესებში, რომელიც, როგორც სხვა სახელმწიფოების პრაქტიკა გვიჩვენებს, სულაც არ ნიშნავს დემოკრატიის უარყოფას.

**ნეზავისიმაია გაზეტა №125**

# ვინ დღესასწაულობს, ვინ — აპროტესტებს

ყოფილმა ჰონკონგელებმა, დღევანდელმა კი სიანგანელებმა, ჩინეთის იურისდიქციაში ბრიტანეთის ანკლავის მესამე წლისთავი აღნიშნეს.

ზოგმა მართლაც გულით მოილხინა — ლამაზ, მაგრამ ხანმოკლე ცერემონიალზე, როდესაც ჩინეთის სახელმწიფო და ჩინეთის სპეციალური ადმინისტრაციული რაიონის დროშა აღიმართა ქალაქის ცენტრში.

სხვები, თუმცა ასეთები ნაკლებნი იყვნენ, მეორე დემონსტრაციაზე შეგროვდნენ, უფრო ხანგრძლივი — 72 საათიანი იყო. პროფკავშირების წარმომადგენლები, რომელთაც პირები მინი-ტრანსპარანტებით ჰქონდათ აკრული, პროტესტს გამოთქვამდნენ ადგილობრივი ადმინისტრაციის მეთაურის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის შედეგად ქალაქში ღარიბ-ღატაკთა რაოდენობა მატულობს. ტრანსპარანტებს, ამშვენებდა წარწერა: „მშიერი გაფიცვა“. გაიგონებს თუ არა მათ „ხმას“ ხელისუფლება?

**ეხო პლანეტი №28**

# გამარჯვების სახელობის ჩიხი

თუ ვლადიმირ პუტინს დავუჯერებთ, მან ჩეჩნეთის ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციის ჩატარების გადაწყვეტილება მოსკოვსა და და ვოლგოდონსკში საცხოვრებელი სახლების აფეთქების შემდეგ მიიღო. რუსეთის პრეზიდენტის თქმით, ქვეყნისათვის ტერაქტების აცილება შეიძლებოდა უშუალოდ ჩეჩნეთში ტერორისტებისა და მათი ბაზების განადგურების გზით. მაგრამ, მძღოლი — კამიკაძეების შეტევამ ფედერალური ჯარების პოსტებსა და ყაზარმებზე, რომლის შემდეგაც მოსკოვის მილიციაც კი განსაკუთრებულ რეჟიმზე გადავიდა — ცხადი გახადა, რომ ანტიტერორისტულმა ოპერაციამ მიზანს ვერ მიაღწია. რუსი გენერლების განცხადება, რომ ოპერაციის სამხედრო ნაწილი დასრულებულია, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ შეეფერება. პრეზიდენტმა პუტინმა თავდაცვის მინისტრს შეახსენა, რომ მას არავისთვის მოუხსნია ანტიტერორისტული ოპერაციის ხელმძღვანელობის ვალდებულება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არმია როგორც ჩეჩნეთში იყო, ისევ რჩება კრემლის მთავარ იარაღად.

უკანასკნელი დროის მოვლენებმა ცხადი გახადა, რომ მკაფიო პოლიტიკის გარეშე, მხოლოდ ომით, ჩეჩნეთის პრობლემა ვერ გადაწყდება. მოსკოვმა დროზე ვერ გამოიყენა რუსეთის მიმართ ლოიალურად განწყობილი ჩეჩნები. ჩეჩნეთის ადმინისტრაციის თავკაცად დანიშნული კადიროვი აპირებს მასხადოვის მიმართ ოპოზიციურად განწყობილ თანამემამულეებზე დაყრდნობით აღადგინოს 1997 წელს ლეგიტიმურად არჩეული ხელისუფლება. ჟურნალისტის კითხვაზე — აპირებს თუ არა კადიროვი მთებში მიმალული ბოევიკების მოძებნას, მან უპასუხა: თავად მოვლენო. კადიროვი მართალი აღმოჩნდა.


ტურპალ ატგერიევი

ჩეჩნეთის ადმინისტრაციის თავკაცს მიმართა ცნობილმა საველე მეთაურმა ტურპალ ატგერიევმა, რომელმაც ჩაბარების შემთხვევაში ითხოვა თავისი 200 ბოევიკის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

**იტოგი №28**

ჩეჩნები ტოვებენ დიდ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებს. ეს დაკავშირებულია ასლან მასხადოვის ვიდეომიმართვასთან რესპუბლიკის მცხოვრებთა მიმართ. მასში ნათქვამია: „აგვისტოს დამდეგს ჩვენ დაგეგმილი გვაქვს უკანასკნელი და გადამწყვეტი შეტევა რუსი ჯარისკაცების მიმართ“. ჩეჩნებმა იციან, რომ მასხადოვი ტელევიზიით თვეში 2-3-ჯერ გამოდის, ისე რომ, აგვისტომდე კიდევ გამოვა. ფედერალები მოსახლეობას მოუწოდებენ არ აჰყვნენ პროვოკაციას და ჩეჩნეთში დარჩნენ. გუდერმესში, რომელსაც მასხადოვის თქმით, დაარტყამენ ბოევიკები, ჯერჯერობით, სიმშვიდეა.

**კომერსანტი №125**

# დელი ბირთვული ომისთვის ემზადება

ინდოეთის მთავრობა და დელის ადმინისტრაცია რესპუბლიკის დედაქალაქში ბირთვულსაწინააღმდეგო თავდასხმის თავშესაფართა ქსელის აგებას აპირებს, ნათქვამია საგანგებო ანგარიშში, სახელწოდებით „დელის სამხედრო გეგმა“, რომელიც ქალაქზე მოსალოდნელი ბირთვული თავდასხმის გამო შეიქმნა.

დოკუმენტის ავტორები ფიქრობენ, რომ აუცილებელია მოსახლეობის დაცვა ბირთვული, ბიოლოგიური, ქიმიური და მასობრივი განადგურების იარაღის სხვა სახეობებისგან. მიწისქვეშა თავშესაფრად იქცევა დელის მეტრო, რომლის პირველი ხაზის გაშვება 2005 წლისთვის არის დაგეგმილი. ტექნოლოგიებს, რომელთაც მეტროპოლიტენის მშენებლობაში იყენებენ, მომავალში მიწისქვეშა ბუნკერების ქსელის გასამართავად დანერგავენ.

**ეხო პლანეტი №28**



# კემპ-დევიდის მაგია

სამმხრივი (პალესტინა-ისრაელი-ამერიკა) სამიტი კემპ-დევიდში სახუმარო ნოტით დაიწყო. მას შემდეგ, რაც აშშ-ის პრეზიდენტი ბილ კლინტონი მოლაპარაკების დარბაზში შევიდა, ისრაელის პრემიერმა ეჰუდ ბარაქმა და პალესტინელთა ლიდერმა იასირ არაფატმა თავაზიანად დაუთმეს გზა ერთმანეთს, ორივე იმას გაიძახოდა — ჯერ თქვენ შებრძანდითო. არაფატი ისე აქტიურობდა, რომ თავსაბურავის ნაწილიც კი ჩამოეშალა, თუმცა დარბაზში მაინც პირველი ის შევიდა. ამგვარი სალაღობო დასაწყისი არანაირად არ ეხამება გადასაწყვეტი პრობლემების სერიოზულობას. მხარეებმა უნდა განსაზღვრონ მშვიდობიანი შეთანხმების პარამეტრები, რამაც ბოლო უნდა მოუღოს პალესტინა-ისრაელის 52 წლიან კონფლიქტს. საბუთებს ხელი 13 სექტემბერს მოეწერება. პალესტინელები სექტემბერში აპირებენ თავიანთი დამოუკიდებლობის აღიარებას ისრაელის თანხმობის გარეშე. ექსპერტთა აზრით, ასეთ შემთხვევაში ახლო აღმოსავლეთში ომი გარდაუვალი გახდება. ისრაელის იუსტიციის მინისტრმა ი. ბელინმა შეხვედრის გახსნისას თქვა: „წარმატების გარანტია არ გვაქვს, მაგრამ ყველანაირად უნდა ვეცადოთ“. ექსპერტთა აზრით, სამიტს მხოლოდ კემპ-დევიდის მაგია თუ უშველის.

ამერიკელი პრეზიდენტების ამ ქალაქგარეთა რეზიდენციაში (ვაშინგტონიდან 100 კმ-ის დაშორებით) უყვართ მაღალი რანგის სტუმრების მიწვევა. ამ ტრადიციას იმ დროიდან ჩაეყარა საფუძველი, როცა ფრანკლინ რუზველტმა 1943 წელს ბრიტანეთის პრემიერი უინსტონ ჩერჩილი მიიპატიჟა. სხვათა შორის, სწორედ კემპ-დევიდში გადაწყვიტეს ეიზენჰაუერმა და ნიკიტა ხრუშჩოვმა 1959 წელს სამხედრო პაექრობის სამუდამოდ დასრულება. და მაინც, ახლა კემპ-დევიდის ყველაზე ვარსკვლავური საათი დადგა. 1978 წელს, როცა ჯიმი კარტერმა 12 დღეში შეძლო მოლაპარაკების მაგიდასთან დაესვა ისრაელის პრემიერი მ. ბეგინი და ეგვიპტის პრეზიდენტი ანვარ სადათი. მათ მიერ ხელმოწერილი არაბეთ-ისრაელის სამშვიდობო შეთანხმება ისტორიაში კემპ-დევიდის სახელით შევიდა.

ახლანდელ სამიტზე განსახილველი პროექტი ითვალისწინებს პალესტინელებისთვის მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროსა და ღაზის სექტორში მიწების ნაწილობრივ გადაცვლას ისრაელის მიმართ პალესტინის პოლიტლოიალობის სანაცვლოდ.

**სეგოდნია №151**

# აშშ გაეროს პრეზერვატივის ხმარებას ასწავლის



აშშ-მა გაეროს უშიშროების საბჭოს წარუდგინა რეზოლუციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო სამართალდამცავ ძალებს შორის შიდსის წინააღმდეგ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გაძლიერებას. საერთოდ, გაეროს წევრები არ არიან ვალდებულნი ნიუიორკს აუწყონ თავიანთი სამხედრო მოსამსახურეების „საწარმოო“ დაავადების შესახებ. პირიქით, ეს მონაცემები ხშირად სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს.

დღეს, გაერთიანებული ერების ცისფერი დროშის ქვეშ 38.000 ადამიანი დგას, რომელიც მსოფლიოს ყველა კუთხეში 14 მისიაში მონაწილეობს. მათ შორის იმ ქვეყნებში, სადაც დაუფარავად ხდება იაფფასიანი სექსუალური მომსახურება. რასაკვირველია, „ცისფერჩაფხუტიანთა“ ინტერესი ამ მომსახურების მიმართ დიდია. ამას წინათ დიდი სექს-სკანდალით დასრულდა კანადისა და იტალიის მშვიდობისმყოფელთა სამსახური სომალიში. გაეროს აშშ-ის წარმომადგენელმა რიჩარდ ჰოლბრუკმა უშიშროების საბჭოს სხდომაზე განაცხადა, სკანდინავიაში ეგზოტიკური ქვეყნებიდან დაბრუნებული ფინელი სამხედროების მიერ შიდსის „იმპორტირების“ შემთხვევების შესახებ. გაერო აღიარებს, რომ ეს პრობლემა ნამდვილად არსებობს. მშვიდობის მხარდამჭერი დეპარტამენტი უკვე შეუდგა (ექსპერიმენტის სახით) დამცველი საშუალებების (პრეზერვატივების) გავრცელებას მათ მიერ რწმუნებულ სამხედრო მოსამსახურეებს შორის. ეს ღონისძიება ჯერჯერობით, მოქმედებს სიერალეონეში, ტიმორსა და ლიბანში განლაგებულ მეკონტრაქტეებზე. ნებისმიერი სქესის თითოეულ მშვიდობისმყოფელზე დღეში თითო პრეზერვატივი გაიცემა.

მშვიდობის დამყარების ამ თავისებურ პროცესს სათავეში უდგას აშშ-ის ელჩი რიჩარდ ჰოლბრუკი, რომელმაც გაეროს სტრატეგიული ალყის პროგრამა შეიმუშავა. გაეროს უშიშროების საბჭომ პირველად აღიარა, რომ მშვიდობისმყოფელებისგან მსოფლიოს დიდი საფრთხე ემუქრება. ამის შესატყვისად, ყოველ ახალ რეზოლუციაში შეტანილია შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი პასაჟი. ახალი დოკუმენტის ტექსტი ითვალისწინებს: კერძოდ ის ქვეყნები, რომლებიც გაეროს განკარგულებაში აგზავნიან თავიანთ სამხედრო მოსამსახურეებს, ვალდებული არიან, კონტროლი გაუწიონ მშვიდობისმყოფელთა ჯანმრთელობას. კლინტონის ადმინისტრაციამ ახალ საფინანსო წელს კონგრესს მოსთხოვა სამედიცინო მომსახურების დონის ასამაღლებლად 10 მლნ დოლარის გამოყოფა ღარიბ ქვეყნებში მომსახურე თავიანთი მშვიდობისმყოფელთათვის.

**ნოვიე იზვესტია №119**

# ევროპაში ბონვივანები არ გადაშენებულან...

ნილ კინოკი პასუხს აგებს ევროკომისიის რეფორმებზე. იგი, თავისი უკანასკნელი რეფორმით, ევროკავშირის აპარატის შელახული რეპუტაციის აღდგენას შეუდგა. „ბიუროკრატიული მონსტრი“ კორუფციაში ჩაეფლო. 1996 წელს ჩატარებული ანტიკორუფციული ოპერაციის „სუფთა ხელები“ შემდეგ, ევრობიუროკრატები დაადანაშაულეს სამსახურებრივ გულგრილობაში, რისი შედეგიც გახლავთ ხაზინის ფულის გაფლანგვა. ევროკომისიის ყოფილი შემადგენლობა ჟაკ სანტერის ხელმძღვანელობით, დაშალეს. უამრავი უკანონობა აღმოაჩინეს ჰუმანიტარული დახმარების განაწილებაში, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების მხარდამჭერ პროგრამებსა და სხვადასხვა კონტრაქტში. ბოროტმოქმედებაში შემჩნეული იყვნენ: საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის მიტერანის „მეგობარი ქალი“, ედიტ კრესონი (ყოფილი პრემიერ-მინისტრი) და ევროკომისიის უძველესი წევრი (14 წელი) ესპანელი მანუელ მარინი და სხვა. მათ ძირითადად ტურისტული ბიზნესის აფერაში ადანაშაულებენ. მოკლედ, ევროკავშირის ხაზინას 5,4 მლნ დოლარი უკანონო გასავალი აღმოაჩნდა (ევროკავშირის მაღალი თანამდებობის პირებს „დიუთი-ფრის“ მაღაზიაში, სადაც გადასახადს არ ახდევინებდნენ, უფლება ჰქონდათ ყოველწლიურად იაფად შეეძინათ 5 ათასი ლიტრი საწვავი. 90ლ ალკოჰოლური სასმელი, 400ლ ღვინო, 20 ათასი ბლოკი სიგარეტი და ავტომანქანა პირადი მომსახურებისთვის). და მაინც ევროკავშირის მოხელეების ყველაზე დიდი, ე.წ. გამარჯვება ის არის, რომ ისინი პრაქტიკულად შეუცვლელნი არიან. აქედან ცუდი თანამშრომლის გაგდება ყოვლად დაუშვებელია, (თუნდაც 12-ჯერ მიიღოს ადმინისტრაციული სასჯელი, სამუშაო ადგილს მაინც ინარჩუნებს). ასეთები ბევრია 17 ათას ევრობიუროკრატში, რომლებიც შესვენებაზე ხიზილალით და შემწვარმოხრაკულით იკოკლოზინებენ პირს — თანაც „სამსახურებრივ“ რესტორნებში საგრძნობლად დაბალი ფასებია, რასაკვირველია, ხალხის დოტაციის ხარჯზე. მათი წლიური ხელფასი 150 ათას



დოლარს აღწევს (იმავდროულად, ყველანაირი კომპენსაციებიც არსებობს). ყველა საერთაშორისო მოხელე ხელფასის 16% დანამატს ღებულობს იმისთვის, რომ თავის ისტორიულ სამშობლოში არ ცხოვრობს. და თუკი ბავშვიც ჰყავს და ცოლი არ მუშაობს, კიდევ 5% ემატება. რასაკვირველია, ბრიუსელის კარს მიახლოებულთ შესისხლხორცებული აქვთ ეს „საიდუმლოებანი“, და ერთიანი ძალისხმევით უფრთხილდებიან თავიანთ სამუშაო ადგილებს. და მაინც თუ მოხდა სასწაული და ვინმე ზარმაც მოხელეს კონტრაქტი არ გაუგრძელეს, მაშინ იგი ავტომატურად ნახევრად მისტიკურ დაწესებულებაში „გასასვლელ ბიუროში“ ჩაირიცხება. იქ იგი თავის ძველ ხელფასს მიიღებს და დაელოდება, სანამ ევროკავშირის შტაბბინაში ადგილი არ განთავისუფლდება. როგორც ამ ორგანიზაციის ყოფილმა ბრიტანელმა წარმომადგენელმა გაზეთ „ინდეფენდენტს“ აუწყა, მათ კადრების განყოფილებაში 2.000 ადამიანი მუშაობს და ამასთანავე არავითარი საკადრო პოლიტიკა არ არსებობსო. რეფორმატორი ნილ კინოკი ერთ-ერთ სხდომაზე მარტო დატოვეს. არავის სურს ამ სისტემის გარდაქმნა. ისინი უარს ამბობენ ფინანსურ კონტროლზე: „ჩვენ არ გვჭირდება კინოკის გამოგონილი „დარაჯი ძაღლების“ ორგანიზაცია, რომელიც თვალყურს მიადევნებს ევროკავშირის ყველა სტრუქტურას: „დიახ, მოგვწონს იურული პერიოდის პარკში ცხოვრება“ — აცხადებენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი.

**იზვესტია №116**

# ერთი აბი ფულის ხარჯვის სურვილს დაგაკარგვინებთ



ამერიკაში დასრულდა ასწლეულის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო წამლის შექმნა. ერთ-ერთი ფარმაცევტული ფირმის ლაბორატორიაში დაიწყეს აბების გამოშვება, რომელიც განკურნავს ე.წ. „შოფმანიაკებს“ მაღაზიებში მრავალსაათიანი ხეტიალისა და უამრავი სხვადასხვა, ხშირად უსარგებლო ნივთის შეძენის სენისაგან.

მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ „შოფმანიაკებს“ აკლიათ თავის ტვინში არსებული ქიმიური ელემენტი სერატონინი. ამიტომ არასრულფასოვნების კომპლექსს განიცდიან, მიისწრაფვიან გაზარდონ თავიანთი ავტორიტეტი გარშემომყოფთა შორის და, სხვათა შორის, საკუთარ თვალშიც; ყიდულობენ ძვირფას ტანსაცმელს, ათობით წყვილ ფეხსაცმელს, საუკეთესო კოსმეტიკას და ძვირფას ნივთებსა და სამკაულებს. „შოფმანიაკთა“ პრობლემა აშშ-ში განსაკუთრებით მწვავედ დგას, ვინაიდან ფსიქოანალიტიკოსებთან აღრიცხვაზე 15 მილიონი პაციენტია და, ძირითადად, მატერიალურად უზრუნველყოფილი ქალები, რომლებიც თუ არ გაატარებენ სუპერმარკეტში 5-6 საათს, დეპრესიაში ჩაცვივდებიან და შესაძლოა თავიც მოიკლან. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, კიდევ 40 მილიონი ამერიკელი ახლოს არის ამ სტადიასთან. მეცნიერებმა, რომლებმაც გამოიგონეს ზემოაღნიშნული აბები, შეაგროვეს მსურველები, რომლებიც გაივლიან საცდელ კურსს. თუ ისინი აბების მიღების შემდეგ გულგრილად ჩაუვლიან ყველაზე მაცდუნებელი მაღაზიების ვიტრინებს, ექსპერიმენტს წარმატებულად აღიარებენ და ონიომანიის (ასე ეწოდება მეცნიერულად ამ დაავადებას) წინააღმდეგ სამკურნალო აბებს გასაყიდად გამოუშვებენ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი პერსპექტივა აბსოლუტურად არ ახარებთ ვაჭრებს. ზოგიერთი მონაცემის თანახმად, ისინი გულმოდგინედ ეძებენ ფირმას და განსაკუთრებით მეცნიერებს, რომლებმაც შეიმუშავეს ეს წამალი. ამიტომ, ყველა ექსპერიმენტი საიდუმლოდ მიმდინარეობს.

*უიქლი უორლდ ნიუზი*

# თავის ტკივილი — მსოფლიო პრობლემა

მსოფლიოს მოსახლეობის 70%-ზე მეტი უჩივის პერიოდულ და მუდმივ თავის ტკივილს. იგი ორ ჯგუფად იყოფა. პირველადი, რომელიც ვითარდება, როგორც დამოუკიდებელი დაავადება და მეორადი, რომლის წარმოშობის საფუძველია ორგანიზმის ნერვული ან სხვა სისტემის დაავადებანი. ამ უკანასკნელის მიზეზი მრავალგვარია. ის შეიძლება წარმოიშვას ვიწრო თავსაბურავის, ხანგრძლივი შიმშილობის ან ხშირი ყავის სმის შედეგად. თავის ტკივილის მიზეზი შეიძლება იყოს თავის ქალის ტრავმა, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევა, სიმსივნე, ენდოკრინული და ინფექციური დაავადებები.

პირველადი თავის ტკივილი უფრო ხშირია. მას მიეკუთვნება დაძაბულობით გამოწვეული ტკივილი და შაკიკი. ზუსტად ამ ფორმის თავის ტკივილი აქვეითებს შრომის უნარს, სოციალურ აქტივობას და, რაც მთავარია, უარყოფითად მოქმედებს ჯანმრთელობაზე.

შაკიკი მემკვიდრეობითი დაავადებაა, ძირითადად ემართებათ ქალებს და მწვავდება სტრესის დროს, ჰორმონალური ცვლილებების პერიოდში, ამინდის შეცვლისას; დაძაბულობით გამოწვეული თავის ტკივილი წარმოიქმნება ემოციური განცდის, დეპრესიის, ხანგრძლივი მუშაობის, მოუხერხებლად ჯდომის შედეგად. როგორ ვებრძოლოთ თავის ტკივილს? უპირველესად, მუშაობის დროს უნდა ვიჯდეთ მოხერხებულად, პერიოდულად მოვადუნოთ კუნთები, თვეში ერთხელ გავიკეთოთ ზურგის მასაჟი, ვიცურაოთ, მივყვეთ სამკურნალო ფიზკულტურას. უნდა ავითვისოთ ფსიქოლოგიური რელაქსაციის ილეთები და ვისწავლოთ სტრესიდან გამოსვლა, ვიკვებოთ რეგულარულად და სწორად.

შაკიკის პროფილაქტიკისთვის სასურველია, რაციონიდან ამოვიღოთ შოკოლადი, კაკაო, წითელი ღვინო, მლაშე ყველი. უნდა მივირთვათ ძირითადად ნარინჯისფერი ხილი და ბოსტნეული — თხილი, ფორთოხალი, ბანანი, გოგრა, სტაფილო, ინდაურის ხორცი.

*ლიზა №28*


ოპერაციის გარეშე
PLANTA
* ჩიყვი;
* ჩირქოვანი გლანდები;
* კისტა;
* ფიბრომა;
* კენჭები.
მის: ქავთარაძის 16
(ყოფ. ლეჩკომბინატი)
ოთ. 431 (12-16 სთ.)




ხერხემლის დაავადებათა (ოსტეოქონდროზი, დისკოზი, ართროზი, სპონდილოზი) და მათი ნერვული, კუნთოვანი, მყესოვანი, სახსროვანი და სისხლძარღვოვანი გართულებების კომპლექსური მკურნალობა
ექიმი ვერტებრონევროლოგი, მანუალური თერაპევტი დავით ქურთუბაძე
თბილისი, ივ ჯავახიშვილის 51, I სართ, ოთახი 9
ტელ: 96-95-69; 877-43-31-26



SGS – მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS – თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS – მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS – განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS – აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-3 სართ. კაბ. 40-41-42-43. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


# აბორტი



აბორტი — მუცლის მოშლა, ორსულობის ნაადრევი შეწყვეტაა. ტრადიციული, კლასიკური აბორტი ორსულობის მე-8 კვირიდან 12 კვირის შუალედში ტარდება. პროცედურა ზოგადი ნარკოზით ლითონის კიურეტის საშუალებით ხორციელდება. ხელსაწყო არღვევს სანაყოფე გარსს, გამოჰყავს ნაყოფი და საშვილოსნოს კედელში ღრმად შეჭრილი პლაცენტის ბუსუსები. აბორტის დროს ექიმი საოპერაციო ველს ვერ ხედავს და ბრმად, საკუთარ შეგრძნებებზე დაყრდნობით მოქმედებს.

ზოგჯერ აბორტის მიმდინარეობისას მასიური სისხლდენა ვითარდება. ეს სისხლის ცუდად შედედების და საშვილოსნოს სუსტი შეკუმშვის ბრალია. თუკი სისხლდენა არ ჩერდება, აუცილებელი ხდება საშვილოსნოს ამოღება. კლასიკური აბორტის მეორე სერიოზული გართულება — საშვილოსნოს გახვრეტა, ე.წ. პერფორაციაა. ამ შემთხვევაში ქალის სიცოცხლის შესანარჩუნებლად საჭიროა ოპერაცია — მუცლის ღრუს გახსნა.

ამასთან ყოველ აბორტს თან ახლავს საშვილოსნოს ყელის ამა თუ იმ ხარისხით დაზიანება. ეს პრაქტიკულად გარდაუვალია!

მინი-აბორტი ანუ ვაკუუმ-ასპირაცია ადგილობრივი ნარკოზით ორსულობის ადრეულ ასაკში 4 კვირიდან 6 კვირის ფარგლებში ტარდება. ნაყოფი ძლიერი გამწოვი მილით (ვაკუუმ-კიურეტით) გამოიტანება, რომელიც საშვილოსნოს ღრუში პლასტმასის ხელსაწყოს დახმარებით შეჰყავთ. ამ დროს საშვილოსნოს ყელის ტრავმირება შედარებით „უმნიშვნელოა“. ასეთი ჩარევის დროს მცირდება საშვილოსნოს გახვრეტისა და სისხლის დენის განვითარების რისკიც.

მინი-აბორტი დაახლოებით 2 წუთი გრძელდება, ხოლო 2 სთ-ის შემდეგ ქალს შინ უშვებენ. და თუმცა შემდგომი გართულებები მინი-აბორტის დროს ტრადიციულთან შედარებით 5-6-ჯერ უფრო ნაკლებია, არც ეს ჩაივლის უკვალოდ. როდის, რა სახით გამოვლინდება ქალის ორგანიზმში ამ უხეში, არაბუნებრივი ჩარევის შედეგი და რას მისცემს დასაბამს, ამის წინასწარ განჭვრეტა ჭირს.

როგორც კი ემბრიონი საშვილოსნოში შეიჭრება და ბუსუსების საშუალებით მის კედელში მოიკიდებს ფეხს, ქალის ორგანიზმში, შეიძლება ითქვას, „რევოლუციური მასშტაბის“ ჰორმონალური ძვრები იწყება. ორგანიზმი თავისი უმთავრესი მისიის — ახალი სიცოცხლის შექმნისათვის ემზადება. ცვლილებებს განიცდის — ნერვული, ენდოკრინული, სისხლწარმოქმნის, გულ-სისხლძარღვთა და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სისტემები. მათ ხომ 9 თვის განმავლობაში უნდა მოამარაგონ ნაყოფი საკვებით, ჟანგბადით და სხვა აუცილებლობით. მათ ხომ პატარა ადამიანს უნდა მისცენ დასაბამი.

აბორტი უეცრად არღვევს ნატიფ, საათივით აწყობილ მექანიზმს და ქალის ორგანიზმსაც შოკურ მდგომარეობაში აგდებს. დარტყმაზე განსაკუთრებით ნერვული და ენდოკრინული სისტემები რეაგირებენ. ირღვევა ისეთი ცენტრების ფუნქციონირება, რომლებიც უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს არეგულირებენ. მათ შორის მენსტრუაციულ ციკლს, შვილოსნობის ფუნქციას.

აბორტის შემდეგ შესაძლოა ნივთიერებათა ცვლის პროცესებში სერიოზული დარღვევები განვითარდეს, რასაც სიმსუქნემდე მივყავართ, ხოლო თირკმელზედა ჯირკვლებში მიმდინარე ძვრებს კი — ჭარბთმიანობისაკენ. აბორტი შესაძლოა სექსუალური დარღვევების სათავედაც იქცეს, ქვეითდება სექსუალური ლტოლვა, ზოგჯერ აღინიშნება მისი სრული დაკარგვაც. ასეთი გართულებები ყველაზე ხშირად უვითარდებათ მათ, ვინც ხელოვნურად წყვეტენ პირველ ორსულობას; აქვთ განუვითარებელი სასქესო ორგანოები (ბავშვური საშვილოსნო); დარღვეული აქვთ მენსტრუაციული ციკლი; აღენიშნებათ სასქესო ორგანოების ქრონიკულად მიმდინარე ანთებითი დაავადებები და ენდოკრინოლოგიური ჯირკვლების დისფუნქცია (ფუნქციის დარღვევა). აბორტის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი გართულება — სასქესო ორგანოების ანთებაა. ის ყოველი 100 ქალიდან 20-25-ს უვითარდება. ორგანოებს ანთებითი ცვლილებებისაკენ „უბიძგებს“ ოპერაციის საფუძველზე დაზიანებული ლორწოვანი ზედაპირი, აგრეთვე ორგანიზმის დამცველი ძალების მნიშვნელოვანი დაქვეითება.

ანთების მიზეზი ხდება საშვილოსნოს ყელიც, რომელსაც აბორტის დროს ძალდატანებით აფართოებენ. პროცედურის შემდეგ გარკვეული ხნით ის გახსნილი რჩება. ეს კი საუკეთესო გზაა ორგანიზმში პათოლოგიის გამომწვევი მიკროორგანიზმების შესაღწევად.

ანთებამ, რომელიც თავდაპირველად საშვილოსნოს მოიცავს, შესაძლოა შემდეგ საშვილოსნოს მილებისაკენ, საკვერცხეებისაკენ გადაინაცვლოს. რის საფუძველზეც ვითარდება შეხორცებები, შედეგად მილები სასქესო უჯრედებისათვის გაუმტარი ხდება. ეს კი, შემდგომ დაორსულებას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის. ზოგჯერ მილების გამტარობა შენარჩუნებულია, მაგრამ პათოლოგიით „შეპყრობილი“ წარმონაქმნები ჩანასახის ფეხის მოსაკიდებლად საჭირო რიტმითა და ინტენსივობით ველარ იკუმშებიან. შესაძლოა ამას მოჰყვეს საშვილოსნოსგარე ორსულობა, შემდეგ კი ჩნდება უნაყოფობის საფრთხეც!

აბორტის დროს საშვილოსნოს ყელი მჭიდროდ ველარ „იხურება“ და ეს ნაყოფის შენარჩუნების სერიოზულ საფრთხეს ქმნის. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის დროს, როდესაც საშვილოსნოს ყელს ძალდატანებით აფართოებენ, ყელზე ნახეთქები, ჭრილობები წარმოიქმნება და „ჩამკეტი მოწყობილობა“ — სპინქტერი ზიანდება. როცა ნაყოფი იზრდება, ყელი სულ უფრო მეტად ფართოვდება, რის შედეგადაც თვითნებური აბორტი — მუცლის მოწყვეტა ვითარდება.

არც ერთი აბორტი უკვალოდ არ ჩაივლის. თუმცალა, დღეს არსებული — სამკურნალო პრეპარატებით რაღაცების გამოსწორება შეიძლება, მაგრამ ეს ხანგრძლივ მკურნალობას მოითხოვს. თანაც საბოლოო განკურნება და შედეგი მაინც საეჭვოა.

იქნებ არც ღირდეს საკუთარი ჯანმრთელობით მანიპულირება, არასასურველი ორსულობა ხომ ათასი უკვე გამოცდილი მეთოდით შეიძლება აიცილოთ თავიდან. დღეს ხომ მედიცინა ბევრ რამეს ფლობს და შეუძლია ნებისმიერ ქალს მისთვის ოპტიმალური დამცავი სისტემა შესთავაზოს. ამისათვის კი მხოლოდ კვალიფიციური სპეციალისტების კონსულტაციაა აუცილებელი.

*მაია მუხიგული*

# ვისაც დიდხანს სიცოცხლე სურს

**ინგლისელი მეცნიერები გვაძლევენ საკმაოდ ორიგინალურ და იმავდროულად შესასრულებლად სასიამოვნო რჩევებს იმისათვის, რომ გავიხანგრძლივოთ სიცოცხლე.**

**განასახიერეთ სულელი ადამიანი, ან, ყოველ შემთხვევაში, მოსულელო და ქარაფშუტა.** ნეიროფსიქოლოგმა დევიდ უიქსმა გამოიკვლია უამრავი ექსცენტრიკული ადამიანი და დაადგინა, რომ ისინი 10 წელზე მეტხანს ცოცხლობენ, ვიდრე მოსაწყენი, სერიოზული პიროვნებები და, რაც მთავარია, თავს გაცილებით ახალგაზრდულად გრძნობენ.

**მეტი იარეთ ფეხით.** მინიმუმია — კვირაში 5 დღე თითო საათით. ამერიკელებმა აღმოაჩინეს, რომ ფეხით სიარული 5 წელს შეგვმატებს, ხოლო ის, ვინც სეირნობის დროს გააორმაგებს, ინფარქტისაგან დაიზღვევს თავს.

**ზომიერად სვით ღვინო.** დღეში 1-2 ჭიქა ყურძნის ღვინო ბევრი უსიამოვნო შეგრძნებებისგან დაგიცავთ.

**მანამ ძალ-ღონე შეგწევთ, ეცადეთ, რაც შეიძლება მეტი ფული იშოვოთ.** კემბრიჯის უნივერსიტეტის სოციოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ სიღარიბე სიცოცხლეს მინიმუმ 4 წლით მაინც ამცირებს.

**ყოველდღიურად მიირთვით ჩაი 20გ ვისკით და მიაყოლეთ მოხარშული ხახვი** — ასეთია დიდი ბრიტანეთის უხუცესი მანდილოსნის ევა მორისის რეცეპტი, რომელსაც 114 წელი შეუსრულდა და შესაშური ჯანმრთელობის პატრონია.

**შეიძინეთ რაც შეიძლება მეტი მეგობარი.** უმეგობრო, გულჩათხრობილი ადამიანი 6 წლით ნაკლებს ცოცხლობს, ვიდრე გულღია, კომუნიკაბელური პიროვნება.



**თუ არის შესაძლებლობა, გადასახლდით თბილ ქვეყნებში.** სიცივე, როგორც მეცნიერება ამტკიცებს, არ უწყობს ხელს დიდხანს სიცოცხლეს, თუ, რა თქმა უნდა, თქვენ არ ხართ ესკიმოსი ან ალეუტი.

**მიირთვით, რაც შეიძლება მეტი ბარდა.** მისი წყალობით იაპონელები ევროპელებზე 4 წლით მეტხანს ცოცხლობენ. ბარდა შეიცავს ნივთიერებებს, რომელიც ხელს უშლის კიბოსა და გულის დაავადებების განვითარებას.

**ნიკოტინი გლუკოზით შეცვალეთ.** პროფესორი რობერტ უესტი, ინგლისის მთავარი სპეციალისტი ნიკოტინთან ბრძოლაში, დარწმუნებულია, რომ თუ სიგარეტის ნაცვლად გლუკოზის აბს ჩავიდებთ პირში და 5 წუთს დავიცდით, მანამ ის სისხლში შეიწოვება, მოწევის სურვილი აბსოლუტურად გაგვიქრება. მომდევნო შეტევისას იგივე პროცედურა უნდა გამეორდეს, შემდეგ იგივე, მანამ ნიკოტინს არ გადავეჩვევით.

**დაიმახსოვრეთ ტელეფონის ნომრები — რაც მეტი — მით უკეთესია.** კარგად ნავარჯიშევი მეხსიერების მქონე ადამიანები უფრო დღეგრძელნი არიან. ამ დასკვნამდე მივიდნენ შვედი მეცნიერები.

**დღეში 5-ჯერ მიირთვით ცოცხალი ხილი და ბოსტნეული.** ისინი შეიცავენ ანტიოქსიდანტებს, რომელიც კიბოსაგან დაგვიცავს და დაბერების პროცესს შეანელებს.

**რაც შეიძლება ხშირად ისიყვარულეთ.** ჩვენთვის უკვე ნაცნობი ექიმი უიქსი ამტკიცებს, რომ რეგულარული სექსი (მუდმივ პარტნიორთან) თუ არ ახანგრძლივებს სიცოცხლეს, 10 წლით მაინც აახალგაზრდავებს ადამიანს. ექიმი ამ დასკვნამდე მივიდა 3.500 ცოლქმრული წყვილის გამოკვლევის შედეგად.

**იყოლიეთ ძაღლი ან კატა, ან რომელიმე ფრინველი,** თუნდაც შინაური სხვა ცხოველი. ისინი 80%-ით გაგიხალისებენ ცხოვრებას.

**იყავით ცნობისმოყვარე.** დიდი ბრიტანეთის სიბერის ნაციონალური ინსტიტუტის მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ცნობისმოყვარეობა კიდევ 5 წლით გაგიხანგრძლივებთ სიცოცხლეს.

**სვით, რაც შეიძლება მეტი მწვანე ჩაი.** იტალიელ მეცნიერთა ჯგუფმა მაიკლ გაციანოს ხელმძღვანელობით გამოთვალა, რომ დღეში ამ არომატული სასმლის 5 ფინჯანი ხსნის ინფარქტისა და ინსულტის რისკს.

*პოსლედნიე ნოვოსტი №26*

# ცვარნამი



ცვარში ბანაობა ქალს მიმზიდველს ხდის. ამბობენ, ვინც ახალ მთვარეზე ერთხელ მაინც მოახერხებს ფეხშიშველი ნამიან მინდორში გარბენას, გარანტირებულია შეყვარებულის ერთგულებით ხოლო თუ ამ პროცედურას ხშირ-ხშირად გაიმეორებს, გვიან დაბერდება.

თუ ნამში შიშველი სირბილისა გრცხვენიათ, შეგიძლიათ შეაგროვოთ — დააფინეთ ბამბა მცენარეზე. მთელი ღამის მანძილზე გაიჟღინთება სასწაულმოქმედი სინოტივით, მაგრამ ნამი უსათუოდ უნდა შეაგროვოთ მზის ამოსვლამდე, უკიდურეს შემთხვევაში, გამთენიისას.

რაც შეეხება იმას, რომელი ყვავილიდან და ბალახიდან სჯობს შეგროვება — ეს დამოკიდებულია თქვენს მიზანზე. მაგალითად, ასკილის ნამი კარგია სილამაზისთვის, აბზინდის, კამის, თავცეცხლას ცვარი — განაქარვებს ბოროტ აზრებს, ხსნის ჯადოს, ავ თვალს.

ელექსირს ჭირვეულების მოსარჯულებლად აწვეთებენ სახის კოსმეტიკურ საშუალებაში ან საჭმელში.

*მეგაპოლის-ექსპრესი №27*

# მეოთხე გმირი ბაზალეთის ომისა



***როდესაც ვახსენებთ ბაზალეთის ომს, მეისვე გვახსენდება გიორგი სააკაძის, ზურაბ არაგვის ერისთავისა და თეიმურაზ პირველის სახელები. მაგრამ ამ თავზარდამცემ და დაუვიწყარ ომს მეოთხე გმირიც ჰყავს, ვისი სახელიც, ვაგლახ, დავიწყების ზღვაში ჩამირულა.***

***ბაზალეთის ომის ბედი კი, როგორც ჩანს, სწორედ ამ მეოთხე გმირის თავდადებამ გადაწყვიტა. სწორედ მისი მეოხებით მოხდა, რომ გამარჯვების სასწორი იქით გადაიხარა, საითაც უნდა გადახრილიყო ისტორიული კანონზომიერების შესაბამისად.***

***ბაზალეთის ომის მთავარ გმირთაგან მეოთხე გახლავთ ედიშა ვაჩნაძე. განგებამ იგი აირჩია თავის იარაღად და მიანდო საგანგებო მისია.***

## ვინ იყო ედიშა ვაჩნაძე?

მკითხველთა უმრავლესობას, ალბათ, გაუჭირდება პასუხის გაცემა ამ კითხვაზე, ვინაიდან ბედმა არ გაუღიმა ედიშას ხსოვნას და ბუმბერაზთა ჩრდილში მიუჩინა ბინა, თუმცა ჩვენი წარსულის მემატიანეთა — არჩილ მეფის, ფარსადან გორგიჯანიძისა და ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებებში ედიშა ვაჩნაძეს თვალსაჩინო და გამორჩეული ადგილი უჭირავს.

ღირსეული შვილი იყო სახელოვანი მამისა.

თამაზ ვაჩნაძე განუწყვეტლივ მონაწილეობდა სამშობლოს თავისუფლებისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში.

1605 წლის ოქტომბერში თამაზ ვაჩნაძე, მისი ძმა — ბებურ და დავით ჯანდიერი ბრძოლის ველზე შეეყარნენ კონსტანტინე-მირზას, გათათრებულსა და გადაგვარებულ ბატონიშვილს, ყიზილბაშთა წყალობით რომ გამეფდა კახეთში.

იცნეს და შეუტიეს, ჰკრეს შუბი, ჩამოაგდეს ცხენიდან და ძალიან დასცეს მიწასო. დამარცხებულსა და სასიკვდილოდ განწირულს სული ძლივსღა ედგა. კონსტანტინემაც იცნო თავდამსხმელნი და შეეხვეწა: „ნუ მამკლავთ, დაგრჩომივართ, თქვენს ხელთა ვარო“.

ძმის მკვლელსა და მამის მკვლელს ახლაღა გაახსენდა რაინდული ადათ-წესები. დაჭრილი და სასოწარკვეთილი დანდობას ევედრებოდა კახელ თავადებს, მრავალ წყალობას ჰპირდებოდა. აღარც კახეთის მეფობა ახსოვდა და აღარც შაჰ-აბასის სამსახური. სიცოცხლის კალთას ებღაუჭებოდა.

ამაო იყო მისი ვედრება. ყური არ მიუგდეს, ჰკრეს თავსა, ორად გაუპეს, მოჰკვეთეს და გამარჯვებულ ქეთევან დედოფალს მიართვეს.

შემდგომში თამაზ ვაჩნაძე ყოველთვის მხარში ედგა თეიმურაზ პირველს და თავდაუზოგავად იბრძოდა ყიზილბაშთა წინააღმდეგ.

1615 წელს იმავე დავით ჯანდიერთან ერთად, სათავეში ჩაუდგა აჯანყებას, ალავერდის ეკლესიაში ქრისტიანულ დღესასწაულს რომ მოჰყვა.

თეიმურაზი ჩამოიყვანეს კახეთში და ისევ გაამეფეს.

თამაზ ვაჩნაძე კარგად გაისარჯა იმ ბრძოლაშიც არაგვის პირას რომ გაუმართეს სახელგანთქმულ ალი-ყული-ხანს და სასტიკად დაამარცხეს.

გამაჰმადიანებული ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე სწორედ ამ ბრძოლაზე წერს: „ასრე ითქვა — რა ქვეყანა დაარსებულაო, ქართველთ ამის უკეთესი გამარჯვება არ უქნიათო“.

1616 წელი — კახეთის გაუგონარი აოხრება.

ცოტა ხნის შემდეგ თამაზ ვაჩნაძემ, კვლავ დავით ჯანდიერთან ერთად, ახალი ამბოხების ცეცხლი დაანთო.

სპარსულ წყაროში იგი მოხსენიებულია, როგორც „თამაზ ქიზიყელი“. ეტყობა, ქიზიყის მოურავი იყო.

მარტყოფისა და მარაბდის ბრწყინვალე დღეებამდე, ჩანს, ველარ მოუღწევია, თორემ იქაც გამოიჩენდა თავს.

სახელოვანმა მამამ ღირსეული შვილი დაუტოვა სამშობლოს.

## ფერიცვალება

ედიშა ვაჩნაძის სახელი ბაზალეთში დაიგრიალებს.

თურმე ბაზალეთში ელოდა თავისი ხანმოკლე ცხოვრების ყველაზე ელვარე და მღელვარე ჟამი. თითქოს მხოლოდ და მხოლოდ საბაზალეთოდ მოევლინა ქვეყანას.

არჩილ მეფის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ გადმოცემულია, თუ როგორ მოუწოდებს ედიშა ვაჩნაძე ბაზალეთში საომრად გამზადებულ თანამებრძოლთ: ეცადენით, რომ მოურავი მოიხელთოთ და კარგად დაუხვდეთ, თორემ თუ ცოცხალი გადაგვირჩა, უარეს დღეში ჩაგვაგდებსო.

გულჯავრიანი წარმოთქვამს: „საქართველოს ის როგორ რევს, სხვანი ეგრე როგორ წავხდეთ?!“

ვახუშტი ბატონიშვილი უფრო მოკლედ იმოწმებს ედიშას მოწოდებას: „ეცადენით სიკვდილსა მოურავისასა, რამეთუ იგი აღაშფოთებს ყოველთა“.

ბუნებრივია, რომ მკითხველს გაუჩნდეს კითხვა — ასე როგორ გაიმეტეს ქართველებმა სწორუპოვარი გმირი და მხედართმთავარი გიორგი სააკაძე, სულისჩამდგმელი და შემოქმედი მარტყოფის აჯანყებისა, რომელმაც „გათათრებისაგან“ იხსნა ქვეყანა და მკვეთრად შეაბრუნა ბედი ქართლისა.

სიმართლეს ვერსად გაექცევი. მოხდა საოცარი ფერიცვალება. ძალაუფლების მაცდუნებელმა ხიბლმა მონუსხა და აცდუნა დიდი მოურავი. გზა-კვალი აუბნია, უფლის სამსახური დაავიწყა და ეშმას დაუყენა მსახურად. მისმა მშფოთვარე ცხოვრებამ ისევ იცვალა ფერი.

შესაშური თავგანწირვა სამშობლოსათვის წალეკა თავკერძობისა და პატივმოყვარეობის მღვრიე ნაკადმა.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ერთსა და იმავე პიროვნებას უკავშირდება სასახელო მარტყოფი და საძრახი ბაზალეთიც.

უნიჭიერეს სარდალსა და უშიშ მეომარს შეეჭიდა პირადი ინტერესებითა და ბატონობის წყურვილით დაბრმავებული პოლიტიკოსი. გულზვიადობა გვერდით ამოუდგა გულოვანებას და დაჩრდილა. თავისი ძალისა და სიბრძნის გაზვიადებულმა შეფასებამ, თვითგანდიდების დაუძლეველმა ჟინმა წარმოუქმნა ახირებული აზრი იმის თაობაზე, რომ სამეფო გვირგვინის საკითხი მის ნება-სურვილს უნდა გადაეჭრა.

როგორც ცნობილია, მარტყოფის გამარჯვების შემდეგ გონიოდან იხმო თეიმურაზ პირველი და ქართლ-კახეთის ტახტზე აიყვანა. მაგრამ მეფემ მეფობა ინება, დიდი მოურავის მარიონეტობა როდი ეწადა. მაშინ სააკაძემ ქაიხოსრო მუხრან-ბატონი დასვა ქართლის გამგებლად. მერე კი ახალგაზრდა და გამოუცდელი ალექსანდრე ბატონიშვილი, იმერეთის მეფის ძე, მოიწვია ქართლში საბატონოდ. ალბათ ფიქრობდა, უფრო იოლად დავიმორჩილებ და ჩემს ჭკუაზე ვათამაშებო.

ერთი სიტყვით, არჩილისეული „უჩემოთ ვინ იმღერეთა?“ სწორედ დიდ მოურავზე არის ზედგამოჭრილი და შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ აღნიშნული გამოთქმა სწორედ ბაზალეთის ომად გადაქცეული კონფლიქტის (გიორგი სააკაძისა და ზურაბ ერისთავს შორის) აღწერილობაში გვხვდება.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხალხის სიყვარული ამხნევებდა და, ალბათ, თავბრუსაც ახვევდა. ძლევამოსილი მარტყოფის შემდეგ ხალხს დიდი მოურავის მეფედ არჩევა სურდა, მაგრამ თვითონ მან არ ინებაო. დღეგრძელი რეგენტობა ერჩივნა უდღეურ მეფობას.

## საქართველოს გაერთიანება ეწადაო

ვამტკიცებთ, დიდ მოურავს საქართველოს გაერთიანება ეწადაო. ეს დებულება სტალინის მიერ არის ნაკარნახევი ნახევარი საუკუნის წინათ (ანტონ ფურცელაძის აპოლოგეტურ ნაშრომზე დაყრდნობით) და მას შემდეგ თუთიყუშებივით ვიმეორებთ და ხალისიანად ვღეჭავთ. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ დაჟინებით ვამტკიცებთ, ამ დებულებას წყალი არ გაუვაო.

ქართლის მეფედ იმერეთის ტახტის მემკვიდრის გამოცხადება საქართველოს გაერთიანების წადილით კი არ იყო გამოწვეული, არამედ — თეიმურაზ პირველის ჯიბრით და რაც მთავარია, ამ ფაქტს ვერც ქართლის ფეოდალები მოითმენდნენ და ვერც სეფიანთა ირანის ხელისუფლება შეეგუებოდა ქართლ-კახეთის მოქცევას ოსმალეთის გავლენის სფეროში.

საქართველოს გაერთიანება ეწადაო. ნეტავი როგორ ეწადა საქართველოს გაერთიანება, როდესაც ძლივძლივობით გაერთიანებულ ქართლ-კახეთს ისევ აცალკევებდა? მართლაც საკვირველია, რომ თავისივე გარჯით მოწეულ ნაყოფს ერთი სულის შებერვით ქარს ატანდა.

საქართველოს გაერთიანება ეწადაო... და ამ იდეის განხორციელება იმით დაიწყო, რომ ბაზალეთში ერთმანეთს შეატაკა, ქართლისა და კახეთის მკვიდრნი. უფრო მეტიც, ერთი ქართლი მეორე ქართლს შეატაკა ანუ მუხრან-ბატონისა და ქართლის სხვა ფეოდალთა ჯარი — თეიმურაზ მეფის მხარეზე მყოფი ზურაბ ერისთავისა და იოთამ ამილახორის ჯარს.

ახლა ისიც ვიკითხოთ, ბაზალეთში რა ესაქმებოდათ იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოს მოლაშქრეებს? იმერეთის მეფისა და ახალციხის ფაშას მიერ დიდი მოურავის სამხედრო მხარდაჭერა ხომ ოსმალეთის ხელისუფალთაგან იყო ნაკარნახევი!

დიდმა მოურავმა ორ მტრულ ბანაკად გახლიჩა ისედაც დაქუცმაცებული ქვეყანა.

საქართველოს გაერთიანების წადილი როგორ უნდა მივაწეროთ ღვთივკურთხეული მეფის წინააღმდეგ ამხედრებულ ფეოდალს, რომელიც ოსმალთა მიერ „ქართლის მპყრობელ მოურავ-ხანად“ იყო აღიარებული?

განა მარტყოფ-მარაბდის შემდეგ უკანდახეულ შაჰ-აბასთან მორიგების გზა, რომელსაც დაადგა თეიმურაზ მეფე, უფრო გონივრული არ იყო, ვიდრე ყიზილბაშთა წინააღმდეგ ოსმალეთის დახმარების ძიება?

თეიმურაზის პოლიტიკური კურსი გაცილებით ხელსაყრელი იყო ქვეყნისათვის მძიმე ჭრილობათა მოსაშუშებლად. მორიგების თაოსნობა კი ისპაანიდან მოდიოდა. საქართველოს დაპყრობაზე იქ აღარც ოცნებობდნენ.

ბაზალეთის ომი არ ყოფილა სამოქალაქო ომი ანუ იდეათა შეჯახების ასპარეზი. ჩვენდა სავალალოდ, ეს იყო ირან-ოსმალეთის ხანგრძლივი ომების მეორეხარისხოვანი ეპიზოდი, სცენის კულისებში რომ გათამაშდა.

## ყმას ხმალი გაუცვილდების

გიორგი სააკაძის გმირული შარავანდედი ძალაუნებურად გვაფიქრებინებს, ცილს ხომ არ ვწამებთო? ეგებ, სხვები უფრო სცოდავდნენ? დიდი მოურავის მეტოქენი, რა თქმა უნდა, უმანკონი და უზაკველნი არა ყოფილან.

უგვირგვინო მეფობის მეორე პრეტენდენტს — ზურაბ ერისთავს არაფრად ეპიტნავებოდა მოურავის უზომო განდიდება, ანუ მისი „უფროსობა“ თვით ზურაბზე და მთელს ქართლზეც. სამი-ოთხი წლის შემდეგ ისიც წაეპოტინება ქართლის რეგენტობას. „უჩემოდ ვინ იმღერეთა?“ — ამ დევიზს არც ზურაბ ერისთავი იწუნებდა.

რაც შეეხება თეიმურაზ მეფეს, რასაკვირველია, მას ძალზე ეუცხოებოდა „ყმის პატრონზედ აზვავება“ და უკმაყოფილებას ვერ მალავდა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ სრულიად უდროოდ ეძიებდა ლუარსაბ მეფის სისხლს და დიდ მოურავს წარსულ ცოდვებს შეახსენებდა. ცოდვები რომ გამოისყიდა, ამას ანგარიშს აღარ უწევდნენ. ერთი სიტყვით, სხვებიც სცოდავდნენ, მაგრამ...

მაგრამ ახლა ყური ვათხოვოთ თვით გიორგი სააკაძეს... იოსებ ტფილელი „დიდმოურავიანში“ თავის სათაყვანო გმირს რამდენჯერმე ათქმევინებს სინანულით გამსჭვალულ სიტყვებს. დიდი მოურავი გულახდილად ამბობს: „პატრონის შებმა არა ხამს, ყმას ხმალი გაუცვილდების, რაგინდ ყმას ბევრი ჯარი ჰყვეს, ცრემლი იმასვე სდინდების“, ანდა: „რაცა მოჰხდა, სრულ ვიცოდი, არ მინდოდა ესე ომი, ყმა არ უნდა პატრონისა ბრძოლისა და შებმის მდომი“.

თუკი ხვდებოდა, რომ ფეოდალის ამბოხება მეფის წინააღმდეგ განწირული იყო დასამარცხებლად და დასაძრახად, თუკი იცოდა, რაც მოხდებოდა და თუკი არ უნდოდა ეს საზარელი ომი, მაშ ვინ უბიძგებდა და ვინ აძალებდა, რომელი ეშმა შეუძვრა სულში, რატომ შეაჯახა ერთმანეთს საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები? რატომ განწირა ათასობით ქართველი ვაჟკაცის სიცოცხლე? „სისხლის წვიმების“ ეპოქაში კიდევ სისხლის ღვრა სჭირდებოდა სისხლისგან სანახევროდ დაცლილ ქვეყნას?

უჩემოდ ვინ იმღერეთა...

## ხელმწიფე ხელმწიფეს უნდა შეებას

ბაზალეთის ომის დაწყებამდე ზურაბ ერისთავი და კახეთის თავადები თეიმურაზ მეფეს მიმართავენ: ვიცით, მფარველად ღმერთი გყავსო; ურყევ რწმენას გამოთქვამენ: ყმის გამარჯვება პატრონზე არასოდეს გვსმენიაო.

ფიცს დებენ, სასიკვდილოდ გადავდებთ თავს, არავის შევეპუებით და ღვთის წყალობით სამართალი გაიმარჯვებსო.

თავის მხრივ, თეიმურაზ მეფე ამაყად აცხადებს: „მე ჩემი ქრისტე შემწედ მყავს“, მაჰმადიანთა შემწეობით არ ვიბრძვიო (ცხადია, იმას გულისხმობს, რომ ბაზალეთში დიდი მოურავის მხარეზე იბრძოდნენ ოსმალები და გამაჰმადიანებული მესხნი).

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმული თვალნათლივ მეტყველებს, რომ ედიშა ვაჩნაძის მოწოდებას შთააგონებდა სამშობლოსა და სიმართლის სიყვარული.

ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს:

„მოურავს ეთქვა: ომში ბატონს თეიმურაზს ვეახლებიო და იმის სიყმაწვილესაო, ჩემს სიბერკაცესაო მასთან გამოვცდიო. მეფის თეიმურაზისათვის შემოეთვალა: ამ ფერს ცხენს შევჯდებიო, ამა და ამ ფერს კურტაკს ჩავიცვამო და ბატონმაც თავისი ნიშნები გვიბძანოსო. ბატონს მოახსენეს და ამანაც შესთვალა და ისრეც შეიკაზმა და მოურავზე მიტევას აპირებდა. ეს ზურაბ ერისთავმან იწყინა და ასრე მოახსენა: ხემწიფე ხემწიფეს უნდა შეებასო, არათუ თავის უმცროს ყმასაო. რომელიც გიბძანებიაო, მაგავე ნიშნებითაო ერთი სააკაძის ამხანაგი კაცი შევჰკაზმოთო და შევაბათო“.

რაინდული სულისკვეთებით შემკული თეიმურაზ მეფე მზად იყო, რომ ორთაბრძოლაში შერკინებოდა მოსისხლე მტრად გადაქცეულ მოურავს, მაგრამ დაუშალეს და რა გაეწყობოდა.

სხვა უნდა გასულიყო ორთაბრძოლაში. ასეთ დავალებას, ალბათ, ვერავის დააძალებდნენ, მაგრამ როგორც არჩილ მეფის პოემიდან ირკვევა, ედიშა ვაჩნაძის მოწოდება ერთი კაცის ხვაშიადს როდი გამოხატავდა, არამედ — საერთო მიზანსწრაფვას.

მოურავთან ორთაბრძოლის მოხალისენი ერთიმეორეს არ დაუთმობდნენ პირველობას. ჩანს, არჩევანი წილად ხვდა სწორედ ედიშას.

მისი ზემოხსენებული მოწოდება მიგვანიშნებს, რომ ყველაზე მეტად იგი ნატრობდა მოურავთან შებრძოლებას და აუხდა კიდეც საწადელი.

„საქართველოს ის როგორ რევს, სხვანი ეგრე როგორ წავხდეთ?!“...

## სულნი მათი ზეცას რბიან

არჩილ მეფე, ფარსადან გორგიჯანიძე და ვახუშტი ბატონიშვილი ერთხმად გვაუწყებენ, რომ ედიშა უმუზარადოდ გასულა ბრძოლის ველზე.

სავსებით გასაგები იყო გიორგი სააკაძის ამგვარი შემართება მარაბდის ომში. ამბობდა, ყიზილბაშები მიცნობენ და თავზარი დაეცემათო.

მაგრამ უმუზარადო ედიშა დიდ მოურავს როგორ შეაშინებდა!

ალბათ, ახალგაზრდულმა თავმოწონებამ სძლია და უსაზღვროდ გაათამამა. თითქოს წარმოთქვამდა თავდაჯერებით: არც მოურავის და არც სიკვდილისა არ მეშინიაო.

არჩილ მეფის პოემაში საყვედურიც ისმის ედიშას მისამართით: „უმუზარადოთ ომს შესვლა კარგთა კაცთაგან ავია“.

ედიშა „ვითაც ელვა სიჩქარით“ დაიძრა მოურავისაკენ, მიუახლოვდა და შუბი აძგერა. სააკაძემ მარჯვედ დაახვედრა ფარი და შუბი შეიმტვრია. ახლა მისი ჯერი დადგა და ედიშას ფარმა შეიმტვრია მოურავის შუბი. მერე ედიშამ ხმლით შეუტია, მუზარადი გაუტეხა, მართალია „გერში ვერ აალებინა“ (ე.ი. ჭრილობა ვერ მიაყენაო), მაგრამ „ნამეტნავად შეაღონა მოურავი“.

გიორგი სააკაძემ ხმამაღლა შეუძახა: ნეტავი იმ ყმასაო, ვინც თავის პატრონს ენაცვალოსო. ხმალი დაჰკრა შიშველ თავს და შუაზე გაუჩეხაო.

ასე დაიღუპა ოციოდე წლის თავგანწირული რაინდი ედიშა ვაჩნაძე ბაზალეთის ომში და მისი სახელი სამარადისოდ გადაეჭდო ამ ავადმოსაგონარ ალაგს.

მაგრამ ამაოდ როდი გარჯილა ედიშა. მის ორთაბრძოლას მოურავთან უქმად არ ჩაუვლია. ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, „იმ ყმაწვილის ხმლის ცემას მოურავი უღონო შეექნა. თვითან ომი ველარ შეიძლო და სხვათა ომთ უმზერდა“.

მთავარსარდლის გამოთიშვა ბრძოლიდან, უთუოდ, გულს გაუტეხდა მის მეომრებს.

ბერი ეგნატაშვილის ცნობით, ბაზალეთის ომში კაცი არ დარჩენილა დაუჭრელი და თვით მოურავიც დაიჭრაო.

მართლაც, ჭრილობა რომ არა, ასე იოლად როდი შეღონდებოდა გიორგი სააკაძე და თუკი ვენდობით ბერი ეგნატაშვილს, საფიქრებელია, რომ სწორედ ედიშა ვაჩნაძეს დაუჭრია მოურავი.

განგება თითქოს ამ ერთი, საბედისწერო შერკინებისათვის ამზადებდა და წვრთნიდა ედიშას. ამ ერთი შერკინებით ეწერა შესვლა უკვდავების სამყაროში.

ვკითხულობთ გარდასულ ჟამთა აღწერილობას და ეგებ მოგველანდოს კიდეც მეფის ცხენზე ამხედრებული ყმაწვილი, უმუზარადო და შუბშემართული რომ მიისწრაფვის ბაზალეთის ომის უპირველესი ავტორის დასახვედრად. უნდა შეერკინოს მთელს დუნიაზე სახელგანთქმულ გმირსა და სარდალს. არც მისი დიდი სახელი აკრთობს, არც მისი ღონე აშინებს. წარბშეუხრელად უსწორებს თვალს განსაცდელს, რადგანაც სჯერა, რომ ამას მოითხოვს საქვეყნო საქმე და მამულიშვილის ღირსება.

მიაგელვებს მეფის ცხენს საბრძოლველად გულანთებული ყმაწვილი და სიცოცხლეზე მეტად სწყურია — ანგარიში გაუსწოროს მეფის წინააღმდეგ ამბოხებულ ფეოდალს, რომელიც განასახიერებს იმ ძველთაძველ სატკივარს, დღენიადაგ რომ სტანჯავდა საქართველოს და ფრთებს უკვეცავდა.

შუბშემართული ყმაწვილი გამალებით მიეშურება იქით, სადაც ელოდება სიკვდილი გიორგი სააკაძის ხელთაგან. ცხენს მიაგელვებს უკვდავებისაკენ გაჭრილ ვიწროსა და კლდოვან ბილიკზე.

ბაზალეთში დამდგარა მისი ცხოვრების უკანასკნელი დღე — ყველაზე მწარე და, იმავდროულად, ყველაზე ლამაზი.

უსასრულო გზაზე მარადიულ საგზლად მიჰყვება ვეფხისტყაოსნის აფორიზმი: „ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან!“

***თამაზ ნატროშვილი***

## ჩვენ გვწერენ!

### გაზეთ „კვირის პალიტრის“ რედაქციას

# მაინც რა არის სიზმარი?!

მეგობარი მესტუმრა. ძალზე შეწუხებული იყო, მიზეზი ვკითხე, აი, რა მიამბო: ბავშვობიდან უცნაურ სიზმრებს ვხედავ. მოსალოდნელ სიტუაციას ინტუიციით თუ სიზმრის კარნახით ვხვდები. როდესაც მოვიზარდე, დავიწყე ეკლესიაში სიარული. მინდოდა, არ დამეჯერებინა ნანახი, მაგრამ რას ვიზამდი, სიზმარი ყოველთვის მიცხადდებოდა, — მითხრა მან, — სიზმარში ნანახიდან გამომდინარე, ვუთხარი ჩემს მეუღლეს, რომ ქალიშვილი შეეძინებოდა, სიზმარში ნანახით მეგობარს ვახარე ვაჟიანობა და სხვ.

ფეხმძიმედ ვიყავი. ბავშვის სქესი არ ვიცოდი. სიზმარში დიდი ჯვარი მეჩვენებოდა, — წამიერად ქრებოდა და ჩნდებოდა. ჯვარი მარჯვენა მხარეს მედგა. მარცხნიდან დავინახე — ჩემკენ გამორბის თმაგაშლილი გოგონა. გულში ჩავიკარი და თან ვეჩურჩულები, — ჩემო გოგო, ჩემო გოგონა-მეთქი. მართლაც ქალიშვილი შემეძინა.

ბავშვის დაბადებამდე მეზმანა, ავტობუსით სადღაც მივდიოდი ხალხთან ერთად. ჩამოვედით ტრიალ მინდორზე. რუსთან გავჩერდით, რომლის ერთ მხარეს ტალახია, მეორე მხარეს — მწვანე მოლი ბიბინებს. გადავედით ტალახიდან მოლზე და ჩვენ წინ წამოიმართა უზარმაზარი თეთრი, თაღებიანი სასახლე. სასახლის შუაში დამშრალი აუზი იყო, შევედით და ვათვალიერებთ, ავდივარ სულ ზემოთ და ზემოთ. უცებ ამოვარდა ქარი და ირგვლივ ყველაფერი დაცარიელდა. დავრჩი მარტო, გამოსასვლელს ვერ ვპოულობ. ამასობაში, ჩემ წინ დიდი წითელი ფარდა აიწია. გამოჩნდა იესო და მანიშნა — უკან გამომყევიო. შორიახლო ავედევნე. სასახლიდან გამომიყვანა, რუზეც გადმოვედი და წამოვედი შინ. მივხვდი, რომ რაღაც სიძნელის გადალახვა მომიწევდა. მართლაც, მშობიარობისას ბეწვზე გადავრჩი სიკვდილს. როდესაც „იეღოვას მოწმეებმა“ დაიწყეს თარეში, მაშინ კარგად ვერ ვერკვეოდი რელიგიაში, ამიტომ ვმერყეობდი. აქაც სიზმარი დამეხმარა გზის მოძებნაში.

ყველა ხაშურელს კარგად ახსოვს შესანიშნავი პედიატრი ბატონი მევლუდ ლომიძე. უფროსი შვილი კუჭ-ნაწლავის ანთებით დამიავადდა. თბილისში გაგვწერა ცხონებულმა. ხილიანზე, ინფექციურ საავადმყოფოში დავაწვინეთ ბავშვი. ღამით მესიზმრა — ხაშურში საშინელი ჭექა-ქუხილი და წვიმაა. მე სადღაც მივდივარ. უცებ ჩემ წინ თეთრი ბურუსი აღიმართა, რომელიც ნელ-ნელა თვალისმომჭრელმა სილურჯემ შეცვალა. ერთი დიდი ალაყაფის თეთრ კარს მივადექი. მივიჩქარი, რადგან ვიცი, თუ ვინმემ შემასწრო, მე ველარ შევალ. უცებ მევლუდ ექიმმა ჩამირბინა და შევიდა კარებში. რომ გავიღვიძე, უსიამოვნო შეგრძნება ამყვა. შუადღისას ხაშურიდან მეუღლემ ამბავი ჩამომიტანა, — წუხელ მევლუდ ექიმი გარდაიცვალაო.

ოჯახში ერთი პრობლემა უნდა გადაგვეწყვიტა. სიზმრად ვნახე, თითქოს ოჯახის წევრები მაგიდას ვუსხედვართ. უცებ ეზოში ერთი ხე ფესვებიანად ჰაერში ავიდა, რუხი ბურუსი დადგა, მალევე გადაიწმინდა და იმ ადგილას შარავანდმოსილი იესო დადგა. გაგვიღიმა, პირჯვარი გადაგვწერა და გაქრა. პრობლემა მოვაგვარეთ. რამდენჯერმე მესიზმრა იესოს მეორედ მოსვლა. როდესაც ეკლესიაში წასვლა დამიგვიანდება, სიზმარში ბოროტ ადამიანებს ვებრძვი და ვიდრე „მამაო ჩვენოს“ არ ვიტყვი, პირჯვარს არ გადავიწერ, ღვთისმშობელსა და ძე ღმერთს არ ვახსენებ, ვერ ჩამოვიშორებ ხოლმე. გამოღვიძებისთანავე ვგრძნობ, ამიხდება თუ არა სიზმარი.

როგორც არ უნდა მაწყენინონ, ბოროტებითვე ვერ გადავუხდი სამაგიეროს, გაჭირვებულის დანახვაზე ვტირი და რითაც შემიძლია, ხელს ვუმართავ. ვცდილობ, უფლის კანონები არ დავარღვიო. თუ სიზმარი ეშმაკეულია, რატომ მესიზმრება და მიხდება კიდეც?

# მან ეშმაკი თავისი თვალით დაინახა!



ამ ბოლო დროს იმდენი დაუჯერებელი რამ ხდება, კაცს თმა ყალყზე დაგიდგება.

ჩემს მეუღლეს არასოდეს სჯეროდა ავი სულების და ეშმაკის არსებობისა. ერთმა შემთხვევამ კი რადიკალურად შეცვალა მისი შეხედულებები.

ერთ საღამოს მეგობარმა სთხოვა, სოფელში გამომყევი მანქანითო. რაღა თქმა უნდა, უარი არ უთქვამს. გვიან დაბრუნდა. რაღაცნაირად შეცვლილი მეჩვენა, შეშინებული თვალებს აცეცებდა. ვკითხე, რა მოგივიდა-მეთქი და, — არაფერიო, — მითხრა. მეორე დღეს გვიამბო ოჯახის წევრებს: მეგობრის ოჯახში სუფრაზე, ორიოდ ჭიქა დაულევია და გარეთ გამოსულა. სახლის ახლოს ხევი ყოფილა, რომელშიც თურმე, წყალი გადიოდა. უგრძნია, რომ ვიღაც უყურებს. სწორედ ამ ხევის თავზე ჰაერში გაჩერებული რაღაც ცხოველი შეუნიშნავს. თურმე დიდი, წყლისფერი თვალები ჰქონდა, დაგრეხილი რქები, მუქი ხუჭუჭი ბეწვი. ოთხ ფეხზე მდგარი ეშვებდაკრეჭილი მისჩერებოდა. ჯერ ჰგონებია, მეჩვენებაო, შემდეგ შეშინებული შევარდნილა სახლში. წამოსვლაც დაუჩქარებია. არ ვიცი, რა იგრძნო მან იმ წუთში. ერთი კია, რომ ამხელა ვაჟკაცს კარგა ხანს გარეთ გამოსვლისა ეშინოდა. ბებიამ შეულოცა, დაარიგა და დაამშვიდა, — ნუ გეშინია, შვილო, ჩემს ჯეელობაშიც იყვნენ ეშმაკები და ავსულები, პირჯვარი უნდა გადაგეწერა, ღმერთი გეხსენებინა და გაქრებოდაო.

ამ თავზარდამცემი ხილვის შემდეგ ჩემი მეუღლე ღვთის მორწმუნე გახდა!

***პატივისცემით***
***დიანა ღვალაძე, ხაშური***

# გოგონა კვერცხიდან გამოიჩეკა!



ამაზონის ტროპიკულ ჯუნგლებში სენსაცია მოხდა: ინდიელთა ტომის წარმომადგენელმა ქალბატონმა შვა... კვერცხი! კვერცხის შიგნით მყოფი ახალშობილი კი არ გაიგუდა, არამედ ასეთ მდგომარეობაში კიდევ რამდენიმე კვირა განაგრძობდა სიცოცხლეს.

მშობიარობის მოწმე ბრაზილიელი სწავლულები ვარაუდობენ, რომ „კვერცხი“, — ეს არის ე.წ. სახეშეცვლილი პერანგი, რომლითაც ზოგჯერ იბადებიან ბავშვები. ამგვარად შობილნი ჟანგბადის უკმარისობით იღუპებიან. მეცნიერთა გაკვირვებას სწორედ ის იწვევდა, რომ კვერცხის შიგნით მყოფი არსება ხანდახან სიცოცხლის ნიშნებს იძლეოდა: ბრუნავდა და ამოძრავებდა ხელფეხს.

კვერცხი რამდენიმე კვირის განმავლობაში მოთავსებული ჰქონდათ მყუდრო ადგილას 35°C ტემპერატურაზე და აი, სამი კვირის თავზე საოცრება მოხდა: ნაჭუჭი გაიბზარა და ქვეყნიერებას მოევლინა ჯანმრთელი გოგონა, რომელიც 3.5 კგ-ს იწონიდა.

მან მაშინვე ისე ხმამაღლა დაიჩხავლა, როგორც ჩხავიან ხოლმე ჩვეულებრივად დაბადებული ბავშვები. მეთვალყურე მეცნიერები თვლიან, რომ ნაყოფი ჩვეულებრივად ვითარდებოდა და არაფრით ჩამოუვარდებოდა თანატოლებს. მათდა გასაოცრად, იმავე ტომის მცხოვრებთ სულაც არ გაკვირვებიათ ეს ამბავი. ისინი არწმუნებდნენ სწავლულებს, მსგავსი მშობიარობა ამაზონის ნაპირებზე არაერთხელ მომხდარა ხოლმეო.

***ვოკრუგ სვეტა №5***

# დროის დამრღვევები



რეინკარნაციაზე, ანუ გარდაცვლილთა სულების გადასახლებაზე უამრავი წერილი და სტატია იბეჭდება. საზოგადოებას ეს საკითხი აინტერესებს. ბევრ საკამათო საკითხთან ერთად, დაფიქსირებულია ფაქტები, რომელთა ნამდვილობას, ყოველ შემთხვევაში, ჭეშმარიტებასთან სიახლოვეს, გვერდს ვერ აუვლი. ამ საკითხის მკვლევარებისათვის უკვე ცნობილია არაერთი შემთხვევა, როცა ადამიანები ისეთ ცოდნას, თანაც დაწვრილებითს, ამჟღავნებენ შორეულ ან სულაც ახლო წარსულზე, რომლის შესახებაც ადრე არაფერი იცოდნენ; ანდა მოულოდნელად ადამიანი ლაპარაკს იწყებს რომელიმე უცხო ენაზე, თუმცა ახლანდელ ცხოვრებაში ენები სულაც არ უსწავლია.

ხანდახან კურიოზებიც კი ხდება. მაგ. ირლანდიელი, ვინმე სონი სატონი ერთ მშვენიერ დღეს შინ იჯდა და გაზეთს კითხულობდა. უცებ კარზე კაკუნი გაისმა — ზღურბლზე უცნობი ქალი იდგა, თავისი ვიზიტის მიზეზი კი უბრალოდ განმარტა, — ძვირფასო სონი, მე დედაშენი ვარო. თუმცა ქალი ასაკის მიხედვით თავად მასპინძელს უფრო ერგებოდა შვილად, მაგრამ სონი დარწმუნდა, რომ დედამისი იყო (ოღონდ არა პირდაპირი მნიშვნელობით). სტუმრის, ჯეინ კოკელის ნაამბობიდან გაირკვა, რომ მან მართლაც ყველაფერი იცოდა მის ოჯახზე, უბრალო წვრილმანიც კი, რომელიც მხოლოდ დედამისმა იცოდა. თუნდაც ის, რომ ბავშვობაში სონის ჰყავდა საყვარელი ძაღლი, სახელად სმოუქი, რომ მის ძმას გვიან ამოუვიდა კბილები და ა.შ. თავად ჯეინ კოკელი, ნორმალური, 35 წლის ქალია, ჰყავს ქმარი და ორი შვილი. დაიბადა და გაიზარდა ინგლისში, ირლანდიაში არასოდეს ყოფილა, მაგრამ სიზმრები თურმე მოსვენებას არ აძლევდა და გადაწყვიტა, წარსული ცხოვრების შვიდივე შვილი მოენახა და გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა კიდეც.

მეცნიერები დიდხანს არიდებდნენ თავს სულსა და მის გადასახლებაზე კამათს, მაგრამ მედიკოსების მიერ დადასტურებულმა უამრავმა ფაქტმა აიძულა ისინი შეხედულება შეეცვალათ. თუმცა ისევ ფრთხილობენ და სულს „ადამიანის ენერგეტიკულ არსს“ უწოდებენ, რადგან ბევრი რამ კიდევ გასარკვევია.

ადამიანთა უმრავლესობა ვერაფრით შეიგრძნობს რეინკარნაციას და არაფერი იცის თავისი წინა ცხოვრების შესახებ, მაგრამ ისეც ხდება, რომ ადამიანში თითქოს მისი მეორე „მე“ იღვიძებს, უფრო სწორად, თავს იჩენს „სხვა“ სული, რომელიც ცდილობს გამოდევნოს ან შეავიწროოს პირველი. „დაუპატიჟებელი სტუმარი“ იწვევს იმას, რასაც ფსიქიატრები პიროვნების გაორებას უწოდებენ და რომლისაგანაც ადამიანი დიდ დისკომფორტს განიცდის. გაორების ფენომენის შესწავლას ერთ საინტერესო დასკვნამდე მივყავართ: ორ ან რამდენიმე სულს შეუძლია ერთ სხეულში არსებობა ისე, რომ ერთმანეთზე გავლენა არ მოახდინონ, ისინი ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ, ოღონდ თითოეული თავ-თავის ტერიტორიაზე. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ჰიპოთეზებიც კი აიგოს ადამიანის სულის ფიზიკურ ბუნებაზე. ერთ-ერთი ასეთი ჰიპოთეზა ეკუთვნის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს იგორ ბლატოვს. მას მიაჩნია, რომ ადამიანს ტვინისა და მასთან დაკავშირებული ცნობიერების გარდა აქვს კიდევ „სული — პროგრამების საცავი“, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზმის ფუნქციონირებას ყველა დონეზე — დაწყებული ნერვული სისტემით და დამთავრებული უჯრედებში მიმდინარე პროცესებით. თავად ცნობიერება კი ასეთი პროგრამული უზრუნველყოფის მოქმედების შედეგია, უფრო სწორად, სულის მუშაობის შედეგი. თანაც, აღსანიშნავია, რომ სული — და ეს მეტად მნიშვნელოვანია — შეიძლება არსებობდეს სხეულისაგან ცალკე. თუმცა, აღიარებს ბლატოვი, ჯერჯერობით გაუგებარია, გარდა დნმ-ის მოლეკულებისა, რა მატარებლებზე შეიძლება იყოს ჩაწერილი ინფორმაციის ის გიგანტური მოცულობა, რასაც შეიცავს ადამიანის სული. მაგრამ ის, რომ იგი არ არის დამოკიდებული სხეულზე, და აქედან გამომდინარე, არჩევანის თავისუფლება აქვს, ისევე უდავოა, როგორც ის, რომ სწორედ სული განსაზღვრავს ჩვენს ცნობიერებას, ქცევებს, ფიქრებსა და ემოციურ მდგომარეობას.

კიდევ ერთი რამაა ყურადსაღები: ხალხური გამოცდილება არასოდეს ეჭვობდა ადამიანის სულის არსებობას, თანაც ადამიანის ცხოვრებაში მას გადამწყვეტ როლს ანიჭებდა და სჯეროდა მისი უსაზღვრო პოტენციალისა.

***ტაინაია ვლასტ №13***

# დელფინების სტუმრები



2000 წლის მაისში ჰავაის კუნძულებზე ჩატარდა უფოლოგების საერთაშორისო სემინარი, რომელიც ეხებოდა დელფინების სავარაუდო კონტაქტებს უცხოპლანეტელების ცივილიზაციასთან.

სემინარის მონაწილეთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ დელფინები გონიერ რასას განეკუთვნებიან. ადამიანებისაგან განსხვავებით, რომლებიც დამოკიდებულნი არიან ძირითადად ტექნიკურ მონაპოვარზე, დელფინებმა შექმნეს სულიერებასა და ინტელექტუალურ განვითარებაზე დაფუძნებული ცივილიზაცია.

დელფინებს გააჩნიათ ტელეპათიის უნიკალური ნიჭი, რაც საფუძველია მათი ურთიერთობისა ერთმანეთთან. ტელეპათიის წყალობით დელფინები კონტაქტს ამყარებენ გალაქტიკის გარკვეულ რასებთან. ზოგი მეცნიერი თვლის, რომ სწორედ ამ კონტაქტითაა გამოწვეული სულ უფრო გახშირებული გამოჩენა ნლო-ებისა. შესაძლებელია უცხოპლანეტელების საიდუმლო ეკიპაჟები დედამიწაზე გაჩნდნენ არა ადამიანთა კულტურის შესასწავლად, არამედ იმ ძველ მეგობრებთან შესახვედრად, რომლებიც დასახლებულნი არიან პლანეტის ოკეანეში.

***ნაუკა ი ჟიზნ №4***

## „საბალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. კურორტი**

**II. ქვეყანვორდის პასუხები:**
1. უკრაინა; 2. ავსტრალია; 3. ეგვიპტე; 4. თურქეთი; 5. გერმანია; 6. რუსეთი; 7. ესპანეთი; 8. საქართველო; 9. ინგლისი; 10. ბრაზილია; 11. იტალია; 12. აზერბაიჯანი; 13. საფრანგეთი.

**III** ა) „მაკარონი“; ბ) „ცეროდენა“;

**IV** ა) „კარ“; ბ) „ური“;

**V**
1. იეთიმ გურჯი;
2. კამო;
3. ლენინი;
4. მარკ ტვენი;
5. ჰიტლერი;

1. დაბღიშვილი;
2. სიმონ ტერ-პეტროსიანი;
3. ვლადიმერ ულიანოვი;
4. სემიუელ კლემენზი;
5. შიკლგრუბერი

**VI** ვაჟა-ფშაველა; „გამზრდელი“


ფირმა «გარანტი»

აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, საცურაო აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით. გარანტია — 10 წელი



ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით.
სამუშაოები სრულდება რესპუბლიკის ფარგლებში.
მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78
სარეალიზაციოდ გვაქვს იმპორტული ჰიდროსაიზოლაციო მასალები
☎ 34-05-52; 63-05-26; 877-43-85-69

გამონაყარი, ჭარბთმიანობა, კლიმაქტერული პრობლემები
კვალიფიციური ექიმის უფასო სატელეფონო კონსულტაცია
92-10-13
10-19 სთ-მდე
შაბათ-კვირის გარდა

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.

# შეფიცულთა ბელადი

**„კვირის პალიტრას“**
**14 ივლისი ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაბადების დღეა. სამწუხაროდ, ბევრი არაფერი ვიცით მის შესახებ.**
**გთხოვთ, ამ დღესთან დაკავშირებით თქვენს გაზეთში 1-2 გვერდი მაინც დაუთმოთ მის ბიოგრაფიას.**
***პატივისცემით თქვენი ერთგული მკითხველი***

14 ივლისი ბასტილიის აღების დღეა — მთელი მსოფლიო აღნიშნავს კაცობრიობის ისტორიაში პირველი დემოკრატიის დაბადების თარიღს. მაგრამ საქართველოსთვის 14 ივლისი სხვა მხრივ უფრო მნიშვნელოვანია — ამ დღეს, 1888 წელს კახეთში, სოფელ მატანში, თავად იოსებ ჩოლოყაშვილის სახლში დაიბადა ვაჟი. ახალშობილს ქაიხოსრო დაარქვეს. ცხადია, მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ 36 წლის შემდეგ იგი საქართველოს ეროვნული გმირი — ქაქუცა ჩოლოყაშვილი გახდებოდა.

ჩოლოყაშვილების გვარს მის გარეშეც არ აკლდა მამულისათვის თავდადებული ვაჟკაცები, მხედრული სული მათ სისხლში ჰქონდათ. სხვათა შორის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის უშუალო წინაპარი იყო არაგვის უკანასკნელი ერისთავი — ჯიმშერი, რომელიც ერეკლე -ის შვილების აღმზრდელიც ყოფილა. ოცდაერთი წლის ქაქუცა რუსულ ჯარში გაიწვიეს სამხედრო ბეგარის მოსახდელად, ოთხი წლის შემდეგ კი ტვერის დრაგუნთა პოლკში ნამსახური ოფიცრის ჩინით დაბრუნდა სახლში. იმავე წელს შეირთო ცოლად ნინო მელვინეთუხუცესი — მასავით კახელი თავადის ილია მელვინეთუხუცესის ერთადერთი ასული. თუმცა მალევე მოუწია ახალშერთულ მეუღლესთან დაშორება — პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, 1914 წელს გაიწვიეს და მთელი ომი ბრძოლის ქარცეცხლში გაატარა. როგორც მისი თანამებრძოლი ალექსანდრე სულხანიშვილი იგონებს სან-ფრანცისკოში გამოცემულ თავის მემუარებში, — ქაქუცა ძალიან უყვარდათ თანამებრძოლებს: „ჯარისკაცი, როგორი მხდალიც არ უნდა ყოფილიყო, საუკეთესო ვაჟკაცად იქცეოდა ქაქუცას ხელში... ისეთი თვისებებით დაეჯილდოებინა იგი ბუნებას, ათას კაცში რომ აგერიათ, სრულიად უცნობი ადამიანიც კი მიაქცევდა მას ყურადღებას“.

იმავე, 1914 წლის ბოლოს ქაქუცა დაიჭრა, საგრძნობლად შეერყა ჯანმრთელობა და ამიტომ, კავკასიის ფრონტზე გადმოიყვანეს ზურგის ჯარის ასეულის უფროსად. სწორედ იქ ჩაიდინა მან პირველი მხედრული გმირობა — ოსმალებმა მოულოდნელად დაიწყეს სარაყამიშის ცნობილი იერიში. რუსებისათვის ეს ისეთი მოულოდნელი იყო, რომ მტრის წინააღმდეგ ძალზე მცირერიცხოვანი ძალები აღმოაჩნდათ, ისიც ზურგის სამსახურის ჯარისკაცები, რომლებსაც თოფების მაგივრად ბარ-ნიჩაბი ეკავათ ხელში. ამ დროს მიიღო ქაქუცამ სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი წერტილის „არწივის ბუდის“ მთის მტრისაგან გათავისუფლების ბრძანება. თავის მუშა-ჯარისკაცებს თოფები დაურიგა და ბრწყინვალე სამხედრო ოპერაცია განახორციელა — „არწივის ბუდიდან“ თურქები კისრისტეხით გარბოდნენ. თუმცა დამხმარე ძალის მოსვლის შემდეგ ოსმალებმა იერიში წამოიწყეს ქაქუცას ასეულის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში იგი ფეხში დაიჭრა და უფროსების ბრძანების მიუხედავად — მეთაურობა სხვისთვის გადაებარებინა და თვითონ ლაზარეთში წასულიყო, იგი თავის პოსტზე დარჩა. მალე მეორე უმძიმესი ჭრილობა მიიღო, ამჯერად მკერდში. „არწივის ბუდე“ შენარჩუნებულ იქნა. ამ გმირობისათვის ქაქუცა ჩოლოყაშვილი ოქროს ხმლით დაჯილდოვდა.

სამკურნალოდ იგი თბილისში, წმინდა ნინოს ქართულ ჰოსპიტალში ჩამოიყვანეს, სადაც მისი მკურნალი ცნობილი ქართველი ექიმი გრიგოლ მუხაძე ყოფილა.

სულითა და მოწოდებით მხედარი, დიდი ხნით ვერ შეეგუა სამოქალაქო ცხოვრებას. მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო სამსახურიდან უკვე თავისუფალი იყო, იგი ერთ-ერთი პირველთაგანი შევიდა ახალდაარსებულ ქართველ ცხენოსანთა რაზმში, რომელიც მალევე გადაისროლეს სპარსეთის ფრონტზე. მის მიერ იქ განხორციელებული რეიდი, როდესაც თავისი ასეულით გაიარა მესოპოტამიის უდაბნო და მოკავშირე ინგლისელებს შეუერთდა, სამხედრო ხელოვნების არანაკლებ გამოვლინებადაა მიჩნეული, ვიდრე ფრონტზე მიღწეული წარმატება.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ქაქუცა ჩოლოყაშვილი ეროვნული არმიის ოფიცერი გახდა და საქართველოს მიერ წარმოებულ ყველა ბრძოლასა და სამხედრო ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ იგი არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში არ შევიდა, მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატები მხოლოდ თავიანთ თანაპარტიელებს სწყალობდნენ.

1921 წლის თებერვალში, როდესაც საქართველოში წითელი რუსეთის ურდოები შემოიჭრნენ, ქაქუცა ცნობილ კავალერისტთან — გენერალ დავით ჭავჭავაძესთან ერთად სამეგრელოში იმყოფებოდა, ცხენოსანი ნაწილის ჩამოსაყალიბებლად. საქართველოს რესპუბლიკა დაეცა, მისი მთავრობა, სრული შემადგენლობით ბათუმიდან იტალიურ გემს გაჰყვა 17 მარტს და გეზი სტამბოლისაკენ აიღო. ქაქუცა მათ არ გაჰყვა, იგი საქართველოში დარჩა და დამპყრობელთა წინააღმდეგ გამათავისუფლებელი ბრძოლა წამოიწყო.



**ჯარში გაწვევამდე**

### ქაქუცა ჩოლოყაშვილის გენეოლოგია

თავადი შანშე ჩოლოყაშვილი
ჭიაურთ მოურავი, 1626-1656

როშაქა 1626-1647

ზურაბა 1668-1725

როშაქა 1725 — ჯიმშერ -1756, არაგვის გამგებელი, მოურავი

ქაიხოსრო 1765-1793
თიანეთის მოურავი, არაგვის გამგებელი

გიორგი 1778-1804, სახლთუხუცესი — დიმიტრი -1804; რიფსიმე ბატონიშვილი, გიორგი X-ის ასული

ომან 1789
ელისაბედ

ქაიხოსრო 1818
ანა — აზნაურ იოსებ ნატალიშვილის ას

იოსებ 1856
დარია — აზნაურ ზაქარია გოგნიაშვილის ას

ქაიხოსრო (ქაქუცა) 1888-1930

თბილისში ფარულად დაბრუნებული, იგი გენერალ კონსტანტინე აფხაზს შეხვდა (ილია ჭავჭავაძის დისშვილს), მათ მოსალოდნელი ბრძოლის გეგმების შესახებ ისაუბრეს, შემდეგ კი 1921 წლის ივლისში, კახეთში გადასულმა შეადგინა ჯგუფი „საქართველოს შეფიცულები“, რომელსაც მთელი საქართველოს მასშტაბით უნდა გაეკეთებინა აჯანყების ორგანიზაცია. ქაქუცას ემისრები საქართველოს სხვა რეგიონებშიც მოქმედებდნენ.

ერთი წლის შემდეგ, 1922 წლის გაზაფხულზე, ჩეკამ იმდენად შეავიწროვა შეფიცულები, რომ ტყეში გასვლა აუცილებელი გახდა. 12 მარტს ქაქუცა და კიდევ ექვსი კაცი ქიზიყის ტყეში გავიდნენ, შემდეგ შეემატნენ მათ დანარჩენები, მათ შორის ქაქუცას ძმა სიკო ჩოლოყაშვილი, რომელიც მალევე დაიღუპა რუსებთან ბრძოლაში.

პირველი საბრძოლო ნათლობა რაზმმა სიღნაღთან მიიღო, ხოლო 1922 წლის ივლისში ხევსურეთის ამბოხება მოაწყო ჩოლოყაშვილმა. მცირე ძალების გამო აჯანყებულები დამარცხდნენ და ქაქუცა იძულებული გახდა ჩრ. კავკასიაში გადასულიყო, თუმცა შემოდგომაზე უკან დაბრუნდა და ინტენსიური მზადება დაიწყო 24 წლის აგვისტოს დიდი აჯანყებისათვის, რომელშიც არა მხოლოდ ხევსურეთს ან კახეთს, არამედ მთელ საქართველოს უნდა მიეღო მონაწილეობა.

დღემდე გაურკვეველია, ვინ გასცა აჯანყება, მაგრამ ფაქტია, რომ ჭიათურაში მისმა ერთი დღით ადრე დაწყებამ, იგი დამარცხებისთვის გაწირა. ამის მიუხედავად ჩოლოყაშვილმა, რომლის ბანაკშიც იმყოფებოდნენ თბილისიდან ჩასული დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები, მაინც გადაწყვიტა ბრძოლა. 29 აგვისტოს ღამითვე აიღო მანგლისი, შემდეგ ქართლში გადავიდა, ხოლო 3 სექტემბერს დუშეთიც გაათავისუფლა. 5 სექტემბრის დილიდან იგი ერწოში გამოჩნდა, 6-ში კი დიდი ბრძოლა გადაიხადა სიმონიანთხევში. სწორედ იქ გაიგო მის ბანაკში დარჩენილი კომიტეტის წევრების მიერ გამოცემული პროკლამაციის შესახებ, რომელშიც ისინი აჯანყების დამარცხების გამო იარაღის დაყრისაკენ მოუწოდებდნენ ხალხს. ამის მიუხედავად ჩოლოყაშვილმა მაინც განაგრძო ბრძოლა. კახეთში, ბორჩალოსა და თეთრიწყაროში გადახდილი შეტაკებების შემდეგ ქაქუცა დარწმუნდა, რომ იგი მარტო იყო და რაზმელებთან ერთად საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტა.



**ემიგრაციაში**

აღსანიშნავია, რომ ბოლშევიკების ბევრმა ლიდერმა, რომლებიც თბილისში იმყოფებოდნენ, მისი ადგილსამყოფელი იცოდა და იმდენად დიდი იყო შიში მის მიმართ, რომ ფარულად შეუთვალეს, — შენი ცოლშვილი წაიყვანე და ქვეყანა დატოვეო. მაგრამ ქაქუცამ თავის რაზმელთა ოჯახების გაყვანაც მოითხოვა, რასაც ცხადია, ისინი ვერ უზრუნველყოფდნენ. სწორედ ამიტომ, მეთაურმა თვითონაც მარტომ გადაწყვიტა წასვლა და სიკვდილამდე აღარ უნახავს ოჯახი. საზღვარი თურქულ სოფელ ზორმანასთან გადაკვეთეს, აქედან კი არდაგანის გავლით ართვინში ჩავიდნენ. იქ მათ მუსულმანმა ქართველებმა ბეგი ხიმშიაშვილმა და ექიმმა აბედინ აბაშიძემ უმასპინძლეს. დიდი წვალების შემდეგ რაზმი სტამბოლიდან მარსელში ჩავიდა გემით. და იქ დაიწყო მათი იმაზე დიდი წვალება, ვიდრე საქართველოს ტყე-ღრეში გადახდათ თავს — უკვე თბილად დაბინავებულმა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ, პირველ რიგში ნოე ჟორდანიამ, მხოლოდ ქაქუცას შესთავაზა პარიზში ცხოვრება, ხოლო დანარჩენებისათვის ზრუნვაზე ხელი აიღო. რაზმის მეთაური, ცხადია, ამას არ დასთანხმდა და ბოლოს მაინც მოახერხა პარიზის მახლობლად — ვიროფლეიში დაექირავებინა დიდი სახლი, ყველა შეფიცული, რომლებიც საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქში გაფანტულები მაღაროებსა თუ „პეჟოს“ ქარხნებში ასრულებდნენ უმძიმეს სამუშაოს, თავისთან გადმოიყვანა, სამუშაოც უშოვა და ისინი იქვე ცხოვრობდნენ ქაქუცას გარდაცვალებამდე.

ორიოდე წლის შემდეგ ქაქუცას მსოფლიო ომში მიღებული ჭრილობა გაეხსნა და ქართველთა მიერ შეგროვილი ფულით ალპებში გაემგზავრა სამკურნალოდ. მის თანამებრძოლთა არქივებში შემონახულია იქიდან გამოგზავნილი წერილები, რომლებიც მათდამი ზრუნვითა და სამშობლოში დაბრუნების იმედითაა სავსე.

ალპებმა ვერ უშველა ავადმყოფს — ფილტვების იარა ტუბერკულოზში გადაეზარდა. 1930 წლის 29 ივნისს თავისი თანამებრძოლის ალექსანდრე სულხანიშვილისა და ცნობილი ქართველი ექიმის, ვახტანგ ღამბაშიძის ხელში დალია სული პრასკუდანის საავადმყოფოში (სხვათა შორის, ეს სწორედ ის ვახტანგ ღამბაშიძეა, რომლის მოგონებებიც გააცნო მკითხველს ჩვენმა გაზეთმა აკ. წერეთლის საიუბილეო დღეებში).

ბერძნულ ეკლესიაში დასვენებულ მის ცხედარს საფრანგეთში მყოფმა ყველა ქართველმა მიაგო პატივი, ბევრი საზღვარგარეთიდანაც ჩამოვიდა. საერთოდ, ყველა აღნიშნავდა, რომ ქაქუცა ერთადერთი იყო მათ შორის, ვისდამიც ყველა პოლიტიკური „ჭკუის“ ქართველი ემიგრანტი, ზოგი შიშით და ზოგიც გულწრფელად, პატივისცემას გამოხატავდა. თუმც თვითონ არასოდეს დაუმალავს თავისი ანტიპათია სოციალ-დემოკრატების მიმართ. ცნობილია შემთხვევა, როდესაც რესტორანში შემთხვევით შესულმა, უარი განაცხადა იქ მოქეიფე საქართველოს მთავრობის წევრების დღეგრძელობაზე, ხოლო მათი ხელმეორე, დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, ყველაზე ახლო მჯდომს შეასხა ღვინო და გინებაც მიაყოლა — ვერც ერთს ვერ გაუბედავს ხმის ამოღება.

ცალკე საუბრის თემაა საქართველოში დარჩენილი ოჯახის თავგადასავალი — მისი მეუღლე და ორი ქალიშვილი რამდენჯერმე დააპატიმრეს, ბოლოს კი შორეულ ყაზახეთში გადაასახლეს.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ თბილისში და ძალიან უნდათ ქაქუცას ანდერძის შესრულება — მისი საქართველოში გადმოსვენება.. ეს საკითხი ჯერ კიდევ 1990 წელს იდგა, მაგრამ იქაურ ქართველთა უცნაური სიჯიუტის გამო დღემდე ვერ მოხერხდა, რომ საქართველოს ეროვნული გმირი საქართველოში განისვენებდეს.

ასეთი იყო ცხოვრება იმ კაცისა, რომელიც ღირსეული მემკვიდრე გახლდათ საქართველოს ისტორიის დამამშვენებელი გმირებისა.

***„სამშობლოს ერთგულნო!***

***საქართველოს მტრების განკითხვის დროა მოახლოებული. მათ აამხედრეს თავის მოწინააღმდეგედ მთელი კულტურული კაცობრიობა.***

***ვიყვნეთ მხნე, მტკიცე და გაბედულნი.***

***სალამი თქვენ და გამარჯვება საქართველოს!***

***აპრილი 1922წ. კახეთი***

***ქაქუცა ჩოლოყაშვილი“***

ამ მოწოდებამ აღაფრთოვანა მაშინ ყველა პატრიოტი ქართველი, ხოლო მათი შთამომავლები ქაქუცა ჩოლოყაშვილისნაირთა ცხოვრებამ უნდა აღაფრთოვანოს დღესაც და ასწავლოს ქვეყნისა და ადამიანების სიყვარული.

***ზვიად გურული***


## სიახლე ფირმაში „მედი“

### ჭარბთმიანობის კომპლექსური მკურნალობა

ჭარბთმიანობის პრობლემაზე მსოფლიოში მრავალი ცნობილი კოსმეტოლოგიური და სამედიცინო ტექნოლოგიის ფირმა მუშაობს.

ყველასათვის ცნობილია, რომ არასასურველი თმების ტრადიციული გზებით მოშორება გამოსავალი არ არის, ხოლო ყოველი ჩარევის შემდეგ კი უფრო გაუხეშებული თმა იზრდება.

გარდა ამისა, საკმაოდ ხშირია სხვადასხვა სახის გართულება, რასაც კანის ხარისხის გაფუჭება მოსდევს. ელექტროეპილაციის და პრიმიტიული ლაზერული აპარატებით ჩატარებული ეპილაციის დროს კანის საფარის დაზიანების გამო დიდია შიდსითა და ჰეპატიტით ინფიცირების შესაძლებლობა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც მსოფლიო შიდსის პანდემიის საშიშროების წინაშე დგას.

მსოფლიოს კოსმეტოლოგთა ოცნება – ეპილაციის ჩატარება უკონტაქტოდ, ჩხვლეტისა და კანის დაზიანების გარეშე, -რეალობა გახდა მას შემდეგ, რაც 1999 წელს ამერიკელებმა შექმნეს ალექსანდრიტის დერმატოლოგიური ლაზერი. მის მიერ გამოსხივებული სხივი სავსებით უვნებელია ორგანიზმისათვის და დიდი ხანია გამოიყენება მედიცინაში გულის, სისხლძარღვებისა და თვალის სამკურნალოდ.

ალექსანდრიტის ლაზერი უზრუნველყოფს ყველაზე სწრაფ და მაღალეფექტურ ეპილაციას კანის დაზიანებისა და მასზე პიგმენტური ლაქების განვითარების გარეშე.

რამდენადაც არ ზიანდება კანის საფარი, შიდსით ან ჰეპატიტით დაავადება ამ აპარატით ჩატარებული ეპილაციის დროს გამორიცხულია.

ეპილაციის დროს თმის ძირი ისე ნადგურდება, რომ არ ზიანდება ირგვლივ მყოფი ქსოვილები.

ეპილაციას ალექსანდრიტის ლაზერით უმეტესად რამდენიმე წუთი სჭირდება. საბოლოო განკურნებისათვის საჭიროა რამდენიმე პროცედურის ჩატარება, რაც დამოკიდებულია საეპილაციო თმის ხარისხზე, პაციენტის ორგანიზმის ზოგად მდგომარეობასა და ჰორმონალურ ფონზე.

მას შემდეგ, რაც ამერიკელი პარტნიორების მეშვეობით, სამედიცინო ცენტრში „მედი“, დამონტაჟებულ იქნა ალექსანდრიტის ლაზერის 2000 წლის მოდელი, იგი საქართველოს მოსახლეობისათვისაც გახდა ხელმისაწვდომი. მთელ კავკასიაში ეს აპარატი ერთადერთია, ხოლო ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში სულ რამდენიმე ცალია.

სამედიცინო ცენტრი „მედი“, ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაციის გარდა, გთავაზობთ სიახლეს – ჭარბთმიანობის მიზეზების გამოკვლევას და კომპლექსურ მკურნალობას. საჭიროების შემთხვევაში წარმოებს პაციენტების ჰორმონალური ფონის გამოკვლევა, გინეკოლოგის კონსულტაცია, მცირე მენჯის ორგანოთა ექოსკოპია და სხვა. კომპლექსური მკურნალობის პროგრამა ხორციელდება გერმანულ სამედიცინო ფირმა „შერინგ“-თან ერთად, რომელიც აწარმოებს ცნობილ პრეპარატებს, როგორიცაა: „დიანე-35“, „ანდროკურ-10“, „კლიმონორმი“. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრეპარატებით მკურნალობის კომბინაცია ალექსანდრიტის ლაზერით ჩატარებულ ეპილაციასთან იძლევა საუკეთესო და სწრაფ ეფექტს

ფირმა „მედი“ და მისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ყოველთვის მზად არიან იზრუნონ თქვენს სილამაზეზე.

**ი. ჭავჭავაძის გამზ. №70**
**ტელ: 25-02-02; 22-50-43**

# რომაელი პონტიფიკის ცოდვა

ვატიკანთან დაკავშირებული სკანდალური ამბებიდან ყველაზე საინტერესო — პაპ იოანე V-ის ისტორიაა: ქალისა, რომელიც თავს კაცად ასაღებდა, ვატიკანს მეთაურობდა მანამ, სანამ ბუნებამ თავისი არ ქნა და ხალხმრავალ სადღესასწაულო ცერემონიაზე არ იმშობიარა.

ერთი შეხედვით, ეს დაუჯერებელი ჩანს და ლეგენდას უფრო ჰგავს, ვიდრე ისტორიულ სინამდვილეს. მიუხედავად ამისა, ისტორიულ დოკუმენტებში დაფიქსირებულია ეს შემთხვევა. მაგალითად, იტალიელი ისტორიკოსი ბარტოლომეო პლატინი 1479 წელს წერდა: „პაპი იოანე V, წარმოშობით ინგლისელი, მეტცში დაიბადა და, როგორც ამბობენ, პაპის სასახლეში ეშმაკური ხრიკებით შეაღწია. სინამდვილეში ქალი თავს მამაკაცად ასაღებდა. ათენში საყვარელთან ერთად ჩასულმა შესანიშნავი განათლება მიიღო. რომში ტოლი არ ჰყავდა საღვთო წერილის ცოდნაში. იმდენად დიდი გავლენა მოიპოვა, რომ რომის პაპის ლევის გარდაცვალების შემდეგ, ერთხმად აიყვანეს პაპის ტახტზე. მორიგი სადღესასწაულო ცერემონიის დროს, როცა პაპის პროცესია კოლიზეუმიდან წმინდა კლემენტის ეკლესიისკენ მიდიოდა, პაპს მშობიარობა დაეწყო და ადგილზევე გარდაიცვალა. პაპის ტახტზე ორ წელიწადს, ხუთ თვესა და ოთხ დღეს იჯდა და ყოველგვარი პატივის გარეშე დაასაფლავეს. ეს ისტორია ფართოდ იყო გავრცელებული, მათ შორის არასანდო და უცნობი ავტორების მიერაც“.

როგორც ამ, ვატიკანისთვის სამარცხვინო ამბიდან ჩანს, ისტორიკოსი მას სინამდვილედ მიიჩნევს, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის თავს იზღვევს და პირველწყაროს არასაიმედობას იშველიებს. მართლაც იყო ეს ასე თუ არა?

ქალ-პაპზე პირველი ცნობა მე-9 საუკუნის განათლებული რომაელის ანასტასიუსის ნაშრომშია დაფიქსირებული. იგი ვატიკანის ბიბლიოთეკის მცველი იყო და იმდენად დაახლოებული გახლდათ უმაღლეს საეკლესიო იერარქიასთან, რომ 855 წელს პონტიფიკ ლევ V-ის გარდაცვალების შემდეგ, ტახტის პრეტენდენტადაც ითვლებოდა. ბოლოს, პაპი ბენედიქტე გახდა და რამდენადაც, ვარაუდით, ქალი-პაპის პონტიფიკობა სწორედ იმ დროს ემთხვევა, ანასტასიუსის ცნობა მეტად მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ.

ყველაზე პოპულარული ვერსია დომინიკელი ბერის მარტინ ტროპელის მე-13 საუკუნის დროინდელ ნაშრომშია დაცული. „პონტიფიკებისა და იმპერატორების ქრონიკაში“ იგი წერს:

„ლევ V-ის შემდეგ, იოანე ინგლისელი, წარმოშობით მეტციდან, ორ წელიწადს, ხუთ თვესა და ოთხ დღეს მეთაურობდა კათოლიკურ ეკლესიას. პაპის ტახტი ერთი თვე ცარიელი იყო. იგი რომში გარდაიცვალა. დადგინდა, რომ პაპი იოანე ქალი იყო. ახალგაზრდობაში მან მამაკაცის ტანსაცმელი გადაიცვა და ათენში ჩავიდა. იქ შესანიშნავი განათლება მიიღო, შემდეგ სამ წელიწადს რომში სწავლობდა. როცა ქალაქში ხმა გავარდა მის დიდ ღირსებასა და განათლებაზე, იგი პაპის ტახტზე დასვეს. პაპობის დროს „საინტერესო მდგომარეობაში“ აღმოჩნდა და წმინდა პეტრეს ტაძრიდან ლათერანის სახლისკენ მიმავალს სამშობიარო კრუნჩხვები დაეწყო და ქუჩაში შვა ბავშვი. იგი მშობიარობის დროს გარდაიცვალა და სასწრაფოდ დაასაფლავეს პატივის გარეშე...“

წყაროებში დაფიქსირებულია, რომ ქალი-პაპის გარდაცვალების ადგილას უზარმაზარი ქვის ფილა დადეს წარწერითურთ, მაგრამ პაპმა პიუს V-მ (1566-1572) ამ ცოდვილი ფილის განადგურება ბრძანა. გარდა ამისა, ლევ X-ის პაპობამდე მოქმედებდა წესი, რომლის თანახმად, პაპის ტახტის პრეტენდენტს აუცილებლად უნდა გაევლო სქესის შემოწმება, რათა გამორიცხულიყო ქალი-პაპის ხელმეორედ ტახტზე ასვლის შესაძლებლობა. რადგან კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს, ეს ირიბად მაინც მიუთითებს იმას, რომ ასეთ პრეცედენტს მართლაც ჰქონია ადგილი. ყოველ შემთხვევაში, მე-15 საუკუნეში ვატიკანში ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რომ ეს ამბავი არავის ეხსენებინა. ეს მარტო სიმართლის დამალვის სურვილით როდი იყო გამოწვეული, უბრალოდ, ევროპაში ფეხს იკიდებდა რეფორმატორული მოძრაობა და ამ სკანდალს ათასნაირად ამუშავებდნენ ორთოდოქსი კლერიკალების გასამათრახებლად.

მოგვიანებით ამ ამბავს ბევრი მკვლევარი გამოუჩნდა. მათ შორის ფრანგი სოფლის პასტორი და მწერალი დავიდ ბლონდელი (1590-1655). მან კვლევა მართლაც რომ დეტექტიური მანქანებით ჩაატარა და აღმოაჩინა, რომ ისტორიულ წყაროებში ბევრი რამაა გაყალბებულიც და გარკვეული დროის მერე დამატებულიც.



მე-9 საუკუნის პაპებზე ზუსტი და მრავალჯერ დადასტურებული ცნობები არსებობს. ლევ V-ის (ქალი-პაპის სავარაუდო წინამორბედი) შემდეგ პაპის ტახტი ბენედიქტე -მ დაიკავა. ორ-ნახევარ წელს პაპობდა, ხოლო მისგან პონტიფიკობა ერგო ნიკოლოზ -ს, წინამორბედის სიკვდილიდან რამდენიმე დღის შემდეგ.

პაპი იოანე V მართლაც იყო ვატიკანის მეთაური მე-9 საუკუნეში, მაგრამ ტახტზე ავიდა მხოლოდ 20 წლის შემდგომ და მისმა პაპობამ 10 წელს გასტანა! მის დროს დაიწყო მუსლიმანთა შემოტევები ხმელთაშუა ზღვისპირეთში. სწორედ მან შემოავლო გალავანი პაპის რეზიდენციას რომში და სულ უფრო მზარდი გარე ზეწოლის პირობებში ევროპაში რელიგიურ-პოლიტიკურ ერთიანობას მიაღწია. შემორჩენილია უამრავი დოკუმენტი მის შესახებ და ასევე რამდენიმე წერილიც, მაგრამ თუნდაც მცირე მინიშნებაც, რომ იგი ტრანსვესტიტი იყო ან რაიმე კავშირი ჰქონდა ლეგენდის წარმოშობასთან, არ დასტურდება. მაშ, საიდან იღებს სათავეს ვერსია ქალი-პაპის შესახებ? შესაძლოა, ამის მიზეზი მე-10 საუკუნის არეულ ეპოქაში დაიბადა. პაპის ტახტი ევროპელი მონარქების პოლიტიკურ ინტრიგებში იყო ჩაფლული. პაპობა მეტად სარფიანი საქმე გამოდგა, რამეთუ დიდ ძალაუფლებას იძლეოდა და მის ხელში ჩასაგდებად არაფერს ერიდებოდნენ. იმდროინდელი პაპების უმრავლესობა ძალადობის მსხვერპლი ხდებოდა.

ამბობენ, რომ სერგი -ს რომაელი სენატორის მეუღლე, პაპის საყვარელი თეოდორა მართავდაო. პაპის გარდაცვალების შემდეგ თეოდორა და მისი ულამაზესი ქალიშვილი მაროზია მართავდნენ ვატიკანს სისასტიკისა და გარყვნილების წყალობითო. 20 წლის მანძილზე რომში „ქალების რეჟიმი“ ბატონობდა და თვით ყველაზე მორწმუნე ადამიანებიც კი, იძულებულნი იყვნენ, ელიარებინათ: „ჩვენთან პაპის როლს ქალები თამაშობენო“. შეიძლება წარსულის ეს სკანდალური ამბები დაედო საფუძვლად ქალი-პაპის შესახებ ლეგენდის შექმნას.

*ტაინაია ვლასტ №13*

# ვისაუბროთ დანა–ჩანგლის წარსულზე



რომაელები ორნაირ კოვზს იყენებდნენ სხვადასხვა შემთხვევაში. ჩანგლების არსებობის შესახებ კი არაფერი იცოდნენ. ეტყობა, არც სჭირდებოდათ — ყველაფერი სუფრაზე დაჭრილი შემოჰქონდათ და ხელით მიირთმევდნენ... რაც მთავარია, წამოწოლილები შეექცეოდნენ სასმელ-საჭმელს... ასეთ პირობებში, რასაკვირველია, დანა-ჩანგალი საჭირო არ იყო. ლხინის დროს მაგიდებს ცვლიდნენ ხოლმე. ყოველი თავი კერძი ახალი სუფრით შემოჰქონდათ. ეტყობა, ამიტომაც არ განვითარდა სუფრის ჭურჭელი.

იმპერიის დაცემის შემდეგ, რომაელი სუფრასთან დაჯდა და ხელში დანა-ჩანგალი დაიჭირა. პირველი ჩანგლის შესახებ ცნობა განეკუთვნება 1071 წელს, როცა ვენეციის დოჟმა ცოლად შეირთო ბიზანტიელი ქალი. მას კონსტანტინეპოლიდან მზითვად მოჰყვა ორკბილიანი ჩანგალი, რომელსაც ყოველთვის ხმარობდა სადილობისას. საგულისხმოა, რომ ბიზანტიელ მანდილოსანს იმხანად ვენეციაში მიმბაძველი არავინ გამოსჩენია.

ევროპელები სტუმრად კვლავინდებურად თავთავიანთი დანებით დადიოდნენ და ხელით ჭამდნენ. აღსანიშნავია, რომ სტუმრებს ცალცალკე თეფშებიც არ ჰქონდათ. თეფშების მაგივრობას უწევდათ ხის ფირფიტები, ზოგჯერ კი პურის ნაჭერიც. მასპინძელი ერთადერთი კოვზით უმასპინძლდებოდა სტუმრებს, ღვინის ფიალას კი წრეში დაატარებდნენ. ასეთი არაცივილიზებული სიტუაცია შუა საუკუნეების ბოლოს თანდათან შეიცვალა. დანა-ჩანგალს უტილიტარული მნიშვნელობა მიენიჭა. დიდებულები ოქრომჭედლებს უკვეთავდნენ განსაკუთრებული ფორმის ნატიფ დანა-ჩანგალსა და კოვზებს. მოდური გახდა სუფრაზე ოქროს თეფშების დადება მხოლოდ სილამაზისათვის. 1493 წელს ვენეციაში ჰერცოგის მეუღლის ბეატრიჩე მილანელის ჩამოსვლასთან დაკავშირებით გამართულ ბანკეტს 300 ოქროს თეფში ამშვენებდა, რომლებიდანაც არავინ ჭამდა. თანდათანობით დაიწყეს სტუმრებისთვის თეფშის დადება (ერთი — ორისთვის), ასევე, ორ კაცს ერთი დანა-ჩანგალი უნდა ეხმარა. პატარა კოვზებიც სამზარეულოდან სასადილო ოთახში გადმოიტანეს. ერთხელ, თურმე სტუმრებს ისე მოსწონებიათ კოპწია კოვზები, რომ ნასადილევს ხელს გაუყოლებიათ. ამიტომ ყოველი ლხინის შემდეგ სტუმრებს ჩხრეკდნენ...

ხელით ჭამის გამო არავინ გამოთქვამდა უკმაყოფილებას, მთავარი იყო, მერე ხელები დაებანათ. ასეთი წესი არსებობდა, სუფრასთან სამი თითით უნდა ეჭამათ (გამოშვერილი ნეკით).

1518 წლიდან დაიწყო დანა-ჩანგლის გავრცელება ცივილიზებულ მსოფლიოში. შემდეგ იგი სამუდამოდ დამკვიდრდა სუფრაზე.

მე-16 ს-ის ფრანგი, აბრეშუმით მოვაჭრე ჟაკ ლერეჟი ვენეციის დოჟთან ლხინის შემდეგ გაკვირვებით აცხადებს, — ეს ბატონები ხორცს ვერცხლის ჩანგლებით მიირთმევენო. ასე რომ, ამაყი ბიზანტიელების მიერ დათესილმა თესლმა ნაყოფი გამოიღო.

მეფე ჰენრიხ -ის ინიციატივით, ჩანგალი იტალიიდან საფრანგეთში გავრცელდა. საუკუნის (1570წ.) ბოლოს ჩანგალს მესამე კბილი „ამოუვიდა“, ხოლო „ოთხკბილიანები“ კი 1880 წლიდან გაჩნდა. ინგლისში პირველი ჩანგალი XV ს.-ის 20-იან წლებში გამოჩნდა; უფრო გვიან კი ევროპის სხვა ქვეყნებში გავრცელდა. იგი მხოლოდ სამეფო კარისა და მდიდართა სუფრის ატრიბუტი იყო. 1742 წელს ინგლისელმა თომას ბაულზოვერმა გამოიგონა დანა-ჩანგლის დამზადების იაფი საშუალება (ვერცხლისა და სპილენძის შენადნობი). დაიწყო წარმოება ჩაისა და ყავის კოვზების, სხვადასხვა ფორმის დანებისა — ხილისთვის, თევზისა და კარაქისთვის...

ასე ჩამოყალიბდა წესი საკვების ხელშეუხებლად მირთმევისა. სხვათა შორის, ბრიტანელი ოფიცრებისათვის ჩანგლის ხმარება XX საუკუნის დასაწყისშიც კი, მამაკაცებისათვის დაუშვებელ ნებივრობად მიიჩნეოდა. ამჟამად მრავალი სახისა და ფორმის დანა-ჩანგალი არსებობს — სადილის, საუზმის, საჩაროზე, ხორცის მისართმევი, თევზისა.

ასევე მრავალგვარია კოვზიც — ჩაის, ყავის, საჩაროზე, წვნიანისა... სუფრაზე სხვადასხვა კერძი სხვადასხვა თეფშით უნდა მივირთვათ, პურისთვის — პატარა თეფშს ხმარობენ.

*იტოგი №26*

# დაიანას სიკვდილში დამნაშავე დაწვეს?..



ცოტა ხნის წინ მეტად საიდუმლო ვითარებაში დაიღუპა ადამიანი, რომელზედაც ეჭვობდნენ, რომ მან მოაწყო პრინცესა დაიანას დაღუპვის ინსპირირება.

მსოფლიოში ცნობილი მილიონერი ფოტოგრაფი 53 წლის პაპარაცი ჯეიმს ენდანსონი უელსის პრინცესას უთვალთვალებდა ფრანგულ კურორტზე სენ-ტროპეზში, პარიზში მომხდარ ტრაგედიამდე რამდენიმე დღით ადრე. ჯეიმსი დღედაღამ ადევნებდა თვალყურს პრინცესას. მაგრამ ლედი დის პარიზს გამგზავრების შემდეგ ჯეიმს ენდანსონი უეცრად გაუჩინარდა. სწორედ მას ეკუთვნოდა ის თეთრი „ფიატი“, რომელიც, როგორც კატასტროფის თვითმხილველები ამტკიცებენ, შეეჯახა დაიანას „მერსედესს“ და შემთხვევის ადგილიდან გაქრა. თუმცა, ენდანსონმა შეძლო თავისი ალიბის დამტკიცება, რომ იმ დღეს საერთოდ არ ყოფილა პარიზში. პოლიციელებმა გულდასმით შეისწავლეს ფოტოგრაფის „ფიატი“, მაგრამ ვერც ნაავარიევი აღმოაჩინეს და ვერც შეკეთების ნაკვალევი.

და აი, ახლა, ამდენი ხნის შემდეგ ენდანსონი თავისივე მანქანაში დაფერფლილი იპოვეს. პოლიციელებს რატომღაც არ დაუწყიათ ამ ბინდით მოცული საქმის გამოძიება და განაცხადეს, რომ ენდანსონმა მანქანის სალონში ბენზინი მოასხა, შემდეგ თავადაც გადაივლო და თავი დაიწვა, რადგან ცოლის ღალატი ვერ აიტანაო.

პაპარაცის დაღუპვა უნებლიეთ გვაფიქრებინებს, რომ იგი მონაწილეობდა საიდუმლო ოპერაციაში. არ არის გამორიცხული, რომ ფოტოგრაფი თანამშრომლობდა სპეცსამსახურებთან, რომლებიც საზღაურად ხელს უმართავდნენ და ეხმარებოდნენ უზარმაზარი ქონების დაგროვებაში. ენდანსონისთვის ალიბის შექმნა და „ფიატის“ პრობლემის გადაწყვეტა სპეცოპერაციის პროფესიონალთათვის ძნელი არ იყო.

ენდანსონის კოლეგები ამტკიცებენ, რომ ჯეიმსი ცოლის ღალატის გამო არ გამოეთხოვებოდა სიცოცხლეს. არც ის არის ნათელი, რატომ გაიარა მან სახლიდან 400 მილი თავის დასაწვავად.

*პოსლედნიე ნოვოსტი №123*

# ქათინაური ყველას უყვარს

**როგორც ცნობილია, ყველას სიამოვნებს ქათინაური, მაგრამ ზოგი მორცხვობს მისი მოსმენისას, ზოგი — არა. ამერიკელი ფსიქოლოგი ჰერბერტ ჰოფმანი ადამიანს ახასიათებს ქათინაურზე მისი რეაქციის მიხედვით. აქედან გამომდინარე, მეცნიერმა კაცობრიობა 7 ჯგუფად დაყო**

**1.** ვინც შექებისას წითლდება — ნაზია და ვერ იტანს კრიტიკულ შენიშვნებს, მტკიცე კონსერვატორია, ძნელად ეგუება სიახლეებს, მაგრამ ყველაფერი ეპატიება, რადგან კეთილი ბუნებისაა, არასოდეს დასცდება ვინმეს ძაგება.

**2.** თუ ვინმე ქათინაურის მოსმენისას იკითხავს — ვინ ვარ მე? მართლა? დაიფიცე? რას ამბობ? ასეთი ადამიანი მუდამ ცდილობს, ყველას მოსაწონი იყოს და ყველაფერს აკეთებს ვინმეს სასიამოვნოდ. ის ძალზე კომუნიკაბელურია.

**3.** არის ადამიანთა კატეგორია, რომელიც ქათინაურის მოსმენისას უმალ გაგიმხელთ, რომ უკვე 5 დღეა, არ დაუბანია თავი ან სამოსი ტანზე შემოაცვდა. მაგრამ ასეთებს მკაცრად ნუ განსჯით. ის, უბრალოდ, საოცრად თავმდაბალია და არ უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა. მას არასოდეს ექნება საკუთარი ფირმა. სამაგიეროდ, მსგავს ერთგულ ადამიანს ვერსად შეხვდებით.

**4.** თუ ამ ჯგუფის ადამიანს ქათინაურით დააჯილდოებთ — ორჯერ მეტს მოისმენთ მისგან. მას არ სურს ვინმეზე იყოს დამოკიდებული ან ვინმესგან დავალებული, ვინაიდან უყვარს დამოუკიდებლობა და იცის თავისი ფასი.

**5.** მისთვის წმინდა არაფერია ცხოვრებაში. საკუთარ თავსაც კი დასცინის. ქარაფშუტადაც გამოიყურება. ასეთ ადამიანს არ უყვარს ხმაურიანი კამპანიები და მარტოსულია. ქათინაურზე გიპასუხებთ: „რამდენი გადაგიხადო ამ კეთილი სიტყვისთვის?“

**6.** ის მზად არის, უკანასკნელი ლუკმა გაგიყოთ. ქათინაურზე გიპასუხებთ. პატიოსანი, უბოროტო ადამიანია. შემოქმედი, ოღონდ თავის შესაძლებლობებს გამოავლენს ჯგუფში მუშაობისას და არა ინდივიდუალურად.

**7.** თუ ქათინაურს მოისმენს, მშვიდად გიპასუხებთ: „დიახ, მართალი ბრძანდებით“, უთუოდ ეგოისტია, თუმცა, არ არის უსიამოვნო პიროვნება. როგორც წესი, საკმაოდ ნიჭიერია, მიმზიდველი, მომხიბვლელი და თავისი თავისა სჯერა.

*მეგაპოლის-ექსპრესი №26*


ფირმების რეგისტრაცია

თარგმნა და ბეჭდვა

სწრაფად, იაფად

თავისუფლების მოედანი 7, ცეკავშირის შენობა, VI სართ, ოთ. 639

☎ 99-02-80; 899-53-91-91

ფირმა „მოდინახე“



ასრულებს ბრტყელი სახურავების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს. გადარიცხვით, აგრეთვე ნაღდი ანგარიშსწორებით, ტოლით — 4 ლარი, მინაქსოგილით — 5 ლარი, ჰიდრომინაიზოლით (ბიკროსტი) — 8 ლარი. გარანტია 5-12 წლამდე.

მის: ფოცხვერაშვილის ქ. №3 (რკინიგზის დეპარტამენტთან)

☎ 96-80-99; 22-08-58; 899-54-52-60

ცნობილი მკურნალი ირინა ლომთათიძე თაობათა მანძილზე გამოცდილი მცენარეული წამლებით მკურნალობს:

☞ბოტკინით დაავადებულებს;
☞ორგანიზმში დაგროვილ სითხეს;
☞პირის ღრუში უსიამოვნო სუნს;
☞ფრჩხილების სოკოს; ყელის კატარს;
☞ქავილს სხვადასხვა ადგილებში;
☞ფრჩხილების ჩაზრუნებას; ფეხის ოფლიანობას;
☞თმის ცვენას, სებორეას; ბუასილს;
☞ტროფიკულ წყლულს, წითელ ქარს

ეფექტი გარანტირებულია ! დღიდან. მკურნალობის კურსი 5-10 დღიანია

ადგილზევე ხდება კომპიუტერული დიაგნოსტიკური გამოკვლევები მაღალ დონეზე, ფასი 40 ლარი.

მის: აღმაშენებლის გამზ. №115, „ფანასკერტელი“.

იკითხეთ ლომთათიძის აფთიაქი. ტ: 77-68-50 (სახ.); 899-51-76-08

კოლეჯი „ცოდნის წყარო“

აცხადებს მიღებას 9 და 11 კლას-დამთავრებულთათვის სპეციალობებზე:

1. კბილის ტექნიკოსი;
2. ბებია ქალი (სამეანო საქმე);
3. საგადასახადო საქმე.

მის: აღმაშენებლის 178 („დინამოს“ სტადიონთან), მე-18 სკოლა

☎ 38-00-83; 35-27-00

# რატომ დანიშნეს რეზო არველაძე „დინამოს“ მწვრთნელად

ერთი თვის წინ სახელმწიფო კანცელარიაში „დინამოს“ პრობლემების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის სხდომაზე გუნდის პრეზიდენტი მიიწვიეს. კომისიის წევრების დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ მერაბ რატიანმა განაცხადა, რომ გუნდის მწვრთნელად მურთაზ ხურცილავას დანიშვნას აპირებდა.

ნაძალადევმა პასუხმა ყველა გაოცებული დატოვა: მწვრთნელის ვინაობა, ადრე თუ გვიან, მაინც ცნობილი გახდებოდა. ბოლოს და ბოლოს, ხურცილავა გუნდს ღამ-ღამობით ხომ არ ავარჯიშებდა?

თანაც, ეს ყოველივე მით უფრო უცნაური იყო იმის ფონზე, რომ მერაბ რატიანმა საჯაროდ პირველად დაასახელა სატრანსფერო თანხა (საუბარია ისრაელში დიდავასა და წიტაიშვილის 230 ათას დოლარად გაყიდვაზე) — ადრე ხომ მსგავსი ტრანსფერები ტაბუდადებულ თემად მიიჩნეოდა და თუ ფინანსურ საიდუმლოს ამხელდა რატიანი, მწვრთნელის ვინაობა რაღა დასამალი იყო?

სხვათა შორის, მერაბ რატიანმა თქვა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში დანიშნავდა ავტორიტეტულ პიროვნებას: „დინამო“ ყველა დანარჩენი კლუბისგან ამბიციურობით გამოირჩევა. ფეხბურთელებიც ასეთივე გვყავს და ისინი ყველას არ დაემორჩილებიან“.

როგორც ჩანს, მერაბ რატიანი ხურცილავას კანდიდატურას ამის გამო არ ამტკიცებდა. თანაც, ეს ვარიანტი გარეშეთა რეკომენდაციას ეფუძნებოდა.

მოვუსმინოთ „დინამოს“ ერთ-ერთ ფეხბურთელს, რომელიც ვინაობის გაუმჟღავნებლად უფრო გულწრფელად გამოთქვამს ხურცილავაზე საკუთარ მოსაზრებას:

— ბატონი მურთაზი ძალიან კარგი პიროვნებაა, მაგრამ მწვრთნელად ნამდვილად ვერ ივარგა. სიმართლე რომ გითხრა, როცა მისი შესაძლო დანიშვნის თაობაზე გავიგე, დიდად არც მესიამოვნა. ახლა გუნდს უკეთესი სპეციალისტი სჭირდება, მცოდნე და არა ძველმოდური. ხურცილავას ვარჯიშები კი ზეპირად ვიცოდით და მომაბეზრებელიც იყო. ორი წლის წინანდელზე ვამბობ, როცა „დინამოს“ უკეთესი შემადგენლობა ჰყავდა, თასიც დავკარგეთ და სუპერ-თასიც.

ბუნებრივია, ეს რატიანმაც იცოდა და ...

მოულოდნელი განცხადება რეზო არველაძის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად დანიშვნის თაობაზე ეროვნული ნაკრების ყოფილ მწვრთნელს, ვოვა პანოვს ყველაზე ზუსტ გათვლად მიაჩნია:

— რატიანმა ათიანში გაარტყა. რეზო ისეთი თავმოყვარე და აზარტული ახალგაზრდაა, ვერ დავიჯერებ, რომ მწვრთნელობა ვერ შეძლოს. თანაც, მას აგდებით ვერავინ მოეკიდება — წონა აქვს, სიტყვა ეთქმის და ფეხბურთელებს თავის ნებაზე არ მიუშვებს. მართალია, რეზოს სამწვრთნელო განათლება არ აქვს, მაგრამ უცხოეთში უთამაშია, ბევრი უნახავს და ბევრიც აუთვისებია. ნაკრებში მუშაობის დროს შემინიშნავს, რომ მას მწვრთნელისთვის საჭირო თვისებები გააჩნია. მთავარია, ეს ნიჭი დახვეწოს. თანაც, დროა მოვიდეს მწვრთნელთა ახალი თაობა, რომელიც ევროპულ ფეხბურთთან და ახალ ტენდენციებთან არის ნაზიარები.

შეგახსენებთ, რომ რეზო არველაძე კახი ცხადაძის შემდეგ მეორე ქართველია, ვინც ბუნდესლიგაში, კერძოდ „კიოლნში“ ითამაშა. მართალია, ნაკრებშიც ირიცხებოდა, მაგრამ მოთამაშის კარიერა დიდად წარმატებული არ ჰქონია.



„დინამოს“ ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი

მაგრამ, დიდი ფეხბურთელობა დიდი მწვრთნელობის გარანტია რომ არ გახლავთ, დი სტეფანოს, კემპესის, გულიტისა და იგივე ხურცილავას მაგალითიც იკმარებს. ახალკაცი კი საშუალო დონის მოთამაშე იყო, მაგრამ მწვრთნელად ნამდვილად ივარგა.

ასე რომ, ხურცილავა თამაშგარეთ დარჩა, ამ ერთი თვის წინ ეროვნული ნაკრების მაისურმორგებული რეზო არველაძე კი „დინამოს“ მწრთნელად დაინიშნა. თავად არველაძე ჯერაც ვერ გამოსულა მოთამაშის ემოციიდან და რჩევისათვის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, ალექსანდრე ჩივაძეს მიმართა. მათი საუბარი ერთი საათის მანძილზე გრძელდებოდა. არველაძე, უპირველეს მიზნად, „დინამოს“ მოთამაშეთა განწყობის გაუმჯობესებას მიიჩნევს.

— ფეხბურთელებს ყველაზე მეტად სურთ, რომ წარმატებას მიაღწიონ. ჩვენ ვალდებულნიც ვართ, მათი ნიჭი და უნარი გამოვავლინოთ, საამისოდ კი ფსიქოლოგიური სტრესი უნდა მოიხსნან. სიმართლე გითხრათ, ჯერ მწვრთნელის პოსტი ვერ შემითვისებია — რატიანის წინადადებამაც გამაოცა, მაგრამ ბოლოს მაინც დავთანხმდი.

**— ფეხბურთელის კარიერა აღარ გიზიდავს?**

— როგორ არ მიზიდავს! ახლახან ეროვნულ ნაკრებშიც ვითამაშე, მაგრამ... სიმართლე გითხრა, ბევრი რამ ბოლო დროს სხვაგვარად შევაფასე.

**— მაინც, რა?**

— ექვსი წელი უცხოეთში ვითამაშე და საქართველოში კარიერის გაგრძელება დამთრგუნველი აღმოჩნდა. ჩემპიონატი დაბალი დონის არის, მაყურებელი კანტი-კუნტად ესწრება შეხვედრებს, მოედნები საზიზღარია. გერმანიაში ნანახის შემდეგ, დამიჯერეთ, ძნელია ამის ატანა. თუმცა, ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ ჩემ მიერ ნანახი მანკიერი მხარეების გამოსწორებას თავად შევუწყო ხელი. თავად ფეხბურთელებიც მინდა მაღალი მიზნისთვის მივმართო, რათა ითამაშონ ის ფეხბურთი, ევროპისკენ გზას რომ გაიკვლევენ. თუკი რამ ვიცი, მათ გავუზიარებ და... სიმართლე გითხრა, ძალიან



ხურცილავა თამაშგარე მდგომარეობაში დატოვეს

გამიხარდება, ჩემს ხელში გაზრდილი, რომელიმე მოთამაშე ევროპულ გრანდში თუ აღმოჩნდება და ეროვნულ ნაკრებს გამოადგება.

**— დღევანდელ „დინამოში“ ეს შესაძლებელია?**

— წუწუნით საქმეს ტრაპატონიც ვერ გააკეთებდა. რახან გუნდი ჩავიბარე, ესე იგი, მჯერა, რომ არ შევრცხვები. თუმცა, რომ გითხრა, ჩემპიონთა ლიგაში გავიმარჯვებ-მეთქი, ხომ არ დამიჯერებ? მთავარია, რეალობა გაითვალისწინო, მიზანი დაისახო და თანამოაზრეები შეკრიბო. გუნდის ხელმძღვანელებმა ამაში ხელი უნდა შემიწყონ, ამის იმედი ნამდვილად მაქვს. ახლა რომ მოვითხოვო, „მილანისნაირი“ პირობები შემიქმენით-მეთქი, მაინც არაფერი გამოვა. საქმე რეალურად არსებულ პირობებში უნდა გააკეთო — ეს უფრო მეტს ნიშნავს.

რეზო არველაძემ თანაშემწეებად ყოფილი თანაგუნდელი, მეკარე ნიკა ჩხეიძე და ბოლო დროს ისრაელში მოთამაშე გოჩა ტყებუჩავა აიყვანა. ხოლო ჯემალ ჩიმაკაძე, ტყუპების ბავშვობის დროინდელი და ბოლო ხანს „დინამოს“ მწვრთნელი, „დინამოს“ რეზერვთან იმუშავებს. საინტერესო იქნება იმის შეხსენებაც, რომ რეზო არველაძის საფეხბურთო კარიერის გაგრძელების თაობაზე ადრეც არაერთგზის გამოითქვა ვარაუდი. მას ჯერ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატად მოიაზრებდნენ, რაც არ გამართლდა. იგივე მოხდა იოჰან ბოსკამპის ეროვნულ ნაკრებში დანიშვნის დროს — ტყუილად ეგონათ, რეზო არველაძეს ასისტენტად აიყვანსო. ახლა კი, როცა არავინ ვარაუდობდა, სწორედ მაშინ დაინიშნა „დინამოს“ მწვრთნელად.

თავად რეზო არველაძეც აღიარებს, რომ არა არეული საფეხბურთო მეურნეობა, რომ არა მწვრთნელთა დაბალი კვალიფიკაცია, რომ არა „დინამოს“ ფინანსური გაჭირვება, ალბათ, ყველაზე ტიტულოვანი ქართული გუნდი სხვა გზას დაადგებოდა.

საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი: ბოლო ხანს „დინამოსა“ და ფედერაციის თავკაცთა შორის არსებულ დაბაძულობას ბოლო მოეღო. არველაძის მწვრთნელად დანიშვნაც რატიანმა ჟორდანიას შეუთანხმა. ამავე დროს, არსებობს ვარაუდი, რომ შარშან ჩაშლილი პროექტი, შესაძლოა, „დინამოში“ წელს მაინც განახლდეს — საუბარია, ამერიკული კომპანია „ფინას“ ინვესტიციებზე, რომლის ინიციატორებიც ინგლისში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი მიხეილ სურგულაძე და მერაბ ჟორდანია იყვნენ. პროექტის თანახმად, „დინამოში“ ორი წლის მანძილზე 14 მილიონი დოლარის კაპიტალდაბანდება განხორციელდებოდა. შარშან კონტრაქტი რატიანისა და მისი ჯგუფის წინააღმდეგობის გამო არ გაფორმდა — კაბალური პირობებიაო. თუმცა, ახალ რეალობაში „დინამომ“, შესაძლოა, პოზიცია შეიცვალოს. მანამდე კი უფულო „დინამოს“ არჩევანი რეზო არველაძეზე შეჩერდა. არსებობს ვარაუდი, — თითქოს ეს არჩევანი იმიტომ გაკეთდა, რომ რეზოს მამა ნიკო ლეკიშვილის მეჯვარეა და გაჭირვებაში ჩავარდნილი გუნდი „ზურგს“ შეიძენსო. ჩემი აზრით, ეს სიმართლეს მოკლებულია. უფრო სავარაუდოა, რომ „დინამომ“ საერთო ინტერესები გამონახა არველაძეების ოჯახის უფროს ვაჟთან. დამეთანხმებით, ბუნდესლიგაში ნათამაშებ რეზო არველაძეს, ამ შემთხვევაში, ფინანსური მხარე ნაკლებად აღელვებს, სხვა კანდიდატურები კი ფულზე მეტად ფიქრობდნენ. აი, ეს არის და გორის ციხე...

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ 31 წლის რეზო არველაძე „დინამოს“ ყველაზე ახალგაზრდა მთავარი მწვრთნელია. აქამდე რეკორდი დავით ყიფიანს ეკუთვნოდა, რომელიც 1984 წელს, 33 წლის ასაკში მწვრთნელად აკურთხეს.

**გია ცანავა**

# ბლატერი — ბეკენბაუერის მჯარაკი

თქვენ უკვე იცით, რომ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი სამხრეთ აფრიკის ნაცვლად გერმანიაში გაიმართება; რომ ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი მხარს უჭერდა აფრიკელთა კანდიდატურას; რომ კონკაკაფის პრეზიდენტი ჩარლზ დემპსი გამყიდველი აღმოჩნდა — ბლატერთან წინასწარი შეთანხმების მიუხედავად, აფრიკელებს ხმა არ მისცა... მოკლედ, ყველაფერი თითქოს იცით...

მაგრამ, საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია ვერაფრით ასახავს ფიფაში არსებულ გასაიდუმლოებულ რეალობას. არადა, როგორც ირკვევა, საქმე ეხება ფიფას პრეზიდენტის, იოზეფ ბლატერის სკამის სიმყარეს.

მას შემდეგ, რაც ბლატერის რეკომენდებული სამხრეთ აფრიკის კანდიდატურა ჩავარდა, თავად ფიფას პრეზიდენტის ავტორიტეტიც შეილახა. ამასთანავე, ფიფაში კორუფციის გამო სკანდალი მწიფდება.

საფეხბურთო წრეების აზრით, მომხდარში თავად იოზეფ ბლატერია დამნაშავე. წინამორბედი ჟოაო ავლანჟისგან განსხვავებით, რომელიც ორგანიზაციას 24 წლის მანძილზე თავკაცობდა, ბლატერს უჭირს დიპლომატიური ლავირება — დასტურად, თუნდაც მსოფლიო 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის გაჩაღებული კამპანია იკმარებს, როდესაც ფიფას პრეზიდენტმა ტრადიციული ეთიკა დაარღვია და ერთ-ერთი კანდიდატის მხარდაჭერა აშკარად გამოხატა. მაგრამ ბლატერის ყველაზე დიდ შეცდომად მაინც აზიის ფეხბურთის კონფედერაციასთან კონფლიქტს მიიჩნევენ. აზიელები მსოფლიოს ჩემპიონატზე დამატებით ადგილს ითხოვდნენ, მაგრამ ბლატერმა მკვახედ განაცხადა, — კვოტებს მათი შანტაჟიც ვერ შემაცვლევინებსო. შედეგად, კენჭისყრისას ალმასკომის ოთხმა აზიელმა წევრმა ხმა გერმანიას მისცა.

ფიფას კულისებიდან გამოსული ხმების თანახმად, ის, რაც ალმასკომის სხდომაზე ხდებოდა, ბლატერის ჩამოგდების მცდელობას ჰგავდა. მთავარი მოქმედი გმირის, ჩარლზ დემპსის საქციელი კი ყველაზე საინტერესო იყო: ვინ უკავშირდებოდა დემპსს ფიფადან? როგორ გაბედა ფიფას ჩინოვნიკმა ხელმძღვანელის წინააღმდეგ გალაშქრება? ან რატომ დაუმალა ბლატერმა შვეიცარიის პოლიციას დემპსის ინფორმაცია შანტაჟის შესახებ?

ამგვარად, ფიფა გრანდიოზულმა სკანდალმა შეაზანზარა. სამხრეთ აფრიკის წარმომადგენლებმა უკვე მოითხოვეს გამოძიების დაწყება ჩინოვნიკთა მოქრთამვისათვის (თუ მცდელობისთვის). თავად ახალზელანდიელი დემპსი ამტკიცებს, ქრთამი ალმასკომის 24 წევრიდან ნახევარს მაინც შესთავაზესო. და თუ ასეა, რატომ გაისუსნენ დანარჩენები? მოვლენების განვითარების მიუხედავად, დღესვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ფიფა თავლაფდასხმულია. მას არანაკლები რყევა ელის, ვიდრე საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს —სამარანჩის გუნდის 13 წევრი ხომ მექრთამეობას შეეწირა.

ამ ყოველივეს გამო 2002 წელს ფიფას პრეზიდენტის არჩევნებში ბლატერის შანსები მეტისმეტად შემცირდა. უკვე დღეს ასახელებენ ფიფას შესაძლო პრეზიდენტთა კანდიდატურებს: ნიგერიელი ისა ჰაიატუ და კორეელი მუნ აიუნი. მათთვის დიდი კონკურენციის გაწევა უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონს შეეძლო. თუმცა, მან განაცხადა, რომ ფეხბურთიდან წასვლას აპირებს. და მაინც, ყველაზე მეტად ბლატერს ფრანც ბეკენბაუერის უნდა ეშინოდეს. „კაიზერის“ მიმართ ექს-პრეზიდენტ ავლანჟის კეთილგანწყობა და საკუთრივ მისი, როგორც ორგანიზატორის ავტორიტეტი, მას დიდ შანსს აძლევს. თანაც, ფაქტია, რომ ციურიხის ოფისის მთავარ კაბინეტში ტყეში დაბადებულ-გაზრდილი აფრიკელისა და კარატისტი კორეელისათვის შესვლა უფრო ძნელია, ვიდრე აქლემისთვის ნემსის ყუნწში გაძრომა.

საინტერესოა, ბეკენბაუერმა მართლაც რომ მოახერხოს ბლატერის ჩამოგდება, რა ელის ასეთ შემთხვევაში საქართველოს? ცნობილია, რომ ბეკენბაუერი მკაცრად ითხოვდა მდიდრების ღარიბთაგან გამიჯვნას: „ალბანეთის, მოლდოვისა და საქართველოს დონის ნაკრებები მაყურებელს ვერ მიიზიდავს და საჭიროა მათი დაბალი რანგის ტურნირში გამწესება“. აი, ეს არის მთავარი კითხვა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა 2002 წელს ტოკიოში ფიფას პრეზიდენტის არჩევნებში, ამა თუ იმ კანდიდატურის მხარდაჭერისას, თორემ, როგორც ციურიხში დატრიალდა „კაიზერი“, ისევე და უკეთაც იბზრიალებს ტოკიოში. მერეც გამოჩნდება ახალი ჩარლზ დემპსი და საერთოდაც, ფიფა ეკლესია არ არის, ისევე როგორც მისი თავკაცი არ გახლავთ პატრიარქი.

**გია ცანავა**

# დევიდ ბექჰემი: მანჩესტერიდან მილანში?

დევიდ ბექჰემი მანჩესტერს დატოვებს და „მილანში“ გადავა, ინგლისური კლუბი მის სანაცვლოდ 64 მილიონ დოლარს მიიღებს. თავად ბექჰემი კი წელიწადში — 10.000.000$-ს! ევროპული სუპერკლუბების მეპატრონენი აღარაფერს აღარ ერიდებიან. ასეთ ფასად ფეხბურთელი ჯერ არ გაყიდულა, არც მსგავსი ხელფასი ღირსებია ვინმეს. ბექჰემის შესაძლო გადასვლასთან დაკავშირებით, „მილანში“ ჭორები გასულ კვირას აგორდა, ხუთშაბათს კი ამ საკითხზე თავად სილვიო ბერლუსკონიმ ისაუბრა. სწორედ მან დაასახელა შესაძლო სატრანსფერო თანხა. ინგლისელებმა შორს დაიჭირეს ბერლუსკონის წინადადება. „ბექჰემი წელს მანჩესტერში დარჩება“ — განაცხადა ალექს ფერგიუსონმა. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის დასახელებული თანხა „იუნაიტედს“ განსახილველადაც არ ულირს და საუბარს მაშინ ექნება აზრი, თუ ბერლუსკონი ცხრანიშნა ციფრებით დაიწყებს საუბარსო. სეზონის დაწყებამდე რამდენიმე კვირაა დარჩენილი, ძნელი სათქმელია, გადავა თუ არა ბექჰემი „მილანში“, მაგრამ ფაქტია — კრესპოს რეკორდს დიდხანს სიცოცხლე არ უწერია, მას სხვადასხვა მხრიდან უტევენ ბექჰემი, ფიგუ და თითქოს მივიწყებული რივალდო, რომელიც 23 ივლისისთვის დანიშნულ „ბარსელონას“ საპრეზიდენტო არჩევნებს ელოდება.

# ჩემპიონთა ლიგამ სტარტი აიღო

12 ივლისს ევროპის ჩემპიონთა ლიგამ ახალი სეზონი გახსნა. მართალია, ჯერ მხოლოდ ლიგაში მოსახვედრად დაიწყო ბრძოლა და ოთხშაბათს რომ ერთმანეთს გაეჯიბრნენ, იმ გუნდებს ნამდვილ ლიგაში არაფერი ესაქმებათ, მაგრამ ზოგიერთი გუნდისათვის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშიც დიდი პატივია. მათ შორისაა ჩვენი ქუთაისის „ტორპედოც“, რომელიც მეორე ეტაპიდან ჩაებმება ბრძოლაში და თუ სასწაული არ მოხდა, იუგოსლავის „ცრვენა ზვეზდას“ დაუპირისპირდება ორმატჩიან დუელში. 12 ივლისს პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ წრეში იუგებმა სტუმრად 3:0 მოუგეს ფარერების „კლაკსკივარს“ და განმეორებით შეხვედრას ფორმალური სახე მისცეს. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ჩემპიონი პირველ შეხვედრას შინ გამართავს და 26 ივლისს „ცრვენა ზვეზდას“ ქუთაისში შეხვდება. საპასუხო მატჩი ერთი კვირის შემდეგ გაიმართება იუგოსლავიაში. საკვალიფიკაციო ეტაპი აგვისტოს ბოლოს დასრულდება და პირველი შესარჩევი ეტაპის ჯგუფებიც მაშინ დაკომპლექტდება. გათამაშება ზუსტად იმ სისტემით გაიმართება, როგორითაც შარშან. ფინალს კი 23 მაისს მილანის „სან სიროს“ სტადიონი უმასპინძლებს.

# კრესპო რეკორდსმენია



მას შემდეგ, რაც შარშან მილანის „ინტერმა“ კრისტიან ვიერი 50 მილიონად შეიძინა და იტალიელი ფორვარდი მსოფლიოს უძვირფასესი ფეხბურთელი შეიქნა, საფეხბურთო წრეებში მოულოდნენ, რომ რეკორდი მალე გაუმჯობესდებოდა და მომავალ რეკორდსმენად ჯერ ბრაზილიელ რივალდოს ასახელებდნენ, შემდეგ კი პორტუგალიელ ლუიშ ფიგუს. ვიერი ზუსტად ერთი წლის მანძილზე გახლდათ რეკორდსმენი. სამშაბათს პლანეტის უძვირფასესი ფეხბურთელი არგენტინელი ფორვარდი ერნან კრესპო გახდა, რომელიც რომის „ლაციოს“ 54 მილიონი დოლარი დაუჯდა. სერხიო კრანიოტიმ 17 მილიონი ნაღდი ფულით გადაიხადა, დარჩენილი 37 მილიონის სანაცვლოდ კი პორტუგალიელი სერჟიო კონსეისაო და კრესპოს თანამემამულე მათიას ალმეიდა დაუთმო „პარმას“. ამრიგად მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელის ფასი 4 მილიონით გაიზარდა. ჯერი ფიგუსა და რივალდოზეა.

რაც შეეხება „ლაციოს“ — უკვე შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელი სატრანსფერო სეზონი რომაულმა კლუბმა მოიგო. სერხიო კრანიოტიმ თითქმის 150 მილიონი დახარჯა ახალი ფეხბურთელების შესაძენად. შედეგად უკვე გადაწყვეტილია, რომ კრესპოს გარდა „ლაციოს“ ღირსებას დაიცავენ ანჯელ ოპერუცი, ექსვალენსიელი კლაუდიო ლოპესი და სტეფანო ფიორე. მიმდინარეობს მოლაპარაკება ორ „ბარსელონელთან“ — რივალდოსა და ზენდენთან.

კრესპოს გარეშე დარჩენილმა „პარმამ“ დანაკლისი ისევ არგენტინელით შეავსო და არგენტინის ჩემპიონატის საუკეთესო ფორვარდი მარტინ პალერმო შეიძინა. ამ ფეხბურთელმა შარშან გაითქვა სახელი, როცა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში, ერთ-ერთ მატჩში სამი პენალტი ვერ გაიტანა.

# ტრანსფერები, ტრანსფერები...

დორტმუნდის „ბორუსიას“ „ფიორენტინადან“ დაუბრუნდა იორგ ჰაინრიხი, რომელმაც 1997 წელს გერმანულ გუნდთან ერთად ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა და შემდეგ წელს 11,94 მილიონ დოლარად გადაბარგდა იტალიაში. გერმანელებს მისი გამოსყიდვა 3,8 მილიონი დოლარი დაუჯდათ.

გერმანული „კიოლნი“ თავდასხმის გაძლიერებას ცდილობს. ჩვენებური არჩილ არველაძის მეწყვილე შეტევის ხაზში სავარაუდოდ 19 წლის ბურკინა-ფასოელი ფორვარდი ალასანე ოუედრაოგო იქნება, რომელიც „შარლერუადან“ გადმოიყვანეს სამწლიანი კონტრაქტით.

კიდევ ერთი გერმანული გუნდი — ლევერკუზენის „ბაიერი“ ივსებს თავის რიგებს:



ბოქშიჩი გალათასარაიში 4 მილიონს მიიღებს

ახლახან მან ხელშეკრულება გააფორმა ბულგარეთის ნაკრებისა და სოფიის ცსკა-ს 19 წლის ფეხბურთელთან, დიმიტარ ბერბატოვთან, იგი 2001 წლის იანვრიდან ითამაშებს გერმანიაში 4,5 წლის განმავლობაში. ცსკა-მ სანაცლოდ 4,5 მილიონი მარკა (2,1მილიონი დოლარი) მიიღო. ალბათ, ამ ტრანსფერმაც განაპირობა, რომ როგორც იქნა გაირკვა ბრაზილიელი ემერსონის მომავალიც — ლევერკუზენის „ბაიერი“ და „რომა“ პრაქტიკულად უკვე შეთანხმდნენ. როგორც გერმანელთა მენეჯერმა რაინერ კალმუნდმა განაცხადა თავიდან დასახელებული თანხა — 24 მლნ დოლარი იტალიელებს ეძვირათ, თუმცა კომპრომისი მაინც მოინახა. ზუსტი თანხა ჯერ არ სახელდება. შეგახსენებთ, რომ ამ ტრანსფერზე საუბარი იტალიელებმა ჯერ კიდევ თებერვალში წამოიწყეს და ბოლო-ბოლო მიაღწიეს თავისას, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ გერმანელები ოფიციალურად აცხადებდნენ, ემერსონს სეზონის ბოლოს კი სურს იტალიაში წასვლა, მაგრამ ეს შეუძლებელიაო.

ესპანეთშიც გახურებული სატრანსფერო სეზონია: „ვალენსიამ“ ამას წინათ თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი — როჯერ გარსია მიჰყიდა „ესპანიოლს“, ახლახან კი მისი ძმა — ოსკარ გარსიაც „გაასაღა“. მეორე ძმაში კატალონიურმა გუნდმა 750 მილიონი პესეტი (4,2 მილიონი დოლარი) გადაიხადა. შეგახსენებთ, რომ ძმები გარსიები ბარსელონელები არიან და თავისი კარიერაც „ბარსას“ იუნიორებში დაიწყეს, თუმცა ძირითად შემადგენლობაში ხანგრძლივად თამაშს ვერ ეღირსნენ — გასული სეზონის დასაწყისში ვან გაალმა ორივე „ვალენსიას“ მიჰყიდა.

დიდი ტაციაობაა რუმინელ ფეხბურთელებზე. ესპანურმა „ნუმანსიამ“ ლაურენსიუ როშუ იყიდა და ახლა ბუქარესტის „დინამოსა“ და რუმინეთის ნაკრების თავდამსხმელის, ადრიან მიხალჩას ხელში ჩაგდებაც უნდა. „სარაგოსა“ „აიაქსთან“ აწარმოებს მოლაპარაკებას „ევრო-2000“-ის ერთ-ერთი აღმოჩენის — კრისტიან ჩივუს შესახებ. რამდენიმე ესპანურ გრანდს (მათ შორის „ბარსელონას“) კოსმინ კონტრას შეძენა უნდა, „სელტამ“ კი კონსტანტინ გალკას დაადგა თვალი.

ხორვატიის ნაკრების წევრმა ალან პეტერნაცმაც გამოიცვალა გუნდი, თუმცა შორს არ წასულა — „ვალიადოლიდიდან“ „სარაგოსაში“ გადავიდა. მას თავისუფალი აგენტის სტატუსი აქვს და ამიტომ მის ახალ გუნდს კაპიკიც არ დახარჯვია. თვით ხორვატის კომენტარი ასეთია: „ვფიქრობ, სწორი არჩევანი გავაკეთე, ყოველთვის მომწონდა „სარაგოსა“, თანაც წინა სეზონი შესანიშნავად ითამაშეს და ამიტომ მეც მომეცემა ევროთასებზე გამოსვლის საშუალება“. შეგახსენებთ, რომ როგორც ესპანეთის პრიმერადივიზიონის მეოთხე ადგილოსანი, „სარაგოსა“ უეფას თასზე იასპარეზებს.

გადაწყვეტილია ჰოლანდიელი ბუდევინ ზენდენის ბარსელონადან „ლაციოში“ გადასვლაც — 4 წლის განმავლობაში იგი 5,2 მილიონ დოლარს მიიღებს. ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით, რომ რომის „ლაციომ“ 150 მლნ დოლარი დახარჯა ახალი ფეხბურთელების ყიდვაში, ეტყობა ზენდენი მისი ბოლო შენაძენი იყო და ახლა სალაროს შევსებას ცდილობს — თურქულმა „გალათასარაიმ“ ხორვატ თავდამსხმელ ალან ბოკშიჩში რომაელებს 15 მლრდ ლირა (7,5 მლნ დოლარი) გადაუხადა. ლაციოს პრეზიდენტის, სერჯო კრანიოტისაგან კონტრაქტის ხელმოწერის შესახებ საბოლოო დადასტურების მიღების შემდეგ ბოკშიჩმა ჟურნალისტებს განუცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ რომი და „ლაციო“ ისევე მიყვარს, როგორც ჩემი მშობლიური ქალაქი, ასეთ მომგებიან კონტრაქტზე უარს ნამდვილად ვერ ვიტყოდი“ — მართალიც არის, სამი წლის განმავლობაში 4 მილიონი დოლარი ქუჩაში არ ყრია.

რუსი დიმიტრი ალენიჩევი იტალიური „პერუჯადან“ პორტუგალიაში გადაბარგდა და ორი წელი „პორტუში“ ითამაშებს. „პერუჯამ“ 4 მლნ დოლარი მიიღო.

ბელორუსი სერგეი გურენკო „რომაში“ კი ირიცხებოდა, მაგრამ ძირითადში თითქმის არ უთამაშია. ალბათ ესეც გახდა ბერძნულ „პაოკში“ მისი გადასვლის მიზეზი.

ლივერპულის „ევერტონშიც“ სიახლეა. ამ გუნდის მენეჯერი უოლტერ სმიტი დეტალების დაზუსტებას მოერიდა. თუმცა, პრესამ მაინც გამოაქვეყნა ფრანგული „ლანსიდან“ განელი ნახევარმცველის ალექს ნიარკოს გადასვლის ფინანსური დეტალები — ფრანგული გუნდი 4,5 მილიონ გირვანქა სტერლინგს (6,75 მლნ დოლარს) მიიღებს. მიუხედავად იმისა, რომ იარკოს ჯერ სამუშაო ვიზა არ მიუღია ბრიტანეთის შრომის სამინისტროსაგან, სმიტი იმედოვნებს, რომ ამ პრობლემის მოგვარებას ორ კვირაზე მეტი არ დაჭირდება.

მარსელის „ოლიმპიკიც“ გამალებული ემზადება ახალი სეზონისათვის — ბრაზილიელების სიმრავლე ამ გუნდში ისედაც საგრძნობი იყო და ახლა მათ მეცხრე თანამემამულეც მიემატათ — კარლოს ადრიანო დე სოუზა ვიეირა — ეს ახალგაზრდა ბრაზილიელი ნახევარმცველი ოთხი წლით დაუკავშირდა ფრანგულ კლუბს. ბრაზილიურმა „ატლეტიკო პარანაენსემ“ 25 მილიონი ფრანგული ფრანკი (3,57 მლნ დოლარი) მიიღო.

მეორე ფრანგული გრანდი — „პარი სენ-ჟერმენი“ პირიქით, ფეხბურთელების გაყიდვითაა დაკავებული. თავისი ბრაზილიელი თავდამსხმელი, სეზარი 5,75 მლნ დოლარად მიჰყიდა „რენს“. სეზარი ახალ გუნდში ოთხ წელიწადს დაჰყოფს „რენის“ კიდევ ორ ბრაზილიელ ახალწვეულთან — ფაბიოსა და ვანერთან ერთად.

ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცის“ მეკარე მაქსიმ ლევიცკი კი ოთხი წლით გადავიდა ფრანგულ „სენტ-ეტიენში“. სამაგიეროდ შავიზღვისპირელებმა მოლდავეთის ნაკრების მეკარე ევგენი ხმარუკი მიიწვიეს.

## სიახლენი ეროვნულ გუნდებში

აფრიკული ქვეყნის, მალის ეროვნული ნაკრების მწრთვნელად დანიშნულია იტალიელი სპეციალისტი რომანო მატე. მალის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ამადეო დიაკატემ განაცხადა: „ჩვენ ყველა პირობას შევუქმნით მატეს მუშაობისათვის. მან კი სიტყვა უნდა მოგვცეს, რომ ჩვენს ნაკრებს აფრიკის ეროვნებათა თასის ფინალურ ეტაპზე გაიყვანს“. რომანო მატე პირველი იტალიელი სპეციალისტია, რომლმაც „შავ კონტინენტზე“ დაიწყო მოღვაწეობა.



რობსონი — პირველი შავკანიანი რუსეთის ეროვნულ ნაკრებში

მეორე სიახლე რუსეთის ნაკრებს ეხება — გამორიცხული არ გახლავთ მოსკოვის „სპარტაკის“ ბრაზილიელი ფორვარდი, ლუის რობსონი უახლოეს მომავალში რუსეთის ეროვნულ ნაკრებში ვიხილოთ. „სპარტაკის“ ლეგიონერმა წელს საკმაოდ მოუმატა თამაშს და გუნდის თავდასხმის ლიდერად იქცა. მეოთხე წელია იგი რუსთა საუკეთესო გუნდში გამოდის და ოლეგ რომანცევი მას საკმაოდ კარგადაც იცნობს. რობსონს არასდროს უთამაშია და ალბათ ვერც ვერასდროს ითამაშებს ბრაზილიის ნაკრებში. ასე რომ რუსეთის ეროვნული გუნდი სანაკრებო კარიერისათვის, ალბათ, მისი ერთადერთი შანსია. რუსეთის მოქალაქეობის მიღება რობსონისათვის პრობლემას არ წარმოადგენს და შესაძლოა სექტემბრიდან რომანცევის გუნდის ისტორიაში პირველი შავკანიანი გამოჩნდეს. რუსულმა „სპორტ-ექსპრესმა“ თავისებური გამოკითხვა ჩაატარა და დაადგინა, რომ რუსი გულშემატკივრები რობსონის ნაკრებში გამოსვლის მომხრენი არიან.

## კანდელაკმა კვლავ მოიგო

მორიგი სარეიტინგო ბრძოლა გამართა პროფესიულ რინგზე გიორგი კანდელაკმა. ხუთშაბათს, თბილისის დროით შუაღამისას, ქართველი მოკრივე ინგლისელ ჰარი სინიორის შეებრძოლა. ჩხუბი რვა რაუნდი გაგრძელდა და ქართველი მოკრივის გამარჯვებით დასრულდა, თუმცა ამჯერად კანდელაკმა ქულებით მოიგო. სინიორი ერთ-ერთი უძლიერესი მოკრივე გახლდათ მათგან, ვისთანაც კი გიორგის უჩხუბია და ამდენად ჩვენებურის წარმატება ორმაგად სასიხარულოა. სავარაუდოა, რომ მომავალ ბრძოლას კანდელაკი ოქტომბრის პირველ რიცხვებში გამართავს თბილისში.

## ლუისი ბოტას უფრო სწრაფად გაუმკლავდა, ვიდრე ტაისონი

საწყალი ფრანსუა ბოტა კვლავ ამაოდ ცდილობს, რომელიმე ვერსიით მსოფლიოში საუკეთესოდ გახდომას. სამხრეთ აფრიკელ მოკრივეს ჯერ ტაისონისგან მინგრეული ყბები არ მორჩენია და ახლა IBF-ისა და WBC-ს ვერსიებით მსოფლიო ჩემპიონს, ბრიტანელ ლენოქს ლუისს „გადაეყარა“ — შაბათს, 15 ივლისს მან ტაისონზე უარესი დამართა, რომელსაც ბოტამ მეხუთე რაუნდამდე მაინც გაუძლო.




ლუისის უპირატესობა ბრძოლის პირველივე წუთიდან იგრძნობოდა. პირველ რაუნდში მარჯვნიდან მისი დარტყმის შემდეგ ბოტამ რის ვაი-ვაგლახით მოახერხა, რომ არ წაქცეულიყო. მეორე რაუნდის მესამე წუთზე კი ლუისის დარტყმების სერიამ ღრმა ნოკაუტში გაგზავნა სამხრეთ აფრიკელი, ამასთან იგი საკმაოდ მაღალზე მოწყობილი რინგიდან გადავარდნას და დამტვრევას ძლივს გადაურჩა.

ეს პროფესიულ რინგზე ლუისის 37-ე გამარჯვებაა.

## ვლადიმირ კლიჩკოს მორიგი გამარჯვება

ლუისისა და ბოტას ბრძოლამდე საათნახევრით ადრე, ევროპის ჩემპიონმა უკრაინელმა ვლადიმირ კლიჩკომ თავისი 35-ე გამარჯვება მოიპოვა, მისი „მსხვერპლი“ ამჯერად ამერიკელი მონტე ბარეტი გახდა. უკვე პირველ რაუნდში ამერიკელი ნოკდაუნში აღმოჩნდა. მეორეში, მისი ერთ-ერთი დარტყმის შემდეგ, კლიჩკო მოულოდნელად მუხლებზე დაჩოქილი აღმოჩნდა, თუმცა შემდეგ, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა: მეოთხე რაუნდში ბარეტი სამჯერ აღმოჩნდა იატაკზე გართხმული. ამის შემდეგ მსაჯებს აღარაფერი დარჩენოდათ იმის გარდა, რომ კლიჩკოსთვის ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება მიენიჭებინათ.

## ნანა იოსელიანმა „სენიორებს“ აჯობა

მიუნჰენში დასრულდა ტრადიციული ტურნირი ჭადრაკში სახელწოდებით „ქალბატონები სენიორების წინააღმდეგ“. ეს ფაქტობრივად ვეტერან მოჭადრაკეთა გუნდური ჩემპიონატია. ქალთა გუნდი ორი ჩინელი დიდოსტატის — სე ცზიუნისა და ჟუენ ჩენის, აგრეთვე რუსი ალისა გალიამოვას, უნგრელი სოფია პოლგარისა და ქართველი ნანა იოსელიანის სახით იყო წარმოდგენილი.

სენიორების შემადგენლობა ასეთი იყო: სმისლოვი (რუსეთი), ჰორტი (გერმანია), ტაიმანოვი (რუსეთი), კორჩნოი (შვეიცარია) და ბოუიმეისტერი (ჰოლანდია).

ნანა იოსელიანმა შესანიშნავად ითამაშა. ბოლო, X ტურშიც ყაიმს მიაღწია გერმანელ დიდოსტატ ჰორტთან და ყველასათვის მოულოდნელად, ქალბატონებმა საერთო ჯამში სძლიეს მამაკაცებს — 27:23;

## ბეკერი დაბრუნებას მწვრთნელად აპირებს



ბორის ბეკერი დიდ ჩოგბურთში დაბრუნებას აპირებს, თუმცა ამჯერად მწვრთნელის რანგში. უიმბლდონის ტურნირზე, რომელიც ლეგენდარული გერმანელის ყველაზე საყვარელი შეჯიბრია, ბეკერი ავსტრალიელ მარკ ფილიპუსუსს უწევდა კონსულტაციას. ფილიპუსუსი ამჯერად მე-17 ადგილზეა მსოფლიო რეიტინგში. 33 წლის ბეკერი, რომელიც ამჟამად ამერიკაში, თავისი შავკანიანი მეუღლის სამშობლოში ცხოვრობს, ორი წელია კორტზე აღარ გასულა, მომავალში კი რომელიმე დამწყები გერმანელი ჩოგბურთელის მწვრთნელობას აპირებს.

## ქართული გუნდები საფუძვლიანად ემზადებიან ევროთასებზე საასპარეზოდ

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი — ქუთაისის „ტორპედო“ ბულგარეთში ატარებს წინასასეზონო ამხანაგურ მატჩებს. პირველ საკონტროლო შეხვედრაში „ტორპედო“ ბულგარეთის უმაღლესი დივიზიონის გუნდს ვარნის „სპარტაკს“ შეხვდა და დაამარცხა, ანგარიშით 1:0. ეს ერთადერთი გოლი საქართველოს ნაკრების წევრმა თენგიზ სიჭინავამ გაიტანა, რომელიც სულ ათი დღის წინ გადავიდა რიონისპირელთა გუნდში.

ქუთათურები ბულგარეთში კიდევ ორ ან სამ თამაშს ჩაატარებენ და იქიდან პირდაპირ ბელგრადში გაფრინდებიან, სადაც 26 ივლისს ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი ელით იქაურ „ცრვენა ზვეზდასთან“. მანამდე, 19 ივლისს ქუთაისელთა მთავარი მწვრთნელი, დავით ყიფიანი სერბთა საპასუხო თამაშს დაესწრება ფარერის კუნძულების „კი კლაკსვუიკთან“.

კიდევ ერთი ქართული გუნდი — „ვიტ ჯორჯია“, რომელსაც უეფას თასზე ელის ისრაელის „ბეითართან“ დაპირისპირება, ორკვირიან შეკრებას ჩაატარებს გერმანიაში. დედაქალაქის გუნდი მისი მწვრთნელის სერგო კოტრიკაძის ხელმძღვანელობით გუშინ გაფრინდა ფრანკფურტში. გერმანიაში „ვეტერინარები“ რვა საკონტროლო თამაშს ჩაატარებენ ადგილობრივ გუნდებთან, მათ შორის კოტბუსის „ენერგიასა“ და როსტოკის „ჰანზასთან“. „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ განაცხადა, რომ მისი გუნდი ისრაელის კლუბთან შეხვედრაში სტატისტის როლში გამოსვლას სულაც არ აპირებს და მეტოქეთა შანსები 50/50-ზე შეაფასა.

*გვერდი მოამზადა მათე კბილაძემ*

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ჭრელ-ჭრელი ამბები

— იტალიის მინისტრთა კაბინეტი ამზადებს ბრძანებულებას, რომლის თანახმადაც, ქვეყანაში **აიკრძალება მოწევა**. შეიძლება მოსწიონ მხოლოდ საკუთარ სახლებში, ისიც დაკეტილ კარს მიღმა. თუ ვინმეს წაასწრებენ საზოგადოებრივ ადგილას ანთებული სიგარეტით, გადაახდევინებენ ჯარიმას — 500 დოლარს. თუმცა, მდიდარ მწეველებს მსგავსი ჯარიმა არ შეაშინებთ, მაგრამ წარმოიდგინეთ, რა შეიძლება მოჰყვეს დღეში 3-4-ჯერ დაჯარიმებას...

— **ქეით უინსლეტი** ბოლო დროს ინტერნეტის ქსელით საშინელ წერილებს იღებს. ვიღაც იდუმალი ქალბატონი, დინა, მსახიობს გაუპატიურებითა და მოკვლით ემუქრება და ვითომდა თავისი მიზნის ალსასრულებლად აპირებს ლონდონში ჩასვლას და ვარსკვლავის ახალი სახლის პოვნას. ქეითის შეშინება არ არის ადვილი. ორი წლის წინაც ემუქრებოდნენ, მაგრამ მას წარბიც არ შეუხრია. მე მსახიობი ვარ და არ ვაპირებ ცხრაკლიტულში ჩაკეტვასო, — თქვა. და მაინც ინგლისის პოლიციამ ხელი მოჰკიდა ქეითის საქმეს. გამომძიებლები კვალმა მიიყვანა საბერძნეთში, სალონიკში, არისტოტელეს უნივერსიტეტში. თუმცა, ვირტუალური მოძალადის პიროვნება ჯერჯერობით არ არის დადგენილი. ყველაზე მეტად ამ სიტუაციამ მსახიობის მეუღლე ჯიმ ტრიპლტონი შეაშფოთა, — სექტემბერში ქეითი პაწიას ელოდება და დედა-შვილისთვის ზედმეტი ნერვიულობა არ არის სასურველი.



— ერთხელ მეგობარ ქალთან საუბრისას **ჯულია რობერტსმა** დაიჩივლა, — ძალიან მშურს პამელა ანდერსონის მრგვალი ფორმებისაო. „ლამაზმანი" ვერ დაიკვეხნის იმავეთი. ამიტომაც არის, რომ „ეროტიკულ სცენებში" მას ან აზლუდი აცვია, ან ოდნავ ჩახსნილი პერანგი, ან სააბაზანო ხალათშია გახვეული. ერთ თავის ინტერვიუში მსახიობმა პირდაპირ განაცხადა, — ყველა სექს-სიმბოლოს მეძახის, მაგრამ აბა რა სექს-სიმბოლო ვარ. ღრმად ამოჭრილ კაბებსაც კი ვერ ვიცვამ, რომ არ შევრცხვე. ბუნებამ ჩემთვის ვერ გაიმეტა ბარაქიანი მკერდი. მოწაფეობისას აზლუდში ბამბებს ვიწყობდი, ახლა სხვა, უკეთესი საშუალება მაქვს — „ვონ დერბრა".

— ექსფოტომოდელი, მანეკენი, ჟურნალისტი, ცნობილი მსახიობი **იზაბელა როსელინი** მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი მანდილოსანია. დიდი ხნის მანძილზე ის იყო კოსმეტიკური ფირმა „ლორეალის" „სახე" და სუნამო „ტრეზორის" სიმბოლო. დღეს მისი სახე პარიზის საიუველირო სალონებს ამშვენებს. მაგრამ, აბა ვინ იფიქრებდა, რომ იზაბელს წინა კბილები დეფორმირებული აქვს. თურმე, ბავშვობაში თამაშის დროს ძმამ ისე მაგრად უთავაზა მუშტი ცხვირ-პირში, რომ მისი ლამაზი თეთრი კიჭი უკან შევარდა. „მე ჩემი ფიზიკური ნაკლი უპირატესობად ვაქციე. ბევრს ვიცინი, გაღუნული კბილი კი ჩემს სახეს სასიამოვნო შტრიხს ჰმატებს — ამბობს მსახიობი.

— მშვენიერი **კიმ ბესინჯერი** თავის კოპწია, პუტკუნა ტუჩებს სილიკონის ბანალურ ინიექციებს უნდა უმადლოდეს. ერთხელ ვარსკვლავს კინაღამ სისხლი მოეწამლა და სასწაულად გადარჩა. კიმის ტუჩები ძალიან მგრძნობიარე აქვს, ამიტომ ექიმები ურჩევენ, არავითარ შემთხვევაში არ მიუშვიროს მზეს და ყოველდღიურად წაისვას სამკურნალო ბალზამი, რომელსაც მსახიობს სპეციალურად უმზადებენ — ტონიზებული, პომადის შემცვლელი (სტაფილოს ფერისა). ფილმის „ლოს-ანჯელესის საიდუმლოებები" გადაღების დროს მსახიობს უსიამოვნო ინციდენტი შეემთხვა საგრიმიოროში. მისმა პარიკმახერმა შეცდომით აურია თმის საღებავი და ვარსკვლავს თმა დასწვა. კიმი იძულებული შეიქნა, შეეცვალა ვარცხნილობა. მისი ცნობილი კულულები შორეულ წარსულს ჩაბარდა. ახლა ვარსკვლავი გულმოდგინედ მალავს თხელ და სუსტ თმას მოკლე ბიჭური ვარცხნილობით.

— ამერიკელმა სწავლულებმა მოიპოვეს ახალი დამადასტურებელი ფაქტები იმისა, რომ დედამიწაზე **სიცოცხლე კოსმოსური წარმოშობისაა**. მთვარის გრუნტის ანალიზმა აჩვენა, რომ დაახლოებით 400 მილიონი წლის წინათ მთვარეზე, და მაშასადამე, დედამიწაზეც, მოხდა მეტეორიტების ინტენსიური შეტევა.

მთვარის გრუნტში აღმოაჩინეს კვარცის მიკროსკოპული სფეროები, რომელთა შიგნითაც არის რადიოაქტიური ნაწილაკები. კვარცული სფეროები წარმოიქმნა მეტეორიტული დარტყმებით გამოწვეული აფეთქებების დროს. ისინი, ელექტრონული საათის მსგავსად, ითვლიდნენ დროს წარმოქმნის მომენტიდან.

ამერიკელების აღმოჩენა სერიოზული არგუმენტია იმის დასამტკიცებლად, რომ მიწიერი ორგანიზმები არამიწიერი წარმოშობისანი არიან. ეს აღმოჩენა ალბათ შეცვლის დედამიწის ევოლუციის შესახებ არსებულ ვარაუდს.

— **სიმსუქნე,** განსაკუთრებით კი ბავშვებში წონის მზარდი მატება აშფოთებს ექიმებს. ამერიკაში ყოველი მეათე მოსწავლე ფუმფულაა. ჩინეთში ათი წლის წინანდელთან შედარებით ბავშვები 17%-ით „დამძიმდნენ". ფრანგი ექიმები სერიოზულად შიშობენ, რომ „ღორმუცელობამ" შესაძლოა ბავშვები გარგანტუებად აქციოს. იაპონიაში ბავშვებისთვის სკოლებში სპეციალური სადიეტო გაკვეთილებიც კი შემოიღეს. ექიმების აზრით, ამის მიზეზი „ფასტ ფუდის" საჭმელებია. მართალია, მათი მწარმოებლები აცხადებენ, რომ ისინი ნაკლებად კალორიულია, მაგრამ ნაკლებკალორიულობა რას უშველის, როცა ბავშვი დღეში 4-5 ჰამბურგერსა თუ ბიგ-მაკს მიირთმევს. გამოკვლევებმა ცხადყო, რომ დღევანდელი ბავშვები დასაშვებზე 75%-ით მეტ ცხიმსა და ცილებს იღებენ. ამასთან, ტელერეკლამებმა ერთიათად გაზარდა შოკოლადისა თუ სხვა ტკბილეულის მოხმარება. ამერიკელები სერიოზულად დაფიქრდნენ ჭარბი წონის პრობლემებზე და ქვეყანაში შარშან ასობით საზაფხულო „დიეტური" ბანაკი გაიხსნა მსუქანი ბავშვებისათვის. წელს კი მათ კვალს დაადგა მრავალი ქვეყანა. ბერლინიდან პეკინამდე „დიეტური ბანაკები" ბავშვთა მოზღვავებას ვერ აუდის. და ერთი საინტერესო დეტალი: იტალიაში თითქმის ყოველი მესამე ბავშვი ბუთხუზაა, რაც ბებია-ბაბუების ბრალია. აქ ბავშვების აღზრდა (ვიდრე მშობლები სამსახურში არიან) არა ძიძების, არამედ სწორედ ბებია-ბაბუების პრეროგატივაა. ეს უკანასკნელნი კი ტკბილეულითა თუ სხვა ნუგბარით ძალზე ანებივრებენ პატარებს. ასე რომ, რომსა თუ მილანში, ნეაპოლში თუ პალერმოში ყოფნისას არ უნდა გაგიკვირდეთ, თუკი ბებიებსა თუ ბაბუებს შვილიშვილთან ერთად მოსეირნეს დაინახავთ, რომელიც უმადობას არ უჩივის და თან გემრიელად ილუკმება.

— ზოგიერთი სწავლული დარწმუნებულია, რომ ოზონის ხვრელთან დაკავშირებული ეპოპეა ისტორიაში შევა, როგორც XX საუკუნის ყველაზე **დიდი აფერა**. ფიზიკოსების ერთი ნაწილის აზრით, პრობლემა მხოლოდ ფულის გამოძალვის მიზნითაა გამძაფრებული. არსებობდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სწორედ ოზონი შთანთქავს ადამიანის სიცოცხლისათვის მავნე ულტრაიისფერ სხივებს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ოზონის ფენა 20-25 კმ-ის სიმაღლეზეა. იქ საერთოდ არ არის ულტრაიისფერი გამოსხივება. ეს სხივები უფრო მაღლა, 35 კმ-ის სიმაღლეზეა აღმოჩენილი.

— 2500 წლის წინათ ეგვიპტის დასავლეთ ნაწილს ქვიშის ქარიშხალმა გადაუარა. ქვიშამ ყორღანები დაფარა. დღეს ისევ **ქარი ხდის ფარდას საიდუმლოებას**.

ჰეროდოტე წერდა: სპარსეთის მეფის კიროს დიდის ვაჟმა ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ 50 ათასიანი ლაშქარი წარგზავნა დასავლეთით, რათა დაელაშქრათ სივის ოაზისი და გაენადგურებინათ ამონის ტაძრის ორაკული. ელჰარგიდან გასვლის შემდეგ ლაშქარი გაქრა. ახლახან ქვიშისაგან განთავისუფლებულ ყორღანებში ეგვიპტელმა გეოლოგებმა აღმოაჩინეს ბრინჯაოს მახვილები, რკინის დანები, ადამიანის ძვლის ნარჩენები და ვერცხლის სამაჯურები. ყორღანებში დამარხული აღმოჩნდა წარსულის შემზარავი ამბის უტყუარი დადასტურება — 50 ათასიანი ლაშქარი შეიწირა უდაბნოს ქარიშხალმა.

— ამერიკიდან მსოფლიოს მოედო **ვარდების საწოლის მოდა**. ყველგან შეხვდებით პლაკატს — ახალდაკრეფილი წითელი ვარდებით მოფენილ საწოლში ნებივრობს მშვენიერი ნიმფა და „ვოლის" ფირმის ნაყინს მიირთმევს. ზოგ სასტუმროში, თუკი სტუმარი მოისურვებს, საწოლს ხასხასა ვარდებით აუვსებენ. ამ მოდას დასაბამი მისცა ფილმმა „სილამაზე ამერიკულად", რომელმაც წელს ოსკარი დაიმსახურა.

*უცხოური პრესის მიხედვით*

# „ჩემი სახლი ჩემი ციხესიმაგრეა"



ეს ძველი ინგლისური სიბრძნე კარგად შეისისხლხორცეს მსოფლიოს კინოვარსკვლავებმა. ისინი ავი თვალისგან დასაცავად გალავნებს აგებენ თავიანთი „ციხესიმაგრეების" ირგვლივ. ვარსკვლავები თავიანთ იმიჯს განსაკუთრებულ ელფერს ჰმატებენ შესანიშნავი და მდიდრული სასახლეებით. ყველაზე ძვირად ღირებული ვილა **ჯონ და კელი ტრავოლტებს** აქვთ, რომელიც მენის შტატში მდებარეობს. ამ სახლში 20 საძინებელი ოთახია და 7,5 მლნ დოლარი ღირს. ხოლო ფლორიდის შტატის დეიტონ-ბიჩში ტრავოლტას საკუთარი თვითმფრინავის ასაფრენი ხაზი აქვს. მაინც ყველაზე მეტ დროს ტრავოლტები ლოს-ანჯელესის გარეუბანში — ბრენტვუდში ატარებენ. ბრენტვუდის ვილის საერთო ფართი, რომელიც ესპანური სტილითაა აგებული, 800 კვმ-ის უდრის. საძინებელ ოთახთა რაოდენობა ძალიან მცირეა — მხოლოდ ექვსია. დღეს ეს ვილა 3,7 მლნ დოლარად არის შეფასებული. ამ სახლში მსახიობის ოჯახს 24 ადამიანი ემსახურება (მძღოლები,



დამლაგებლები, მებაღეები, მასაჟისტები და სხვ.). — ნებისმიერ რესტორანს შეშურდება მისი; ისინი ყოველდღე ადგენენ ათი კერძისგან შემდგარ მენიუს ასარჩევად, — ამბობს ოჯახის მეგობარი. ამის მიუხედავად, ცოლქმარს და პატარა ჯეტს ჰამბურგერი თუ მოესურვებათ, ისინი მიემგზავრებიან ფეშენებელურ „ბევერლი-ჰილზ ოტელში" და ძვირად ღირებულ აპარტამენტებში უკვეთენ ჰამბურგერებს. ჯონსა და მის მეუღლეს „სამეფო" საძინებელში უყვართ ვახშმობა; თუმცა უფრო მეტ დროს სასტუმრო დარბაზში ატარებენ, რომელიც უთანამედროვესი აუდიოსისტემითაა აღჭურვილი. იქ უსმენენ საყვარელ კომპაქტდისკებს და გვიან ღამემდე ცეკვავენ.

**შონ კონერისთვის** „საცხოვრებელი ადგილსამყოფელი" ძალზე მნიშვნელოვანია. მან თავის მეუღლესთან — მხატვარ მიშლინთან ერთად შეიძინა ქათქათა გალავნით გარშემორტყმული „ესპანური ბუდე" (კურორტ მარბელას მახლობლად). ვილა მიშელინის გემოვნებით არის მორთული ანტიკვარული ავეჯით. „ეს ყველაფერი ჩემი ცოლის ნამოქმედარია, — ეღიმება სერ შონს, — ჩემი როლი ძალზე მცირეა, მე მხოლოდ ხარჯი გავიღე". ოთახების კედლები მოხატულია ცნობილი ფრანგი დრამატურგის ჟან კოკტოს მიერ. აქტიორის გარდერობის განსაკუთრებულობაზე მიუთითებს ოთახი, რომელიც ავსებულია შონის რამდენიმე ასეული კოსტიუმითა და სამკაულით. თავისი შემოქმედებითი საიდუმლოებებისთვის (სცენარებზე მუშაობა და სხვ.) კი ცალკე კოტეჯი დგას, სადაც შესვლა აკრძალულია. ამას წინათ ერთი უსიამოვნება დაატყდა თავს: ნიცის მახლობლად ვილის გაყიდვა მოუხდა 10 მლნ გირვანქა სტერლინგად. საქმე ის გახლავთ, რომ კონერის მამულის გვერდით დაიწყო პლაჟის, ბარებისა და სანაპიროს პანსიონატების მშენებლობა. ხმაურმა ძალზე შეაწუხა მსახიობი და ვილა უმალ მოიშორა თავიდან. „საწყალ" შონს ბინა შერჩა ლოს-ანჯელესში. ოჯახი სამუდამო საცხოვრებლად გადასახლდა ბაჰამის კუნძულებზე, მცველებით გარშემორტყმული ლაიფორდ კეის „მდიდართა დასახლებაში", 2 მლნ გირვანქა სტერლინგიან ვილაში.

ახლახან კონერი მშობლიურ შოტლანდიაში, პერტშირში (რომელსაც „ედემის ბაღს" უწოდებენ) ექვსოთახიანი სახლის აშენებას შეუდგა. ამ ტიპურ ფეოდალურ, სამ ავტოფარეხიან სახლში (იგი 1,2 მლნ გირვანქა სტერლინგი დაჯდება) კონერი და მიშლინი ყოველწლიურად სამ თვეს დაყოფენ.

*7 დღე №23*

# როგორი ფორმის ყური გაქვთ?

ამერიკელი ელეინ კანი ფსიქოლოგია, ავტორი პოპულარული წიგნისა „საკუთარი ხასიათის გაგების 101 საშუალება". ელეინს შეუძლია შეიტყოს ადამიანის ხასიათი, ოღონდ ამისათვის მის ყურებს უნდა შეავლოს თუნდაც ცალი თვალი.

**ლამაზი, საშუალო ზომის** სასმენი ორგანოს პატრონს (დემი მური, ოფრა უინფრი, ჰარისონ ფორდი და პოლ ნიუმენი) აქვს მშვიდი ხასიათი. არის მიზანდასახული და ძველმოდური. იგი ბევრს და ნაყოფიერად მუშაობს, მაგრამ გართობაც ეხერხება. პრაქტიკული და ცოტათი ძუნწია.

**ოდნავ აცქვეტილი** ყური (ბილ კლინტონი, ჯოდი ფოსტერი და ვაინონა რაიდერი) პატივმოყვარეობის ნიშანია. მის პატრონს მახვილი გონება აქვს, დამოუკიდებელია და ყველაფერში დადებითის პოვნის ნიჭით არის დაჯილდოებული.

**სქელი ბიბილოს** მქონე (ელენ დე ჟენერე, პიტერ ლოკლისი, კირსტი ელი) ყველაზე ერთგული მეგობარია, ვნებიანი და, რასაკვირველია, ძალიან ნიჭიერია.



ვისაც **ლოკატორის ფორმის** ყურები აქვს (მადონა, ბარბრა სტრაიზანდი), ძალიან გულდახურულია. შეუმცდარად გრძნობს, ცუდია თუ კარგი პიროვნება, გამახვილებული აქვს წინათგრძნობა.

**პაწია ყურები** (ბრედ პიტის მსგავსი) მეტყველებს მორცხვობაზე. მისი პატრონი რომანტიკულია, პასუხისმგებლობის გრძნობა ზომაზე მეტად აქვს განვითარებული და მთლიანად ეფლობა საქმეში.

*პოსლედნიე ნოვოსტი №26*



**თარაზულად**: 7. ნაპოლეონი, კართაგენი; 8. ჰიტლერი, იტალია; 10. ქლიავი, მიწისძვრა; 11. მესოპოტამია, ტიგროსი; 12. ხარი, ტიბეტი; 15. მაგიდა, სავარძელი; 16. ღილი, ქამარი; 18. ჟორჟ სანდი, ბრაზილია; 19. ალაზანი, ბაიკალი; 20. ღუმელი, მწვადი; 24. ბაირაღი, დროშა; 25. მიკროსკოპი, პარაზიტი; 26. ოჯახი, მარჩენალი; 29. გემი, ტელევიზია; 31. მოსკოვი, ინგლისი; 32. დილა, ნიორი; 33. ვარსკვლავი, ფაშიზმი; 34. ანალგინი, თვალი.

**შვეულად**: 1. შლაპა, ბაში-აჩუკი; 2. თოფი, მიზანი; 3. რძე, ბრინჯი; 4. აჯანყება, რევოლუცია; 5. ოსტაპ ბენდერი, პეტროვი; 6. ბოა, გიურზა; 9. თეთრი სახლი, მოსკოვი; 13. სიტყვა, სინონიმი; 14. საგანი, გერბი; 16. ლობიო, სკლიაროსი; 17. ხაშური, შაქარი; 21. ჯუღაშვილი, რუსეთი; 22. საყურე, თითი; 23. არტახი, თაბაშირი; 27. ტრამვაი, ცხენი; 28. ლეკვი, კატა; 30. საღამო, ალიონი; 32. გოგრა, ქვევრი.

**წინა კროსვორდის პასუხები**:

**თარაზულად**: 7. მერსედესი; 9. ავსტრალია; 10. პრეამბულა; 11. ეგერი; 12. ხმალი; 16. რიაზანოვი; 18. ხარება; 19. ნათია; 20. ლიფსიტა; 21. ხორბალი; 25. ორიონი; 26. წინანდალი; 27. აკვანი; 30. ოკაპი; 33. იამბი; 34. არტილერია; 35. ნიურბერგი; 36: ოლიმპიადა.

**შვეულად**: 1. სექტემბერი; 2. სეტერი; 3. ისარი; 4. ყველი; 5. ორშიმო; 6. სინდიოფალა; 8. კომენტარი; 13. დიზენტერია; 14. ავტომობილი; 15. აზორიგენი; 17. ბალალაიკა; 22. დიოსკურია; 23. ენისელი; 24. დარუბანდი; 28. ნიღაბი; 29. ნიკაპი; 31. გრიგი; 32. ფიალა.

## №28 (197) ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

რეიტინგს 567 მკითხველი გამოეხმაურა. 2 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 176-მა ქალმა და 389 მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ᲠᲐᲡ ᲘᲜᲐᲢᲠᲔᲑᲓᲘᲗ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲞᲐᲞᲐᲜᲐᲥᲔᲑᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ?“**

ზაფხულის დადგომასთან ერთად უამრავი პრობლემის გვერდით, კიდევ ერთი საფიქრალი გაგვიჩნდა — რითი დავაღწიოთ ზაფხულის ხვატს თავი. სიცხისაგან გათანგული ადამიანები ათასგვარ საშუალებას მიმართავენ და როგორღაც მაინც უმკლავდებიან პაპანაქებას.

რესპონდენტთა დაახლოებით 73-ის აზრით, ზაფხულის ხვატისაგაან თავის დაღწევის საუკეთესო საშუალებაა ბანაობა — სულ ერთია სად — ზღვაში, აუზსა თუ მდინარეში. **7,33** საშუალო ქულით „ბანაობა“ პირველ ადგილზეა, მკითხველთა მხოლოდ 1-მა დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა.

ზაფხულის პაპანაქებისაგან შეწუხებული ჩვენი მკითხველები სიამოვნებით გაგრილდებოდნენ გრილი შხაპითაც. მიუხედავად იმისა, რომ „გრილი შხაპი“ მეორე ადგილზეა, მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით იგი მეოთხეზეა და წინ „წვიმა“ და კონდიციონერი“ უსწრებს. იგივე შეიძლება ითქვას „გამაგრილებელ სასმელებზეც“ — საშუალო ქულით იგი მეოთხე ადგილზეა, მაგრამ მაქსიმალური — 8 ქულა მას მხოლოდ შვიდმა მკითხველმა (1,32) მიაკუთვნა და ამ ნიშნით იგი მეექვსე ადგილზეა.

როგორც ჩანს, ჩვენს მკითხველებს, ნაყინი, ჩრდილი და ცივი საზამთრო, აქ ჩამოთვლილთა შორის, შედარებით ნაკლებად ეხმარებათ ზაფხულის პაპანაქებისაგან თავის დაღწევაში, ამიტომაც, სიცხეში ნაკლებად ნატრობენ მათ...




საპრიზოს ზუსტად ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული 65 წლის რუსთაველი **ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔ ᲙᲣᲞᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲐ.**

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 18 ივლისს, 17 საათზე.

## №29 (198) ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ

**„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲜᲣ ᲓᲐᲒᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲑᲐᲗ, ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲝᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ.

**№29 (198) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 19 ივლისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 20 ივლისის 13 საათამდე.**

© თბილისი, 1997

**ᲗᲔᲛᲐ №29 (198) — ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ**

**ᲠᲝᲛᲔᲚ „ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲮᲔᲚᲡ“ ᲣᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲗ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№29(198) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | **ვანო ჩხარტიშვილი** — ეკონომიკის მინისტრი | |
| 2 | **სულხან მოლაშვილი** — კონტროლის პალატის თავმჯდომარე | |
| 3 | **სესილი გოგიბერიძე** — კულტურის მინისტრი | |
| 4 | **გია არსენიშვილი** — სახელმწიფო მინისტრი | |
| 5 | **დავით კირვალიძე** — სოფლის მეურნეობის მინისტრი | |
| 6 | **ნანა დევდარიანი** — ომბუდსმენი | |
| 7 | **კობა ნარჩემაშვილი** — საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე | |
| 8 | **ზურაბ ნოღაიდელი** — ფინანსთა მინისტრი | |
| 9 | **მიხეილ მაჭავარიანი** — საგადასახადო შემოსავლების მინისტრი | |

**ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ**

**როგორ შეაფასებდით აკაკი ელიავას სიკვდილის ფაქტს?**

| ინსპირირებული, პოლიტიკური ტერაქტი | შემთხვევითობა (გამოუვალი სიტუაციის შედეგი) | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|
| | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲒᲕᲐᲠᲘ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ (ᲠᲐᲘᲝᲜᲘ)

ᲐᲡᲐᲙᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ

**„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ ᲧᲣᲗᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲒᲕᲘᲐᲜ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲡ**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

მკითხველის რეიტინგში 425 რესპონდენტი მონაწილეობდა. კითხვა ასეთი იყო: **„ვისი ინტერვიუს წაკითხვას ისურვებდით „კვირის პალიტრაში?“**

უნდა აღინიშნოს, რომ დაახლოებით 140 უცხოელი თუ ქართველი, აწ გარდაცვლილი თუ ჩვენი თანამედროვე ადამიანი დასახელდა. ჩვენი მკითხველები სიამოვნებით წაიკითხავდნენ ინტერვიუს დევიდ კოპერფილდთან თუ რაულ გონსალესთან, პელესთან თუ რობერტო ბაჯოსთან, სტალინთან თუ ბერიასთან, აკაკი ელიავასთან... ასევე სასურველი იქნებოდა მათთვის: ინტერვიუ ვამპირთან, უცხოპლანეტელთან და ა.შ.

**ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ:**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ | 7,9% |
| 2. | ᲘᲠᲘᲜᲐ ᲡᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ-ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐ | 7,2% |
| 3. | ᲯᲐᲑᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ | 3,1% |
| 4. | ᲛᲣᲮᲠᲐᲜ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ | 3,0% |
| 5-6. | ᲘᲒᲝᲠ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ | 2,5% |
| 5-6. | ᲨᲐᲚᲕᲐ ᲜᲐᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 2,5% |
| 7. | ᲒᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ | 2,0% |
| 8-10. | ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲔᲕᲖᲐᲫᲔ | 1,7% |
| 8-10. | ᲡᲣᲚᲮᲐᲜ ᲛᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 1,7% |
| 8-10. | ᲐᲡᲚᲐᲜ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ | 1,7% |

**„კვირის პალიტრა“ ეცდება უახლოეს მომავალში შემოგთავაზოთ ინტერვიუები თქვენთვის საინტერესო რესპონდენტებთან.**

## © · ᲤᲝᲢᲝᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ · ᲤᲝᲢᲝᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ · ᲤᲝᲢᲝᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ · ᲤᲝᲢᲝᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

ᲠᲐᲡ ᲓᲐᲐᲠᲥᲛᲔᲕᲓᲘᲗ?

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲒᲕᲐᲠᲘ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ (ᲠᲐᲘᲝᲜᲘ)



გიორგი არსენიშვილი

**ზ.ჟ.** — შენ ისეთი ლამაზი ხარ, ისეთი მშვენიერი! მე შენ სუყველას მირჩევნიხარ!
**ნ.ჟ.** — ზურა, მე შენგან მარჯვნივ ვზივარ და არა მარცხნივ!
***მათე სულწაძე, წყალტუბო***

**ᲥᲐᲚᲘ** — წამო, წამო ზურაბ, ერთი დავლური დავუაროთ!
**ზ.ჟ.** (ფიქრობს) — „ვა, ეს რა ქალია, კაცო, სულ ერთიანად ღორის ქონივით არ დამადნო?!“
— წამოვალ, მა რა ჯანდაბას ვიზამ, ჭირიმეჯან!
***ნანა ნოდარიშვილი, თბილისი***

**ზ.ჟ.** (მღერის) — ტრულაილას ფული რად უნდა, ტრულაილა თვითონ ფულია!..
***გიორგი ყანდიაშვილი, თბილისი***

**ზ.ჟ.** (უცნობ ქალბატონს) — შემომხედე, ვარ თუ არა ნამდვილი ევროპელი?
**ᲣᲪᲜᲝᲑᲘ** — ევროპელისა რა გითხრა და, იშტოიანს უფრო ჰგავხარ.
***„ნანო“, ალექსეევკა***

**ზ.ჟ.** — მრეკე რა, ქალბატონო მარგალიტა, მრეკე!!!
(ე. შენგელაიას ახალი კ/ფ-დან „შერეკილები პარლამენტში“)
***მანანა კაკიაშვილი, გურჯაანი***

**ᲥᲐᲚᲘ** — რას ინატრებდით ზაფხულის პაპანაქებაში ყველაზე მეტად: ნაყინი, წვიმა, ზღვა...
**ზ.ჟ.** — მარაო.
**ᲥᲐᲚᲘ** — კიდევ, კიდევ?
**ზ.ჟ.** — ცივ სიდედრს პახმელიაზე.
***გელა ბერაძე, ქუთაისი***



მარცხნიდან - ნინო და ზურაბ ჟვანიები

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 159 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

პარლამენტის თავმჯდომარეს მიესალმებიან „მოცეკვავე ოფოფები“.
***თამრიკო ნიშნიანიძე, ზესტაფონი***

**ზ.ჟ.** — გპირდები, ლამაზო, რომ შემოდგომით აუცილებლად მივაღებინებ პარლამენტს კანონს მრავალცოლიანობის შესახებ.
***ტ. პ. ახალციხე***

**ᲛᲚᲔᲠᲘᲐᲜ:** — სეკვესტრი რას დაგვაკლებს, დაგვაკლებს, დაგვაკლებს.
(სამი გოჭის სიმღერა)
***მ. გურგენიძე, სეკვესტრირებული***

**ზ.ჟ.** — ჰილარი კლინტონისგან განსხვავებით, ჩემი პრეზიდენტობისას ნინო პარლამენტის თავმჯდომარე იქნება...
***ოთარ თათარიშვილი, ყვარელი***

**ნ.ჟ.** — ჩემს ზურიკოს სცხელა, დაუნიავეთ, თუ შეიძლება?!
**ზ.ჟ.** (იცინის) — ნახე, რას ამბობს, სცხელაო. რაც პარლამენტში შევდგი ფეხი, კი არ მცხელა, თბილადა ვარ!
***თამაზ მჭედელი. 43***

**ზ.ჟ.** — ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა!
**ნ.ჟ.** (ფიქრობს) — „მოხვალ სახლში, ამხანაგო ჟვანია. სახლში ჩაგიტარებ მე შენ პოეზიის ხუთ წუთს.“
***ბუზღუნა მამუკა, თბილისი***

**ზ.ჟ.** — მიყვარს სმა და მიყვარს ჭამა,
თენდება თუ ღამდება!
მშიერი პენსიონრები
სიზმარშიც მელანდება!
***მანონი, ზესტაფონი***

**ზ.ჟ.** (მღერის)
— მარტო ერთი კოცნა მინდა,
არ გეგონოს, შენთვის ვკვდები,
ნუ გგონია, ცოლს დავტოვებ
და შენ გამოგეკიდები.
***ირაკლი კუცია, ალენ მამარდაშვილი, თბილისი***

**ᲣᲪᲜᲝᲑᲘ** — ბატონო ზურაბ, ბევრი ჭამა გყვარებიათ! ბიუჯეტი არ გეცოდებათ?
**ზ.ჟ.** — უნდა მოვასწრო, თორემ ნოღაიდელმა შემოიტანა კანონ-პროექტი მოქალაქეთა კუჭის საყოველთაო სეკვესტრზე და პირველი მე ვარ სიაში.
***გივი კაციტაძე, თბილისი***

## ფოტო განწყობისათვის



— გზა? მარტო ვმუშაობ და რა ვიცი...



ყველაფრით უკმაყოფილო, ბუზღუნა ტიპმა ცაზე ცისარტყელა დაინახა.

— ამ მთავრობის დედა ვატირე, ცისარტყელაზე კარგად ყოფნით ფული?!

ამ კვირაში არ არის მოსალოდნელი მაგნიტური დღეები

24/VII სავსე მთვარე

## წინა სკანვორდის პასუხები






## წამალი „სალხინო" — მართლაც ქართული ფლორის საოცრება

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადების და სხვა შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო" და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის 115, პოლიციის ეზოში, ფირმა „სალხინო"

„კვირის პალიტრის" უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).

„კვირის პალიტრაში" კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან); მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:აიარაძე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ, მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ნაძალადევში კ/თ „საქართველოსთან", წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში - მშვიდობის გამზ. მილიციასთან. უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვეფხვულის დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".

ქალაქებში და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური; სურამი; ზესტაფონი; ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი; აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი; ქობულეთი, ბათუმი; ოზურგეთი, ლანჩხუთი; რუსთავი, საგარეჯო, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი; ბორჯომი, ახალციხე; დუშეთი, ჟინვალი; არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ბოლნისსა და ახმეტაში ყუთები დაიცლება ყოველი თვის I და III კვირას, ოთხშაბათს 10 სთ.-დან.

ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## (29) უფასო განცხადების ქვითარი

სიტყვა და საქმე

განცხადების ტექსტი ____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№29 ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 20 ივლისის (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.

## ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საეც. ფაკულტეტი)

აცხადებს მიღებას 2000/2001 სასწავლო წლისათვის: 1. სამართალმცოდნეობა; 2. მთარგმნელობითი საქმიანობა: ა) ინგლისური ენა; ბ) გერმანული ენა; გ) ფრანგული ენა; 3. ეკონომიკური: ა) საბანკო საქმე; ბ) საბაჟო საქმე; გ) საგადასახადო საქმე; დ) საერთაშორისო ეკ. ურთიერთობები; ე) საგარეო ვაჭრობა; 4. საგამომცემლო საქმე; 5. ჟურნალისტიკა; 6. რეჟისურა (რეპორტიორი).

სამხედრო სწავლებისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს მიწერის მოწმობა, სწავლა ფასიანია. საბუთების მიღება წარმოებს 1 ივლისიდან, შაბათ-კვირის გარდა 10-15 სთ-მდე. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 36-60-78.

მის: ტექნიკური უნივერსიტეტის VIII კორპ, II სართ.

## პირველად საქართველოში!

გიწვევთ სასწავლებლად „ოჯახის ადვოკატის" ინსტიტუტში,

რომლის იურიდიულ ფაკულტეტზე სამართალმცოდნეობის სპეციალობით

ჩამოყალიბდებით პროფესიონალ იურისტად და სწავლის პერიოდში დამატებით გაივლით საადვოკატო პრაქტიკას ინსტიტუტთან არსებულ ადვოკატურაში.

თქვენი სურვილის შემთხვევაში უფასოდ შეისწავლით: კომპიუტერთან მუშაობას, მეორე უცხო ენას, ავტომობილის მართვას, აღმოსავლურ ორთაბრძოლებს.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის 65

☎ 74-26-97

გაზეთი დამოუკიდებლია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებას.

რედაქცია პასუხს არ აგებს ... მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, ... განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი ... 

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ... დუმბაძე; გიორგი ...

სარედაქციო კოლეგია.

მის: ... ქ. ... (სპორტის სასახლის ...)

ტელ რედაქცია: 33-39-54
რეკლამა: 98-74-44

palitra@access.sanet.ge
palitra@geo.net.ge

სარეგისტრაციო ნომერი 1518
„კვირის პალიტრა"
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა „კოლორში".